PRIME Time

N31 (229), ორშაბათი 5 აგვისტო 2013 წ.

ყოველკვირეული

ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

პრეპარატი, რომელსაც თინეიჯერები თვითმკვლელობამდე მიჰყავს, აფთიაქებში 12 ლარად იყიდება

EXCLUSIVE

ღარიბაშვილი ნარკომაფიას ომს უცხადებს – რა საფრთხე ელის შს მინისტრს

მამუკა არეშიძე:
„არ არის გამორიცხული, ამ ძალებმა, იმ პირების ფიზიკური ლიკვიდაცია მოინდომონ, ვინც დაკავებულია ნარკოტიკებთან ბრძოლით“

EXCLUSIVE

„...მას არაერთხელ განუცხადებია და დაუსახელებია კიდეც, ვინ იყო მთავარი ნარკოტრანზიტორი საქართველოში და ის ვანო მერაბიშვილს ასახელებდა“

კობა დავითაშვილი:
„ოცნების“ ძალიან ბევრი მხარდამჭერი გიორგი მარგველაშვილის არჩევით იმედგაცრუებულია“

„ეჭვი მაქვს, მერაბიშვილი და ახალაია ერთმანეთის წინააღმდეგ იძლევიან ჩვენებებს“

EXCLUSIVE

სააკაშვილი ახალ ზონდერ-ჯგუფებს ქმნის?

რატომ ელოდება პრეზიდენტი ბაჩო ახალაიას გამოსვლას

EXCLUSIVE

რისთვის შეიწყალა გიგი კალანდაძე

„გუნავა სწორედ იმიტომ იყო შეწყალებული, რომ წინასაარჩევნოდ სამეგრელოში სიტუაციის ესკალაცია მოახდინოს... პროვოკაციების ორგანიზებას მაინც მოახერხებს... ნაციონალების მკვდრეთით აღდგომა შეუძლებლად მიმაჩნია, მაგრამ იმაში დარწმუნებული ვარ, რომ კრიმინალურ ფონს ის ხელოვნურად სწორედ შეწყალებულთა წყალობით დაძაბავს“

გიგი უგულავა „ნაციონალური მოძრაობის“ დატოვებას გეგმავდა

კოკი იონათამიშვილი:
„ეს საკითხი განიხილებოდა, თუმცა რატომ არ მიიღო საბოლოოდ გადაწყვეტილება, ვერ გეტყვით“

EXCLUSIVE

პაატა ზაქარეიშვილი თანამდებობას ტოვებს?

„უკვე საუბარია, რომ შესაძლოა, მან დავით ზურაბიშვილის ბედი გაიზიაროს“

ნაფიცი მსაჯულების

სკანდალური ვერდიქტი!

EXCLUSIVE

განზრახ მკვლელობაში ბრალდებული გამართლდა

„პრაიმტაიმს“ ადეიშვილის პროკურატურის მუშაობის კრიმინალურ სქემას უშიფრავენ

EXCLUSIVE

უსახსრობდ დარჩენილ სამშვილდალუკულ დედას

EXCLUSIVE

სოციალური დახმარებაც მოუხსნეს

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პრეპარატი, რომელსაც თინეიჯერ

my View

მირიან ბოქოლიშვილი

19 ივლისს ღუდუშაურის სახელობის სამედიცინო ცენტრის მეხუთე სართულიდან 17 წლის გიორგი სამხარაძე გადმოხტა და გარდაიცვალა. ირკვევა, რომ ახალგაზრდა სამედიცინო დაწესებულებაში მედიკამენტოზური ინტოქსიკაციით შეიყვანეს, თუმცა პრეპარატი, რომელიც მას ჰქონდა მიღებული, ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი აღმოჩნდა. ამ პრეპარატმა 17 წლის მოზარდი თვითმკვლელობამდე მიიყვანა.

„პრაიმტაიმს“ სპეციალისტებმა განუმარტეს, რომ ერთ-ერთი მედიკამენტი, რომელსაც მსგავსი ფატალური შედეგის გამოწვევა შეუძლია, უნგრული წარმოების „ზალეპლონია“, იგივე „ანდანტე“. აღნიშნული მედიკამენტი ფარმაცევტულ ბაზარზე ცოტა ხნის წინ გამოჩნდა. „ანდანტეს“ კაფსულები სააფთიაქო ქსელებში შეუზღუდავად, ძირითადად ექიმის დანიშნულების გარეშე იყიდება. პრეპარატი საძილე საშუალებების ფარმაკოლოგიურ ჯგუფს განეკუთვნება. მედიკამენტის ანოტაციაშივე მითითებულია, რომ ის არის ჰიპნოზური ტიპის საშუალება, რომელიც ავლენს მაღალ სელექტიურობას და პირველი ტიპის ბენზოდიაზეპინურ რეცეპტორებთან ნათესაობას.

არასამთავრობო ორგანიზაცია „პოზიტივის“ წარმომადგენელი ელენე რობიტაშვილი „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, რომ აღნიშნულ მედიკამენტს ძირითადად 13-14 წლის ასაკის თინეიჯერები მოიხმარენ და მეტი ეფექტის მიზნით ლუდს აყოლებენ.

„ჩვენთვის ცნობილია, რომ ამ პრეპარატს ხშირად იყენებენ მოზარდები. ეს არის კაფსულები, რომლის შიგნითაც მოთავსებულია ლურჯი ფერის ფხვნილი. სწორედ ამ ფხვნილს იყნოსავენ ახალგაზრდები ე.წ. კაიფის გამოწვევის მიზნით. მეტი ეიფორიის გამოსაწვევად აყოლებენ ლუდს, ან სხვა სახის ალკოჰოლს. აღნიშნული ფხვნილის შეყნოსვა იწვევს დეპრესიას და რიგ შემთხვევებში, გადაჭარბებული დოზით შეყნოსვა ან ბევრი ალკოჰოლური სასმელის დამატებამ შესაძლოა, ფატალური შედეგიც გამოიწვიოს. შემიძლია გითხრათ, რომ ამ პრეპარატს შეუძლია მოზარდი თვითმკვლელობამდე მიიყვანოს. გარდა ამისა, პრეპარატი აძლიერებს სექსუალურ ლტოლვას. მოზარდებში ამ პრეპარატის ხშირი მოხმარება შეიძლება შეფასდეს, როგორც საწყისი ეტაპი, რის შემდეგაც ისინი პოტენციურად უფრო ძლიერ ნარკოტიკებზე გადავლენ, ამიტომ შესაბამისმა უწყებებმა მაქსიმალურად უნდა გააკონტროლონ ამ პრეპარატის რეალიზაცია მოზარდებზე“, – ამბობს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ელენე რობიტაშვილი.

ღუდუშაურის კლინიკაში მომხდარი უბედური შემთხვევის შემდეგ მედიკოსებმა განმარტეს, რომ მსგავსი კატეგორიის პაციენტები საკმაოდ საყურადღებონი არიან.

„შესაძლებელია, 17 წლის მოზარდი სახლში წაეყვანათ, მაგრამ თვითმკვლელობა იქ მაინც განეხორციელებინა. თავიდან ხომ არ არის ცნობილი, რამდენი ტაბლეტი აქვთ მიღებული, ზოგს ერთი თვე, ზოგს ერთი კვირაც არ ჰყოფნის, რომ გაიღვიძოს, იმდენად არაადეკვატურები და აღგზნებული ფსიქიკით იღვიძებენ“, – განმარტეს ღუდუშაურის კლინიკაში.

ფაქტია, რომ 17 წლის გიორგი სამხარაძის თვითმკვლელობა საეჭვო პრეპარატის მიღებას უკავშირდება. ერთ-ერთ ასეთ პრეპარატად კი სპეციალისტები სწორედ „ანდანტეს“ ასახელებენ. ნამლის ანოტაციაში ვკითხულობთ, რომ მისი გამოყენება 18 წლამდე ასაკის მოზარდებისთვის აკრძალულია. მედიკოსების მიერ განსაკუთრებულ შემთხვევებში ინიშნება, ისიც მხოლოდ შეზღუდული ვადით, შემდეგი სიმპტომების შემთხვევაში:

ძილის დარღვევა, რაც ვლინდება დაძინების გაძნელებით და აქვს მძიმე ხასიათი, ანუ განაპირობებს განსაკუთრებულ დაღლილობას და ყოველდღიური საქმიანობის შესრულების შეუძლებლობას, შრომისუნარიანობის დაქვეითებას.

„მკურნალობა შეძლებისდაგვარად უნდა იყოს მაქსიმალურად ხანმოკლე, არაუმეტეს 2 კვირისა. საჭიროა ავადმყოფის გაფრთხილება განმეორებითი დოზის ერთი ღამის განმავლობაში მიღების მავნებლობის შესახებ! 18 წლამდე ასაკში პრეპარატის გამოყენების შესახებ მონაცემები არ მოიპოვება, ამიტომ ამ ასაკობრივ ჯგუფში „ზალეპლონი“ არ ინიშნება“, – ვკითხულობთ წამლის ანოტაციაში.

სპეციალისტები ამბობენ, რომ ხსენებულ პრეპარატს აქვს საკმაოდ ბევრი, რიგ შემთხვევებში სახიფათო გვერდითი ეფექტები. ყველაზე უფრო ხშირად გამოვლენილი გვერდითი ეფექტებია: თავის ტკივილი, სისუსტის შეგრძნება, ძილიანობა, თავბრუსხვევა, ამნეზია, შესაძლებელია ანტეროგრადული ამნეზიაც განსაკუთრებით მაღალი დოზების მიღებისას.

მოსალოდნელია ფარული დეპრესიის კლინიკური ნიშნების გამოვლენაც. ფსიქიკური და პარადოქსული რეაქციები – მოუსვენრობა, აგზნებული მდგომარეობა, გაღიზიანებულობა, აგრესიულობა, ჰალუცინაციები, აღქმის დარღვევა, ფეთქებადი მრისხანება, კოშმარული სიზმრები, ქცევის დარღვევა და ა.შ. და რაც ყველაზე უფრო მთავარია, „ზალეპლონის“ მოხმარებამ შესაძლებელია მოზარდი პრეპარატზე დამოკიდებული გახადოს, რაც თითქმის არაფრით განსხვავდება ნარკოდამოკიდებულებისგან.

„პრეპარატის მიღებამ, მათ შორის თერაპევტულ დოზებში, შეიძლება გამოიწვიოს ფიზიკური დამოკიდებულებისა და მოხსნის სინდრომის სიმპტომების განვითარება. პრეპარატის ბოროტად გამოყენებისას შესაძლებელია ფსიქიკური დამოკიდებულების გაჩენაც. „ზალეპლონთან“ ერთდროული მიღებისას შესაძლებელია ნარკოტიკული ანალგეტიკების, მიჩვევის გამომწვევი ეიფორიული ეფექტის გაძლიერება“, – აცხადებენ ფარმაციის სპეციალისტები.

მიუხედავად იმისა, რომ წამალს ინსტრუქცია მოჰყვება, სადაც, მართალია, მხოლოდ რუსულ ენაზე, მაგრამ გარკვევით აწერია, რომ მედიკამენტი მხოლოდ ექიმმა უნდა დანიშნოს და მისი მიღების პერიოდშიც პაციენტს აქტიური კონსულტაციები უნდა ჰქონდეს ექიმთა, საქართველოში ის მაინც თავისუფლად იყიდება. ყველაფერი მარტივადაა, შედიხარ აფთიაქში და წამალს 12 ლარად ყიდულობ.

„პრაიმტაიმმა“ თავადვე ჩაატარა

„შემიძლია, გითხრათ, რომ ამ პრეპარატს შეუძლია, მოზარდი თვითმკვლელობამდე მიიყვანოს“

„პრეპარატმა შესაძლოა, გამოიწვიოს ფსიქიკური და პარადოქსული რეაქციები – აღგზნებული მდგომარეობა, აგრესიულობა, ჰალუცინაციები, აღქმის დარღვევა და კოშმარული სიზმრები“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ები თვითმკვლელობამდე მიჰყავს

„13-14 წლის ასაკის თინეიჯერები მოიხმარენ და მეტი ეფექტის მიზნით ლუდს აყოლებენ“

ელენე როზიტაშვილი

ექსპერიმენტი. ჩვენ შეგნებულად არ ვასახელებთ კონკრეტულად რომელი ფირმის აფთიაქში შევედით წამლის საყიდლად, რადგანაც ჯანდაცვის მიერ მისი გაყიდვა ნებადართულია.

ერთ-ერთ აფთიაქში პრეპარატი 12 ლარად შევიძინეთ, ყოველგვარი ექიმის დანიშნულებისა და ზედმეტი კითხვების გარეშე.

ჩვენს შეკითხვაზე, რატომ იყიდება ასეთი პრეპარატი შესაბამისი რეცეპტის გარეშე, ფარმაცევტებმა გვითხრეს, რომ ეს არის ჩვეულებრივი საძილე საშუალება და მასზე განსაკუთრებული რეგულაცია არ არსებობს.

პრეპარატის ანოტაციაში კი ნათლად არის მითითებული იმ უკუჩვენებების შესახებ, რომელიც შესაძლოა, ადამიანის ჯანმრთელობისთვის სახიფათო იყოს.

აღნიშნულ აფთიაქში მენეჯერი შვებულებაში იყო გასული, ამიტომაც, პასუხი იქ არავინ გაგვცა.

– მენეჯერთან გვსურს გასაუბრება პრეპარატ „ანდანტესთან“ დაკავშირებით...

– მენეჯერი შვებულებაშია, რა გნებავთ?(ოპერატორი)

– ეს-ესაა თქვენთან შევიძინეთ პრეპარატი „ანდანტე“. ეს მედიკამენტი უპრობლემოდ იყიდება ხომ თქვენთან?

– დიახ, ეს არის ჩვეულებრივი საძილე საშუალება, ჩვეულებრივი საძილე პრეპარატი და ჩვენ ჩვეულებრივად ვახდენთ მის რეალიზებას. რაც შეეხება სხვა ინფორმაციას, ამაზე მის გამომშვებ ქარხანას დაუკავშირდით.

მოგვიანებით, ერთ-ერთი აფთიაქის საინფორმაციო სამსახური ოპერატორს დავუკავშირდით: ოპერატორმა აგვიხსნა, რომ:

პრეპარატი „ანდანტე“ მთელ ქსელში არ არის წარმოდგენილი, მაგრამ დეფიციტში ნამდვილად არ არის. ყველგან ურეცეპტოდ იყიდება... ეს არის საძილე პრეპარატი, აკრძალული რომ იყოს, სპეციალურ აფთიაქებში იქნება წარმოდგენილი. ჯანდაცვის სამინისტროში უნდა დააზუსტოთ, ალბათ, ეს ყველაფერი, რადგანაც პრეპარატი, ჩვენი ქსელის გარდა, სხვაგანაც იყიდება.

როგორც არაოფიციალურად გავარკვიეთ, აღნიშნულ პრეპარატს ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდა მამაკაცები ყიდულობენ.

ამ საკითხზე „პრაიმტაიმს“ ჯანდაცვის სამინისტრომ ოფიციალური კომენტარი მისცა. როგორც სამინისტროში განმარტავენ, იანვრიდან საქართველოში ახალი რეგულაციები შემოვა. მანამდე კი უწყების პოზიცია ასეთია:

„სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში „პრაიმტაიმს“ განუცხადეს „ანდანტე“ („ზალეპლონი“) გამოიყენება უძილობის სამკურნალოდ. ძილს იწვევს ტვინის აქტივობის დაქვეითების ხარჯზე. არ მიეკუთვნება ბენზოდიაზეპინებისა და ბარბიტურატების ჯგუფს, რომელთაც აქვთ საძილე მოქმედება.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, აღნიშნული მედიკამენტი არ მიეკუთვნება I ჯგუფის ფარმაცევტულ პროდუქტს (სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებები) და მისი აფთიაქიდან გაცემა არ ხდება სპეციალური „ფორმა №2“ სარეცეპტო ბლანკებით. ის არის II ჯგუფის ფარმაცევტული პროდუქტი და აფთიაქიდან გაიცემა „ფორმა №3“ რეცეპტით, მხოლოდ ექიმის დანიშნულებით.

აქვე გაცნობებთ, რომ „ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალებების) გამოწერის ინსტრუქციისა და რეცეპტის („ფორმა №3“) ნიმუშის დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №01-9/ნ ბრძანების, დანართი №1, მუხლი 1, მე-2 პუნქტის თანახმად, „დაუშვებელია რეალიზატორის მიერ ფარმაცევტული პროდუქტის გაცემაზე უარის თქმა რეცეპტის („ფორმა №3“) წარმოუდგენლობის საბაბით“.

გამომდინარე აქედან, დღეის მდგომარეობით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამკურნალო საშუალება „ანდანტეს“ აფთიაქიდან გაცემა შესაძლებელია ყოველგვარი რეცეპტის გარეშე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის უშუალო ინიციატივით, გასულ კვირას, საქართველოს კანონში „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“, განხორციელდა ცვლილებები, რომელთა თანახმადაც, 2014 წლის 1 იანვრიდან, II ჯგუფის ფარმაცევტული პროდუქტის აფთიაქიდან გაცემისთვის სავალდებულოა ექიმის მიერ გამოწერილი „ფორმა N3“ რეცეპტის წარდგენა, ასევე I და II ჯგუფისთვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტი აფთიაქიდან არ გაიცემა არასრულწლოვნებზე.

აქვე აღსანიშნავია, რომ, გარდა „ზალეპლონისა“ („ანდანტე“), საქართველოში ნარკოტიკული თრობის მისაღწევად, ბოროტად გამოიყენება სხვა სამკურნალო საშუალებებიც („გაბაგამა“, „ბაკლოსანი“ და სხვა). რეალური პაციენტების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე არ მოხდება მათი ფარმაცევტული ბაზრიდან ამოღება, თუმცა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინიციატივით, გადაწყვეტილია მსგავსი მედიკამენტების I ჯგუფიდან II ჯგუფში გადატანა (მინისტრის ბრძანების საფუძველზე), რის შემდეგაც მათზე გავრცელდება კონტროლის იგივე რეჟიმები და მექანიზმები, როგორიც ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე, რაც მოგვცემს, მათი მიმოქცევის (იმპორტი, შენახვა, აღრიცხვა, აფთიაქიდან გაცემა), მკაცრად გაკონტროლების საშუალებას“.

„პრეპარატის ბოროტად გამოყენებისას შესაძლებელია ფსიქიკური დამოკიდებულების გაჩენაც“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სააკაშვილი ახალ ზონ

„ნაციონალების მკვდრეთით აღდგენა შეუძლებლად მიმაჩნია, მაგრამ იმაში დარწმუნებული ვარ, რომ კრიმინალურ ფონს ის ხელოვნურად სწორედ შეწყალებულთა წყალობით დაძაბავს“

მარიამ ნადირაძე

თუ ცოტა ხნის წინ ორხელისუფლებიანობის შესახებ საუბრისას ძალთა გადანაწილება თანაბრად იკვეთებოდა, უკანასკნელ ხანს ძალიან სწრაფად, ერთმანეთის მიჯრით განვითარებულმა მოვლენებმა ერთგვარი სურათი შექმნა იმისა, რომ თითქოს ქვეყანაში ხელისუფლება არც კი შეცვლილა. ამ შთაბეჭდილებას არა მარტო პოლიტიკური, არამედ სამართლებრივი პროცესებიც ქმნის.

ქვემოთ შემოთავაზებულ სტატიაშიც აქცენტები სამართლებრივ პროცესებზე გაკეთდება. მკითხველი, ალბათ, ხვდება, რომ თემა, რაღა თქმა უნდა, ბაჩანა ახალაიას მიმართ გამოტანილი განაჩენი და თენგიზ გუნავას შეწყალება იქნება.

დაკვირვებული თვალი აუცილებლად შეამჩნევს, რომ პროცესები ძალიან საინტერესოდ ლაგდება: ალბათ, გახსოვთ, რამდენიმე თვის წინ, როდესაც მინისტრი ღარიბაშვილი ბაქოში იყო ვიზიტად, გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მას დათა ახალაიასგან წარგზავნილმა ხალხმა სერიოზული დოკუმენტური მასალა გადასცა. ეს ამბავი ლეგენდადაც რომ დავტოვოთ, მას შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა მის რეალობაზე არგუმენტირებული ეჭვები მაინც დატოვა, რადგან სწორედ მას შემდეგ დაიწყო ნაციონალების ერთგვარი რღვევა, პარტია დატოვა რამდენიმე ცნობილმა სახემ, დაიჭირეს ვანო მერაბიშვილი, აღმოაჩინეს საიდუმლო სამალავები, საზოგადოების ერთ ნაწილს შინაგან საქმეთა სამინისტროში შოკისმომგვრელი ვიდეოჩვენებები მოუწყვეს და თვალსაჩინოდ გახუმარტეს, როგორ აუპატიურებდნენ მამაკაცებს პოლიციის განყოფილებებში. ამ ყველაფერს კი დაემთხვა სისტემატური საუბრები იმასთან დაკავშირებით, რომ ბაჩანა ახალაია გამართლდებოდა. სწორედ ამ მოვლენების ფონზე მიხეილ სააკაშვილი აცხადებდა, რომ დათა ახალაიას თითქმის არ იცნობს, ბაჩანა ახალაიას კი გამოკვეთილად ემიჯნება.

ემიჯნება ახალაიებს, მაგრამ საკუთარ რეზიდენციაში იბარებს პატიმრობიდან განთავისუფლებისთანავე შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს გიგი კალანდაძეს და მას, როგორც წესი, გმირად აცხადებს...

სააკაშვილის უცნაურ „გემოვნებაში“, რაღა თქმა უნდა, ჯდება „გმირი“ თენგიზ გუნავაც, რომელიც იმ შეწყალებულთა სიას მიემატა, რომლის ერთ ნაწილს „პრაიმტაიმი“ ქვემოთ შემოგთავაზებთ. ეს სია კი ასე გამოიყურება:

ი. კ-შვილი – მსჯავრდადებული სსკ-ს 108-ე მუხლით. მისჯილი ჰქონდა 10 წელი. 2005 წელს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე დანით მოკლა კ.ნ-ძე. სასჯელი შეწყალების აქტით გაუნახევრდა.

რ. ხ-ოვი – მსჯავრდადებული სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით. რესტორანში ჩხუბისასა, 5-ჯერ ჩაარტყა დანა გულ-მკერდსა და მუცელში ს. ლ-იას. მისჯილი ჰქონდა 9 წელი. განთავისუფლდა პატიმრობიდან 04.12.2012 წელს.

პ. ბ-ლი – მსჯავრდადებული სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით. რესტორანში, დანით 4 ჭრილობა მიაყენა და მოკლა ქ. ქ-შვილი. მისჯილი ჰქონდა 13 წელი. სასჯელი შეწყალების აქტით გაუნახევრდა 2-ჯერ. 12.11. 2012 ნ და 28.12.2012 წელს.

მ. ბ-ძე – მსჯავრდადებული სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით. „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა ზ.ს-ძე. მიესაჯა 17 წელი. შეწყალების აქტით შეუმცირდა სასჯელი 5 წლით. 13.12.2012 წელს.

ა. მ-შვილი – მსჯავრდადებული 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით. მ.ჭ-ძეს დანით მიაყენა ჭრილობა. დაზიანების შედეგად მ. ჭ. გარდაიცვალა. მისჯილი ჰქონდა 11 წელი. შეწყალების აქტით გაუნახევრდა. 04.12.2012 წელს.

გ. ხ-შვილი – ჩაიდინა ნივთების ქურდობა და მანვე მცირეწლოვნის მიმართ განახორციელა გარყვნილი ქმედება ძალადობის გარეშე. მისჯილი ჰქონდა 2 წელი. განთავისუფლდა. 13.12.2012 წელს.

დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ

ო. გ-ძე – სამართალდამცავი ო.გ. მსჯავრდადებულია არასრულწლოვნის წამებაში, რათა მას ელიარებინა არჩადენილი დანაშაული. მისჯილი ჰქონდა 11 წელი. შეწყალების აქტით გაუნახევრდა სასჯელი 28.12. 2012 წელს.

პრეზიდენტის შეწყალებული ე.წ. „ქურდული სამყაროს“ წევრები

ე.გ-იანი – მსჯავრდადებული ქურდული სამყაროს წევრობისთვის, განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნისთვის და ჯგუფური გამოძალისთვის დიდი ოდენობის ქონების მიღების მიზნით. მისჯილი ჰქონდა 24 წელი. შეწყალებული იქნა და განთავისუფლებული საპატიმრო სასჯელის მოხდისგან 2012 წლის 28 დეკემბერს.

ი. ს-ია – მსჯავრდადებული ქურდული სამყაროს წევრობისთვის. მისჯილი ჰქონდა 5 წელი. განთავისუფლდა 2012 წლის 28 დეკემბერს.

ნარკოტიკული დანაშაული

ლ.მ-შვილი – უკანონოდ გასაღების მიზნით დაუდგენელი პირებისგან შეიძინა 11 წონად დაფასოებული 3,6658 გრ. ჰეროინი. მისჯილი ჰქონდა 14 წელი. განთავისუფლდა 20.10. 2012 წელს.

ი. ბ-ძე – საფრანგეთის რესპუბლიკაში შეიძინა და გადმოზიდა 32 აბი „სუბუტექსი“. მისჯილი ჰქონდა 10 წელი. მოიხადა მხოლოდ 8 თვე. შეწყალებული იქნა 04. 12. 2012 წელს.

დ.მ-შვილი – პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა 20,8639 გრ ჰეროინი. მისჯილი ჰქონდა 14 წელი. შეწყალებული იქნა 04.12.2012 წელს.

რა თქმა უნდა, ამ სიაში არ არიან გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებულები წინა ხელისუფლების პირობებში, ვინაიდან ამის შესახებ ისედაც კარგად იცის საზოგადოებამ.

ერთი სიტყვით, ამ სიას გუნავაც ემატება, რომელსაც სასამართლომ 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა...

მაგრამ ამ კონტინგენტითაც კი პრეზიდენტი ახალაიებს ემიჯნება.

ამასობაში ჩნდება ეჭვი, რომ სააკაშვილი საარჩევნოდ ახალ ზონდერ-ჯგუფებს სწორედ მის მიერ შეწყალებული კრიმინალებისგან შექმნის. ამ ეჭვს არც სანდრო ბრეგაძე გამორიცხავს „პრაიმტაიმთან“ საუბრის დროს:

– ამ ეჭვის საფუძველს ისიც გვაძლევს, რომ 1-ლი ოქტომბრის არჩევნებამდე სააკაშვილი მხოლოდ მათ იწყალებდა, ვინც მისი პოლიტიკური ნების აღმსრულებლები იყვნენ. ამ არჩევნებისთვის კიდევ უფრო მეტად გაიზრდება შეწყალებულთა რიცხვი, რადგან იმედი აქვს, რომ ამით ნაციონალების კანდიდატს ხმებს მიუმატებს. მას ამის გამოცდილება აქვს. ადგილობრივი არჩევნების დროს მან ის პატიმრები შეიწყალა, ვისმა ოჯახმაც მის კანდიდატს 1000 ხმა მოუტანა.

– არსებობს ვერსია, რომ ის შეწყალებული კონტინგენტისგან აპირებს კრიმინალური ჯგუფის შექმნას, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მის კონკრეტულ დავალებებს შეასრულებს...

– აბსოლუტურად გეთანხმებით. უფრო მეტიც, გუნავა სწორედ იმიტომ იყო შეწყალებული, რომ წინასაარჩევნოდ სამეგრელოში სიტუაციის ესკალაცია მოახდინოს. მართალია, მას ძველებური გავლენა აღარ აქვს, მაგრამ პროვოკაციების ორგანიზებას მაინც მოახერხებს. მართალია, საბოლოო ჯამში, ნაციონალების მკვდრეთით აღდგენა შეუძლებლად მიმაჩნია, მაგრამ იმაში დარწმუნებული ვარ, რომ კრიმინალურ ფონს ის ხელოვნურად სწორედ შეწყალებულთა წყალობით დაძაბავს.

ბევრი მიიჩნევს, რომ ის, რაც გასულ კვირას საქალაქო სასამართლოში მოხდა, ერთგვარი შეთანხმებული თამაშიც შეიძლება იყოს. თუმცა ამასთან დაკავშირებით, ალბათ, სჯობს, ჩვენს რესპონდენტს, უფლებადამცველ ლია მუხაშავრიას მოვუსმინოთ:

– პროკურატურა რომ ვერ მუშაობს, ეს ცხადია. მან ვერ წარმოადგინა დასაბუთებული ბრალდება. პროკურატურამ არაფერი გააკეთა იმისთვის, რომ სამართლიანობა აღდგეს ამ ქვეყანაში, არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ გამოძიება ძალიან გახმაურებულ საქმეებზე იყოს კვალიფიციური და შედეგები დადოს. სტატისტიკა ცხადჰყოფს, რომ მას დაწყებული აქვს, მაგრამ დამთავრებული არ აქვს არც ერთი მნიშვნელოვანი საქმე. მაშინაც კი, როცა პრაქტიკულად გამოსაძიებელი არ არის, თუნდაც რობაქიძის მკვლელობაში. როგორც ჩანს, ბაჩო ახალაიას საქმეც არაკვალიფიციურად გამოიძია და ამიტომაც სასამართლოს მისი გამართლების საშუალება მისცა.

– თუმცა ეს არ ყოფილა პრეცედენტი. დაახლოებით ერთი თვის წინ ახალციხის სასამართლომ პირდაპირ დარბაზიდან გაათავისუფლა დაკავებული პირის გამაუპატიურებელი პოლიციელები. ეს ტენდენცია გახდა?

– ორ და სამ შემთხვევას ტენდენციას ვერ დავარქმევთ. თუმცა, თუ პროკურატურას ექნებოდა წარმოდგენილი უტყუარი მტკიცებულებები, თუ ეს მტკიცებულებები მოპოვებული იქნებოდა კანონის სრული დაცვით, თუ ეჭვი არ ებადებოდა ბრალდებას, რომ მისი საქმე იყო გამართული, მაშინ პროკურატურა ასეთი უსუსური კომენტარებით არ დაკმაყოფილდებოდა არც იმაზე, რაც ბაჩო ახალაიას განაჩენთან დაკავშირებით მოვისმინეთ და არც იმაზე, რაც ახალციხეში მოხდა. ეს ყველაფერი მომდინარეობს იქიდან, რომ 10 წლის განმავლობაში გამომიება არ გვქონია და პროკურატურა ასე უცებ ვერ შეიძენდა პროფესიულ გამოცდილებას.

– იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტებისა და სასამართლო რეფორმის გატარების შემდეგ საზოგადოებას სამართლიანობის აღდგენის დიდი იმედი გაუჩნდა, თუმცა ახალმა ხელისუფლებამ ამ პროცესშიც წააგო. სასამართლოს ასეთი კატეგორიული გადაწყვეტილებები შეიძლება უკავშირდებოდეს სასამართლო რეფორმის ამ შედეგს?

– რა თქმა უნდა, შეიძლება. მოსამართლეები მოელოდნენ, რომ მათ პასუხისგებაში მისცემდნენ. მერე დაინახეს, რომ პასუხს არავინ სთხოვს, მათ დაიწყეს საკუთარი თავის გადარჩენაზე ზრუნვა, იუსტიციის საბჭოს არჩევნები თავის სასარგებლოდ შემოაბრუნეს, იუსტიციის საბჭოში აირჩიეს ის მოსამართლეები, რომლებიც მათ დაიცავდნენ და მათ ინტერესებს გაატარებდნენ. ახლა მოსამართლეები იერიშზე გადავიდნენ, ანუ, თუ პროკურატურა არ მიიტანს გამართულ საქმეს, თავზე გადაახევენ. ეს გაუკეთეს კიდეც. ისინი ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ გახდნენ დამოუკიდებლები. ეს მც-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დერ-ჯგუფებს ქმნის?

• რატომ ელოდება ბაჩო ახალაიას გამოსვლას
• რისთვის შეინყალა გიგი კალანდაძე

დელობა წარმატებით გამოსდით. თუ პროკურატურა ამას ვერ დაინახავს და რადიკალურ ნაბიჯებს არ გადადგამს, ხვალ უარეს შედეგებს მიიღებს.

– რადიკალურ ნაბიჯებში რას გულისხმობთ?

– სასწრაფოდ პასუხისგებაში უნდა მისცენ დამნაშავე პროკურორები, გაამკაცრონ საკადრო პოლიტიკა, მოინვიონ მრჩევლები თუნდაც უცხოეთიდან. ახლა, როდესაც კბილაშვილი და მისი უწყება ჩადგა თავდაცვის პოზაში და ამტკიცებს, რომ ყველაფერს კარგად აკეთებს, შედეგი კი სულ სხვას გვიჩვენებს, ეს ამ ქვეყანას დაღუპავს.

– 10 თვე საკმარისი იყო ასეთი კატეგორიული ნაბიჯების გადასადგმელად?

– რა თქმა უნდა, ბოლოს და ბოლოს, 9 თვეში ხდება ბუნების ყველაზე დიდი სასწაული, ბავშვი იბადება. რეალური ნაბიჯების ნაცვლად კი რა ვნახეთ? – დაიკავეს ადგილები და ისევ მომავალ დროში განაგრძეს საუბარი. ამასობაში შედეგად გვაქვს გამამართლებელი განაჩენები.

– როცა ახალაიაზე ლეგენდები დადიოდა, პროკურატურამ კი შედარებით „უმნიშვნელო“ ბრალდებებით დაიჭირა, კბილაშვილი თავს იმართლებდა, ამას მხოლოდ უტყუარი მტკიცებულებების მოპოვების იმედად აკეთებდა, რათა სასამართლოში გამართული საქმე წასულიყო...

– კბილაშვილი აქაც დამარცხდა და ეს ჩვენი ვარაუდი კი არ არის, სასამართლოს განაჩენით დადასტურდა.

– თუმცა ხელისუფლება ისევ იმართლებს თავს, რომ სასამართლო კუბლაშვილისაა...

– ეს არის სწორედ პრობლემა, როცა ერთი ხელისუფლება ხელს მეორისკენ იშვერს და ხელისუფლება ბიგნიდან არის გახლეჩილი, ე.ი. სახელმწიფოს დანაწევრება დაიწყო. ერთი დამნაშავის გამართლებასა და უდანაშაულოს გამტყუნებას სახელმწიფო აიტანს, მაგრამ, როცა რღვევა იწყება, ეს საშიში მოვლენაა. ქვეყანა ჩვენს თვალწინ ინგრევა.

– გაიუღერა ასეთმა მოსაზრებამაც, რომ განაჩენის გამომტანი მოსამართლე კბილაშვილის ნათესავი და ცოტა ხნის წინ დაწინაურებული მოსამართლეა...

– უკაცრავად, მაგრამ ამას რომ პოსტფაქტუმ ვიგებთ, პროკურატურას ეს წინასწარ არ უნდა სცოდნოდა? თუ ეს იცოდა და აცილების საკითხი არ დააყენა – ვაია, თუ არ იცოდა – უია!

– ამ პროცესზე კიდევ ერთი რამ გამოიკვეთა: გიგი კალანდაძეს გადახდილი გირაო უნდა დაუბრუნდეს. ასეთი რამ მრავალი წლის განმავლობაში არ მომხდარა...

– აბა, რა უნდა ყოფილიყო? გიგი კალანდაძესა და მასთან ერთად ბრალდებულ სხვა პირებს, რომლებიც გამართლდნენ და მანამდე თუნდაც ორი საათის განმავლობაში იყვნენ პატიმრობაში, სრული უფლება აქვთ, პასუხი მოსთხოვონ მის დაპატიმრებაში პასუხისმგებელ პირებს, უკანონო პატიმრობის გამო.

– გიგი კალანდაძე მინისტრმა წულუკიანმა დააკავა...

– საქმეც ეს არის. გიგი კალანდაძეს სრული უფლება აქვს, ახლა თეა წულუკიანსა და იმ პროკურორს, რომელმაც ის დააპატიმრა, უჩივლოს და ამას გარდა, მორალური ზიანის ანაზღაურებაც მოითხოვოს შელახული ღირსების გამო. ძალიან საშიში ნიშნებია იმისა, რომ სახელმწიფოს რღვევა დაწყებულია. როდესაც ასეთი რამ ხდება პროცესზე, რომელსაც არა მარტო საქართველო, არამედ მთელი ევროპა უყურებს, ეს სამარცხვინოა. ამას არ უნდა მოჰყვეს პროკურატურის პირველი პირის მინიმუმ გადადგომა? არ შეიძლება სახელმწიფომ ასე გააგრძელოს არსებობა. ეს არის ის მოვლენა, როცა სახელმწიფო ყოველდღე საკუთარი ხელით იჭრის ყელს და დადგება მომენტი, როდესაც ვერ მიუსწრებს ვიღაც და ვერ გადაარჩენს.

– თუ ამ ყველაფერს გავითვალისწინებთ, რაზეც ვისაუბრებთ, როგორ ფიქრობთ, რა პერსპექტივა აქვს დარჩენილ ორ ბრალს?

– როცა ბაჩანა ახალაია დაიჭირეს, მაშინვე თვალშისაცემი იყო, რომ პროკურატურა კომუნისტური წესით მოქმედებდა – ჯერ დაიჭირეს და მერე დარბოდნენ მტკიცებულებების მოსაპოვებლად. მას ჯერ ერთი ბრალი წაუყენეს, მერე ერთ კვირაში – მეორე, მერე – მესამე და მეოთხე. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ თავად პროკურატურა არ იყო დარწმუნებული, რომ პირველი ბრალი თავს დაიჭერდა და ახალ ბრალზე ახლიდან ითხოვდნენ პატიმრობას და ა.შ. სწორედ ამან შექმნა შთაბეჭდილება პოლიტიკურ მოტივაციაზე.

– ამ გამოცდილების გათვალისწინებით, ხვალ შესაძლოა, ვანო მერაბიშვილიც გამართლდეს?

– სრული დილემაა. სასამართლომ რომ გაამტყუნოს, აგერ საკაშვილი შეინყალებს და მაინც გამოუშვებს. ანუ, არის სრული ბაკქანალია. ჩვენ სრულად არ ვიცით, რა აქვთ კიდევ ნაციონალებს რეზერვში, რადგან, როცა სახელმწიფოს პირველი პირი ძალიან აშკარად თავხედურ ნაბიჯებს დგამს, ის უარესზეა ნამსვლელი და ჩვენ შეიძლება ვერც კი გვეყოს ფანტაზია, მან რა შეიძლება მოიფიქროს. ეს გუნავას საქმემაც დაადასტურა, რომ კანონიერ ძალაში შესული განაჩენი თავზე გადაახია სასამართლოს, მიაფურთხა საზოგადოებას, შეიწყალა ეს კაცი და ეს არ გვაკმარა, მეორე დღეს ისევ დანიშნა გუბერნატორად. ის ამაზე მეტ შეურაცხყოფას ვერ მოახერხებდა.

– სკეპტიკოსები ამ ყველაფერს შეთანხმებულ თამაშად აღიქვამენ...

– მე უკვე აღარ გამოვრიცხავ არანაირ ანგარებას, სიბინძურეს, შეთანხმებულ თამაშს, მანიპულაციებს. ყველანაირ უბედურებას უკვე დასაშვებად მივიჩნევ, რადგან სურათი არის ძალიან მძიმე.

ზემოთ შემოთავაზებულ პოზიციას დიდად არ უპირისპირდება ჩვენი მორიგი რესპონდენტის შეხედულებებიც. ჯონდი ბაღათურია მიიჩნევს, რომ უკანასკნელ ხანს განვითარებული პროცესები მხოლოდ სააკაშვილის გადარჩენას ემსახურება:

– როგორც კი ბაჩანა ახალაიას ბრალი წაუყენეს იმაში, რომ ვიღაცას დანის ტარი ჩაარტყა, რომელსაც მერე სისხლი წამოუვიდა, ან კიდევ იმაში, რომ რეინჯერებს წვიმასა და ტალახში წვრთნიდა, მივხვდი, რომ ეს ყველაფერი ხალხის მოტყუებას ემსახურებოდა – რომ ხელისუფლება იბრძვის მონსტრი ახალაიას გასასამართლებლად, მერე კი გმირულად დამარცხდება მიკერძოებული სასამართლოს წინაშე. ერთმნიშვნელოვნად მინდა გითხრათ, რომ ახალი ხელისუფლება „ნაციონალურ მოძრაობას“ გაურიგდა. ის ცდილობს, რომ ხალხის მრისხანება და ზიზღი ძველი ხელისუფლების მიმართ შეარბილოს, დრო განელოს იმ მიზნით, რომ მისი ტყავი გადაარჩინოს...

– და ეს ზიზღი საკუთარ თავზე გადაინაწილოს?

– ეს, რა თქმა უნდა, არ უნდა, მაგრამ მაინც ასე მოხდება. რა დროც არ უნდა გავიდეს, რაც არ უნდა წელონ ეს პროცესები, რაც არ უნდა კარიკატურული სცენები დადგან, რომ სასამართლო არ ემორჩილებათ, მაინც არაფერი გამოუვათ. ამას ივანიშვილი ცალსახად აცხადებს, რომ თურმე ყველას დაჭერა არ შეიძლება, მაგრამ ვინც კაცს ცოცხი უკან გაურჭო, ის ხალხი უნდა დავიჭიროთ, რა! სახელმწიფო და კერძო საკუთრება რომ მიითვისეს, ამაზე პასუხი უნდა აგონ! ამათ ხალხი სულელი ჰგონიათ? ვერ გეტყვით, რომ ერთმანეთთან ყველა ფრაგმენტი აქვთ შეთანხმებული, მაგრამ ზოგადი გარიგება რომ არსებობს, რომ ნაციონალური ტყავი არ უნდა დაიხეს, ეს აშკარაა.

– ივანიშვილი აცხადებს, რომ პროკურატურის საქმეში არ ერევა...

– მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კრიტიკული ვარ პროკურატურის საქმიანობის მიმართ, გეტყვით, რომ კბილაშვილის გადასაწყვეტი რომ ყოფილიყო პროცესების რეალურად წარმართვა, სამართლიანობა ნამდვილად აღდგებოდა. როცა პრემიერი ამას ამბობს, ვადასტურებ, რომ ივანიშვილი არ ეუბნება პროკურატურას, ვინ უნდა დაიჭიროს, თუმცა ეს სულაც არ გამორიცხავს იმას, რომ არ ეუბნება, თუ ვინ არ უნდა დაიჭიროს.

– შეიძლება მერაბიშვილიც გამართლდეს?

– ესენი ახლა ცდილობენ, დააკვირდნენ საზოგადოების მაჯისცემას. თუ ეს მაჯისცემა გახშირდება, შეიძლება 3-4 წელი მიუსაჯონ. ის დიდი ენერგია, რაც ამ ხელისუფლებამ მღვდლების გასამართლებას მოანდომა, ამათ წინააღმდეგ რომ დაეხარჯა, 10-15 მსხვილი თევზი მაინც უნდა ჰყავდეს ბადეში. მაგრამ საქმე გვაქვს არა ფრაგმენტულ, არამედ სტრატეგიულ გარიგებასთან, პირველ რიგში იმიტომ, რომ არ დააპატიმრონ სააკაშვილი. ეს პროცესები ასე რომ არ მიდიოდეს, ის ახალაიაც, ის მერაბიშვილიც და ვინმე ჯოხის გამრჭობიც ხელს აუცილებლად დაადებდნენ სააკაშვილს. იმ ხალხის გაუპატიურება სააკაშვილის ბრალია, რადგან თვითონ არის ავადმყოფი, რომლის გარეთ ყოფნაც არ შეიძლება. ეს გარიგება და მთელი ეს სიტუაცია ქვეყანას კრიზისამდე მიიყვანს. აი, თქვენ ნახავთ, შემოდგომაზე შეიქმნება სახელისუფლებო კრიზისი. ისეთი სწრაფი ტემპით მწიფდება ეს ყველაფერი, რომ შემოდგომაზე ხალხი ორივე ძალის ცოცხებით გახვეტას მოითხოვს.

„გუნავა სწორედ იმიტომ იყო შეწყალებული, რომ წინასაარჩევნოდ სამეგრელოში სიტუაციის ესკალაცია მოახდინოს... პროვოკაციების ორგანიზებას მაინც მოახერხებს“

„გიგი კალანდაძეს სრული უფლება აქვს, ახლა თეა წულუკიანსა და იმ პროკურორს, რომელმაც ის დააპატიმრა, უჩივლოს და ამას გარდა, მორალური ზიანის ანაზღაურებაც მოითხოვოს შელახული ღირსების გამო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

განზრახ მკვლელობაში ბრალდებული გამართლდა

მარიამ ნადირაძე

პროკურატურის იმიჯი საფრთხეშია. როგორც ირკვევა, საქმეებს ის არა მარტო „კუბლაშვილის მოსამართლეებთან“, არამედ ერთანაც აგებს.

ალბათ, მიხვდებით, რომ ამ შემთხვევაში საუბარი ნაფიცი მსაჯულების შესახებ გვექნება. საქართველოს უახლეს ისტორიაში, მას შემდეგ, რაც ეს ინსტიტუტი საერთოდ დამკვიდრდა ჩვენს რეალობაში, ბრალდებულთა უმეტესობა უპირატესობას მაინც სტანდარტულ პროცესებს ანიჭებს. დიდი ალბათობით, ეს ადვოკატების „დამსახურებაც“ უნდა იყოს, ვინაიდან ისინი ეჭვქვეშ აყენებენ ჩვეულებრივი სამოქალაქო კონტინგენტიდან შერჩეული მსაჯულების სამართლებრივ განათლებას და ამჯობინებენ სხდომების წაყვანას საპროცესო დარღვევების გამოვლინებით პროკურატურის მხრიდან.

თუმცა, არიან გამონაკლისებიც და რამდენიმე დღის წინ სკანდალური ვერდიქტით დასრულდა ნაფიც მსაჯულთა ნომრით მეოთხე სასამართლო პროცესი. სწორედ ამ პროცესზე დაიშვა პრეცედენტი და თორმეტმა მსაჯულმა ვაჟა ახალკაციშვილი უდანაშაულოდ ცნო ერთი ადამიანის განზრახ მკვლელობაში, ხოლო მეორე – მკვლელობის მცდელობაში.

ციალა ნიკოლიძე კი 2012 წლის 25 დეკემბერს ცეცხლნასროლი ჭრილობით გარდაიცვალა.

სანამ ამ სკანდალური გადაწყვეტილების დეტალებზე გიამბობდეთ, მკითხველს, ალბათ, დაინტერესებს ისტორია, რომელსაც ეს ქალბატონი ემსხვერპლა. მიუხედავად იმისა, რომ „პრაიმტაიმმა“ ამ კრიმინალური შემთხვევის შესახებ რამდენიმე თვის წინ აცნობა საკუთარ მკითხველს, ამბავი, ალბათ, შეხსენებად ღირს.

ისტორია 2005 წელს მეზობლებს შორის ერთი ჩვეულებრივი გარიგებით დაიწყო. ბახმაროს ქუჩაზე მცხოვრებმა ელგუჯა ნიკოლიძემ სახლის გაყიდვა გადაწყვიტა. თუმცა ეს სახლი მშობლების გარდაცვალების შემდეგ არც მასზე და არც მის ორ დაზე არ გადმოფორმებულა. სახლის ყიდვის სურვილი გაუჩნდა მის მეზობელს, ვაჟა ახალკაციშვილს, რომელმაც წინასწარ გააფრთხილა გამყიდველი, რომ, თუ საცხოვრებელი სადავო იყო, თავიდანვე ჩაეშალა გარიგება. ნიკოლიძე მას შეჰპირდა, რომ არავითარი პრობლემა არ შეიქმნებოდა და ყველაფერს თავად მოაგვარებდა. გარიგება შედგა. სახლი 11 ათას დოლარად გაიყიდა (შემდგომ წლებში საცხოვრებელ ფართებზე ფასები ისე გაიზარდა, რომ ასეთ ფასად, ალბათ, ავტოფარეხის ყიდვას თუ მოახერხებდა ახალკაციშვილი. – მ.ნ.). ელგუჯა ნიკოლიძე საბუთების შეგროვებას შეუდგა ბინის გადასაფორმებლად, მაგრამ ქონებაზე პრეტენზია მისმა დამ, ციალამ გამოთქვა. ძმას სამოქალაქო წესით უჩივლა და მოიგო კიდეც პროცესი. სასამართლომ მას მშობლების სახლიდან 1/3 მიაკუთვნა. წლები გადიოდა. ბინებზე ფასები იზრდებოდა. ვაჟა ახალკაციშვილს კი არც ფულს უბრუნებდნენ და არც ნაყიდ ქონებას უფორმებდნენ. მეტიც, ელგუჯა ნიკოლიძემ იმის უარყოფაც კი დაიწყო, რომ ბინის საფასური საერთოდ მიღებული ჰქონდა მეზობლისგან.

ბოლოს და ბოლოს, მყიდველმა პროკურატურას მიმართა.

„პრაიმტაიმს“ გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურატურაში თავის დროზე დაუდასტურეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ელგუჯა ნიკოლიძის მიმართ საქმის გამოძიება იქ ნამდვილად დაიწყო თაღლითობის მუხლით, მესამე ნაწილით, და ეს 2011 წელს მოხდა. დანაშაული თაღლითობის მუხლის მესამე ნაწილით დაკვალიფიცირდა, რაც 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა. წინასწარი გამოძიების დროს ნიკოლიძეს, აღმკვეთი ღონისძიების სახით, პატიმრობა შეეფარდა. „ჩავთვალეთ, რომ, რაკი მოწმეები იყვნენ დასაკითხი, მათ შორის მეზობლებიც, დიდი ალბათობა იყო, რომ მას მათზე ზეწოლა მოეხდინა და გამოძიებისთვის ხელი შეეშალა“, – ასე განმარტავდნენ მაშინ „პრაიმტაიმთან“ ამ მოთხოვნის საფუძველს პროკურატურაში. საქმის არსებითი განხილვა უკვე დაწყებული იყო, როდესაც ნიკოლიძეს აღმკვეთი ღონისძიება შეეცვალა და სასამართლო დარბაზიდან გირაოს გადახდით განთავისუფლდა... ამ გადაწყვეტილებას კი პროკურორი ასე ხსნიდა: „ნიკოლიძე პროცესებს ხშირად ვერ ესწრებოდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. თანაც არსებითი განხილვის დროს მან არაერთხელ განაცხადა, რომ დაზარალებულს თანხას დაუბრუნებდა. ამიტომ დაცვამ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, რომ მის მიმართ აღმკვეთი ღონისძიება შეცვლილიყო, რადგან დაზარალებულისთვის ფულის დასაბრუნებლად მისი გარეთ ყოფნა საჭირო იყო. არც ჩვენ გაგვიპროტესტებია ეს მოთხოვნა, რადგან უკვე ყველა მოწმე გვყავდა დაკითხული და ნიკოლიძის მხრიდან მათზე ზეწოლის საშიშროება აღარ არსებობდა“.

ვაჟა ახალკაციშვილი

ერთი სიტყვით, ბრალდებული 2012 წლის 25 დეკემბერს სასამართლო დარბაზიდან გაუშვეს. ეს სწორედ ის დღეა, როდესაც ციალა ნიკოლიძე ვაჟა ახალკაციშვილის მიერ გასროლილი ტყვიით გარდაიცვალა. ახალი დანაშაულის ფაბულა კი ასეთია: იმ დღეს, როდესაც ნიკოლიძე სასამართლომ გაუშვა, ახალკაციშვილი მას სახლთან დახვდა. ბრალდებულს მისი და, ციალა ნიკოლიძე ახლდა. მეზობელმა მათ სროლა „ნაგანის“ ტიპის პისტოლეტიდან აუტეხა. ჯემალ ნიკოლიძემ სახლში შეასწრო, ძმისთვის გამიზნული ტყვია კი დას თავში მოხვდა და გარდაიცვალა.

„ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტს ვერაფერი შეეხება“

პროკურატურამ ამჯერად ვაჟა ახალკაციშვილი დაიჭირა. მას რამდენიმე მუხლით წაუყენეს ბრალი. პირველი იყო მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, ანუ 109-ე მუხლი. დამამძიმებელ გარემოებაში ამ შემთხვევაში „ორი ან მეტი პირის მიმართ“ განხორციელებული დანაშაული ითვლებოდა, ვინაიდან იყო ელგუჯა ნიკოლიძის მკვლელობის მცდელობაც. შემდეგი მუხლი გახლდათ განზრახ მკვლელობა, 108-ე – ეს მუხლი ციალა ნიკოლიძის განზრახ მკვლელობას შეეხებოდა. და, რა თქმა უნდა, იარაღის უკანონო შეძენა, შენახვა და ტარება.

ერთი სიტყვით, ასეთი მძიმე მუხლებით ახალკაციშვილი სასამართლოს წინაშე უნდა წარმდგარიყო. ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა, რომ ის ნაფიცი მსაჯულების წინაშე გამოსულიყო და თუ ხალხის ხმა გადაწყვეტდა, რომ ის მკვლელია, ის სასჯელს მოთმინებით მიიღებდა.

ჩვენმა მკითხველმა ისტორიის ფინალი უკვე იცის, თუმცა, ალბათ, საინტერესო იქნება, როგორ წარიმართა პროცესი, როგორ შეირჩა თორმეტი ნაფიცი მსაჯული და რამ იმოქმედა მათზე ყველაზე მეტად, როცა ეს სკანდალური გადაწყვეტილება მიიღეს, მით უმეტეს, რომ გარდაცვლილი სახეზეა.

ამ დეტალების შესახებ „პრაიმტაიმს“ ამჯერად მსჯავრდადებულის ადვოკატი, გოგი ონიანი უამბობს:

– სანამ პროცესის მიმდინარეობაზე გადავიდოდეთ, ერთ საინტერესო პროცესს გაგახსენებთ საქართველოს ისტორიის 20-იანი წლებიდან. ადვოკატმა ანდრონიკაშვილმა სხდომაზე 15-ჯერ მიმართა მოსამართლეს და მსაჯულებს: „ბატონო მოსამართლე, ბატონო მსაჯულებო... ბატონო მოსამართლე, ბატონო მსაჯულებო... ბატონო მოსამართლე, ბატონო მსაჯულებო... მოსამართლე წამოუხტა, შენ ვის აშაყირებო. მოსამართლის რეაქციამ ანდრონიკაშვილს პროცესი მოაგებინა, რადგან, როდესაც მოსამართლემ ვერ გაუძლო უწყინარ ფსიქოლოგიურ ზეწოლას, როგორ უნდა გაესამართლებინა განსასჯელი სულიერი აღელვების გამო?

ახლა კი გადავიდეთ ძირითად საქმეზე და ალბათ, სჯობს, ჯერ შევაფასოთ, რამ გამოიწვია მკვლელობა. ამ ყველაფერს წინ უსწრებდა დაცინვა და დაზარალებულის მხრიდან უკანონო მოქმედებები. თქვენ წარმოიდგინეთ, ინფარქტგადატანილი ადამიანი ორ სამსახურში მუშაობს, წვალობს, ინახავს საკუთარ და ძმის ოჯახებს. ამ შრომით დააგროვა გარკვეული თანხა, რომ შვილებს შეუძინოს ბინა. ამ ფულს ხელში იგდებს თაღლითი და ართმევს. მაშინაც კი არ უბრუნებს ამ თანხას, როცა გულის ოპერაციის გაკეთება დასჭირდა. ორჯერ მიიღო ინფარქტი ნერვიულობის ნიადაგზე, კომაში ჩავარდა. როდესაც ნიკოლიძე სასამართლო დარბაზიდან გამოუშვეს, ახალკაციშვილმა ჩათვალა, რომ მასზე, შეშინების გარდა, სხვა არაფერი იმოქმედებდა. სწორედ ამ მიზნით ესროლა ჯემალ ნიკოლიძეს, მაგრამ ამ მომენტში ხედავს მის დას, რომელსაც ის საკუთარი უბედურების სულის ჩამდგმელად მიიჩნევს. აღელდა. მთელმა დაგროვილმა ბოღმამ ამ მომენტში იფეთქა.

– ანუ ძმას აშინებდა, და კი სულიერი აღელვების ნიადაგზე მოკლა? ტაქტიკა ნათელია...

– თუ ფიქრობთ, რომ მე დავარიგე ახალკაციშვილი, ძალიან ცდებით. მან პროცესზე მოყვა ის, რაც

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კანდალური ვერდიქტი!

რეალურად ხდებოდა. ნაფიცმა მსაჯულებმა მისი გულწრფელობა დაინახეს. ამასთანავე, დაინახეს მეორე მხარის სიყალბეც. საინტერესო იყო ელგუჯა ნიკოლიძის ჩვენება. როდესაც ვაჟა ახალკაციშვილმა ფული მისცა, მან ამ თანხით ბინა იყიდა. სასამართლოზე კი განაცხადა, ახალკაციშვილმა მე მხოლოდ 4 ათასი მომცა, დანარჩენი ბინის პატრონს გადაუხადა. ჰოდა, ფული მას მოსთხოვოს, ვისაც მისცაო. ასეთი ახსნა იცით, რას ჰგავს? – ფული რაფაზე დადე და ახლა რაფას მოსთხოვეო. ჩვენი მოწოდება ნაფიცი მსაჯულების მიმართ ასეთი იყო: თუ თქვენ თვლით, რომ ვაჟა ახალკაციშვილი დამნაშავეა, ამით თქვენ ადასტურებთ იმას, რომ ადრე ნასამართლევი ელგუჯა ნიკოლიძე და ორჯერ ნასამართლევი ციალა ნიკოლიძე პატიოსანი ხალხია, რომლებიც ერთმანეთს ქუჩაში ქვებს ესროდნენ და დედას აგინებდნენ და ამ ხალხს ეკუთვნის, რომ ვიღაცას ქონება შეაწეროს.

– მაგრამ „უწესობა“ არის მკვლელობის გამართლების საფუძველი?

– მე გეუბნებით რეალურ საფუძველს.

– ნაფიცი მსაჯულები იმიტომ აირჩიეთ, რომ მათ სამართლებრივი ნიუანსები არ ესმით?

– ამან პროკურატურა დაღუპა. სწორედ მათ ჩათვალეს, რომ მსაჯულებს სამართლებრივი ნიუანსები არ ესმოდათ და დაიწყეს ემოციებზე თამაში. მაგალითად, შემოვიდა ციალა ნიკოლიძის შვილი. ხელში რაღაც ეჭირა და ტიროდა, დედა, დედიკო, ჩემი შვილი, რომელიც შეესწრო შენს მკვლელობას და ხელები სისხლში ამოესვარა, დღესაც შეშინებულია, ის ბიძია მეც მომკლავსო? ამ სურათმა მეც შემძრა. თუმცა 4-5 მოწმის დაკითხვის შემდეგ დავკითხე ბრალდების მოწმე, ერთი მეზობელი, რომელიც მკვლელობის მომენტში ნიკოლიძეების სახლში იმყოფებოდა. მან დაადასტურა, რომ ბავშვი სახლში არ ყოფილა. შესაბამისად, ის ვერც გარდაცვლილ ბებიას ნახავდა და მით უმეტეს, არც სისხლში ამოესვრებოდა ხელები. პროკურატურას ჰქონდა ძალიან იაფფასიანი მცდელობა, ვაჟა ახალკაციშვილის გაუმაძღრობის იმიჯი დაეხატა. ამისთვის მას უსვამდნენ კითხვებს, რამდენი ოთახი ჰქონდა, რამდენი სული ცხოვრობდა იქ და როცა ოთხოთახიანში ოთხი კაცი ცხოვრობდა, რად უნდოდა კიდევ ერთი ბინა? ეს მცდელობა თვალსაჩინო იყო და ამას მსაჯულებიც მშვენივრად ხედავდნენ.

ГОГИ ОНИАНИ

– ნაფიც მსაჯულებად რა კონტინგენტი იყო შერჩეული?

– ყველას პროფესია არ მახსოვს, ზოგი პროფესიით არც მუშაობდა. ძირითადად, თუ არ ვცდები, ვაჭრობის სფეროდან იყვნენ.

– რამდენი კაცი იყო და რამდენი ქალი?

– 3 მამაკაცი იყო, დანარჩენი – ქალბატონები. ასაკიც შერეული იყო. 25-დან სამოც წლამდე.

– შერჩევა როგორ მოხდა?

– რეესტრიდან მოგვაწოდეს მონაცემები. შემდეგ მხარეები ვარჩევდით და ზოგიერთებს აცილებას ვაძლევდით. ზოგიერთს კანონისმიერი აცილება შეეხო – ფსიქოლოგებს, ჟურნალისტებსა და ა.შ. ზოგმა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო თავად მოითხოვა თვითაცილება.

– ხომ შეიძლებოდა, მსაჯულთა შორის ვინმეს ოჯახის წევრი ჰყოლოდა ციხეში და ამის გამო თანაგრძნობა ჰქონოდა განსასჯელის მიმართ? ამას როგორ აკონტროლებდით?

– მათ გაეგზავნათ კითხვარები და მათზე პასუხით გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნა მათ შესახებ. მაგალითად, ერთ-ერთი პოლიციელის ცოლი იყო. თავის დროზე მე ვმუშაობდი პოლიციაში და ამიტომაც მივეცი აცილება, ვინმეს მისი გადაწყვეტილების არაობიექტურობაში რომ არ შეჰპარვოდა ეჭვი.

– მსაჯულები იზოლირებულები იყვნენ პროცესის განმავლობაში? იქნებ თქვენ მათთან შეხვედრის საშუალება მოგეცათ და ამიტომაც მიიღეთ ეს გადაწყვეტილება? მათი იზოლირების გარანტია არსებობდა?

– ვერ გეტყვით, ისინი სად ცხოვრობდნენ. მე მათ არ შევხვედრივარ.

– თქვენს პატიოსან სიტყვას უნდა ვენდოთ? სხვა გარანტია არ არსებობს?

– ჩვენი მხარე ნამდვილად ვიცი, რომ არ შეხვედრია, თუმცა გარანტიას ვერ ვიძლევი, რომ ამის გაკეთება პროკურატურას არ შეეძლო. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ საბოლოო გადაწყვეტილებას, როგორც ჩანს, არც მათთვის იქნებოდნენ ხელმისაწვდომნი მსაჯულები.

– მოდით, მკითხველისთვის გავმარტოთ: რა ამოცანა იდგა ნაფიცი მსაჯულების წინაშე?

– მათ უნდა ეთქვათ, იყო თუ არა დამნაშავე ვაჟა ახალკაციშვილი ერთი პირის განზრახ მკვლელობაში, მეორე პირის განზრახ მკვლელობის მცდელობაში, იარაღის შეძენა, შენახვა, ტარებაში.

– და ეს არ ნიშნავს იმას, რომ განეხილათ, ნამდვილად მოკლა თუ არა მან ადამიანი? ანუ მათ უნდა ეპასუხათ კითხვაზე, იყო თუ არა დანაშაულში განზრახობა? ანუ, პროკურატურის კვალიფიკაციისთვის უნდა გაეცათ პასუხი

„ამან პროკურატურა დაღუპა. სწორედ მათ ჩათვალეს, რომ მსაჯულებს სამართლებრივი ნიუანსები არ ესმოდათ და დაიწყეს ემოციებზე თამაში“

– კი, ან არა?

– დიახ, სწორედ ასეა.

– ხმები როგორ გადანაწილდა?

– ციალა ნიკოლიძის მკვლელობის ნაწილში ხმები ორი ათზე გაიყო. ელგუჯა ნიკოლიძის მკვლელობის მცდელობაზე, თორმეტივე მსაჯულმა უდანაშაულოდ ცნო. იარაღის ნაწილში გამართლდა ტარებაზე. დანარჩენი დარჩა.

– თუმცა ფაქტია, რომ ადამიანის გარდაცვალება სახეზეა. ფიქრობთ, რომ ამ გადაწყვეტილებით სამართლიანობა აღდგა?

– მე შევთავაზე ნაფიც მსაჯულებს, ემსჯელათ მკვლელობაზე ძლიერი აღელვების ნიადაგზე.

– ეს მთავარი ვერდიქტის გამოტანის შემდეგ გააკეთეთ?

– დიახ. შემეძლო, ეს არც გამეკეთებინა.

– თუმცა ნაფიცი მსაჯულების კომპეტენციაში არ შედის დანაშაულის კვალიფიკაციაზე მსჯელობა.

– ეს დასაშვებია, როცა ამას მხარე შესთავაზებს და ამის საშუალება ჩვენ მათ მივეცით. ამ კვალიფიკაციით ის დამნაშავედ ცნეს მსაჯულებმა. ამ მუხლით სასჯელი მაქსიმუმ სამ წელს ითვალისწინებს. მოსამართლემ 2 წლით და 6 თვით აღუკვეთა თავისუფლება. მიმაჩნია, რომ ეს მკაცრი სასჯელია და შეიძლება გავასაჩივროთ, თუმცა, ბატონი ვაჟა ჯერჯერობით წინააღმდეგია, რადგან თვლის, რომ, რაკი ხალხმა მისი დანაშაული ასე შეაფასა, ის მიიღებს ამ სასჯელს.

– რამდენი მიესაჯა იარაღის ნაწილში?

– ორი წელი. თუმცა უმეტესმა სასჯელმა ეს გადაფარა და საბოლოოდ მას 2 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

– თუმცა, დიდი ალბათობით, პროკურატურა გაასაჩივრებს ამ გადაწყვეტილებას. მაგრამ შეიძლება ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტი ზედა ინსტანციამ შეცვალოს? იქაც ხომ არ იქნებიან ნაფიცი მსაჯულები, არა?

– არა, საჩივრდება მხოლოდ პროცესის მიმდინარეობა.

– ვთქვათ, მხარემ სტრასბურგში გადაწყვიტა საქმის წაღება...

– სტრასბურგში სხვა ტიპის საქმეები მიდის, როცა ადამიანის უფლებები ირღვევა...

– იქნებ ნიკოლიძეებიც თვლიან, რომ მათი უფლებები დაირღვა. მათაც ხომ აქვთ უფლებები?

– ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტს ვერაფერი შეეხება.

„ციალა ნიკოლიძის მკვლელობის ნაწილში ხმები ორი ათზე გაიყო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ივანიშვილი მიდის, რ

კობა დავითაშვილი: „ჩემი უფროსი ხალხია და არა ბიძინა ივანიშვილი“

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

უსუფაშვილის შეფასებით, ის არაორდინარული ფიგურაა და პოლიტიკაში მოხეტიალე ფორვარდია; დავით საგანელიძისთვის ის, უბრალოდ, პოპულისტია; ზურაბ აბაშიძე მიიჩნევს, რომ ის ვითარებიდან „მოტყდა“; ნაციონალებმა ეს შეაფასეს, როგორც „ქართული ოცნების“ რღვევის პროცესი და თქვეს, რომ არაფერი გასაკვირი არ არის; ნინო ბურჯანაძე, ტრადიციულად, შეთქმულების თეორიებს არის აყოლილი, ამიტომაც მიიჩნევს, რომ ის ბიძინა ივანიშვილმა სპეციალურად აიყვანა საპრეზიდენტო რინგზე ნინო ბურჯანაძის დასამარცხებლად... მოკლედ, კობა დავითაშვილმა, თავისი გადაწყვეტილებით, საპრეზიდენტო რინგზე დიდი ხმაური შეიტანა.

ვისი დავალებით მოქმედებს კობა დავითაშვილი? ვის წაართმევს ელექტორატს? რატომ შეეშინდა მისი ნინო ბურჯანაძეს? როგორ გავლენას იქონიებს კოალიციასა და პოლიტიკაზე ბიძინა ივანიშვილის წასვლა? რატომ იწვევს დავითაშვილი პოლიტიკურ დებატებში მხოლოდ დავით საგანელიძეს და იძლება თუ არა „ქართული ოცნება“. კობა დავითაშვილი „პრაიმტაიმის“ შეკითხვებს პასუხობს:

– დიახ, დავით საგანელიძეს ვიწვევ დებატებში, არგუმენტები მაქვს საკმაოდ შემონახული და თუ ის დებატებზე უარს იტყვის, მაშინ მე ავლაპარაკდები.

– ეჭვი გაქვთ, რომ დებატებზე დაგთანხმდებათ?

– არ ვიცი. ვნახოთ, დაველოდები. მე დებატებს არა მარტო დავით საგანელიძეს, არამედ საპრეზიდენტო კანდიდატებსაც ვთავაზობ. მე ყველა კანდიდატს ვთავაზობ დებატებს, მზად ვარ, ნებისმიერ კანდიდატთან, ნებისმიერ პოლიტიკოსთან ვიდებატო.

– ბათიაშვილმა განაცხადა, რომ ბურჯანაძე მზად არის, დაჯდეს მხოლოდ ძლიერ კანდიდატთან, ფიქრობთ, რომ თქვენთან დაჯდება?

– ეს მას ჰკითხეთ. მე მზად ვარ, დავჯდე ყველასთან, იმ ქალბატონთანაც რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების უფლებების დამცველია. მას სურს, წინასაარჩევნო პერიოდში ამ საკითხებზე ისაუბროს. მზად ვარ, დავეხმარო მას და სწორედ ამ საკითხებზე ვედებატო. მე არ მაქვს არჩეული ვერტიკალი, რომ ვიღაც ჩემზე მაღლა დგას, ვიღაც – ჩემზე დაბლა.

– რატომ შეფასდა თქვენი გადაწყვეტილება პოპულისტურად?

– უცნაურია ასეთი შეფასება, რადგან მე ვარ „ხალხის პარტიის“ ლიდერი. ხალხი ლათინურად ნიშნავს პოპულს, მე ვარ ხალხისტი, ანუ ვარ პოპულისტი. სწორედ ამიტომ დავარქვი ჩემს პარტიას „ხალხის პარტიას“. მე ყოველთვის ხალხის მხარეს ვიკავებდი, ვარ მემარცხენე ცენტრისტი. მე პოპულისტი მქვია, თუ ეს იგულისხმება. ამას არც უარვყოფ. თუ გულისხმობენ შეუსრულებელ დაპირებებს. მაშინ ვერ დავეთანხმები, რადგან მე დაპირებებში ყოველთვის ფრთხილი ვიყავი და ორ მაგალითს მოვიყვან: ანაბრების საკითხი, ყველაზე მსხვილი თემა – ეს პოპულისტურია. თუმცა მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ამის შესრულება რთულად მოხდება. ამას არასოდეს ვმალავდი, მე მაქვს ამ საკითხზე ძალიან ნათელი მაგალითი და ძალიან რეალისტური.

– გაქვთ ინფორმაცია, რა რაოდენობის მინებია გაყიდული უცხოელებზე?

– არ ვიცნობ ამ დეტალებს, არ ვიცი ეს სტატისტიკა. უბრალოდ, როდესაც ხელისუფლებას ამხელა ვალი აქვს ხალხის წინაშე, მიმაჩნია, რომ სჯობია, მიწა ისევ ქართველებმა იყიდონ და ქართველების ხელში იყოს. ამ გაგებით მე ვარ პოპულისტი, მაგრამ არ ვარ მატყუარა. ტყუილ დაპირებებს არ ვიძლევი. იგივეს თქმა შემიძლია იპოთეკარებზე. მე პირდაპირ ვუთხარი იპოთეკარებს, ნუ გექნებათ იმედი, რომ 6 თვის შემდეგ ვინმე დაგიფარავთ თანხებს, ან შეაჩერებს პროცესს, ან პროცესი ჩამოიწერება-მეთქი. მე ვეუბნებოდი, რომ მათი სახლიც გადავიდოდა ბანკის საკუთრებაში, უბრალოდ, ვპირდებოდი, რომ ექვსი თვის განმავლობაში არავინ არ გამოასახლებდათ სახლებიდან. ჩვენი ეს გადაწყვეტილება ძალიან მინიმალისტურია. აქედან გამომდინარე, დიახ, მე ვარ პოპულისტი. ჩემი უფროსი ხალხია და არა ბიძინა ივანიშვილი. ჩემი უფროსი არასოდეს არ ყოფილა არც ედუარდ შევარდნაძე, არც სააკაშვილი.

– როდესაც ბაჩო ახალაიას საკითხზე დააფიქსირეთ თქვენი მოსაზრება, ამ შემთხვევაშიც ხალხის პოზიცია დაიცავით?

– რა თქმა უნდა.

– თუმცა რესპუბლიკელებმა თქვეს, რომ პროკურატურამ არ წარადგინა სასამართლოში მყარი მტკიცებულებები...

– რესპუბლიკელები და ამ შემთხვევაში თინა ხიდაშელი თავიანთი განცხადებით იცავენ საკუთარ თავს. ისინი იყვნენ ავტორები და პროვაიდერები საერთო სასამართლოების რეფორმის. მათივე განცხადებით, გავცდით ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს. რას გავცდით? ვეუბნებოდი, მობრუნდით უკან-მეთქი, მაგრამ ვერ მოვაბრუნე. მათი რეაქცია ლოგიკურია, რადგან ისინი პროკურატურაზე ტეხენ ჯოხს, რათა არ აღიარონ, რომ მათი უნიათო კანონმდებლობით ჩვენ გვყავს სასამართლო, რომელიც დამოკიდებულია „ნაციონალურ მოძრაობაზე“.

– თუ სასამართლოში არ იყო არგუმენტები, რა უნდა ექნათ მაშინ?

– ამ მოსამართლეს თავიდანვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ასეთი დასკვნა უნდა გამოეტანა. ეს არ იყო განსხვავებული საქმე. ეს კონკრეტული მოსამართლე მიზანმიმართულად ჩამოიყვანეს და დანიშნეს ამ საქმეზე. თბილისში არ არის მოსამართლეების დეფიციტი, სასამართლო პრაქტიკაში არ მახსოვს, ოდესმე რაიონიდან ჩამოეყვანათ და დაენიშნათ მოსამართლე. პირიქით ხდებოდა ხოლმე, თბილისიდან აგზავნიდნენ, როგორც წესი. ეს შეგნებულად იყო გაკეთებული, ყველა მსგავს საქმეზე კუბლაშვილი ნიშნავდა ისეთ მოსამართლეს, რომელიც მიიღებდა გამამართლებელ გადაწყვეტილებას. ასეთ გადაწყვეტილებას კი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ახალაია ითხოვდა იმის სანაცვლოდ, რომ არ მიეცა ჩვენება სააკაშვილის წინააღმდეგ.

– მხოლოდ სააკაშვილის წინააღმდეგ თუ მერაბიშვილის წინააღმდეგაც?

– სააკაშვილის. ეჭვი მაქვს, მერაბიშვილი და ახალაია ერთმანეთის წინააღმდეგ იძლევიან ჩვენებებს. სააკაშვილისა და მთლიანად გუნდის ამოცანაა, რომ სააკაშვილის წინაღმდეგ არ მისცენ ჩვენება. ეს არის მიშას ამოცანა და ის კუბლაშვილის მეშვეობით აკონტროლებს სასამართლოს. ვანოს ბედი უფრო სათუოა. ზოგადად, როგორ უჩვეულოდაც არ უნდა ჩანდეს, სააკაშვილს ვანო მერაბიშვილის მიმართ უფრო გულგრილი დამოკიდებულება აქვს, ვიდრე ახალაიას მიმართ.

– რის საფუძველზე აკეთებთ ამ განცხადებას?

– მერაბიშვილის პრემიერ-მინისტრად დანიშვნა იმ ფონზე, როდესაც ახალაია მინისტრად დაინიშნა, მერაბიშვილის ჩამოქვეითებას ნიშნავდა. სწორედ ამან გამოიწვია ვანოს უკმაყოფილება და ამ ყველაფერმა ხელი შეუწყო ციხის კადრების გავრცელებას.

– ფიქრობ, რომ მერაბიშვილმა შეუწყო ხელი კადრების გავრცელებას?

– მე ასე ვფიქრობ.

– როგორ შეუწყო ხელი, როცა თვითონ ციხეში ზის დღეს?

– კადრების გავრცელებაში ხელის შეწყობა არ აღმოჩნდა საკმარისი ინდულგენცია მერაბიშვილისთვის. ხელისუფლებას უნევს, ანგარიში გაუწიოს ხალხის მოთხოვნას. მე საერთოდ, მომხრე ვარ, რომ შეწყალებული იყოს ან სასჯელი შეუმსუბუქდეს პირს, რომელმაც ხელი შეუწყო გამოძიებას, ძველი რეჟიმის დასრულებას. უბრალოდ, ეს უნდა

„ეჭვი მაქვს, მერაბიშვილი და ახალაია ერთმანეთის წინააღმდეგ იძლევიან ჩვენებებს“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ა ხდება კოალიციაში?

„ოცნების“ ძალიან ბევრი მხარდამჭერი გიორგი მარგველაშვილის არჩევით იმედგაცრუებულია“

EXCLUSIVE

გამოაშკარავდეს. თქვან, რომ მერაბიშვილს აქვს დამსახურება ავტორიტარული რეჟიმის დასრულებაში, ვიცოდეთ ეს.

– რომლის ხერხემალიც თავად იყო?

– კი, რომლის ხერხემალიც თავად იყო, რომელიც შემდეგ გადააგდეს მინისტრობიდან პრემიერ-მინისტრად, ამან გააბრაზა და გადაუხადა სამაგიერო. მართალია, მისი ზრახვები ბოლომდე კეთილსინდისიერი არ არის, მაგრამ, თუ ლადო ბედუკაძე შევიწყალეთ, რატომ ვანო არა?

– რატომ არ გქონდათ ბედუკაძის განთავისუფლებაზე იგივე რეაქცია?

– რატომ უნდა მქონოდა? მთელ მსოფლიოში არსებობს ასეთი მიდგომა, ეს არის კლასიკური შემთხვევა. კბილაშვილს არ აკრიტიკებენ იმაზე, რაზეც რეალურად არის გასაკრიტიკებელი. რაც არ იყო საკრიტიკო, იმაზე ატეხეს ერთი ამბავი. ამერიკაში ასეთ მოწმეს, არათუ შეინყალებდნენ, არამედ მოწმეთა დაცვის პროგრამაში ჩართავდნენ და ქვეყნის ხარჯზე სხვა ქვეყანაში აცხოვრებდნენ. ბედუკაძე რომ არ ყოფილიყო, არც ივანიშვილი მოვიდოდა ხელისუფლებაში, არც კბილაშვილი იქნებოდა მთავარი პროკურორი და არც თინა ხიდაშელი იქნებოდა უმრავლესობაში. აქედან გამომდინარე, ის შეფასებები, რაც თინა ხიდაშელმა გააკეთა ბედუკაძესთან მიმართებაში, რომელიც შემდეგ ივანიშვილმა გაიზიარა, არის პოლიტიკური კეკლუცობა. შეიძლება ბედუკაძის მორალური სახე მე მომწონდეს ან არ მომწონდეს, მაგრამ ფაქტია, რომ მის მიერ გახეთქილი სკანდალის გარეშე „ოცნების“ გამარჯვება არ მოხდებოდა. ადამიანი, რომლის გამოც რეჟიმი შეიცვალა, მგონი, იმსახურებდა შეწყალებას.

– თუმცა ის ორი წელი ინახავდა ამ კადრებს...

– ეს კაცი არ ინახავდა, არ იკვეთება საქმეში ასე. ბიძინა ივანიშვილის მოსვლამდე მან ეს მასალები გადასცა ჟურნალისტებს. მე ასე ვიცი და ვერ ვხედავ საფუძველს, არ დავიჯერო. რომ მალავდა, ამაშიც ვერ გავამტყუნებ, ეს ისეთი ბომბი მასალა იყო, ის უნდა დალოდებოდა არსებული რეჟიმის ალტერნატიულ ძალას. წარმოიდგინეთ გამოსულიყო ასპარეზზე და გაეხმაურებინა ეს მასალები მაშინ, როცა არ იყო არანაირი გარანტიები უსაფრთხოების, ეს არ არის გასამტყუნებელი. რეალურად შევხედოთ სიტუაციას. წარმოიდგინეთ, მე მაქვს მასალა, რომელიც რეჟიმს შეცვლის. ეს რეჟიმი არის სასტიკი, მწამებელი, მე ამ წუთში ვერ ვხედავ აღნიშნული რეჟიმის შეცვლის შანსს. ბუნებრივია, ამ მასალას არ გავახმაურებდი და ეს გადაწყვეტილება სწორიც იქნებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ბედუკაძეს დაიჭერდნენ, სიტუაციას ჩაახშობდნენ და ისევ ბედუკაძეს გამოიყვანდნენ მთავარ დამნაშავედ.

– თუმცა თავადაც აუპატიურებდა და აწამებდა ბედუკაძე...

– სხვა რამეს ვამბობ. ნაციონალები ორგანიზატორად მას გამოიყვანდნენ, ნაციონალები თავს დაიძვრენდნენ და ისევ ბედუკაძეს გააუპატიურებდნენ ციხეში. დროც ექნებოდათ იმისთვის, რომ ეს ყველაფერი ჩამოერეცხათ. შესაბამისად, ბედუკაძე მოიქცა სწორად, შეარჩია სწორი მომენტი და მოახდინა რეჟიმის შეცვლა და აქედან გამომდინარე, იმსახურებდა შეწყალებას.

– კოჰაბიტაცია და ბაჩო ახალაია – ამ თემებით შეიძლება, რომ თქვენ თანამოაზრეები შემოიკრიბოთ და ფრაქცია შექმნათ?

– მე ამ მიზანს ვისახავ და საპრეზიდენტო არჩევნებშიც ამიტომ ვიყრი კენჭს. ჩემი პროგრამა მინიმუმი ეს არის და არც ვმალავ. ის გადაწყვეტილებები, რომლებიც რიგითი მოქალაქეების საწინააღმდეგოდ და ბიზნესის სასარგებლოდ მიიღება, უკვალოდ არ გაქრება. ქართული პოლიტიკა 9 წლის განმავლობაში ისედაც მემარჯვენე იყო. აბსოლუტურად ლოგიკური იქნებოდა გადახრა მარცხნივ. მაგრამ ჩვენ ვერ ვხედავთ ასპარეზზე მემარცხენე პოლიტიკურ ძალას, შალვა ნათელაშვილმა დისკრედიტაცია განიცადა, ამიტომ მიმაჩნია, რომ მაქვს რეალური შანსი.

– რეალურად თქვენ ნინო ბურჯანაძის მთავარი კონკურენტი იქნებით?

– მე გიორგი მარგველაშვილის რეალურ კონკურენტადაც წარმომიდგენია თავი.

– ეს ცოტა ირონიასაც იწვევს...

– არ იწვევს არანაირად ირონიას. „ოცნების“ ძალიან ბევრი მხარდამჭერი გიორგი მარგველაშვილის არჩევით იმედგაცრუებულია, თუმცა არა იმდენად, რომ ნინო ბურჯანაძეს მისცეს ხმა. ეს ნაწილი იმდენად იმედგაცრუებულია, რომ მზად არის, მე მომცეს ხმა. არ აქვს მნიშვნელობა, როგორი განწყობებია პარლამენტში, მე უშუალოდ ამომრჩევლებს ვგულისხმობ. გიორგი მარგველაშვილს ცნობადობის პრობლემა აქვს. ბევრი ამომრჩეველი მას არ იცნობს. ადამიანს ჯერ უნდა იცნობდე და ამის შემდეგ დგება მისი პოლიტიკური რეიტინგი. თუ კაცს არ იცნობენ, რეიტინგი საიდან უნდა ჰქონდეს?

– რატომ აირჩია ივანიშვილმა მარგველაშვილი?

– არ ვიცი, ეს ივანიშვილს უნდა ჰკითხოთ. მე არ ვარ პოლიტსაბჭოს წევრი და მათ მხოლოდ გაგვაცნეს გადაწყვეტილება. რაც შეეხება ჩემს მიზნებს, პარლამენტში ჩემი მიზანი ფრაქციის შექმნაა. რამდენად სერიოზული იქნება შედეგები, არ ვიცი, ეს დამოკიდებულია, როგორ შევძლებ კამპანიის წარმართვას, როგორი ურთიერთობები მექნება საზოგადოებასთან და პრესასთან. ჩემი მთავარი უპირატესობა ის არის, რომ მე, ბევრი კანდიდატისგან განსხვავებით, მაქვს პროგრამა. მე მაქვს ჩემი საგარეო პოლიტიკური პროგრამა, მე მაქვს ჩემი პროგრამა ჯანდაცვაში, მე მაქვს ჩემი პროგრამა და შეხედულება ეკონომიკაზე, სოფლის მეურნეობაზე, მაქვს სასამართლო რეფორმის გეგმა.

– როგორ წარმოგიდგენიათ ურთიერთობა ნაციონალებთან?

– ნულოვანი ტოლერანტობა.

– ვადამდელი არჩევნების მიმართ როგორია თქვენი პოზიცია?

– ვადამდელი არჩევნების თავგადაკლული მომხრე ვარ. მიმაჩნია, რომ დღევანდელი პარლამენტი არ ასახავს საზოგადოების ინტერესს, „ნაციონალური მოძრაობა“ არ შეიძლება იყოს წარმოდგენილი 40%-ით, რადგან მისი რეალური რეიტინგი 10%-ია. არ შეიძლებოდა, არჩევნების დღიდან რამდენიმე თვეში მათი რეიტინგი ასე დავარდნილიყო. იმ მომენტში ეს ხმები მიდიოდა „ოცნებისკენ“ და მათ მოიპარეს. ვფიქრობ, არ ვიქნები აუტსაიდერი, ვფიქრობ, მაქვს შანსი, რადგან „ქართულ ოცნებასთან“ არ ვარ რადიკალურად დაპირისპირებული. ჩემი ამოცანა არ არის მათი ხელისუფლებიდან ჩამოშორება.

– ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა სწორედ მაგას ნიშნავს...

– არა, მე ვედავები „ოცნებას“ კურსის გადასინჯვაში. ვადამდელი არჩევნები მე მინდა ნაციონალების დასამარებისთვის. დღეს „ქართული ოცნების“ ალტერნატიული ძალა არ არსებობს, შესაბამისად, მე არ მინდა „ოცნების“ დასამარება.

– თუმცა უმრავლესობისა და პრემიერის განცხადებებზე დაყრდნობით საპარლამენტო არჩევნების დროს პრემიერი პოლიტიკაში აღარ იქნება...

– მე ვადამდელი არჩევნების მომხრე თავიდანვე ვიყავი და ახლაც მომხრე ვარ, თუმცა არ მქონია გარანტია, რომ ისევ მოვხვდებოდი პარლამენტში. მე ამის მომხრე ვარ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ქვეყნისთვის ისეთი პარლამენტი, რომელიც არ ასახავს საზოგადოების ინტერესებს, კარგი არ არის. ეს მდგომარეობა სასწრაფოდ გამოსასწორებელია.

– ყველაზე მტკივნეულად ნინო ბურჯანაძემ რატომ მიიღო თქვენი გადაწყვეტილება?

– სხვათა შორის, მცდარად თვლის ნინო ბურჯანაძე, რომ მე მას ხმებს წავართმევ.

– თქვენ ერთი და იგივე სოციალურ თემებზე აქტიურობთ.

– ეს არის ერთი თემა, ჩვენი საკითხი ემთხვევა მხოლოდ ანტიკოჰაბიტაციურ თემაში.

– სამართლიანობის აღდგენაშიც...

– სწორია, არ გეკამათებით, მაგრამ მემარცხენე ნინო ბურჯანაძე არ მახსოვს. მისი იდეალი მარგარეტ ტეტჩერი იყო და არის. მემარცხენეობა და სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნა არ არის ერთი და იგივე რამ, ორი სხვადასხვა რამეა. არის ანტიმიშა, ანტინაციონალობა – ეს ერთი სეგმენტია და არის სოციალური პრობლემები. სოციალურად გაჭირვებულ ადამიანებში ნინო ბურჯანაძის წილს ქართულ პოლიტიკაში მე ვერ ვხედავ.

– როგორ ფიქრობთ, როგორი იქნება საპრეზიდენტო არჩევნებში თქვენი შედეგი?

– მე მაქვს შანსი, გავიდე მეორე ტურში. მეორე ტური, სავარაუდოდ, იქნება.

– თქვენ და მარგველაშვილი?

– იმედი მაქვს, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ მეორე ტური შედგეს ჩემსა და ნინო ბურჯანაძეს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოსაზრება ძალიან ფანტასტიკურად გამოიყურება... გიორგი მარგველაშვილს ძალიან გაუჭირდება, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მას არ აქვს ცნობადობა. თანაც წინ მთელი სამი თვეა. რა მოხდება ამ სამი თვის განმავლობაში, არავინ არ ვიცით. როგორ შეიცვლება სოციალური ფონი, ამაზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. არჩევნებზე სოციალური ფონი ძალიან დიდ გავლენას ახდენს. არის ეკონომიკური და სოციალური კრიზისის ნიშნები.

– თუმცა უმრავლესობაში ამას არ აღიარებენ.

– ძალიან ცუდია, სხვათა შორის, რომ არ აღიარებენ, რადგან ეს არ ხდება „ოცნების“ ცუდი მმართველობის გამო. ეკონომიკის ვარდნა არ არის დაკავშირებული ბიუჯეტის შემოსავლებთან. „ნაციონალური მოძრაობის“ დროს ხდებოდა ეკონომიკის ხელოვნური სტიმულირება უზარმაზარი გრანტებით, კრედიტებითა და უცხოური დახმარებებით. ეს არ იყო ინვესტიციები, ამას ხელისუფლება ხარჯავდა, ზოგს სწორად, ზოგს არამიზნობრივად. სერიოზული თანხები იხარჯებოდა არამიზნობრივად და ვალებიც გროვდებოდა. ახლა ეს პროცესი გაჩერდა და ბუნებრივია, ის აისახება ეკონომიკაზე. ამის დამალვა სწორი არ არის, თავიდანვე სჯობდა, აეხსნათ რეალობა. თუმცა ეს უფრო ეკონომიკური სფეროა, რეალურად ეს პროცესი გამოიწვევს მძიმე სოციალურ პრობლემებს. ნაციონალები ეკონომიკური ვარდნით დივიდენდებს ვერ დაიწერენ, მათი პოლიტიკური შეცდომა იყო ბაჩო ახალაიასგან დაგვიანებული დისტანცირება. მათ ვერ მოახერხეს დისტანცირება ახალაიებისგან, ვერ მოახდინეს სუფთა ნაწილის გამოყოფა ნაციონალებისგან. ხალხს ეშინია, რომ ნაციონალები დაბრუნდებიან.

– თქვენი წამოსვლა რამდენად გამოიწვევს რღვევას „ოცნებაში“?

– არა მგონია, კოალიციის რღვევა დაიწყოს, მიმაჩნია, რომ კოალიციის რღვევა დაიწყება იმ შემთხვევაში, თუ კოალიციას დატოვებს მასში შემავალი სუბიექტი. მე კოალიციაში არ ვყოფილვარ, მე ვიყავი მისი მხარდამჭერი. აქედან გამომდინარე, ჩემი წამოსვლა არ ნიშნავს კოალიციის დაშლას.

– თუმცა თქვენ თქვით, რომ პარლამენტში აპირებთ ფრაქციის შექმნას... „ოცნების“ წევრებთან ერთად გეგმავთ, ალბათ, ხომ ასეა?

– რამდენიმე წევრის წამოსვლა არ ნიშნავს კოალიციის დაშლას.

– უმრავლესობის წევრი, ზვიად კვაჭანტირაძე იქნება ერთ-ერთი, ვინც თქვენთან ერთად აღმოჩნდება? მისი შეფასებებიც საკმაოდ მკაცრია...

– მივესალმები კვაჭანტირაძის პოზიციას, თუმცა მე ასევე კარგად ვიცნობ მის განსაკუთრებულ თბილ დამოკიდებულებას ბიძინა ივანიშვილის მიმართ. ამიტომ მე მისგან არ ველი მსგავსი ნაბიჯების გადადგმას. კვაჭანტირაძის რეაქცია უფრო მისი ემოცია იყო, რაც იმას არ ნიშნავს, რომ ის დატოვებს უმრავლესობას.

– ვინმემ დაგავალათ, რომ ნინო ბურჯანაძე დაგებალანსებინათ? ირაკლი ბათიაშვილი აცხადებს, რომ ამ ნაბიჯს თქვენ დამოუკიდებლად არ გადადგამდით და რომ ეს ივანიშვილის გეგმაა...

– ოდესმე ვინმეს დავალებით რამე გამიკეთებია? ეტყობა, ბატონი ირაკლი ასრულებდა ვინმეს გეგმებს, როდესმე ის ისეთი სტრუქტურების ხელმძღვანელი იყო, მაგრამ მე ასეთი რამ არ მჩვევია. ჩემი გადაწყვეტილებები იმდენად თამამია, რომ ხალხი ფიქრობს, რომ მე ვერ გავბედავდი შეუთანხმებლად ამის გაკეთებას.

– იზიარებთ განწყობებს რესპუბლიკელების წინააღმდეგ?

– არა. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ დემონიზაცია რესპუბლიკელების მიმართ გადაჭარბებული იყო.

– ხომ არ თვლით, რომ ნაციონალების მიმართაც გადაჭარბებული იყო დემონიზაცია?

– მე არ მსმენია რესპუბლიკელების შესახებ, ადამიანები ენამებინოთ...

– მე გკითხეთ ნაციონალებზე და არა კონკრეტულ პირზე...

– როცა ნაციონალები მაისურებზე იწერენ, მეც ბაჩო ახალაია ვარ...

– გამორიცხავთ, რომ ასეთი დემონიზაციის პროცესი ნაციონალების მიმართაც ყოფილიყო ამ 9 წლის განმავლობაში?

– ხელისუფლებასა და ოპოზიციას ნუ შევადარებთ ერთმანეთს. რესპუბლიკელები ყოველთვის ოპოზიციაში იყვნენ.

– ვინც არის ხელისუფლებაში, გარკვეული ძალები ახდენენ დემონიზაციას, ამ პროცესს ხედავთ?

– ხელისუფლების მიმართ დემონიზაციის პროცესი არის ბუნებრივი, როდესაც ხელისუფლება არის დემონური. მე ვსაუბრობ „ნაციონალურ მოძრაობაზე“. ჩემთვის გასაგები იყო, როდესაც ხდებოდა სააკაშვილის დემონიზაცია, რადგან ის იყო ერთპიროვნული მმართველი. ნაციონალები მართავდნენ ყველა სფეროს. რესპუბლიკელები რას მართავენ? დავით უსუფაშვილი არის პარლამენტის თავმჯდომარე და მას უსმენს ბიძინა ივანიშვილი, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას ყოველთვის ივანიშვილი იღებს და არა უსუფაშვილი.

– ნაციონალები იმიტომ გადაადგდეთ, რომ ერთპიროვნული მმართველობა არ ყოფილიყო და ახლაც იგივეა?

– ერთპიროვნული მმართველობა ვერ იქნება, ერთი მარტივი მიზეზის გამო – იანვარში პრემიერი თანამდებობიდან მიდის. სააკაშვილი ერთ წელიწადში რომ წასულიყო, გმირი იქნებოდა.

– როგორ წარმოგიდგენიათ კოალიცია ივანიშვილის წასვლის შემდეგ?

– არ ვიცი, მათ ჰკითხეთ. მე ეს ნაკლებად მაინტერესებს. ჩემთვის ახლა მთავარია, არჩევნებში რაც შეიძლება მეტი ხმა მივიღო. ჩემი პროგრამა მაქსიმუმი არის ის, რომ მეორე ტურში გავიდე, პროგრამა მინიმუმი – მივიღო იმდენი ხმა, რომ პარლამენტში ფრაქციის შექმნა უზრუნველვყო.

„მე გიორგი მარგველაშვილის რეალურ კონკურენტადაც წარმომიდგენია თავი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

გიგი უგულავა „ნაციონალური მო

მირიან ბოქოლიშვილი

„ნაციონალური მოძრაობა“ ორიოდე კვირის წინ დატოვა და ერთ-ერთი გახლდათ ყოფილი მმართველი გუნდიდან, ვინც თბილისის საკრებულოს ახლებურ ფორმირებაში მიიღო მონაწილეობა. კოკი იონათამიშვილის მიერ „ნაციონალური მოძრაობის“ დატოვებას პრეზიდენტის ადმინისტრაციამ „კომპრომატით“ უპასუხა და გამოაქვეყნა წერილი, რომელსაც საკრებულოს დეპუტატი მიხეილ სააკაშვილს სწერს და ერთ-ერთ კერძო ბიზნესში საკუთარი წილის გაყიდვის მიზნით პრეზიდენტს დახმარებას სთხოვს. კოკი იონათამიშვილი შიდა სამზარეულოზე საუბარს თავს არიდებს, თუმცა „პრაიმტაიმს“ რამდენიმე საინტერესო დეტალზე მაინც ესაუბრა.

„არ მინდა, შიდა სამზარეულოზე ვისაუბრო, მაგრამ ერთ რამეს მაინც გეტყვით...“

– ბატონო კოკი, მოდით, პირველ რიგში, ჩვენს მკითხველს კიდევ ერთხელ განუმარტეთ მიზეზი, რის გამოც „ნაციონალური მოძრაობა“ დატოვეთ?

– ნამდვილად მოხარული ვიქნებოდი, რომ ყოფილიყო ისეთი გარემოებები, რის გამოც ამ გადაწყვეტილებას არ მივიღებდი. სამწუხაროდ, ვითარება, რომელიც პარტიაში არსებობს, აბსოლუტურად შეუძლებელს ხდიდა „ნაციონალურ მოძრაობაში“ ყოფნას და მით უმეტეს, აქტიურ პარტიულ საქმიანობას. ცვლილებები, რომელიც პარტიის უნდა განეხორციელებინა და რომელზეც უკვე 9 თვეზე მეტია, საუბარია, რეალურად არ განხორციელდა. იმ ფონზე, როდესაც ჩვენ ვნახეთ სრულიად სამარცხვინო ჩანაწერები, პარტიის ხელმძღვანელობის დამოკიდებულება იყო სრულიად არაადეკვატური, რამაც საბოლოოდ გამიმყარა მოსაზრება, რომ ამ პარტიაში ჩემი ადგილი აღარ არის.

– რომელ ჩანაწერებს გულისხმობთ?

– ვგულისხმობ სამეგრელოს სამალავებში აღმოჩენილ ჩანაწერებს. ამ მოვლენების მიმართ პარტიის ხელმძღვანელობის დამოკიდებულება იყო ბოლო წვეთი. პარტიის მიდგომებმა მთელი რიგი მოვლენებისადმი შემიქმნა შთაბეჭდილება, რომ ეს უფრო რაღაც კლანური დაჯგუფება იყო, ვიდრე პოლიტიკური ელემენტი. სამწუხაროდ, „ნაციონალურ მოძრაობაში“ სულ რამდენიმე ადამიანი იღებდა გადაწყვეტილებას. არ მინდა, შიდა სამზარეულოზე ვისაუბრო, მაგრამ ერთ რამეს მაინც გეტყვით: მთელი ამ ცხრა თვის განმავლობაში, „ნაციონალური მოძრაობის“ საკრებულოს წევრებთან არც ერთი საკითხი არ განხილულა. წარმოგიდგენიათ, რომ საქართველოში ყველაზე დიდი საკრებულოს უმრავლესობაში დარჩენილ წევრებთან ერთი საკითხიც არ განიხილო? თუნდაც გვესაუბრა იმაზე, რა უნდა შეიცვალოს, გაგვეანალიზებინა წარსული შეცდომები და ა.შ. მსგავსი არაფერი მომხდარა. დავინახე, რომ პარტიის ცვლილება ასეთი მიდგომით შეუძლებელი იქნებოდა. ნამდვილად არ მოვრიდებივარ საუბარს პრობლემატურ, მათ შორის არაპოპულარულ საკითხებზე, მაგრამ ბოლო პერიოდში მივხვდი, რომ სათქმელი აღარაფერი მქონდა. ვერ ვხსნიდი, თუ ეს ყველაფერი ხდებოდა, რატომ გადაწყვიტა პარტიამ, საკუთარი ინტერესების ხარჯზეც კი, მისი ლიდერები კვლავ ყოფილიყვნენ ძალოვანი უწყების წარმომადგენლები. ეს ნიშნავს, რომ პარტია არ იხსნება, არ სურთ, რომ ის ინფორმაცია, რომელიც იცის რამდენიმე კაცმა ლიდერშიპში, ხელმისაწვდომი გახადონ სხვებისთვის. როდესაც კარგავ ნდობას პარტიის ხელმძღვანელობის მიმართ, არა მგონია კვლავ იყოს შენი ადგილი იმ გაერთიანებაში.

– რატომ აქამდე არა? თქვენ საუბრობთ სამალავებში ნაპოვნ ჩანაწერებზე, თუმცა არანაკლები სიმძიმის იყო ციხის კადრები... რას ელოდებოდით?

– ეს იყო პროცესი. მე ჩემს განცხადებაში მივუთითე ის მიღწევები, რომელიც ნამდვილად ჰქონდა „ნაციონალურ მოძრაობას“, ბიუჯეტის გაზრდა იქნებოდა ეს თუ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა. ბევრი რამ გაკეთდა ქალაქშიც, ამას არავინ არ უარყოფს, მაგრამ დღეს არსებული რეალობის ფონზე აუცილებელი იყო ცვლილებები. თუ თქვენ დაელაპარაკებით „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიის წევრებს, ყველა გეტყვით, რომ ეს მოლოდინი იყო. 9 თვე რომ გრძელდება ეს მოლოდინი და მაინც არაფერს არ ცვლი, ეს უკვე ნიშნავს, რომ პარტიული კი არა, კლანური გარემო გაქვს შექმნილი. ფაქტობრივად, პარტიის ხელმძღვანელობას ეუბნებიან, – უნდა შეიცვალოთ, მაგრამ მათ არ სურთ ცვლილება. მე გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ, ზოგადად, პარტიას რა მიმართულება უნდა ჰქონდეს, ამაზე გადაწყვეტილებას იღებენ სულ თითზე ჩამოსათვლელი ადამიანები და სხვების აზრი საერთოდ არ აინტერესებთ. როგორც ჩანს, პარტიის ლიდერშიპში რაღაც ისეთი ხდებოდა, რომ მე ან პარტიის სხვა წევრებს არ უნდა გვენახა და არ გვქონოდა ინფორმაცია. არ დაგიმალავთ და გეტყვით, მქონდა სურვილი, ამელო მეტი პასუხისმგებლობა, მაგრამ მეტი პასუხისმგებლობა ნიშნავს მეტ ინფორმაციას, რაზეც მე ხელი არ მიმიწვდებოდა.

– „ნაციონალურმა მოძრაობამ“ იგივე პრაიმერისზე ოფიციალურად დააანონსა რებრენდინგი... ხომ არ იჩქარეთ წასვლა?

– ზოგადად, პრაიმერისი ძალიან კარგი წამოწყებაა, ნამდვილად მივესალმები ამას, მაგრამ აბსოლუტურად არასაკმარისია პარტიის განვითარებისთვის. ეს უფრო კამპანიის ნაწილია, ვიდრე რეალური გარდაქმნა. ზოგადად, თუ სხვა პარტიებიც დანერგავენ ამ მეთოდს, არამარტო საპრეზიდენტო არჩევნებზე, მხოლოდ წაადგება პოლიტიკურ ცხოვრებას. თუმცა რეალურად ეს „ნაციონალური მოძრაობისთვის“ არაფერს შეცვლის. პირადად მე ნდობა დაკარგული მაქვს. მე არ მინდა ვინმემ ისე გაიგოს, რომ ის ადამიანები, რომლებიც დღეს „ნაციონალურ მოძრაობაში“ არიან, ყველა არასანდო პიროვნებაა. იქ ბევრი ერთგული და მართლა ღირებულებებზე ორიენტირებული ადამიანია. სამწუხაროდ, მგონია, რომ მათ წინ დიდი იმედგაცრუება ელით, ისევე როგორც მე. ეს პარტია აღარ ემსახურება იდეებს, ის დღეს მხოლოდ გარკვეულ მერკანტილურ იდეებზეა ორიენტირებული.

– და იმ ადამიანებს, რომლებსაც თქვენ ერთგულ პიროვნებებად ახასიათებთ, რა აიძულებთ „ნაციონალურ მოძრაობაში“ დარჩენას, თუკი პარტია რეალურად მერკანტილურ იდეებზეა ორიენტირებული?

– არ ვიცი, ეს უფრო მათ უნდა ჰკითხოთ. არსებობს რაღაც პროტოკოლი, რომელსაც ისინი იცავენ. სანამ მე ვიყავი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, შეგიძლიათ ამოიღოთ ჩანაწერები, რომ სწორედ ამ პარტიული პროტოკოლის ჩარჩოში ვიცავდი იმ მოსაზრებებს, რომელიც ფრაქციის წევრს მევალებოდა. მაქვს მოლოდინი, რომ ოპონენტების ბევრ განცხადებას ჩემი ყოფილი თანაპარტიელები უპასუხოდ დატოვებენ, რადგან დღეს ამ პლატფორმიდან საუბარი უკვე საკმაოდ რთულია. ადამიანებს არ ესმით, რას იცავს ეს ხალხი. მე მათ მიმართ ბოლომდე სოლიდარული ვარ იმ დევნაზე, რაც მათ მიმართ ხორციელდება, იგივე სასამართლოსა და საგამოძიებო ორგანოებში დაბარებების სახით, მაგრამ სრულიად გაუგებარია ის იდეალები, რომლებსაც დღეს ისინი იცავენ. სოლიდარობა და პროტესტი შეიძლება პარტიის გარეშეც გამოხატო.

– როდესაც საუბრობთ ცვლილებებზე, რას გულისხმობთ, იქნებ კონკრეტულად ჩამოაყალიბოთ? რა უნდა გაეკეთებინათ, რომ თქვენ მათ რიგებში დარჩენილიყავით?

– პირველ რიგში, უნდა ჩატარებულიყო ანალიზი დაშვებული შეცდომებისა. ეს უნდა გაეკეთებინა არა პარტიის რამდენიმე მამას, არამედ იმ ხალხს, ვინც პარტიის სახეებს წარმოადგენენ. შეიძლება ვანო მერაბიშვილს კიდევ უფრო მეტი კარგი საქმე აქვს გაკეთებული, ვიდრე მე და შენ ვიცით, მაგრამ რაკიღა მას შესაძლოა, კავშირი ჰქონოდა, ან მის სტრუქტურაში ხდებოდა ბევრი უკანონობა, პარტიას უნდა გადაეწყვიტა, უნდა დარჩენილიყო თუ არა ის პარტიის ლიდერშიპში. ფაქტია, რომ წინა პლანზე სრულიად სხვა ადამიანები უნდა გამოსულიყვნენ. არ მინდა მხოლოდ ვანოზე ვისაუბრო, მით უმეტეს, ეს ადამიანი დღეს ციხეშია და მაქსიმალურად ვინარჩუნებ კორექტულობას, მაგრამ ფაქტი ერთია: შეიძლება, მაგალითად, შენ ძალიან კარგი პიროვნება იყო, მაგრამ ამ მო-

„არ დაგიმალავთ და გეტყვით, მქონდა სურვილი, ამელო მეტი პასუხისმგებლობა, მაგრამ მეტი პასუხისმგებლობა ნიშნავს მეტ ინფორმაციას, რაზეც მე ხელი არ მიმიწვდებოდა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ძრაობის“ დატოვებას გეგმავდა



კოკი ილნათამიშვილი:
„ეს საკითხი განიხილებოდა, თუმცა რატომ არ მიიღო საბოლოოდ გადაწყვეტილება, ვერ გეტყვით“

„აუცილებელია, შეიქმნას მესამე ძალა, რომელიც ამ იდეის მომცველი იქნება, ჩემს ადგილს სწორედ იქ ვხედავ“

ია, მხარი დაუჭირეთ საკრებულოს თავმჯდომარის შეცვლას, ახალი უმრავლესობის ფორმირებას, არ ფიქრობთ, რომ „ქართულ ოცნებას“ აყევით იმ თამაშში, რომელსაც თავადვე უწოდებთ პოლიტიკურ წნეხს?

– ის, რომ „ქართული ოცნება“ დევნას აწარმოებდა, ეს სრულიად გასაგებია, სხვანაირად ეს არც შეიძლება შეფასდეს. რაც შეეხება საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურის მხარდაჭერას, იმ ფონზე, რაც საკრებულოში ხდებოდა, ჩვენი ფრაქციის წევრებმა – მამუკა კაციტაძემ, კობა ბენდელიანმა და მე, ჩავთვალეთ, რომ შესაძლებელი იყო ერთგვარი ვაკუუმი. ყველანი ვთანხმდებოდით იმაზე, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან არ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ახალი კანდიდატურა, იმ მიზეზების გამო, რაც ზევით უკვე ავხსენი. ბოლო წლების განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქცია აბსოლუტურად არაქმედითუნარიანი იყო, საკრებულოში დოკუმენტაციასაც კი აღარ ამზადებდნენ, ამასაც პარტიის ბოსები აწვდიდნენ.

– მერთან თანამშრომლობა როგორ წარმოგიდგენიათ ახალი კონფიგურაციის საკრებულოთი?

– გიგი უგულავას თბილისისთვის ცოტა რამ არ აქვს გაკეთებული, თუმცა იმ ფონზე, როდესაც იკვეთება, რომ ათეულობით მილიონი ლარი იფლანგებოდა დედაქალაქის ბიუჯეტიდან, თავისთავად ბევრ კითხვას აჩენს. შემიძლია, კონკრეტულად ვისაუბრო იმ არაპოპულარულ ნაბიჯებზე, რომელიც შეიძლება მის იმიჯს ურტყამდა, მაგრამ ქალაქისთვის იყო უკეთესი და ნამდვილად მივესალმებოდი. აქედან გამომდინარე, მეც და პარტიაში ბევრი სხვა ადამიანიც მივიჩნევდით, რომ, თუ ის გარკვეულწილად პარტიული საქმიანობიდან დისტანცირებული იქნებოდა, მის ჩინოვნიკურ და პოლიტიკურ საქმიანობას უფრო დიდი მომავალი ექნებოდა. ეს საკითხი განიხილებოდა, თუმცა რატომ არ მიიღო საბოლოოდ გადაწყვეტილება, ვერ გეტყვით, მას შეგიძლიათ ჰკითხოთ.

– პირადად გქონდათ უგულავასთან ამ თემაზე საუბარი?

– მე არ ვარ მომხრე, რომ პირადი საუბრები საჯაროდ გამოვიტანო, მაგრამ ეს იმდენად აქტუალური თემა იყო, რომ, მე მგონი, საზოგადოებაც ხვდებოდა უკვე. მისთვის იქნებოდა უკეთესი, თუ დისტანცირებული იქნებოდა იმ გაუგებარი მონოლითისგან, რომელიც ბოლო პერიოდში უკვე აბსოლუტურად არაადეკვატურ გადაწყვეტილებებს იღებდა. ხომ გეუბნებით, საკრებულოს წევრებს არ რთავდნენ პარტიულ მუშაობაში, რომელ ახალ ეროვნულ მოძრაობაზე საუბრობენ? ახლა გაახსენდათ ზაალ სამადაშვილი, როდესაც პრაიმერისის თბილისის ტური გამართეს და შედეგები გამოაცხადებინეს. პრაიმერისის კანდიდატების წარმდგენებს შორისაც კი ვერ მოხვდნენ თბილისის საკრებულოს წევრები და ძირითადად პარლამენტის წევრებს წარადგენინეს ყველა კანდიდატი. ხომ შეიძლებოდა, ერთ-ერთი კანდიდატის წარმდგენი ყოფილიყო იგივე ზაალ სამადაშვილი.

– უგულავას, „ნაციონალური მოძრაობის“ დატოვების გადაწყვეტილება რომ მიეღო, ჰქონდა შანსი დამოუკიდებელ პოლიტიკურ ფიგურად ჩამოყალიბების?

– იმ ფონზე, როდესაც საუბარია მილიონობით ლარის შესაძლო არამიზნობრივ ხარჯვაზე... ამის ხაზგასმით თქმა რთულია, თუმცა მე მაინც ვფიქრობ, რომ გიგის ჰქონდა შანსი.

– ამჟამად ითვლებით უპარტიოდ... საკრებულოს შემდეგ როგორ აპირებთ პოლიტიკური მოღვაწეობის გაგრძელებას?

– მე მხარს დავუჭერ ნებისმიერ პროევროპულ, პროდასავლურ პარტიას. არასწორია მოსაზრება, თითქოს ასეთი ძალა დღეს მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობაა“. ეს ხელოვნურად შექმნილი გარემო, ერთი მხრივ, განაპირობა იმანაც, რომ „ქართული ოცნება“ ხშირად და მკაფიოდ ვერ დეკლარირებს პროდასავლურ კურსს. ამიტომ მიმაჩნია, რომ აუცილებელია, შეიქმნას მესამე ძალა, რომელიც ამ იდეის მომცველი იქნება, ჩემს ადგილს სწორედ იქ ვხედავ.

„ბევრი სხვა ადამიანიც მივიჩნევდით, რომ, თუ ის გარკვეულწილად პარტიული საქმიანობიდან დისტანცირებული იქნებოდა, მის ჩინოვნიკურ და პოლიტიკურ საქმიანობას უფრო დიდი მომავალი ექნებოდა. ეს საკითხი განიხილებოდა, თუმცა რატომ არ მიიღო საბოლოოდ გადაწყვეტილება, ვერ გეტყვით, მას შეგიძლიათ ჰკითხოთ“

მენტში, საზოგადოებას არ ჰქონდეს შენ მიმართ ის განწყობა, რომელსაც იმსახურებ, ხომ? პარტიული სახეების ჩანაცვლება არ მოხდა იმიტომ, რომ ხდებოდა რაღაც ისეთი, რომელიც მაქსიმალურად ცოტა ადამიანმა უნდა იცოდეს. გარდა ამისა, ის თავდასხმა, რაც ჩემ მიმართ განხორციელდა პარტიიდან წამოსვლის შემდეგ, საუბარი მაქვს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გამოქვეყნებულ წერილზე, ბევრ ნაციონალს აფიქრებინებს, რომ შესაძლოა, მათზეც მოიძებნოს რაღაც. ადვილი შესაძლებელია ეს ე.წ. კომპრომატები იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც დღეს ბევრი ადამიანი ერიდება „ნაციონალური მოძრაობიდან“ წამოსვლას. მე არავის არაფერს მოვუწოდებ, მაგრამ პარტიაში დარჩენის შემთხვევაში მათ, ალბათ, უნდა ახსნან, რა იდეალებს ემსახურებიან დღეს.

– თქვენს გადაწყვეტილებას პარტიიდან წასვლის შესახებ, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ერთგვარი კომპრომატით უპასუხა... იქნებ აგეხსნათ, რეალურად რის თქმა გსურდათ მიხეილ სააკაშვილისთვის იმ ცნობილი წერილით?

– დიახ, მე მივმართე პრეზიდენტს პირადი წერილით, რა და როგორ იყო დაწერილი, ამაზე საუბარს ახლაც არ ვაპირებ. ამ წერილის გამოქვეყნება იყო პრეზიდენტის მხრიდან მეტ-ნაკლებად წარმატებული მცდელობა, რომ გადაეფარა ის პოლიტიკური მოტივები, რომელიც მე მქონდა პარტიის დატოვებასთან დაკავშირებით. მე კანონი არ დამირღვევია, მაქვს პირადი მოტივაცია, რომ ამ წერილის შესახებ დეტალურად არ ვისაუბრო, თუ ამით რაიმე კანონი დავარღვიე, ეს გახლავთ ერთადერთი კანონი, რომლის თანახმადაც, ლიდერი ყოველთვის მართალია. მე არასდროს მითქვამს, რომ „ქართული ოცნების“ მხრიდან არ ხორციელდებოდა პოლიტიკური წნეხი, ამას ახლაც ვამბობ, მაგრამ ეს არ უნდა იყოს შემაკავებელი ფაქტორი, რომ დარჩე პარტიაში, რომელსაც უკვე არანაირი იდეალები აღარ გააჩნია.

– თქვენ ადასტურებთ, რომ პოლიტიკური წნეხი ხორციელდება „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ... როდესაც დატოვეთ ეს პარტ-

რა ქონებას ფლობენ საპრ

მირიან ბოქოლიშვილი

საპრეზიდენტო მარათონი აქტიურ ფაზაში შედის, მთავარი კანდიდატების მიმართ კი საზოგადოების ინტერესი ერთი ორად იზრდება. საქართველოშიც, ისევე, როგორც უცხოეთში, ამომრჩეველს აინტერესებს ყველაფერი მისი რჩეულის ირგვლივ, დაწყებული პოლიტიკური პლატფორმით და დამთავრებული პირადი ცხოვრებით. ამჯერად ჩვენ შევეცდებით, ძირითადი საპრეზიდენტო კანდიდატების ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობა გაგაცნოთ. დავიწყოთ სახელისუფლებო გუნდის კანდიდატით.

გიორგი მარგველაშვილი

გიორგი მარგველაშვილი ფლობს რამდენიმე საცხოვრებელ სახლსა და მიწის ნაკვეთს. მის სახელზეა რეგისტრირებული დუშეთის რაიონში, სააკაძის ქუჩაზე მდებარე 750 კვ.მ, 946 კვ.მ და 1200 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთები, ასევე 200 კვ.მ ფართობის საცხოვრებელი სახლი დუშეთის რაიონში. განათლების ყოფილი მინისტრი, ასევე, ფლობს 120 კვ.მ ფართობის სახლს თბილისში, იაშვილის ქუჩაზე, ხოლო ინგოროყვას ქუჩაზე მდებარე 165 კვ.მ ფართობის სახლი მამის, თემურ მარგველაშვილის სახელზეა რეგისტრირებული. თანამდებობის პირთა ქონებრივი და ფინანსური დეკლარაცია გიორგი მარგველაშვილს 2012 წლის 17 დეკემბერს აქვს შევსებული. აღნიშნული დოკუმენტით ირკვევა, რომ მას სულ სამი საბანკო ანგარიში აქვს გახსნილი, ორი – „თიბისი ბანკში“ და ერთი – ივანიშვილის კუთვნილ „ქართუ ბანკში“. დეკლარაციის შევსების მომენტში „თიბისის“ სახელფასო ანგარიშზე მარგველაშვილს 10 ათას 829 ლარი ერიცხება, „ქართუს“ სახელფასო ანგარიშზე კი – 31 ათას 640 ლარი. გარდა ამისა, საპრეზიდენტო კანდიდატს ანაბარი აქვს გახსნილი „თიბისი ბანკში“, სადაც 2012 წლის ბოლოსთვის 4 ათას 593 ლარი ფიქსირდება. 2012 წელს გიორგი მარგველაშვილს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში, ხელფასის სახით, მიღებული აქვს 57 ათას 347 ლარი. იმ პერიოდში მას ამ ინსტიტუტის რექტორის თანამდებობა ეკავა. იმავე წელს მან, შემოსავლის სახით, მიიღო 7 ათას 500 ევროც. ეს თანხა მარგველაშვილს მიუნხენის საუნივერსიტეტო კლინიკა „გროჰშადენიდან“ დაუბრუნდა, სადაც მას 2007 წელს ოპერაცია ჩაუტარდა და 20 ათასი ევრო კლინიკის ანგარიშზე ჩარიცხა.

დავით ბაქრაძე

რაც შეეხება მთავარ ოპოზიციურ კანდიდატს... დავით ბაქრაძეს ქონებრივი და საფინანსო დეკლარაცია 2013 წლის 24 მაისს აქვს შევსებული. საპარლამენტო უმცირესობის სახელზე ლარსის ქუჩაზე 213 კვ.მ ფართის საცხოვრებელი სახლი და 28 კვ.მ ფართის ავტოფარეხი ფიქსირდება. დედის, ლილი ბაქრაძის სახელზეა რეგისტრირებული თბილისში, ტიბაანის ქუჩაზე მდებარე 339 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 237 კვ.მ საცხოვრებელი სახლი. ნაწილობრივ ლილი ბაქრაძის საკუთრებას წარმოადგენს საცხოვრებელი სახლი სურამში, 9 აპრილის ქუჩაზე, რომელიც 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და 150 კვ.მ შენობა-ნაგებობას მოიცავს. ლილი ბაქრაძე სამეწარმეო საქმიანობასაც ეწევა. ის ფლობს კომპანია Lili Bakradze – TBE-ს. სამეწარმეო საქმიანობიდან, დავით ბაქრაძის დედამ გასულ წელს 7 ათას 833 ლარი მიიღო. პრეზიდენტობის კანდიდატის მეუღლე, მაკა მეტრეველი კი LLC „Fashion Group“-ის პარტნიორია, თუმცა სამოდელო ბიზნესი მაკა მეტრეველის ჰობი უფროა, ვიდრე შემოსავლის წყარო, ვინაიდან მას ამ საქმიანობიდან გასულ წელს ანაზღაურება საერთოდ არ ერიცხება. მაკა მეტრეველმა გასულ წელს 7 ათას 450 ლარი მიიღო „ჩაჩავას კლინიკიდან“, სადაც ის მარკეტინგის დარგში დირექტორის თანაშემწის პოსტს იკავებს. მაკა მეტრეველი გახლავთ შპს „სინათლის ქალაქის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც, საიდანაც მას ანაზღაურების სახით 5 ათასი ლარი ჩაერიცხა. უშუალოდ პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ კი გასულ წელს ხელფასის სახით, ჯამში, 92 ათას 742 ლარი აიღო, იმავე წელს მისი სამივლინებო ხარჯები 19 ათას 328 ლარით განისაზღვრა. გარდა ამისა, „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატს „თიბისი ბანკის“ ანაბარზე ერიცხება 50 ათასი აშშ დოლარი, დეკლარაციის შევსების მომენტში კი მას 25 ათასი ლარი და 10 ათასი აშშ დოლარი აღმოაჩნდა. რაც შეეხება გასავალს, პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ, გასულ წელს, ქალიშვილის, ეკატერინე ბაქრაძის განათლებაში 9500 ლარი დახარჯა, 1887 ლარი ქონების გადასახადის სახით გადაიხადა, 5 ათასი ლარი კი საცხოვრებელი ბინის რემონტი დაუჯდა.

ნინო ბურჯანაძე

„სახალხო კრების“ პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე, შეიძლება ითქვას, კონკურენტებს შორის ყველაზე მდიდარია. ბურჯანაძემ ბოლო დეკლარაცია 2008 წელს შეავსო. შესაბამისად, ჩვენ იძულებული ვართ იმდროინდელ მონაცემებს დავეყრდნოთ, თუმცა, როგორც ავი ენები ამბობენ, მას შემდეგ ბურჯანაძეების ქონება საგრძნობლად გაიზარდა... მოკლედ, ოფიციალური ინფორმაციით, პარლამენტის ყოფილი სპიკერი და პრეზიდენტის მოვალეობის ორგზის შემსრულებელი ბურჯანაძე ფლობს საცხოვრებელ სახლს ბოლქვაძის ქუჩაზე (საბურთალო), რომელიც, 2008 წლის მონაცემებით, 350 ათას ლარად აქვს შეფასებული. მის სახელზევე ფიქსირდება 30 ათას ლარად შეფასებული საცხოვრებელი სახლი ცაგერის რაიონის სოფელ ორბელში. მისი მეუღლე, ბადრი ბიწაძე კი ფლობს საცხოვრებელ სახლს ცხრუკვეთში (15 ათასი ლარი), აგარაკს ბორჯომში (55 ათასი ლარი) და მიწის ნაკვეთს საგურამოში (10 ათასი ლარი). დეკლარაციაში, ცხადია, ვერ მოხვდა, ნინო ბურჯანაძის მამის, ანზორ ბურჯანაძის ქონება, რომელიც 90-იან წლებში პურპროდუქტების მაგნატადაც იწოდებოდა. დეკლარაციის მიღმა აღმოჩნდა ბურჯანაძეების ძვირადღირებული ავტომობილებიც. სხვათა შორის, ქონებრივი დეკლარაციის არასრულმა შევსებამ ნინო ბურჯანაძეს ერთხელ უკვე შეუქმნა პრობლემები. მან სახელმწიფოს მიერ 1 ლარად ნაჩუქარი წყნეთის აგარაკი ოფიციალურ დეკლარაციაში არ ასახა და შესაბამისად, თავი აარიდა ქონების გადასახადის გადახდას, რის შედეგადაც მილიონებად შეფასებული აგარაკი მას უკან ჩამოერთვა. თავად ბურჯანაძემ ეს გადაწყვეტილება პოლიტიკურ დევნად შეაფასა. რაც შეეხება საბანკო ანგარიშებს, დეკლარაციის შევსების მომენტში ბურჯანაძის სახელზე გერმანულ „დოიჩე ბანკში“ ფიქსირდება 42 ათასი, „თიბისი ბანკში“ კი – 6 ათას 560 აშშ დოლარი, ხოლო ნაღდი ფულადი თანხის სახით ნინო ბურჯანაძეს – 4 ათას 500 ლარი, ბადრი ბიწაძეს – 2 ათასი ლარი, უმცროს ვაჟს, რეზო ბიწაძეს კი 3 ათას 500 ლარი აღმოაჩნდათ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ეზიდენტო კანდიდატები?

- რა დაუჯდა ბიუჯეტს მარგველაშვილის მინისტრობა?
- რამდენი გადაიხადა დავით ბაქრაძემ ქალიშვილის განათლებასა და სახლის რემონტში?
- რამდენად აქვს შეფასებული ნინო ბურჯანაძეს საკუთარი აპარტამენტები?
- რა ღირს სალომე ზურაბიშვილის როიალი?
- რა ფართობს მოიცავს გიორგი თარგამაძის წყნეთის აგარაკი?
- ვინ ჩაურიცხა შალვა ნათელაშვილის მეუღლეს ავსტრიულ ბანკში 117 ათასი ევრო?

სალომე ზურაბიშვილი

საკმაოდ მწირია ინფორმაცია საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის, სალომე ზურაბიშვილის ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ცნობილია ის, რომ 2005 წელს მინისტრის თანამდებობაზე ყოფნისას, შრომის ანაზღაურების სახით, მიღებული აქვს 28 ათას 172 ლარი. საქართველოში მისი ქონების შესახებ დეკლარაციაში ინფორმაცია არ მოიპოვება, თუ არ ჩავთვლით როიალს, რომელიც დეკლარაციაში 3 ათას ლარად აქვს შეფასებული. რაც შეეხება საფრანგეთს, პრეზიდენტობის კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი პარიზის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში ფლობს ბინას, კერძოდ, კონვენსიონის ქუჩაზე მდებარე ზურაბიშვილის ბინა 150 ათას ევროდაა შეფასებული. 2004 წლის ოქტომბრიდან სალომე ზურაბიშვილს საფრანგეთის მიერ გამოეყო სპეციალური ანაზღაურება გრანტის სახით, თუმცა გრანტის ოდენობა მის მიერ შევსებულ დეკლარაციაში მითითებული არ არის.

გიორგი თარგამაძე

სიდუხჭირით არ გამოირჩევა არც „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატი. გიორგი თარგამაძემ ბოლო დეკლარაცია 2012 წლის მაისში შეავსო, სადაც მის სახელზე ფიქსირდება ბინა ყაზბეგის გამზირზე (50 კვ.მ.), 1027 კვ.მ მიწის ნაკვეთი წყნეთში გურამიშვილის ქუჩაზე და მასზე განთავსებული 400 კვ.მ საცხოვრებელი სახლი. „ქდმ“-ის ლიდერის სახელზეა რეგისტრირებული ბათუმში, გორგასლის ქუჩაზე მდებარე ბინაც (70 კვ.მ), ხოლო მისი მეუღლე თათია თოფურია ფლობს სახლს თბილისში, ჭონქაძის ქუჩაზე (300 კვ.მ). ქონებრივი დეკლარაციით ირკვევა, რომ 10 ათას ლარზე მეტი ღირებულების მოძრავი ნივთებიდან გიორგი თარგამაძის სახელზე ირიცხება „ჰიუნდაის“ მარკის ავტომობილი, მისი მეუღლე თათია თოფურია კი ფლობს „ფოლცვაგენ პასატს“. დეკლარაციის შევსების მომენტში გიორგი თარგამაძის საბანკო ანგარიშებზე ირიცხება 1500 ლარი, 1500 აშშ დოლარი და 1000 ევრო. ერთი წლის განმავლობაში კი, როგორც პარლამენტის წევრს, შრომითი ანაზღაურების სახით, მიღებული აქვს 60 ათას 166 ლარი. მის მეუღლეს თათია თოფურიას კი ერთ წელში კომპანია „აირზენადან“, ხელფასის სახით, დაერიცხა 21 ათას 600 ლარი. დეკლარაციაში მითითებულია, რომ თათია თოფურია ხსენებული კომპანიის პიარმენეჯერია.

შალვა ნათელაშვილი

საინტერესოდ გამოიყურება ქართული საბანკო სექტორის რისხვად წოდებული შალვა ნათელაშვილის ფინანსური მდგომარეობა. „ლეიბორისტული პარტიის“ საპრეზიდენტო კანდიდატის სახელზეა რეგისტრირებული ბინა თბილისში, მიროტაძის ქუჩაზე 136 კვ.მ ფართობით. მასვე ეკუთვნის აგარაკი ბაზალეთში 850 კვ.მ მიწის ნაკვეთითა და მასზე დამაგრებული 450 კვ.მ შენობა-ნაგებობით. პირველი ლეიბორისტის საკუთრებაა პარტიის ცენტრალური ოფისიც (366 კვ.მ), თუმცა 1729 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელზეც აღნიშნული ოფისია განთავსებული, შალვა ნათელაშვილის თანასაკუთრებაშია, მიწის 50 პროცენტის მფლობელი სახელმწიფო გახლავთ. მართალია, „ლეიბორისტულმა პარტიამ“ წინა მოწვევის პარლამენტს ბოიკოტი გამოუცხადა, მაგრამ ნათელაშვილი, ბოიკოტის მიუხედავად, ჩვეულებრივ იღებდა დეპუტატის გასამრჯელოს, რომელიც მხოლოდ ერთ წელში 67 ათას 110 ლარით განისაზღვრა. ერთი შეხედვით, გასაკვირი არ არის, რომ საქართველოს ბანკებში ნათელაშვილის ან მისი ოჯახის წევრის ანგარიშზე სოლიდური თანხები არ ირიცხება. ლეიბორისტების ლიდერი ხომ ქართულ საბანკო სექტორს ხშირად კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს, თუმცა ირკვევა, რომ ნათელაშვილები ძირითადად უცხოურ ბანკებთან ურთიერთობენ. ასე, მაგალითად, 2009 წელს შალვა ნათელაშვილის დეკლარაციაში ჩნდება 117 ათასი ევრო. აღნიშნული თანხა ავსტრიულ ბანკ „ვენაში“, მისი მეუღლის, ბელა ალანიას სახელზე გახსნილ ანაბარზე ჩაირიცხა. დეკლარაციაშივე აღნიშნულია, რომ თანხა ნათელაშვილებმა ევროპის ქართული ემიგრაციიდან შემოწირულობის სახით მიიღეს, შალვა ნათელაშვილის მკურნალობის მიზნით. ირკვევა, რომ ამ თანხის დიდი ნაწილი მკურნალობაში არ გახარჯულა, ვინაიდან, 2012 წლის დეკლარაციით, ბელა ალანიას ავსტრიულ ანაბარზე კვლავ ირიცხება 98 ათასი ევრო.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ

KazTransGas TBILISI

- **გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.**
- **უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.**

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:

- **ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;**
- **სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;**
- **გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;**
- **შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.**

დარეკეთ 114-ზე!

- **გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;**
- **ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.**

კატეგორიულად აკრძალულია!

- **საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);**
- **სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;**
- **არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;**
- **გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);**
- **დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;**
- **გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;**
- **ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;**
- **გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.**

გახსოვდეთ, რომ:

- **პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.**

პატივცემულო მომხმარებლებო!

გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ღარიბაშვილი ნარკომაფიას ომს უცხადებს

ნანა შონია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, ბოლო პერიოდში, საქართველოში განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნარკოტიკული ნივთიერებების ამოღების ფაქტებმა იმატა. მხოლოდ ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე ასეთი არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა. ყველაზე დიდი რაოდენობის ნარკოტიკული ნივთიერება, რაც ერთდროულად იქნა ამოღებული 116 კილოგრამი ჰეროინია. რომელიც სატვირთო ავტომანქანის ჩხრეკის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ახალციხის ტერიტორიაზე დაკავებული თურქეთის და მოლდოვის რესპუბლიკების ორი მოქალაქისგან ამოიღეს. მხოლოდ ბოლო ორი დღის მანძილზე ქართველი სამართალდამცავების მხრიდან სარფის საბაჟო პუნქტზე ამოღებულ იქნა 1 კილოგრამი ჰეროინი და 13 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული ნივთიერება.

რა საფრთხე ელის მს მინისტრს

„არ არის გამორიცხული, იმ ძალებმა, რომლებიც საქართველოს ტერიტორიას იყენებენ ნარკოტრანზიტისთვის, მოინდომონ იმ პირების ფიზიკური ლიკვიდაცია, ვინც დაკავებულია ნარკოტიკებთან ბრძოლით“

Reuters

ფაქტია, რომ აზიიდან წამოსული ტვირთის ევროპაში მოსახვედრი უმოკლესი გზა საქართველოზე გადის. სპეციალისტები და ექსპერტები კი ნარკოტრაფიკის საქართველოზე გავლის შესახებ უკვე ხმამაღლა საუბრობენ. ვინ მფარველობს ნარკობიზნესს საქართველოში? რა კავშირი აქვს მსს ექსმინისტრ ვანო მერაბიშვილს ნარკოტრეფიკის საქმესთან, რამდენად რეალურია ირაკლი ღარიბაშვილის ლიკვიდაცია და რა სავარაუდო შედეგებით შეიძლება განვითარდეს მოვლენები, ამაზე „პრაიმტაიმთან“ ექსპერტი მამუკა არეშიძე საუბრობს.

მამუკა არეშიძე ექსპერტი: „დღეს, საქართველოში, რეალურად ხდება იმ ნარკოტიკული საშუალებების ამოღება, რომლის ტრანზიტიც საქართველო წლების განმავლობაში ხდებოდა. ეს არის პირდაპირი შეტევა ნარკომაფიაზე, რომელიც საქართველოს იყენებდა როგორც სატრანზიტო ქვეყანას. ჩემი ვარაუდით, ის ნარკოტიკული ნივთიერებები, რაც ხელისუფლებამ ამოიღო ბოლო პერიოდის მანძილზე, საკმაოდ სოლიდურ თანხებთან არის დაკავშირებული. მხოლოდ 116 კილოგრამი ნარკოტიკი არის დაახლოებით 40 მილიონი დოლარის საქონელი. რაც პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ბრძოლა გამოუცხადა საერთაშორისო ნარკოტრანზიტს. ყოველ შემთხვევაში ამის სურვილი სახეზეა. ეს ყველაფერი კი ასე მარტივად არ მოხდება. ასეთ რამეს, როგორც წესი, არავის პატიობენ, ისეთი ქვეყნები, რომლებიც ამაში აქტიურად არიან ჩართული. ამიტომაც, ერთი მხრივ, ეს არის ძალიან სასიამოვნო ფაქტი, მაგრამ, მეორე მხრივ, ამას შეიძლება ცუდი შედეგებიც მოჰყვეს, თუ ამისთვის საქართველოს სახელმწიფო სათანადოდ მზად არ იქნება.

- რას გულისხმობთ ცუდ შედეგებში, რა შეიძლება მოჰყვეს ამ ყველაფერს?

- არ არის გამორიცხული, ერთი მხრივ, იმ ძალებმა, რომლებიც საქართველოს ტერიტორიას იყენებენ ამ საქმისთვის, მოინდომონ იმ პირების ფიზიკური ლიკვიდაცია, ვინც დაკავებულია ნარკოტიკებთან ბრძოლით. მეორე მხრივ, კი არ არის გამორიცხული, ქვეყნის შიგნით დესტაბილიზაციის გამოწვევის მცდელობას ჰქონდეს ადგილი, რათა ნარკოტრანზიტისთვის საქართველოში არავის ეცალოს. გარდა ამისა, მე ვხედავ გარკვეულ ნიშნებს იმისა, რომ თვითონ ქვეყანაში ნარკომომხმარებელთა რაოდენობა გაიზარდა. მე ვთვლი, რომ ეს ხელოვნურად მართული პროცესია. რა გამოდის, ნარკომომხმარებელთა რაოდენობა გაიზარდა, ამ დროს კი შინაგან საქმეთა სამინისტრო თითქოს აკონტროლებს სიტუაციას და ნარკოტრანზიტს ებრძვის. თბილისის მაგალითზე კი იმის თქმა თავისუფლად არის შესაძლებელი, რომ ქვეყანაში ნარკომომხმარებელთა რაოდენობამ იმატა. სხვათა შორის, იგივე ხდება გორში. ამ შემთხვევაში კი საუბარია იმაზე, რომ გორი კონფლიქტის ზონასთან ახლოს მდებარეობს, საფუძველს მოკლებულია. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ადგილობრივი პოლიცია ცდილობდა ჩაეტარებინა ღონისძიებები ადგილობრივი „ნარკობარიგების“ წინააღმდეგ, მაგრამ ისინი გაფრთხილებული აღმოჩნდნენ. როგორც ჩანს, ძალები, რომლებიც ჯერ კიდევ დარჩენილი არიან წინა ხელისუფლებიდან შინაგან საქმეთა სამინისტროში, ვიღაცისგან იღებენ დავალებას. მე ნამდვილად არ შემიძლია იმაზე საუბარი ვისგან, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი ხელს უწყობენ ნარკოტიკების გავრცელებას და მათ წინააღმდეგ ბრძოლას არაეფექტურს ხდიან.

- ბატონო მამუკა, მსს-მ ბრძოლა გამოუცხადა ნარკოტრანზიტს, რაც, ბუნებრივია, მინისტრის გარეშე ვერ მოხდებოდა, როდესაც თქვენ მაღალი თანამდებობის პირების ლიკვიდაციაზე და ხელისუფლების შიგნით დესტაბილიზაციაზე საუბრობთ, რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?

მსს-მ ათეულობით მილიონი დოლარის ნარკოტიკი ამოიღო

- გამოცდილება და ისტორია. უამრავი ფაქტი გვაქვს მსოფლიოს ისტორიაში, როდესაც ტრანსნაციონალური ნარკოტიკული ორგანიზაციები ცდილობენ ან გადმოიბირონ, ან მოისყიდონ, ან ფიზიკურად გაანადგურონ იმ ქვეყნის ჩინოვნიკები, სადაც ისინი ახორციელებენ ნარკოტრანზიტს. სხვათა შორის, ზოგიერთ ლათინოამერიკულ ქვეყანაში სამოქალაქო ომი იმიტომ მიმდინარეობს, რომ იქაურ ნარკობარონებს ეს აწყობთ. მაგალითად, კოლუმბია, ვენესუელა, ეკვადორი. იმისთვის, რომ ამ ტერიტორიებზე დესტაბილიზაციის საფრთხე მოესპოთ, აშშ-ს საოკუპაციო ჯარის ხელმძღვანელობამ რაღაც პერიოდი საშუალება მისცა, ადგილზე ყაყაჩოს მომშენებლებს თავისუფლად ემუშავათ. ისინი თვლიდნენ, რომ შემდგომში მოახერხებდნენ მათი საქმიანობის კონტროლს, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. დღეს ავღანელი ნარკომწარმოებლების წლიური ბრუნვა არის ხუთი მილიარდი დოლარი. პრინციპში, წინა აზიის დიდ ნაწილს რუსეთს და ევროპას ისინი ამარაგებენ. ამიტომაც ავღანურ ნარკოტიკთან ბრძოლა არის ძალიან რთული. ეს საქმე დაკავშირებულია ძალიან სერიოზულ ფულთან, მის უკან სერიოზული ძალები დგანან, მათ მოერის პოლიტიკურიც.

- ბატონო მამუკა, თქვენ თვითონ თქვით, რომ წინა ხელისუფლების დროს არ იყო გახმაურებული მსგავსი ფაქტები, რა იყო ამის ძირითადი მიზეზი, თუ შეგიძლიათ ამაზე საუბარი?

- იმიტომ არ იყო, რომ წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნები იყვნენ ამაში ძალიან აქტიურად ჩართული. სხვათა შორის, თქვენ თუ ყურადღებით მიადევნებთ თვალს გოგა ხაინდრავას განცხადებებს, რომელიც ძალიან კარგად იცნობდა მაშინდელი ხელისუფლების კულუარებს, მას არაერთხელ განუცხადებია და დაუსახელებია კიდეც ვინ იყო მთავარი ნარკოტრანზიტორი საქართველოში და ის ვანო მერაბიშვილს ასახელებდა. საქმე ის არის, რომ მე უტყუარი ცნობები ამასთან დაკავშირებით არ მაქვს და ამიტომაც გვარებით, დაზუსტებით საუბარი არ შემიძლია, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, ხელისუფლების რაღაც რგოლები ჩართული იყო ამ ნარკოტრანზიტის საქმეში და ძალიან მარტივად ხდებოდა ყველაფერი. ჩვენ კი ამის შესახებ ინფორმაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიგებდით თუ რომელიმე ჩვენი მეზობელი ქვეყნის პოლიცია დააკავებდა საქართველოდან გასულ ტვირთს, რომელშიც ნარკოტიკიც იყო. ასეთი შემთხვევები იყო უკრაინაში, თურქეთშიც და სხვადასხვა ქვეყნებში. სხვა შემთხვევაში ამაზე არავინ საუბრობდა და აქედან გამომდინარე, დასკვნა მარტივია, რომ წინა ხელისუფლება იყო ჩართული ამ პროცესებში. დღეს ხელისუფლება ცდილობს არ იყოს ჩართული ამაში, მაგრამ არსებობს ძალები, რომლებსაც ეს აქტივობა არ მოსწონთ და ამიტომაც გვაქვს ის სურათი, რომელიც გვაქვს.

- შექმნილ სიტუაციაში რა უნდა გააკეთოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რა გზები არსებობს ნარკოტრანზიტთან ბრძოლისთვის?

- ამ სენთან და ამ მოვლენებთან ბრძოლა იმდენად რთულია, რომ მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ამას ვერ აუვა. ჩვენი მეზობლები, მაგალითად თურქეთი, რაღაც დონეზე დაინტერესებულია, რომ ეს პროცესი შეაჩეროს. აზერბაიჯანიც ახდენს ამის დეკლარირებას. თუ ეს ერთობლივი მუშაობით არ იქნა მიღწეული, ძალიან რთულია ამ საქმის მორევა. ის, რომ თბილისში და გორში ნარკოტიკების მოხმარება გაიზარდა, ამაზე რეაგირება რომ არის საჭირო, ამისთვის მსს მინისტრს ჩემი რჩევა არა მგონია დასჭირდეს. არსებობს აშშ-ს სპეციალური დეპარტამენტის დასკვნები, საქართველოში შექმნილ სიტუაციაზე, რომელიც წლების მანძილზე პერიოდულად ქვეყნდებოდა, რომელზეც რეაგირება უნდა მოხდეს.

მამუკა არეშიძე: „ხელისუფლებამ ბრძოლა გამოუცხადა საერთაშორისო ნარკოტრანზიტს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დიმიტრი შაშკინმა „რეფორმა

მირიან ბოქოლიშვილი

სასჯელაღსრულების, განათლებისა და თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა სამოქალაქო სექტორში გადაინაცვლა. „რეფორმატორთა კლუბი“ – ასე ჰქვია არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც დიმიტრი შაშკინმა თანამოაზრეებთან ერთად დააფუძნა. რა მიმართულებით იმუშავებს ეს ორგანიზაცია და როგორ აფასებს ყოფილი მაღალჩინოსანი ქვეყანაში შექმნილ ვითარებას? „პრაიმტაიმი“, დიმიტრი შაშკინს ესაუბრა.

„ვანოც, მეც და ყველა ის ადამიანიც, რომლებიც ძალოვან უწყებებს ვხელმძღვანელობდით, ძალიან მძიმე სიტუაციაში ვართ“

– ბატონო დიმა, პირველ რიგში, გვითხარით, რა არასამთავრობო ორგანიზაცია შექმენით და ვინ არიან თქვენი თანამოაზრეები ამ შემთხვევაში?

– ესაა „რეფორმატორთა კლუბი“, რომელიც ჩემს მეგობრებთან ერთად დავაარსე. ორგანიზაცია იმუშავებს დემოკრატიის საკითხებზე, ასევე, ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციაზე ნატოსა და ევროკავშირში. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანას არ გააჩნია გაზი, ნავთობი ან სხვა რაიმე ბუნებრივი რესურსი, რომლის ექსპორტით შევინახავთ ჩვენს ქვეყანას. ერთადერთი გამოსავალი არის დემოკრატიულ რეფორმებში. ანუ ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი სახელმწიფო, რომელიც საინტერესო იქნება ინვესტორებისთვის, იმ ხალხისთვის, რომელსაც აქვს ფული და შეუძლია ქვეყანაში დააბანდოს. უფრო მარტივად, რომ ვთქვათ: ჩვენ მუქთა ფული არ გაგვაჩნია, ამის ფუფუნება არ გვაქვს. ამიტომ უნდა შევქმნათ ისეთი ტიპის ქვეყანა, რომელიც იქნება მიმზიდველი და საინტერესო. ამისთვის კი რეფორმები არის ერთადერთი გზა. რეფორმები არის, როგორც ველოსიპედი – თუ გაჩერდება, დავარდები. რაც შეეხება ჩემს თანამოაზრეებს, ეს არის ხალხი, ვისაც აქვს მუშაობის გამოცდილება, როგორც სახელმწიფო სექტორში, ასევე, არასამთავრობო სექტორში და ისინი, ვისაც აქვთ საკმაოდ დიდი გამოცდილება საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის. „რეფორმატორთა კლუბის“ მთელი არსი არის ის, რომ მოვახდინოთ ამა თუ იმ სფეროში პრობლემის იდენტიფიცირება, დავადგინოთ მიზეზი და დავაფიქსიროთ, რა არის გასაკეთებელი ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად. მე ბევრი მეგობარი მყავს ევროპაშიც, აშშ-ც და ყველაფერს, რაც ჩვენს ქვეყანას გამოადგება, ცხადია, გამოვიყენებ, მათ შორის ჩემს უცხოურ კონტაქტებს.

– თქვენ ახსენეთ ინვესტიციებისთვის შესაფერისი გარემო, რაც პირდაპირ აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე, თუმცა ინფორმაცია, რომელიც გასულ კვირას „საქსტატმა“ გამოაქვეყნა, მთლად დამაიმედებელი არ გახლავთ... იქნებ ეს არის საარჩევნო სინდრომი და საგანგაშო მართლაც არაფერია?

– პასუხი არის მარტივი და ამავდროულად რთულიც. საქართველო არის ძალიან პატარა ქვეყანა, რომლის ეკონომიკა მთლიანად დგას ე.წ. მოლოდინზე. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ სახელმწიფო ქარხნებსა და ფაბრიკებს ვერ ააშენებს. ამ ყველაფერს აკეთებს ბიზნესი, სახელმწიფოს როლი არის ის, რომ შექმნას პირობები ხელსაყრელი ბიზნესისთვის. კომუნიზმი მე-20 საუკუნეში დამთავრდა, თუმცა კვლავ არსებობს კომუნისტური იდეოლოგია, რომელიც ამბობს, რომ დიახ, სწორედაც სახელმწიფომ უნდა ააშენოს ფაბრიკები და ა.შ. როგორ დამთავრდა საბჭოთა კავშირი, ყველას გვახსოვს. ისეთმა ქვეყანამაც კი, როგორიცაა რუსეთი, რომელსაც აქვს გაზი, ნავთობი, ოქრო და ა.შ. მანაც კი ვერ გაუძლო კომუნიზმს. საქართველო არის პატარა ქვეყანა, რომლის ეკონომიკა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მთლიანად აგებულია მოლოდინსა და იმიჯზე. თუ ხალხი, რომელსაც აქვს ფული, თვლის, რომ საქართველოში ფულის ჩადება შესაძლებელია, ის ამას გააკეთებს, მაგრამ, თუ ამ ადამიანებს აქვთ ოდნავი ეჭვი იმისა, რომ მათი ინვესტიცია არ იქნება დაცული, ის აირჩევს სხვა ქვეყანას. იმის გამო, რომ ჩვენ ლამაზი ბუნება გვაქვს და კარგი ხალხი ცხოვრობს საქართველოში, ბიზნესმენი თავის მილიონებს არ დააბანდებს. შენ მკითხე, ეკონომიკის ზრდის შეჩერება ხომ არ უკავშირდება არჩევნებსო. ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო ყოფილ პრემიერთან, ნიკა გილაურთან საუბარი. ეს იყო 2012 წლის ივლისი. მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო არჩევნები მოდიოდა, ეკონომიკას ერთი პროცენტითაც კი არ შეუჩერებია ზრდაო. ეს ხდება არჩევნების წინა პერიოდში. ასე რომ, არგუმენტი, რომ არჩევნებს უკავშირდება ეკონომიკური ზრდის შეჩერება, არ გამოდგება. სინამდვილეში ამას განაპირობებს გარემო, რომელიც ქვეყანაშია შექმნილი. ეს გარემო ბიზნესმენებს უბიძგებს იმისკენ, რომ ფული დამალონ. არც ახალი ინვესტორი შემოდის და არც ადგილობრივი ბიზნესმენები არ დებენ ფულს ეკონომიკის განვითარებაში. მაჩვენეთ ახალი პროდუქტი, რომელიც ამ ხელისუფლების მმართველობის დროს შეიქმნა, მაჩვენეთ ახალი საწარმოები, ახალი სასტუმრო ან რაიმე მსგავსი. იყო მოლოდინი, რომ რუსეთის მიმართ შეცვლილი რიტორიკის შემდეგ იქიდან მაინც წამოვიდოდა ინვესტიციები, მაგრამ არც ეს რუსული ინვესტიციები ჩანს.

– თუმცა რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქტის ნაწილი დაბრუნდა...

– „ბორჯომისა“ და ღვინის გატანა რუსეთის ბაზარზე ქართულ ეკონომიკას შესძენს დაახლოებით 50 მილიონ დოლარს. ამას მე არ ვამბობ. ამას აცხადებენ სპეციალისტები. ეს არ არის ის თანხა, რომელსაც შეუძლია მილიარდიანი ინვესტიციების კომპენსირება.

– თქვენ ქვეყანაში შექმნილ გარემოზე საუბრობთ... კონკრეტულად რას გულისხმობთ?

– მთელი პრობლემა, რაც დგას მთავრობის წინაშე, არის ის, რომ წინა პლანზე წამოვიდნენ რევანშისტული ჯგუფები, რომლებსაც ქვეყანა, მისი ეკონომიკა საერთოდ არ აინტერესებთ. მათთვის მთავარია შურისძიება და ჩაქოლვა. ეს ხალხი პრეტენზიებს უყენებს პრემიერ-მინისტრსა და მთავრობას, რომ, რაც შეიძლება მეტი რეპრესიები განახორციელოს მან. ამჟამინდელი მთავრობა ამას უკვე კარგად ხვდება და იგივე პარლამენტის თავმჯდომარის, ან თუნდაც პრემიერ-მინისტრის რიტორიკა მიუთითებს იმაზე, რომ ეს რევანშიზმი არაფრის მომტანია, ის მხოლოდ ქვეყანას ექაჩება უკან. როდესაც ინვესტორი უყურებს, როგორ უსწორდებიან წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს, ისინი ფიქრობენ – ხელისუფლება ცვალებადია, შეიძლება ოთხი წლის შემდეგ სულ სხვა ადამიანები მოვიდნენ სათავეში და ახლა მათ დაიწყონ რევანში, დაჭერები, წართმევები და ა.შ. ინვესტორები დღეს საქართველოში ვერ ხედავენ გარანტიებს იმისას, რომ ეს შურისძიების ციკლი როდისმე დასრულდება. დემოკრატიულ ქვეყნებში არავის მოსდის აზრად, რომ მთელი სახელმწიფო რესურსი შურისძიებაზე მიმართონ.

– თუმცა როდესაც საუბარია წინა ხელისუფლების დროს არსებულ ეკონომიკურ ზრდაზე, ხშირად სვამენ კითხვას – რის ხარჯზე იზრდებოდა ეკონომიკა? ხომ არ ხდებოდა ეს კერძო ბიზნესის წნეხის ხარჯზე?

– გამორიცხულია, ეკონომიკა იზრდებოდეს ამის ხარჯზე. ეს აბსურდია. რაც შეეხება ბიზნესზე ზეწოლას, იყო ამ მხრივ შეცდომები დაშვებული და ამაზე პასუხისმგებლობა ავიღეთ, როდესაც არჩევნები წავაგეთ და ხელისუფლება გადავაბარეთ.

– თუმცა ეს იყო პოლიტიკური პასუხისმგებლობა... აქ საუბარია იმაზე, რომ ხშირ შემთხვევაში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები იკვეთება...

– თუ ვინმეს რამე ფაქტები აქვს, რომ იყო დანაშაული ჩადენილი, ამისთვის არსებობს სასამართლო. შეკითხვები შეიძლება არსებობდეს ძალიან ბევრი ადამიანის მიმართ, ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. პრობლემა უფრო სხვა რამეა. ბრწყინვალე მაგალითია საფრანგეთის პრეზიდენტის შემთხვევა. როგორც კი მან პრეზიდენტის პოსტზე მოღვაწეობა დაამთავრა, პროკურატურამ ძალიან მძიმე ბრალდება წაუყენა. საუბარია იმაზე, რომ ის იღებდა ფულს კადაფისგან. ამაზე მძიმე ბრალდება ევროპელი ლიდერისთვის, შეიძლება ითქვას, წარმოუდგენელიც კია, მაგრამ ამის მიუხედავად, იქ თავში აზრადაც კი არავის მოსვლია, რომ ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი ციხეში გამოეკეტათ. გამოძიების პროცესი მიმდინარეობს, სარკოზიმ მისცა ჩვენება და დაკითხეს უამრავი ადამიანი. წინასწარ მისი დაპატიმრება არც კი განხილულა. უფრო მეტს გეტყვით, სილვიო ბერლუსკონის სასამართლომ გამოუტანა სასჯელი, მაგრამ ის არავინ დაუჭერია, რადგან ელოდებიან სააპელაციო სასამართლოს ვერდიქტს. სანამ ეს პროცესი არ დასრულდება, მის მიერ სასჯელის მოხდა დღის წესრიგში არ დგება. რა ხდება საქართველოში? დააპატიმრეს ყოფილი მაღალჩინოსნები, მათ შორის ქვეყნის ყოფილი პრემიერი და მთავარი ოპოზიციური პარტიის გენერალური მდივანი, მაშინ როცა ის არ ემალებოდა გამოძიებას, დადიოდა დაკითხვებზე და თანამშრომლობდა. არანაირი საჭიროება მისთვის წინასწარი პატიმრობის გამოყენების არ იდგა. ვანოც, მეც და ყველა ის ადამიანიც, რომლებიც

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ტორთა კლუბი“ ჩამოაყალიბა

„წინა პლანზე წამოვიდნენ რევანშისტული ჯგუფები, რომლებსაც ქვეყანა, მისი ეკონომიკა, საერთოდ არ აინტერესებთ. მათთვის მთავარია შურისძიება და ჩაქოლვა“

EXCLUSIVE

განათლების ყოფილი მინისტრი პედაგოგთა გამოცდების კატასტროფულ შედეგებზე პასუხისმგებლობას უწყების მოქმედ ხელმძღვანელობას აკისრებს

ძალოვან უწყებებს ვხელმძღვანელობდით, ძალიან მძიმე სიტუაციაში ვართ საბანკო კუთხით. მსოფლიო საბანკო სისტემაში არის ასეთი რეგულაცია, თუ შენ ძალოვნებში მუშაობდი, საზღვარგარეთ ბანკის ანგარიშის გახსნა რომ მოგინდეს, ვერ გახსნი. ამით იმის თქმა მინდა, რომ 21-ე საუკუნე არის აიტი კომუნიკაციების, კამერებისა და ინტერნეტის ეპოქა. ადამიანი ვერ დაიმალება ხანგრძლივად, ამიტომ ჩემთვის სრულიად გაუგებარია, რა საჭიროებას წარმოადგენდა ვანოს დაჭერა.

– სად ხედავთ ვანო მერაბიშვილის პოლიტიკურ მომავალს?

– ერთი რამ შემიძლია გითხრათ – ვანო მერაბიშვილი არის და დარჩება საკმაოდ მძიმეწონიან პოლიტიკურ ფიგურად. საქართველო პატარა ქვეყანაა და პოლიტიკური სპექტრიც საკმაოდ ვიწროა. შესაბამისად, თუ თვითონ არ თქვა პოლიტიკოსმა, რომ მიდის პოლიტიკიდან, ის ყოველთვის იქ დარჩება. გადახედეთ პოლიტიკურ სპექტრს – ეს არის ხალხი, რომელიც მოდის 90-იანი წლებიდან, მათი უმეტესობა ყოველ შემთხვევაში. დარწმუნებული ვარ, რომ ვანო მერაბიშვილი დარჩება პოლიტიკაში და იმას, რაც მან ქვეყანას გაუკეთა, გავა დრო და თაობები დაუფასებენ.

– რაც შეეხება ბაჩო ახალაიას... მის მიმართ დადგა გამამართლებელი განაჩენი, რამდენად აისახება ეს იგივე „ოცნების“ კანდიდატის რეიტინგზე წინასაარჩევნოდ... ბევრი საუბრობს, რომ პროკურატურამ ვერ იმუშავა...

– ვერ გეტყვით, რა ასახვას პოვებს ეს პოლიტიკურ რეიტინგზე, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, რა რეაგირებას მოახდენს პროკურატურა ამ დიდ ბრძოლაში ტაქტიკურ წაგებაზე. არის კიდევ ორი ბრალდება. მთავარია, როგორ განვითარდება პროკურატურის ქმედებები დანარჩენ ორ ქეისზე. ნებისმიერ მოვლენას მოჰყვება კონტრმოვლენა. რა იქნება პროკურატურის მხრიდან ეს კონტრმოვლენა, ამას, ალბათ, რამდენიმე კვირაში ვნახავთ.

– მინდა შევეხოთ განათლების სფეროსაც. თქვენი მინისტრობის დროს დაიწყო მასწავლებლების სერტიფიცირების პროცესი და სწორედ აქედან გამომდინარე, საინტერესოა თქვენი მოსაზრება იმ შედეგებზე, რომელიც ბოლო სასერტიფიკაციო გამოცდებზე აჩვენეს პედაგოგებმა...

– ეს იყო უმძიმესი შედეგები. ზოგადად, მსოფლიო ვითარდება, ვითარდება მეცნიერებები. იმას, რის სწავლასაც მე 5 წელს ვანდომებდი, დღეს ჩემი შვილები, სულ რაღაც, 6 თვეში სწავლობენ. იმიტომ რომ შეიცვალა მეთოდოლოგია. ადრე ინგლისურს ბონკიდან ვსწავლობდით, ახლა კი სულ სხვა და ძალიან დაჩქარებული მეთოდოლოგია არსებობს ამ ენის შესასწავლად ხომ? ასეა თითქმის ყველა საგანში თუ მეცნიერებაში. შესაბამისად, პედაგოგს სჭირდება განვითარება და გადამზადება თანამედროვე სტანდარტებით. სწორედ ამიტომ შევქმენით მასწავლებელთა სახლები, სადაც მუდმივ რეჟიმში უნდა მომხდარიყო პედაგოგთა გადამზადება. მხოლოდ 2012 წელს გადავამზადეთ 20 ათასი მასწავლებელი. რატომ მოხდა ისე, რომ უამრავმა პედაგოგმა ვერ ჩააბარა სასერტიფიკატო გამოცდები? ამის მთავარი მიზეზი მაინც პოლიტიკურია. განათლების სამინისტრო არის ყველაზე დიდი ინსტიტუცია ქვეყანაში. ყველა იმ მესიჯს, რომელიც სამინისტროდან მიდის, „ბუბკასავით“ ისრუტავენ პედაგოგები. და რა იყო მესიჯი? ეს სასერტიფიკაციო გამოცდები ჩატარდება თუ არა, კაცმა არ იცის, ის რაც იყო აქამდე, არ ვარგა და შესაბამისად, შეიცვლება, გაზაფხულზე მართლაც არ ჩაატარეს ეს გამოცდები. ამიტომ მასწავლებლების უმრავლესობას ეგონა, რომ ეს გამოცდები საერთოდ გაუქმდა და ამ დროს, მოულოდნელად უთხრეს, რომ უნდა გავიდნენ გამოცდებზე. მოუმზადებელი მასწავლებლები გავიდნენ გამოცდებზე. არასწორია და ტყუილია, ვინც ამბობს, რომ მასწავლებლებმა უნდა ჩააბარონ გამოცდა მომზადების გარეშეც. თუ არ მოემზადე, რაგინდ მაგარი მასწავლებელიც არ უნდა იყო, ვერ ჩააბარებ.

– ძალიან ბევრს საუბრობენ პირადი ცხოვრების ამსახველ ვიდეომასალებზე და მიდის მსჯელობა უნდა განადგურდეს თუ არა, ან როდის უნდა განადგურდეს ეს კადრები... რაში ხედავთ ოპტიმალურ გამოსავალს?

– დიახ, ნამდვილად ბევრს საუბრობენ ჩანაწერებზე, მაგრამ არავინ საუბრობს იმაზე, რამდენია ამ ჩანაწერებიდან სასამართლოს დადგენილების საფუძველზე მოპოვებული და რამდენი – არა.

– პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გადაღებაზე მოსამართლე, წესით, ნებართვას არ გასცემდა...

– თუ სასამართლომ მისცა უფლება, რომ კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებისთვის აწარმოოს ფარული გადაღება, იმ კამერაში რა მოხვდება, ძნელი სათქმელია. სხვა საკითხია, რამდენად უნდა ყოფილიყო ეს მასალა შენახული. დღეს, სამწუხაროდ, არავინ საუბრობს იმაზე, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მომავალში მაინც არ მოხდეს უკანონო მიყურადება, ან პირადი ცხოვრების გადაღება. დღეს გამოძიების წარმოების უფლება აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურას, თავდაცვის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების სამინისტროს. ყველა ამ ორგანოს აქვს ოპერატიულ-ტექნიკური ბაზა, ე.წ. ოტო-ები, რომლებსაც შეუძლიათ, დამოუკიდებლად აწარმოონ მიყურადება, ან უკანონო თვალთვალი-გადაღება. ინსტიტუცია არ ქმნის ბარიერებს, ერთი დეპარტამენტის თანამშრომელს შეუძლია, კოლეგიალურად სთხოვოს მეორეს, – აი, ესა და ეს ადამიანი ჩამირთე მოსმენაზე. მას შეუძლია ეს გააკეთოს ყოველგვარი სასამართლოს ნებართვის გარეშე. ამიტომ, რაკიღა აღმოჩნდა, რომ ამ რესურსის ბოროტად გამოყენება ხდებოდა, აუცილებელია, დღეს მაინც გადმოვიტანოთ თურქეთის მაგალითი, ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტი გაუქმდეს ყველა საგამოძიებო უწყებასთან და ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ორგანოდ, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება პრეზიდენტთან, ან პრემიერ-მინისტრთან. თავის დროზე მსგავსი პრობლემა იდგა ექსპერტიზასთან დაკავშირებით. მოგეხსენებათ, ყველა საგამოძიებო ორგანოს თავისი საექსპერტო ბიურო ჰქონდა და ხდებოდა მუდმივი მანიპულაციები, ვისაც როგორ უნდოდა, ისე აყალბებდა, წერდა და აქრობდა ექსპერტიზის დასკვნებს. ამიტომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ყველა ეს საექსპერტო დაწესებულება გაუქმდა და ჩამოყალიბდა ერთიან ორგანოდ, სახელმწიფო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროდ, რომელსაც დღეს გაცილებით მაღალი ავტორიტეტი აქვს. დაახლოებით იგივე უნდა გაკეთდეს ე.წ. ოტო-ს სამსახურთან მიმართებაშიც.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გრიგოლ გიორგაძე: წარსულზე საუბარი აღარაა საჭირო, ახლა მთავარია ჩვენ რას ვაკეთებთ და რას ვგეგმავთ

„ჩვენ, ყველა ადამიანს უნდა დავეხმაროთ, რომ მივცეთ შანსი საზოგადოებაში დაბრუნდეს“

my View
თამარ გორთამაშვილი

სისტემა, რომელსაც ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საზოგადოება გამადიდებელი შუშით უყურებს, ამავე საზოგადობას უკვე ანგარიშს აბარებს. ამჯერად, პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ ექვსთვიანი მუშაობის შედეგები წარმოადგინა. რა ცვლილებებია პრობაციის სისტემაში, რა მიდგომაა დღეს პირობითი სასჯელის ქვეშ მყოფი ადამიანების მიმართ და როგორ აპირებს უწყება განმეორებითი დანაშაულის პრევენციას - „პრაიმტაიმის“ კითხვებს, სასჯელაღსრულების მინისტრის პირველი მოადგილე გრიგოლ გიორგაძე პასუხობს.

გრიგოლ გიორგაძე: „მთავარი, რაც პრობაციის სისტემაში შეიცვალა, ეს არის მიდგომა. როგორც პრობაციის ეროვნული სააგენტოს 6 თვის პრეზენტაციაზე მინისტრმა აღნიშნა, სისტემა გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან. ყველასთვის კარგად ცნობილია, თუ როგორ ხდებოდა პრობაციონერების გამოყენება წინასაარჩევნოდ. ჩვენ არაერთი საქმე შევისწავლეთ და აღმოჩნდა, რომ სწორედ არჩევნების წინ ეხსნებოდათ პირობითი მსჯავრი ისეთ ადამიანებსაც კი, რომელთაც, წესით, ეს არ ეკუთვნოდათ, რადგან სერიოზული დარღვევები ჰქონდათ საქმეში. საბედნიეროდ, ეს უკვე წარსულია და წარსულზე საუბარი აღარაა საჭირო, ახლა მთავარია ჩვენ რას ვაკეთებთ და რას ვგეგმავთ. ისიც უნდა ითქვას, რომ სისტემა, გარკვეულწილად, აწყობილი იყო და მუშაობდა, მაგრამ როდესაც მოსცილდა პოლიტიკური წნეხი, ბუნებრივია, სულ სხვა მიმართულებით, დადებითი ინერციით წავიდა საქმეები, ამაში ვგულისხმობ საქმეების მართვას, ასევე პირობითი მსჯავრის ვადაზე ადრე მოხსნას. იმ ადამიანებს, რომლებსაც ბევრი წლები ჰქონდა პირობით მსჯავრში გატარებული და რეალურად აღარ იყო საჭირო სახელმწიფოს მხრიდან მათი კონტროლი; პირველივე კომისიაზე, როდესაც რეალურად ავამოქმედეთ პირობითი მსჯავრის ვადაზე ადრე მოხსნის კომისია, დაახლოებით 4 000-მდე მათგანს მოვუხსენით პირობითი მსჯავრი. მანამდე ეს კომისია, ფაქტობრივად, არ ფუნქციონირებდა, რეალურად ვისაც ეხებოდა პირობითი მსაჯავრის მოხსნა, ვერ იღებდა გადაწყვეტილებას. პროკურატურა აძლევდა სიებს და უბრალოდ, ტექნიკურად ხდებოდა ამ კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება. ჩვენ ეს მთლიანად შევცვალეთ და ეს არის მნიშვნელოვანი გარდატეხა. ჩვენთვის მთავარია, რომ ადამიანმა, რომელიც პირობითი მსჯავრის ქვეშ არის, იცოდეს, რომ თუ ის კარგად იქცევა, არ არღვევს რეჟიმს და იმ გეგმას, რომელიც ინდივიდუალურად შემუშავდა მასთან, როდესაც გავა ვადის ნახევარი, სახელმწიფო მისცემს შეღავათს და მოუხსნის პირობით მსჯავრს. რაც შეეხება პროგრამებს, რომელსაც ჩვენ მათ ვთავაზობთ, ეს არის სარეაბილიტაციო ხასიათის. ჩვენი მთავარი მიზანი და პოლიტიკა პირობითი მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია, მათი საჭიროებების და რისკფაქტორების შეფასებაა, რაც მოითხოვს ინდივიდუალურად მუშაობას მათთან და არა კოლექტიურად. მუშაობას როგორც პრობაციის ოფიცრის, ასევე ფსიქოლოგის და სოცმუშაკის, რომელთა მიერაც ხდება გარემოს და კონკრეტული ადამიანების მოთხოვნილებების შესწავლა. შესაძლოა, რომელიმეს შეიძლება ფსიქოლოგიური დახმარება სჭირდება, ან შესაძლოა, პროფესიული გადამზადება, სხვადასხვა ხელობის შესწავლა იყოს საჭირო. ჩვენ გვაქვს გარკვეული პროგრამები და ის თავისი მოთხოვნილების შესაბამისად ჩაერთვება ამ პროგრამებში. როდესაც ის ხელობას სწავლობს, ბუნებრივია, აქვს უფრო მაღალი შანსი, ჩვენი რეკომენდაციის საფუძველზე დასაქმდეს რომელიმე ორგანიზაციაში და ამის მაგალითები უკვე საკმაოდ დაგვიგროვდა. მიმდინარე წლის 6 თვეში 70-მდე პირობითი მსჯავრდებული დავასაქმეთ. პირობით მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობასთან, რაც 13 000-ს შეადგენს, ბუნებრივია, 70-მდე დასაქმებული არ ჩანს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ქვეყანაში დასაქმების მხრივ არსებულ პრობლემებს და იმას, რომ პირობით მსჯავრდებულია ადამიანი, ასეთი ადამიანის სამსახურში მიღება კი უფრო გართულებულია, ვფიქრობ, რომ ეს ციფრი მაინც არის გარკვეული მიღწევა, თუმცა არა დამაკმაყოფილებელი. ამიტომაც ჩვენ მაქსიმალურად მეტი უნდა ვიმუშაოთ ინდივიდუალურად და ამ ადამიანებს მივცეთ გარკვეული ცოდნა, გამოცდილება იმისათვის, რომ თავიანთი თავი იპოვონ, სამუშაო მოიძიონ და ა.შ.

- 6 თვის განმავლობაში რამდენით შემცირდა პრობაციონერების რაოდენობა?

- პრობაციონერების რაოდენობა იყო 40 ათასამდე. ოქტომბრის ბოლოს, ჩვენ რომ მოვედით სისტემაში, ამნისტიის შედეგად, მუდმივმოქმედი კომისიის ეფექტური მუშაობით, დღეს მივიღეთ 13 ათასი პირობითი მსჯავრდებული. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ადრე პრობაციის ერთ ოფიცერს ჰქონდა 300 საქმე შესასწავლი და ინდივიდულურ მიდგომაზე საუბარიც ზედმეტი იყო, დღეს აქვს საშუალოდ 80. ეს ნიშნავს, რომ პრობაციის ოფიცერს უკვე ეძლევა რესურსი დროის და ენერგიისა იმისთვის, რომ ამ ოთხმოცივე ადამიანზე განახორციელოს სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა და შემდეგ შესაბამისი მონიტორინგი. ჩვენ, დღესდღეობით, 70 % პრობაციონერებისა ჩართული გვყავს სასჯელის ინდივიდუალურ დაგეგმვაში, ანუ მათ მიმართ განხორციელდა რისკების და საჭიროებების შეფასება. ასევე გვყავს 901 ქალი და 253 არასრულწლოვანი, რომლებიც ჩართული არიან სასჯელის ინდივიდუალურ დაგეგმვაში. ჩვენ ველოდებით, რომ წლის ბოლომდე 80 % იქნება ჩართული სასჯელის ინდივიდუალურ დაგეგმვაში. შეთავაზება გაკეთდება ყველასთვის. მაგრამ 80 %-ს იმიტომ ვამბობთ, რომ დარჩენილი 20 %, სავარაუდოდ, არის ისეთი კატეგორია ადამიანებისა, რომელსაც არ სჭირდება სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა. მაგალითად, თუ ვინმე სამეწარმეო დანაშაულისთვის გაასამართლეს, იგივე ყალბი ანგარიშფაქტურისთვის, ის არის ბიზნესმენი და არაფერში სჭირდება ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამები და დასუფთავების აქციებში მონაწილეობა. ის, უბრალოდ, რეგისტრაციისთვის ივლის. ასევე, ამ 20 %-ში არის ის კატეგორიაც, რომელიც უარს ამბობს და იძულებით ვერავის ჩართავთ ამ პროგრამაში.

- უარს რა მიზეზით ამბობენ?

- ინდიფერენტული დამოკიდებულებაა. მე მეტსაც გეტყვით, ჩვენ გვაქვს ორი მშენებლობა, გლდანის თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება და სამინისტროს ახალი შენობა, სადაც ახალ წლამდე გადავალთ. ტენდერის საფუძველზე მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები და ჩვენ შევთავაზეთ ამ კომპანიებს, რომლებმაც გაიმარჯვეს ტენდერში გარკვეული რაოდენობა პრობაციონერებისა ჩაერთოთ ამ სამუშაოებში. ისინი დაგვთანხმდნენ, მაგალითად, სამინისტროს შენობის სარემონტო სამუშაოებში 10 პრობაციონერი ჩაერთვება, ხოლო გლდანში, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების მშენებლობაზე - 6. თქვენ წარმოიდგინეთ ეს ლიმიტი ვერ შევავსეთ. იცით რატომ? - ადამიანები უარს აცხადებენ დასაქმებაზე, სადაც მათ ყოველდღიურად 20 ლარი ექნებათ ხელფასი. აი, ეს პრობლემაც არის. ჩვენ გვაქვს ასეთი შემთხვევები, როცა არის საშუალება, მაგრამ უარს ვიღებთ ამ შეთავაზებაზე.

- რა პრევენციული გეგმა გაქვთ იმისთვის, რომ არ მოხდეს დანაშაულის განმეორებით ჩადენა?

- ყოველთვის, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ პირობით მსჯავრდებულებზე, იგივე დამნაშავეებზე, შეიძლება ხანდახან საზოგადოებაში, სადაც გარკვეული ეკონომიკური და სოციალური პრობლემებია, ხანდახან გაღიზიანებაც კი არის, რომ რატომ გადავყევით ამ პატიმრებს და პირობით მსჯავრდებულებს, როცა გარკვეული დახმარება სხვა ადამიანებსაც სჭირდებათ. აგიხსნით, განსაკუთრებული ყურადღება ამ მიმართულებით, არა მარტო საქართველოშია, არამედ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც გააზრებული აქვთ დემოკრატიის მნიშვნელობა და ადამიანის უფლებების დაცვა. ასეთი ჯგუფებს ყველგან მაქსიმალური ყურადღება ეთმობა და დიდი თანხები იხარჯება სახელმწიფოს მხრიდან მათი რესოციალიზაციისთვის. ჩვენ, ყველა ადამიანს უნდა დავეხმაროთ, რომ მივცეთ შანსი საზოგადოებაში დაბრუნდეს. თუ ერთხელ ჩაიდინა დანაშაული, ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ მთელი ცხოვრება დამღადადებულმა იაროს და იზოლირებული იყოს. ეს ყველაფერი მიმართულია იქითკენ, რომ მოხდეს განმეორებითი დანაშაულის თავიდან არიდება. ეს კი პირდაპირ კავშირშია საზოგადოების უსაფრთხოებასთან. ჩვენ ვცდილობთ ეს ავხსნათ კარგად, რომ თუ ჩვენ ვზუნავთ პატიმრების და პირობითი მსჯავრდებულების რესოციალიზაციაზე, ეს პირდაპირ კავშირშია საზოგადოების თითოეული წევრის უსაფრთხოებასთან. სამწუხაროდ, დანაშაულს ჩვენ სრულად ვერ აღმოვფხვრავთ, მაგრამ თუ შევამცირებთ და მოხდება მისი მინიმალიზირება, ეს იქნება ჩვენი მუშაობის შედეგი. ყველაფერი ერთმანეთთან კავშირშია, ადამიანის უფლებების დაცვა დაკავშირებულია წესრიგთან, ქვეყნის სტაბილურობასთან. ეს ზედმინევნით არის გააზრებული წარმატებულ ქვეყნებში და ამიტომაც არის იქ ყველაფერი კარგად, ჩვენც სწორედ ეს გვინდა, რომ იყოს საქართველოში.

- ხდება თუ არა პრობაციონერების გაკონტროლება, იმ საზოგადოებაში სადაც ისინი ხვდებიან, იგივე სამუშაო ადგილებზე...

- საერთაშორისო სტანდარტით, ინდივიდუალური მუშაობა მსჯავრდებულთან ამას ითვალისწინებს. როგორც კი ის აღრიცხვაზე დგება, პრობაციის ოფიცერი, ფსიქოლოგის და სოცმუშაკის ჩართულობით, შეისწავლის ამ ადამიანის საჭიროებებს და ამის მიხედვით იგეგმება სასჯელის მოხდა. დგება გარკვეული გეგმა და საერთაშორისო სტანდარტის კითხვარი, ამის შემდეგ კი ხორციელდება მონიტორინგი, თუ როგორ იქცევა ესა თუ ის ადამიანი, რომელიც პროგრამაშია ჩასმული.

- ამ ინდივიდუალურმა მიდგომამ რა შედეგი მოგცათ?

- ინდივიდუალურმა მიდგომამ მოგვცა ის შედეგი, რომ ჩვენ გვყავს პროფესიულად გადამზადებული პრობაციონერები. 6 თვის განმავლობაში ჩვენ 680-ზე მეტი პრობაციონერი გადავამზადეთ და ვფიქრობ, ეს ამ ვადაში კარგი შედეგია. არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ სხვადასხვა პროგრამებს და პრობაციონერები ძალიან ინტენსიურად არიან ჩართულები. პლუს ამას, ჩვენ თანხა გამოვყავით, კონკურსი გამოვაცხადეთ და ამ თანხით დავაფინანსეთ სხვადასხვა ღონისძიებები და ფსიქო-სარეაბილიტაციო და სხვადასხვა გადამზადების კურსებიც. ესეც უპრეცედენტო პროექტია, რაც განვახორციელეთ, არასამთავრობოების ჩართულობის კუთხით. თუკი ვამბობთ, რომ რეაბილიტაცია არის ჩვენი მთავარი მიზანი, ამაში ფულიც უნდა დაიხარჯოს სახელმწიფოს მხრიდან და არ უნდა ვიყოთ დამოკიდებული, არასამთავრობო ორგანიზაცია გრანტს მიიღებს და ითანამშრომლებს თუ არა ჩვენთან. ამიტომ, წლის ბოლომდე უკვე შესყიდული იქნება სარეაბილიტაციო პროგრამების მომსახურება, ეს გულისხმობს გადამზადებას, კომპიუტერისა და სხვადასხვა ენების შესწავლას, ასევე ფსიქოსარეაბილიტაციო სამუშაოებს. სპეციალისტები, ფსიქოლოგები საუბრობენ ნარკომანიის და სხვა მავნე ჩვევების უარყოფით შედეგებზე და ასეთი საუბრები ძალიან დიდ ეფექტს იძლევა.

- რაც შეეხება პრობაციის ოფიცრებს, ახალი კონტიგენტი შეირჩა თუ ძველი გადამზადდა?

- ჩვენს სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი თანამშრომლების გადამზადებაა. კვალიფიკაცია ნებისმიერ სფეროში აუცილებელია. ჩვენთან, კონკურსის წესით არიან შერჩეული უმეტესი ნაწილი პრობაციის ოფიცრებისა, სოცმუშაკებისა და ფსიქოლოგებისა. ახლაც მიმდინარეობს კონკურსები. ჩვენი მიზანია, არამარტო იურიდიული კუთხით გადამზადდეს პრობაციის ოფიცერი. ევ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

როსაბჭოს და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით ვახდენთ პრობაციის ოფიცრის, სოციალური მუშაკის უნარჩვევების კუთხით გადამზადებას, იმიტომ, რომ ამ ინდივიდუალურ მუშაობაში მნიშვნელოვანია სოცმუშაკის უნარჩვევების ცოდნა, მარტო იურისტი ამას თავს ვერ გაართმევს. წლის ბოლოსთვის ჩვენ გვეყოლება გადამზადებული პრობაციის ოფიცრები, ეს კი საშუალებას მოგვცემს უფრო ეფექტურად მოხდეს საქმეების წარმოება. გარდა ამისა, ჩვენ მოვახდინეთ ხელფასების 25 %-იანი ზრდა, რაც მათ მოტივაციის ზრდაზე იმოქმედებს. გვაქვს ინფრასტრუქტურული გეგმები, რაც ნიშნავს, ყველა ოფისის სათანადოდ აღჭურვას, ნორმალური გარემოს შექმნას ინდივიდუალური მუშაობისთვის. ამ ოფისებში იქნება ოთახები სადაც მოხდება ფსიქოლოგთან შეხვედრა, სოცმუშაკთან შეხვედრა. წლის ბოლომდე ამის საშუალება ყველა ოფისში გვექნება.

- განმეორებით დანაშაულზე მინდა გკითხოთ, როგორია მაჩვენებელი?

- გარკვეული წინსვლა გვაქვს განმეორებით დანაშაულთან მიმართებაში, უფრო ნაკლებია, ვიდრე წინა წლებში იყო. ეს არის ამ პროგრამების მუშაობის პირდაპირი შედეგი. ჩვენ ამ ადამიანებს შევუწყვეთ ხელი გადამზადებულიყვნენ და სხვადასხვა პროფესიული გამოცდილება შეეძინათ, მათ შორის ისეთი ელემენტარული, როგორიცაა კომპიუტერი, უცხო ენა... მაგალითად, სოფლის მეორნეობასთან ერთად ჩვენ გვქონდა პროექტი - მექანიზატორების გადამზადება. ოცი პრობაციონერიდან ოცივემ წარმატებით ჩააბარა გამოცდები და აქედან რამდენიმე დასაქმდა კიდეც და დღეს ხელფასს იღებს. ეს არის ერთ-ერთი წარმატებული მაგალითი. გარდა ამისა, ჩვენ ვთანამშრომლობთ სხვადასხვა სამინისტროებთან, იგივე კულტურის სამინისტროსთან, სპორტის სამინისტროსთან, ვაწყობთ ფეხბურთის ტურნირებს და სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს. წიგნის სახლში ვაწყობთ მწერლებთან, პოეტებთან შეხვედრებს, სადაც საკმაოდ საინტერესოდ მიდის მერე დისკუსია ამა თუ იმ ნაწარმოების შესახებ. მე თვითონაც ვესწრებოდი ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებას. ამასთან არის დასუფთავების აქციები, მაგალითად, მტკვრის დასუფთავების აქცია, ბოტანიკური ბაღის, სხვადასხვა სკვერების, დასასვენებელი პარკების დასუფთავება. პრობაციონერები მონაწილეობენ ეკლესია-მონასტრების მშენებლობებში, ეხმარებიან ბერებს და მონასტრებში არსებულ პირებს სხვადასხვა საჭიროებებში. როდესაც ადამიანი ჩართულია ასეთ ღონისძიებებში, ეს ხელს უწყობს მის რესოციალიზაციას და საზოგადოებაში სრულფასოვან წევრად დაბრუნებას. ამ პროგრამებით იცვლება მათი დამოკიდებულება გარე სამყაროსადმი, ისინი უკვე ცდილობენ მათი მომავალი უკეთესობისკენ შეიცვალოს. ბუნებრივია, ყველასგან ჩვენ ამას არ ველით, მაგრამ გვინდა, რომ ეს ციფრი იყოს მაქსიმალურად მეტი, ვისაც დავეხმარებით, თვალს ავუხელთ და დავანახვებთ სხვა სამყაროს, სადაც უკეთესია მისი მომავალი და ცხოვრება. ეს ჩვენი ვალდებულებაა, ჩვენ მათ უნდა დავეხმაროთ, ვიდრე ჩვენს სისტემაში არიან და ჰქვიათ პრობაციონერები.

- არსებობს თუ არა ვადები, რამდენი ხანი შეიძლება იყოს მსჯავრდებული პრობაციაზე?

- ეს არის ჩვეულებრივი სასჯელი და თავისთავად განაჩენში იწერება ეს ვადა. ჩვენ ახლა მოვამზადეთ საკანონმდებლო ცვლილებები, ესეც რეფორმის ერთ-ერთი ნანილია. გახსოვთ, როგორი აბსურდული და არაადეკვატური სასჯელები იყო, როგორც ციხეებში, ასევე პრობაციაშიც. მაგალითად, მოქმედი კანონმდებლობით შესაძლებელია ადამიანს მიესაჯოს 41 წელი პირობითი მსჯავრი. თქვენ წარმოგიდგენიათ 41 წელი უნდა იაროს ადამიანმა და რეგისტრაცია გაიაროს პრობაციაში, ეს ხომ აბსურდია?! ამხელა პერიოდის განმავლობაში ნამდვილად უაზრობაა სახელმწიფო აკვირდებოდეს ადამიანს. არაადეკვატურია, არაგონივრულია, ამიტომ ჩვენ შევდივართ პარლამენტში ინიციატივით,

„ჩვენი მთავარი მიზანი და პოლიტიკა პირობითი მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია, მათი საჭიროებების და რისკფაქტორების შეფასებაა, რაც მოითხოვს ინდივიდუალურად მუშაობას მათთან და არა კოლექტიურად“

„ჩვენ, დღესდღეობით, 70 % პრობაციონერებისა ჩართული გვყავს სასჯელის ინდივიდუალურ დაგეგმვაში, ანუ მათ მიმართ განხორციელდა რისკების და საჭიროებების შეფასება“

რომ პირობითი მსჯავრის „ჭერი“, ანუ მაქსიმალური ვადა, განისაზღვროს 6 წლით და ვფიქრობთ, რომ ეს აბსოლუტურად საკმარისია იმისთვის, რომ ადამიანს დაეკვირდე. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ექვსი წელი ითვლება აუცილებლად, მაგრამ ეს „ჭერი“ კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს. ადამიანს თუ ექვსი წელი ექნება მისჯილი, უფრო მალე შეეხება, ანუ როცა ნახევარი ვადა გავა, იქნება შესაძლებლობა მას მოეხსნას პირობითი მსჯავრი. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება.

- თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება ახსენეთ, რა გეგმა გაქვთ და როდის ამოქმედდება?

- ეს არის სიახლე საქართველოში. ჩვენ გვაქვს სისხლის სამართლის კოდექსში, სასჯელის სახე - თავისუფლების შეზღუდვა. ანუ რას ნიშნავს, არის თავისუფლების აღკვეთა, როდესაც იზოლირებულია საზოგადოებისგან ადამიანი და არსებობს თავისუფლების შეზღუდვა, რაც ნიშნავს გარკვეულ თავისუფლების შეზღუდვას, თუმცა მეტ კონტაქტს გარე სამყაროსთან.

ხდებოდა ის, რომ მოსამართლე ვერ უსჯიდა თავისუფლების შეზღუდვას ნაკლებად მძიმე დანაშაულზე, იმიტომ, რომ არ არსებობდა სპეციალური დაწესებულება. ჩვენ ახლა დავასრულეთ ამ დაწესებულების ინფრასტრუქტურა. უკვე მოწყობილია ყველაფერი 100 ადამიანზე და მზად ვართ რომ მივიღოთ. შემოდგომისთვის უკვე გაიხსნება ეს დაწესებულება, ველოდებით მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებებს, დანარჩენი ყველაფერი მზადაა. თანამშრომლები კონკურსის წესით ავიყვანეთ, გადავამზადეთ, რომ შევუდგეთ საქმიანობას. აქ არ არის გისოსები, წარმოვიდგინოთ, ეს არის საცხოვრებელი კორპუსი, 4 თუ არა 3-ვარსკვლავიანი ტიპის საცხოვრებელი. ჩვეულებრივი ნომრებია, ორადგილიანი, სამადგილიანი, გისოსების გარეშე, თუმცა გალავანი, რა თქმა უნდა, აქვს. იქ არის აუზი, სხვადასხვა სპორტული მოედნები, ფეხბურთის, კალათბურთის, ასევე სანაპიროს ფრენბურთის და ა.შ. რაც მთავარია, აქ იქნება მცირე საწარმოები, როგორიც არის მაგალითად, ხის საამქრო, ბლოკის საამქრო, როგორიც არის სასათბურე მეურნეობა. ვგეგმავთ, რომ ყვავილების სასათბურე მეურნეობა მოეწყოს, ასევე პროფილაქტიკა და ადამიანები, ვინც იქ მოხვდებიან, პირველ რიგში გადამზადდებიან პროფესიული კუთხით. გადამზადება მოხდება იმის მიხედვით, თუ ვინ რა პროფესიაზე გამოთქვამს სურვილს, იქვე იქნება საამქროები, სადაც იმუშავებენ და ხელფასსაც მიიღებენ. რადგანაც ჯერ მხოლოდ 100 კაცზე გვაქვს ასეთი დაწესებულება გაკეთებული, ამიტომ საკანონმდებლო ცვლილებით მოხდება პრიორიტეტის განსაზღვრა. ვისაც დარჩა ერთ წლამდე ან ექვს თვემდე სასჯელი მოსახდელი ციხეში, პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიას შეუძლია შეუცვალოს ეს თავისუფლების შეზღუდვით. ვიდრე პირდაპირ გავუშვებთ ადამიანს საზოგადოებაში, მათ ვინც 5-7 წელი გაატარა გისოსებს მიღმა, მათ ვისაც გარეთ სულ სხვა რეალობა ელოდება, სადაც შეეჯახება უმუშევრობას, გარკვეულ მენტალურ ცვლილებას საზოგადოების მხრიდან, დიდი რისკია, რომ კონფლიქტში მოვიდეს საზოგადოებასთან, კანონთან და ისევ უკან შემობრუნდეს. ამიტომაც, სანამ ახალ ცხოვრებას დაიწყებენ, ისინი გარკვეულ პერიოდს ამ თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში გაატარებენ, სადაც გადავამზადებთ, ენას, კომპიუტერის შევასწავლით. ისინი აქვე დაეუფლებიან ხელობას და გარკვეულ თანხას გამოიმუშავებენ და დაგროვებენ. შაბათ-კვირას სახლში წავლენ, დაწესებულებაშიც ექნებათ ვიზიტები ოჯახის წევრებთან. სწორედ ამიტომ, ამ დაწესებულებას ჰქვია - ნახევარი გზა თავისუფლებისაკენ. სრულ თავისუფლებამდე ხდება გარკვეული შეგუება და როდესაც ადამიანი გარეთ გავა, პრაქტიკულად შეგუებულია თავისუფლებას, მომზადებულია თავისუფლებისთვის და მომზადებულია იმისთვის, რომ იმუშაოს და სრულფასოვან წევრად დაუბრუნდეს საზოგადოებას.

- უკვე განიხილება კონკრეტული საქმეები, მათი ვინც ასეთ დაწესებულებაში გადავა?

- ჯერჯერობით არა, ჩვენ ველოდებით საკანონმდებლო ცვლილებას. როგორც კი იქნება, სავარაუდოდ სექტემბრიდან დავიწყებთ უკვე ადამიანების შესწავლას. ესეც შესაფასებელია, ვინ იმსახურებს ასეთ რეჟიმს. ეს არის, ალბათ, დიდი საჩუქარი იმ ადამიანებისთვის ვინც შეირჩევა. სამწუხაროდ, ახლა არ გვაქვს საშუალება, რომ ბევრ ადამიანს შევთავაზოთ, მაგრამ გეგმაში გვაქვს, რომ მომავალ წელს ავაშენოთ კიდევ რამდენიმე ასეთი დაწესებულება. ვნახოთ, ბიუჯეტი როგორ მოგვცემს ამის საშუალებას. ასეთი დაწესებულებების აშენება იგეგმება გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, იმიტომ, რომ ადამიანი თუ იქნება თბილისში თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში და არის სამეგრელოდან, ბუნებრივია, მისი ოჯახში წასვლა და ა.შ. პრობლემას წარმოადგენს. ამიტომ ასეთი დაწესებულება უნდა გვქონდეს დასავლეთ საქართველოშიც. აი, ასეთი გეგმები გვაქვს ჩვენ...

- საკმაოდ ამბიციური გეგმებია...

- ჩემი აზრით, რეალისტურია. აუცილებელიცაა საქმეების დაბარისხება. ადამიანი, რომელიც არ არის კრიმინალი და პირველად ჩაიდინა მსუბუქი ხასიათის დანაშაული, რატომ უნდა აღმოჩნდეს კრიმინალებთან ერთად ციხეში?.. უკვე დიდი რისკია იმისა, რომ ის გავლენის ქვეშ მოექცევა. ჩვენ ვიცით, როგორი შესაძლებლობა აქვთ კრიმინალებს ფსიქოლოგიური გავლენის ქვეშ მოაქციონ სხვა ადამიანი. ამიტომ როცა ის გარეთ გამოვა, პირიქით, მისი მომავალი გაურკვეველი ხდება და შინაგანად მზად არის კონფლიქტისთვის კანონთან და საზოგადოებასთან. ამიტომ, ასეთი ადამიანები მოხვდებიან ცალკე, იქნებიან კრიმინალების გავლენისგან დაცული, რა თქმა უნდა, მათ დააშავეს და გარკვეულ პასუხს აგებენ, მაგრამ უფრო მსუბუქად. ესეც პირდაპირ მიმართულია იმისკენ, რომ განმეორებითი დანაშაული იქნება უფრო ნაკლები და უფრო მეტი ადამიანი იქნება რეაბილიტირებული.

- როგორც ცნობილია, ამნისტია შეეხო პრობაციონერებსაც, თუმცა გარკვეული პრობლემები შეიქმნა ნასამართლეობის მოხსნასთან დაკავშირებით. ვინ უნდა გასცეს ეს ცნობა? ისინი მიდიან მომსახურების საგენტოში და იქ ეუბნებიან, რომ სასამართლოს უნდა მიმართონ, როგორია პროცედურა?

- როდესაც პირი პირველად არის ნასამართლევი და მას ამნისტიით პირობითი მსჯავრი ეხსნება, მასთან ერთად, ეხსნება ნასამართლეობაც. თუ პირი ადრეც იყო ნასამართლევი, მაშინ, ამნისტიცის შედეგად, მას ნასამართლეობა არ ეხსნება და ასეთმა პირებმა, ნასამართლეობის ვადაზე ადრე მოხსნის თობაზე, სასამართლოს უნდა მიმართონ.

„ყველაფერი მიმართულია იქითკენ, რომ მოხდეს განმეორებითი დანაშაულის თავიდან არიდება. ეს კი პირდაპირ კავშირშია საზოგადოების უსაფრთხოებასთან“

„ადამიანის უფლებების დაცვა დაკავშირებულია წესრიგთან, ქვეყნის სტაბილურობასთან. ეს ზედმიწევნით არის გააზრებული წარმატებულ ქვეყნებში და ამიტომაც არის იქ ყველაფერი კარგად, ჩვენც სწორედ ეს გვინდა, რომ იყოს საქართველოში“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პაატა ზაქარეიშვილი თ

რა იმალება ბიძინა ივანიშვილის ქებათა ქებაში და რა რჩევა მისცეს პრემიერ-მინისტრს საპატრიარქოდან?

მირიან ბოქოლიშვილი

ბიძინა ივანიშვილის გამოქმაგების მიუხედავად, აღმასრულებელი ხელისუფლებიდან „რესპუბლიკური პარტიის“ ხავერდოვანი ჩაჩოჩება გრძელდება. „პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, დავით ზურაბიშვილის შემდეგ მალე პოსტს პაატა ზაქარეიშვილსაც დაატოვებინებენ. შიდა კულუარებში ამ საკითხზე უკვე აქტიურად საუბრობენ, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულმა საკადრო ცვლილებამ შესაძლოა გაამყაროს ხმები კოალიციის შიგნით რესპუბლიკელების შევიწროების შესახებ, ჯერჯერობით პრემიერი გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს. ერთ-ერთი ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილს ზაქარეიშვილის პოსტიდან ჩამოცილების რეკომენდაცია საპატრიარქოდან მისცეს. ეს მას შემდეგ, რაც რეინტეგრაციის მინისტრმა საქართველოს პატრიარქისა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრა სკეპტიკურად შეაფასა და განაცხადა, რომ „ამ შეხვედრიდან დიდი მოლოდინი არ აქვს“. ზაქარეიშვილისგან განსხვავებით, პატრიარქი იმედოვნებს, რომ რუსეთის პრეზიდენტი სიტყვას შეასრულებს.

ინფორმაცია, რომ რესპუბლიკელებს საქართველოს მთავრობაში წყალი საბოლოოდ შეუყენეს, ცნობილია „მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარის, იოსებ შატბერაშვილისთვისაც:

– პაატა ზაქარეიშვილის განცხადება პატრიარქის ვიზიტთან დაკავშირებით შეგვიძლია ავხსნათ, როგორც შური. ამას აკეთებდა ზუსტად მიხეილ სააკაშვილიც. გაგახსენებთ, როდესაც მისი უწმინდესობა მოსკოვში ჩავიდა და ერთი მოლაპარაკებით შეძლო ის, რომ პერევიდან რუსები გავიდნენ, სააკაშვილმა იმდენი გააკეთა, რომ იმ სოფელში მეორე დღესვე დაბრუნდა რუსის ჯარი. ვფიქრობ, დაახლოებით მსგავს პოლიტიკას აწარმოებს ზაქარეიშვილი. მე არ გამოვრიცხავ, რომ მისმა განცხადებებმა რეალურად ხელი შეუშალოს პატრიარქის მიერ წამოწყებულ პროცესს. ეს თუ ასე მოხდა, ცხადია, მას მოსთხოვენ პასუხს და უკვე საუბარია, რომ შესაძლოა, მან გაიზიაროს თავისი თანაპარტიელის, დავით ზურაბიშვილის ბედი. ცალსახაა, რომ მისი უწმინდესობის უკან დგას დიდი ავტორიტეტი, რომელსაც შეუძლია პრობლემური საკითხების გადაწყვეტა და კარგი იქნება, თუ ამას პაატა ზაქარეიშვილი ხელს არ შეუშლის.



– ხომ არ ფიქრობთ, რომ თვითონ კოალიციის შიგნითაც აქტიურად მიმდინარებს „რესპუბლიკური პარტიის“ საწინააღმდეგო კამპანია?

– ამ საკითხზე თვითონ პრემიერმა ისაუბრა, როდესაც თქვა, რომ ძალიან ცუდი კამპანია მიდის რესპუბლიკელების წინააღმდეგ, თავი დაანებეთ, ისინი პატიოსანი და პატრიოტი ადამიანები არიანო. ივანიშვილმა ეს სიტყვიერად განაცხადა, მაგრამ კონკრეტული ნაბიჯებით კარგად გამოჩნდა, რომ ბიძინა ივანიშვილი ითვალისწინებს საზოგადოებრივ განწყობას „რესპუბლიკური პარტიის“ მიმართ. ჯერ დავით ზურაბიშვილი გაათავისუფლეს, ახლა უკვე ზაქარეიშვილის განთავისუფლება დგას დღის წესრიგში. ასე რომ, ივანიშვილი ერთს ამბობს და მეორეს აკეთებს. ამას მოწმობს თუნდაც თავის დროზე ჯანდაცვის მინისტრად ამირან გამყრელიძის დასახელება, რომელმაც განაცხადა, რომ უმუშევრები მიიღებდნენ კომპენსაციას. შემდეგ ივანიშვილმა, როგორც ჩანს, კარგად გადაიანგარიშა და გაარკვია, რომ ასეთი ამბიციური დაპირება ბიუჯეტში ვერ ჩაიდებოდა. ამ ყველაფერს კი გამყრელიძის თანამდებობა შეეწირა. ასეთი შემთხვევები ხშირია. თუ-

ყატარის ავიახაზებმა ახალი ოფისი გახსნა

„ყატარის ავიახაზების“ საქართველოს წარმომადგენლობამ 5-ვარსკვლავიანი სტანდარტით ახალი ოფისი გახსნა. „პიარ ოფისი ჯი“-ს ინფორმაციით, ახალი ოფისი ბიზნეს ცენტრის - „პირიმზე პლაზა“-ს პირველ სართულზე იფუნქციონირებს.

მსოფლიოში საუკეთესო ხუთვარსკვლავიანი ავიაკომპანია “ყატარის ავიახაზები” თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან დოჰა-თბილისის მიმართულებით რეგულარული ავიარეისებს 2012 წლის 1 თებერვლიდან ასრულებს. “ყატარის ავიახაზები” ყატარის ნაციონალურ ავიაკომპანიას წარმოადგენს, რომლის სათაო ოფისი დოჰაში მდებარეობს.

„ყატარის ავიახაზები“ მუდმივად მზარდი და გლობალური ქსელითაა წარმოდგენილი მსოფლიოს საუკეთესო მიმართულებებით: აზია, აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი, ავსტრალია, სამხრეთ ამერიკა და ინდოეთის სუბკონტინენტი. თბილისიდან დოჰას გავლით კომპანია 128 მიმართულებით ფრენებს ყოველდღიურად ახორციელებს.

2013 წელს „ყატარის ავიახაზების“ ბიზნეს კლასი, მსოფლიოს საუკეთესო ბიზნეს კლასად დასახელდა, ხოლო დოჰას საერთაშორისო აეროპორტის პრემიუმ ტერმინალი, უკვე მესამედ, 2013 წელს აღიარეს საუკეთესო პრემიუმ მომსახურების აეროპორტად.

ყატარის ავიახაზებma 250 ახალი თვითმფრინავის შეძენაში, 50 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტირება მოახდინა. კერძოდ: ბოინგ 787 s, 777 s, ეარბას A350s, A380s და A320. იმის გარდა რომ ავიაკომპანიებისა და აეროპორტების მომსახურების ხარისხის კვლევისა და შეფასების მსოფლიოში აღიარებული ორგანიზაციის SKYTRAX - ის 2011/2012 წლის მონაცემებით, “ყატარის ავიახაზები” მსოფლიოს საუკეთესო ავიაკომპანიის ჯილდოს მფლობელი გახდა. დამატებით 7 წლის მანძილზე ის სახელდებოდა შუა აღმოსავლეთის საუკეთესო ავიახაზებად. 2012 წლის ოქტომბერში ყატარის ავიახაზებმა სპარსეთის ყურის ქვენყებს შორის ექსკლუზიურად მიიღო პირველი გამოწვევა oneworld ალიანსში გასაწევრიანებლად.

ყატარის ავიახაზები მომხმარებელს 5 - ვარსკვლავიან ბორტზე, საუკეთესო მომსახურებასთან ერთად მსოფლიოში განთქმული მზარეულების კერძების დაგემოვნებას და გართობის მრავალ სახეობას სთავაზობს.

(A)

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:
ყატარის ავიახაზების წარმომადგენლობა საქართველოში
მისამართი: ბიზნეს ცენტრი პირიმზე პლაზა. ვეკუას ქ. №3. 0105 ქ. თბილისი,
სამუშაო საათები: ორშაბათი-პარასკევი
ტელ: (+995 32) 2 439608; 248 60 00
ფაქსი: (+995 32) 2 439607
ელ-ფოსტა: infotbs@ge.qatarairways.com /
ვებ-გვერდი: www.qatarairways.ge

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ანამდეგოგას ტოვებს?

„ეს თუ ასე მოხდა, რეინტეგრაციის მინისტრს მოსთხოვენ პასუხს... უკვე საუბარია, რომ შესაძლოა, მან დავით ზურაბიშვილის ბედი გაიზიაროს“

ნდაც გავიხსენოთ ალასანიას თემა. ის გახლდათ პირველი ვიცე-პრემიერი და სრულიად მოულოდნელად ჩამოაქვეითა. რესპუბლიკელების ჩაჩოჩების ხაზის გაგრძელებაა დავით კირვალიძის ირგვლივ აგორებული სკანდალი. მოგეხსენებათ, ის გახლავთ ვახტანგ ხმალაძის სიძე, რომელსაც თითქმის ყოველდღე დაატარებენ საგამოძიებო ორგანოებში. ასე რომ, ნუ გაგიკვირდებათ, თუ უახლოეს ხანში, პაატა ზაქარეიშვილის განთავისუფლებას შეიტყობთ. გარეგნულად კოალიცია მოჩვენებით სიმტკიცეს ინარჩუნებს, სინამდვილეში კი მის შიგნით სერიოზული ბრძოლაა გაჩაღებული.

აპირებს თუ არა ბიძინა ივანიშვილი რესპუბლიკელების ჩაჩოჩებას? თუ მისი საჯარო განცხადებით ვიმსჯელებთ – არა. თუმცა გამოცდილებამ მართლაც აჩვენა, რომ ივანიშვილის ვერბალური განაცხადი ხშირად მის მიერვე გადადგმულ ნაბიჯებთან შეუთავსებელია. თავის დროზე, ალბათ, გოგა ჩრდილელსაც ეგონა, რომ ივანიშვილის ნდობით აღჭურვილი პირი იყო და მილიარდერიც ისეთ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა მის მიმართ, რომ ეჭვის შეტანა, ცხადია, ძნელი იქნებოდა. წლების განმავლობაში ის „ქართუ ბანკის“ პრეზიდენტის თანამდებობაზე მუშაობდა და ივანიშვილი ისეთ პრივატულ საკითხებზეც კი ესაუბრებოდა, როგორიცაა პოლიტიკაში მისი შესაძლო ჩართულობა. თუმცა ერთ მშვენიერ დღეს გოგა ჩრდილელმა პრესის საშუალებით შეიტყო, რომ ის, რასაც ივანიშვილი მას ესაუბრებოდა, რეალურად ფანდი იყო და სხვა არაფერი. აი, რა განცხადება გაავრცელა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლიდან პირველივე დღეებში.

„მთელი მთავრობა, მთელი სახელისუფლებო გუნდი გაოგნებული ხართ, რატომ გაიგეთ ასე დაგვიანებით ინფორმაცია ჩემი პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილების შესახებ. საქმე ის არის, მე ვისარგებლე ჩემს ორგანიზაციაში თქვენ მიერ დავერბოვკებული თქვენი აგენტის უფასო „მომსახურებით“, რომელსაც პერიოდულად ვარწმუნებდი, რომ პოლიტიკაში არასოდეს არ მოვიდოდი, რომ ეს სფერო საერთოდ არ მაინტერესებდა და მალე საქართველოსაც დავტოვებდი. თქვენი აგენტიც იჯერებდა ჩემს ნათქვამს და მერე თქვენც გარწმუნებდათ, რომ ჩემი მხრიდან პოლიტიკაში მოსვლა გამორიცხულია. თქვენც მშვიდად და არხეინად ბრძანდებოდით, ამიტომაც იყო შოკის მომგვრელი და თავზარდამცემი ჩემი განცხადება თქვენთვის“, – წერდა 2011 წელს ბიძინა ივანიშვილი. მისივე თქმით, ეს „აგენტი“ გიორგი ჩრდილელი იყო.

ამ ერთი მაგალითითაც კარგად ჩანს ივანიშვილის ხელწერა. ის, ერთი მხრივ, ახლო ურთიერთობას ამჟღავნებს კონკრეტულ პირთან, მეორე მხრივ კი, არაა გამორიცხული, მას საკმაოდ უსიამოვნო სიურპრიზი მოუწყოს. ასე რომ, საუბრები იმაზე, რომ ბიძინა ივანიშვილი გულწრფელად შეწუხებულია „რესპუბლიკური პარტიის“ წინააღმდეგ აგორებული კამპანიით, დასკვნების საშუალებას ჯერ კიდევ არ იძლევა.

თავად რესპუბლიკელების ლიდერმა, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა კი მთელ ამ პროცესს გასულ კვირას „მე-9 არხის“ ეთერით უპასუხა.

„რესპუბლიკელები რასაც ვიტანთ და ავიტანთ, ყველას ვთხოვთ, იმის ნახევარი აიტანოს“, – განაცხადა უსუფაშვილმა და გადაცემის წამყვანის შეკითხვაზე საპასუხოდ, ვისგან უწევთ რესპუბლიკელებს დარტყმების ატანა, პარლამენტის თავმჯდომარემ განმარტა, რომ „ყველასგან“.

რაც შეეხება „რესპუბლიკურ პარტიასთან“ მიმართებაში პრემიერის მიერ გაკეთებულ განცხადებას და შეკითხვას, რაში დასჭირდა ბიძინა ივანიშვილს რესპუბლიკელების დაცვა, უსუფაშვილის თქმით, „ალბათ, თვითონაც რაღაცით შეწუხდა“.

„რესპუბლიკური პარტიის“ მიმართ საზოგადოების გარკვეული წრის მხრიდან ნეგატიური დამოკიდებულება არსებობს, თუმცა ვფიქრობ, რომ პარტია სწორ გზას ადგას, რაც არ უნდა ბევრი გვიკიჟინონ გარედან, რომ 2%-იანი პარტია ვართ, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა გააცოცხლა. მაინტერესებს, ვინაა ის 20%-იანი პარტია, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა ვერ შენიშნა პოლიტიკურ სპექტრში და კოალიციის გარეთ დატოვა? მეორეც – „რესპუბლიკური პარტიის“ ხედვები არის ძალიან მკაფიო – თავისუფლება, ძალიან ბევრისთვის კი ეს მართლაც სერიოზული ტვირთია. თავისუფლება აღელვებთ ადამიანებს. არის ხალხი, რომელსაც ამის ეშინია, რომელიც ფიქრობს, რომ ევროპასთან დაახლოება გამოიწვევს ქართული კულტურის გადაშენებას. ეს შიში, სხვათა შორის, ძალიან ღრმაა. ჩვენ ვართ ის პარტია, რომელსაც არც „მარშრუტკის“ ხაზები ჩაგვიდია ჯიბეში, როცა ამით იზომებოდა, კაცი იყავი თუ არა, არც ვინმეს წილებში ჩავმჯდარვართ და არც ქრთამების სანაცვლოდ გვიკეთებია რაღაცები. ეს ვიღაცას დისკომფორტს უქმნის. მაგალითად: პარლამენტის აპარატში 140 ვაკანსიაზე გვაქვს კონკურსი გამოცხადებული, ალბათ, 240 ადამიანი მაინც მოვიმდურე, თან ძალიან სერიოზულად, რადგან არიან ადამიანები, რომლებსაც ვერ წარმოუდგენიათ, რომ სატრანსპორტო განყოფილების მდივნის თანაშემწე არ შემიძლია დავანიშნინო“, – აღნიშნა უსუფაშვილმა.

„ჯერ დავით ზურაბიშვილი გაათავისუფლეს, ახლა უკვე ზაქარეიშვილის განთავისუფლება დგას დღის წესრიგში“

დავით უსუფაშვილი: „რესპუბლიკელები რასაც ვიტანთ და ავიტანთ, ყველას ვთხოვთ, იმის ნახევარი აიტანოს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„პრაიმტაიმს“ ადეიშვილის პროკურა

მარიამ ნადირაძე

უკვე ძალიან ხშირად ვისმენთ პრეტენზიებს პროკურატურის მისამართით. მთავარი პრეტენზია კი ის არის, რომ კბილაშვილის უწყება ძველი მეთოდებითა და ძველი კადრებით მუშაობს.

ამ ფონზე „პრაიმტაიმის“ მკითხველს, ალბათ, დააინტერესებს ის სქემა, როგორ მუშაობდა პროკურატურის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი ადვოკატების „დასავერბოვკებლად“, რათა მათ შემდეგ თავად პროკურორები მოექციათ მათივე კოლეგების კლანჭებში.

თუმცა ამ რებუსებით საუბარს, ალბათ, აჯობებს პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ:

ადვოკატთა წრეში კარგად იციან, ვინ არის ქალაქის პროკურორის ყოფილი პირველი მოადგილე, ვახტანგ იაშვილი. მას მოკლედ ადვოკატებზე მონადირესაც ეძახდნენ. მისი ერთ-ერთი „მსხვერპლი“, ყოფილი ადვოკატი, ლელა აბაშმაძე დღეს „პრაიმტაიმის“ მკითხველს დაუჯერებელ ამბებს მოუყვება:

– 1999 წლიდან 2004 წლამდე სააპელაციო სასამართლოში ვიყავი მოსამართლის თანაშემწე. 2004 წლიდან წამოვედი სასამართლოდან. ადვოკატობა იყო ყოველთვის ჩემი სურვილი. მერე ვმუშაობდი ადვოკატად.

2010 წლის მარტში, რიცხვი არ მახსოვს ზუსტად, დაახლოებით ღამის პირველი საათი იქნებოდა, დამირეკა ოჯახის ახლობელმა ქალბატონმა, მისი მეგობრის დახმარების თხოვნით. დავთანხმდი შეხვედრაზე. მოვიდნენ და მითხრეს, რომ ეს ქალბატონი იყო ნანა ვაშაყმაძე, რომელსაც ნარკოტიკულ დანაშაულზე ძმა ჰყოლია დაკავებული. მთხოვა, რომ გამეწია იურიდიული დახმარება, მაგრამ არ ჰქონდა ფული. მითხრა, თქვენთან მოსვლამდე 4 ადვოკატთან ვიყავი, მაგრამ არავინ გამომყვაო. დამპირდა, რომ საადვოკატო მომსახურების ანაზღაურებისთვის თანხა ექნებოდა ერთი თვის განმავლობაში. რა თქმა უნდა, დავთანხმდი, მანამდეც ბევრი მქონდა ასეთი შემთხვევა. შევთანხმდით, რომ ჩემი მომსახურება 1 წლის განმავლობაში 3 ათასი ლარი დაუჯდებოდა. ჩემი გამოცდილებით კი, ისიც ვუთხარი, რომ, რაკი მის ძმას აღიარება ჰქონდა მიცემული და გამოძიებასთან თანამშრომლობდა, დიდი ალბათობით, პროკურატურა საპროცესო გარიგებაზე წამოვიდოდა. პრეტენზია არ გამოუთქვამს. მეორე დღიდანვე შევუდექი საქმიანობას, ყველა საგამოძიებო მოქმედებას ვესწრებოდი – ბრალის წარდგენას, აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებას. აღმკვეთის შეფარდების დროს, სასამართლოს წინაშე დავაყენე შუამდგომლობა გირაოზე. ამ სხდომაზე ბრალდების მხარეს წარმოადგენდა პროკურორი კახა ცნობილაძე. მან იმ პროცესის დროსვე დააფიქსირა, რომ ვინაიდან ბრალდებულს ნათანამშრომლები ჰქონდა, გირაოთი ვერ გაუშვებდნენ, მაგრამ საპროცესო გარიგებაზე მსჯელობა შეიძლებაო. ანუ, საპროცესოზე თანხმობა იქვე, სასამართლოში, აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების დროს გამოითქვა. ეს საუბარი ყველას თანდასწრებით შედგა. ერთი თვის განმავლობაში ოთხჯერ ვიყავი პატიმართან შესული, გლდანის ციხეში. ის იყო ავად შაქრიანი დიაბეტით. ამას გარდა, ფეხის თითზე განგრენა ჰქონდა დაწყებული და არ ჰქონდა ფორმა #100. მოგეხსენებათ, მაშინ რა მდგომარეობა იყო ციხეებში. ამას გარდა, დაზღვევას შეჰქონდა მედიკამენტები და ფორმა #100-ს თუ არ წარადგენდა მსჯავრდადებული, წამლებს ვერ იღებდა. იმდენჯერ შევაწუხე მთავარი ექიმი და ციხის ადმინისტრაცია, რომ თვითონ პატიმარმა მითხრა, ლელა, ძალიან დიდი მადლობა, სხვა პატიმრის წამალს მიყოფენო. სხვა პატიმართანაც რომ შევდიოდი ციხეში, ამ პატიმრის მდგომარეობას მაინც ვკითხულობდი, მთავარი ექიმის მეშვეობით.

ვახტანგ იაშვილი

„დაიწყო ჩემი და ვახო იაშვილის ექვსსაათიანი დიალოგი-ბრძოლა... საუბარი დაიწყო იმით, რომ მე მეთქვა, თითქოს ფული მიმქონდა პროკურორ კახა ცნობილაძესთან“

რამდენი აგენტი ადვოკატი ჰყავდა ადეიშვილის ფავორიტს?

– ფორმა #100-ის მოპოვება რა პრობლემა გახდა?

– რა დროს ეს იყო, როცა თურმე ჩემს დასაჭერად მუშაობდა ეს ხალხი, მე კიდევ დავდიოდი და ამ ცნობაზე 15 წუთში ერთხელ ვურეკავდი და ვთხოვდი მის დას. ალბათ, 3 აპრილი იქნებოდა, როცა ვაშაყმაძეს იგივე მოთხოვნით დავურეკე და ვუთხარი, რომ მის ძმას წამალს აღარ მისცემდნენ. მითხრა, რომ ქუთაისში მიდიოდა, ამ პრობლემასაც მოაგვარებდა და 6 აპრილს ფულსაც ჩამომიტანდა. რომ გითხრათ, წინააღმდეგობა გავუწიე-მეთქი, მოგატყუებთ.

– ამ ყველაფერში არის რამე კრიმინალი?

– არანაირი. სრული უფლება მაქვს, მომსახურებისთვის ფული ავიღო ნაღდი ანგარიშსწორებით. როგორც ჩემთვის მერე გახდა ცნობილი, ამ ქალბატონს დაუწერია განცხადება ქალაქის პროკურორის პირველ მოადგილესთან, ვახო იაშვილთან და ეს თემა უკვე მუშავდებოდა, რომ ის 6 აპრილს ჩემთან ფულს მოიტანდა. საღამოს 6 საათზე რომ მოვიდა ჩემთან ეს ქალბატონი, უკვე აღჭურვილი იყო ვიდეოთვალით, მოიტანა ეს ფული, დაითვალა, რაღაცები დაიწყო – ბავშვები სიბნელეში მარტო მყავს დატოვებული, მეჩქარებაო. ვეხვეწებოდი, დამელოდეთ-მეთქი, რადგან ხელშეკრულება გაფორმებული მქონდა, გამზადებული იყო და ამის ხელმოწერა მჭირდებოდა. ვუთხარი, ცოტა ხანს მოიცადეთ, მანქანა გაშვებული მყავს პროფილაქტიკაში, 10 წუთში მოვა და მე თვითონ გაგიყვანთ-მეთქი. უარზე იდგა, არა, მეჩქარება, აჰა, ეს ფული, გინდა პროკურატურაში წაიღე, გინდა სასამართლოშიო. უცებ შევშფოთდი, ქალბატონო ნანა, რას კადრულობთ, დაფიცება შემიძლია, რომ მსგავსი რამ არავის მოუთხოვია, ეს აზრი რატომ მოგივიდათ-მეთქი? ეს ფრაზა იმ დისკში ამოჭრილია, რომელიც მოგვიანებით პროკურატურამ სასამართლოზე მტკიცებულებად წარმოადგინა. მერე გრძელდება საუბარი ასე: ის ქალბატონი მეუბნება, დაურეკე, აბა გაარკვიე, რაშია საქმე? მეც ვეუბნები, დავურეკავ, აბა, რას ვიზამ-მეთქი. ოღონდ რეალური კონტექსტი იყო, რომ უნდა დამერეკა საპროცესო შეთანხმების გასარკვევად. პროკურატურამ კი იმის მტკიცებულებად წარმოადგინა, თითქოს, მე უნდა დამერეკა იმისთვის, ვისთვისაც ეს ფული უნდა მიმეტანა. თან ამ ქალბატონს ვუხსნიდი, რომ საპროცესოს საკითხი ასე უცებ არ წყდებოდა, პროცესი იყო დანიშნული. ორი პირი იყო დაკავებული. მეორე არ აღიარებდა დანაშაულს. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს უნდა დაედასტურებინა წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება პროცესზე და ამის შემდეგ უკვე საპროცესო შეთანხმებაზე წავიდოდა საუბარი. ამ რაღაცებს ვუხსნიდი ამ ქალბატონს. ამაში არაფერი განსაკუთრებული არ იყო.

– დავურეკავო, როცა ამბობდით, პროკურორს გულისხმობდით?

– რა თქმა უნდა, რადგან ის იყო ერთადერთი, ვისაც შეიძლებოდა პასუხი გაეცა, რა პირობაზე შეიძლებოდა შევთანხმებულიყავით საპროცესო გარიგების დროს. ეს აპრობირებული მეთოდი გახლდათ. თუ პროკურატურის მხრიდან იყო თანხმობა, დაახლოებით გვეუბნებოდნენ პირობებს, რადგან ოჯახი მზად ყოფილიყო, როცა შეთანხმების დრო მოვიდოდა. დალაგებული ფული არავის ჰქონდა, ხომ? 10 ათასი და 15 ათასი იყო მინიმალური თანხა ასეთი შეთანხმებების დროს. ოჯახი უნდა მომზადებულიყო ამ პროცედურისთვის. როცა გადიოდა, მეჩქარებაო, კიდევ ერთხელ ვთხოვე, გაჩერებულიყო, ისიც შევთავაზე, რომ მის ტაქსს, რომელიც თითქოსდა გარეთ ელოდა, ფულს მე გადავუხდიდი და გავისტუმრებდი, ოღონდაც გაჩერებულიყო და ხელშეკრულებაზე ხელი მოეწერა. ვთავაზობდი, მანამდე ჩაი დალიეთ და ამასობაში მანქანაც მოვა-მეთქი. ამ საუბრით მივყვებოდი. ეს საუბარიც ამოჭრილი იყო და მხოლოდ ორი სიტყვა იყო დატოვებული – „ახლა მოვა“... ერთი სიტყვით, ჩანაწერში დიალოგი ისე იყო დატოვებული, რომ ვერ გაგერკვია, ვინ მოდიოდა, რა მიზნით... პროცესზე წარმოდგენილ დისკში ეზოს საუბარი საერთოდ არ იყო. მერე მე ალტერნატიული ექსპერტიზა გავაკეთე და იქ უკვე გამოჩნდა დიალოგის ერთი ნაწილი. ვთქვათ, ის, რომ ვეუბნებოდი, ხელშეკრულებაზე მომიწერე ხელი-მეთქი. პროცესზე საერთოდ უარყოფდნენ ეზოში ლაპარაკის ნაწილს. მაგრამ როცა ალტერნატიულში გამოჩნდა, უკვე გადაწყვიტეს, რომ ეთქვათ, თითქოს სესხის ხელშეკრულებაზე იყო საუბარი. ასე დაარიგეს პროკურატურაში დაზარალებული. მე, ადვოკატმა, რომელსაც უფლება მაქვს, დაგიდო მომსახურების ხელშეკრულება, რატომ უნდა გაგიფორმო სესხის ხელშეკრულება? ლოგიკა ხომ უნდა იყოს? შემიძლია გავაფორმო 10 ათასზე, არ ვარ შეზღუდული და რატომ გაგიფორმებ 2500 ლარზე და 3000 ლარზე სესხის ხელშეკრულებას?

როცა პროკურატურაში მიმიყვანეს, მაშინ ის დიღომში, პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობაში იყო, დაიწყო ჩემი და ვახო იაშვილის ექვსსაათიანი დიალოგი-ბრძოლა... საუბარი დაიწყო იმით, რომ მე მეთქვა, თითქოს ფული მიმქონდა პროკურორ კახა ცნობილაძესთან.

მკითხა, რა ხდება, რატომ გაქვს ამდენი საპროცესო შეთანხმება მიღწეული, ვისთან ხარ გარიგებაშიო? განსაკუთრებით გენერალურ პროკურატურაში ნაწარმოებ სა-

„შემდეგ სხვა შემოთავაზებაზე გადავიდა – სავარაუდო სია გავაკეთოთ შენი ნაცნობი პროკურორების, მოსამართლეების, თანამდებობის პირების, მე გეტყვით, ვინც არიან ჩვენთვის საინტერესო ადამიანები, შენი სამსახური სამშობლოს სჭირდება, შენ წახვალ ამ ადამიანებთან, ზოგს ქრთამის აღებაზე დაიყოლიებ, ზოგს სხვა რამეზე და ჩანაწერებს მე მომიტანო. თუ ქრთამი არ მივეცი, მერე რა იქნება-მეთქი? შენ ის გააკეთე, რასაც ჩვენ გეტყვით, დანარჩენი ჩვენ მოგვანდე, ვიცით, რაც უნდა ვქნათო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ტურის მუშაობის სქემას უშიფრავენ

„იმ დროისთვის ადვოკატებს ერთადერთი შანსი სწორედ ეს გვქონდა, რომ საპროცესო გარიგებისთვის მიგვეღწია. კლიენტის მთავარი მოთხოვნაც ხშირ შემთხვევაში ეს იყო“

ლელა აბაშმაძე

EXCLUSIVE

როგორ იჭერდნენ პროკურორებს?

ქმეებზეო? საუბარი იყო ნარკოტიკულ დანაშაულებზე. ავუხსენი, რომ ძირითადად ამ დანაშაულზე იჭერდნენ ხალხს და საპროცესოებიც ძირითადად ასეთი კატეგორიის დანაშაულებზე კეთდებოდა. გინდა თუ არა, ვისთან ხარ გარიგებაში გენერალურ პროკურატურაშიო. არავისთან-მეთქი, ვარწმუნებდი, თანაც არაფერს ისეთს არ ვაკეთებდი, რაც ქვეყანაში არ კეთდებოდა. იმ დროისთვის ადვოკატებს ერთადერთი შანსი სწორედ ეს გვქონდა, რომ საპროცესო გარიგებისთვის მიგვეღწია. კლიენტის მთავარი მოთხოვნაც ხშირ შემთხვევაში ეს იყო. კი ბატონო, ვეხვეწებოდი და ვემუდარებოდი ყველას, ნაცნობობაც შეიძლებოდა გამომეყენებინა ამისთვის. შენ რომ ყოფილიყავი, მოვსულიყავი და მეთქვა, გაჭირვებულია, უბედურია, მოხდა, შეეშალა, გადაცდა, კი ბატონო, ვაღიარებთ, ვინანიებთ, მაგრამ მოდი, რა, გვიშველე, გამიკეთე საპროცესო, არ მომისმენდი-მეთქი? კი, მოგისმენდიო. ჰოდა, ზუსტად ასე იყო სხვების შემთხვევაშიც-მეთქი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინმესთან კორუფციულ გარიგებაში შევდივარ, ან ქრთამი მიმაქვს. დაფიცება შემიძლია, რომ არათუ ქრთამი, საჩუქარიც კი არავისთან მიმიტანია. ამ ყველაფერს ვუხსნიდი ვახოს. კარგი, რაო... და დამისახელა ერთი მაღალჩინოსნის სახელი და გვარი, იმას ხომ იცნობო? ის ადამიანი გენერალური პროკურორის მოადგილე იყო და როდესაც მე დამაკავეს, უკვე სხვა უწყებაში ჰყავდათ გადაყვანილი მოადგილედ. შეგნებულად ვერ დავასახელებ მის ვინაობას. დავთანხმდი, რომ ვიცნობდი, რადგან ეს მთელმა ქვეყანამ იცოდა, ვინაიდან მე და ის ადამიანი საოლქო სასამართლოშიც ერთად ვმუშაობდით. მისი სახელი რომ ახსენა, გავოცდი, რადგან მისი პრინციპულობა საქვეყნოდ იყო ცნობილი და გამიკვირდა, მისგან რა უნდოდათ. თანაც საკმაოდ წონიანი პიროვნება იყო. ხომ იცნობთ ამ ადამიანს და ასეთ რაღაცას რატომ მეუბნებით-მეთქი? მის კაბინეტში ბნახეო. იმ დროისთვის მე ვპატრონობდი ქუჩის ბავშვებს. ამის გამო გიგა ბოკერიას კაბინეტშიც ვიყავი-მეთქი, ლევან ბეჟაშვილის კაბინეტშიც, მარინა სალუქვაძის გადაცემაშიც ვიყავი მიწვეული და სადაც შემიძლია, ყველგან დავრბივარ ამ ბავშვების პრობლემების გამო-მეთქი.

– ვახო იაშვილი ადეიშვილის იმ ყოფილი მოადგილისთვისაც გთხოვდათ ხელის დადებას?

– დიახ. ვახო იაშვილმა ორი ადამიანი დამისახელა კონკრეტულად – ცნობილაძე და ის მაღალჩინოსანი. ამაზეც რომ უარი მიიღო, მითხრა, ახლა იმ ადამიანს დავურეკე, რომელსაც შენ ასე იფარავ და იმან იცი, რა მითხრაო? ლელა აბაშმაძეს საერთოდ არ ვიცნობ, ვიღაც თაღლითია და დაიჭირეთ, ერთი მაგისიცო, შეგაგინაო. ხომ ხედავ, შენ ყველას ხელს აფარებ, თვითონ კიდევ, როგორ გაგწირა და გაგიმეტაო.

შემდეგ სხვა შემოთავაზებაზე გადავიდა – სავარაუდო სია გავაკეთოთ შენი ნაცნობი პროკურორების, მოსამართლეების, თანამდებობის პირების, მე გეტყვით, ვინც არიან ჩვენთვის საინტერესო ადამიანები, შენი სამსახური სამშობლოს სჭირდება, შენ წახვალ ამ ადამიანებთან, ზოგს ქრთამის აღებაზე დაიყოლიებ, ზოგს სხვა რამეზე და ჩანაწერებს მე მომიტანო. თუ ქრთამი არ მივეცი, მერე რა იქნება-მეთქი? შენ ის გააკეთე, რასაც ჩვენ გეტყვით, დანარჩენი ჩვენ მოგვანდე, ვიცით, რაც უნდა ვქნათო. მე ვუთხარი, – სავარაუდო სია რომ დავწეროთ, სავარაუდოდ, უნდა ვიცოდე, ვისთან უნდა მივიდე და შევთავაზო ქრთამი. მე ეს სავარაუდოდაც არ შემიძლია რომელიმეზე ვთქვა-მეთქი. როცა არ გქონია ასეთი ურთიერთობა ადამიანთან, როგორ ვივარაუდო, რომ ის ქრთამს აიღებს? ვერ გავბედავ ამ თემით ვერავისთან მისვლას, ეს გამორიცხულია-მეთქი. ვახტანგ იაშვილმა მითხრა, – შენ არ გინდა სამშობლოს სამსახური გაუწიოო. იანვრიდან 3 აპრილამდე 86 ადვოკატი დავიჭირეო. მათგან 24-ზე აღიძრა საქმე, დანარჩენებზე მწვანეა ანთებული, ცხოვრობენ ბედნიერად და ფულსაც შოულობენო. გადაწყვიტე, საით გინდა – 25-ე დაკავებული იყო, თუ ბედნიერად იცხოვროო? თან მითხრა, გპირდები, არავინ შეგეხება, შენ სახელი არ გაქვს გაფუჭებული, არც აგენტი ხარ, ვერავინ იეჭვებს შენზე ვერაფერს და ზუსტად ის ხარ, ვინც მე და სამშობლოს გვჭირდებაო. პირობას გაძლევ, რომ არ გაიშიფრები, რადგან შენი არგაშიფვრა, პირველ რიგში, ჩემი ინტერესიაო. როდესაც ამ ყველაფერზე კატეგორიული უარი მიიღო და გამოვუცხადე, ბატონო, დავასრულეთ საუბარი, 25-ე ვარ იმ 86-კაციან სიაში-მეთქი, ოთახში მარტო დამტოვა. ნახევარი საათის შემდეგ ისევ მოდის და მთავაზობს, – შენს საკითხს ვათანხმებთ და ერთადერთი, რაც შეიძლება გაგიკეთო, დაწერე აღიარება თაღლითობის მცდელობაზე, გაგიშვებ და სასამართლოშიც გირაოს მოთხოვნით შევალ. სხვანაირად ვერაფრით დაგეხმარები, რადგან შენი დაკავება ცნობილი გახდა ყველასთვის და სხვანაირად ვერ გაგიშვებო. თუ არ აღიარებ, კარგად იცი, ჩვენ რომ აღმკვეთზე პატიმრობით შევალთ, სასამართლო ყველა ვარიანტში დააკმაყოფილებსო. არსებული რეალობიდან გამომდინარე, როცა დავფიქრდი, ერთადერთ გამოსავლად მეც ეს ჩავთვალე. ბოლოს და ბოლოს, ქალაქის პროკურორის პირველმა მოადგილემ შემომთავაზა ეს. დიდ გაურკვევლობაში ვიყავი, ვერ ვხვდებოდი, რა ხდებოდა ჩემს თავს. როცა არაფერს აშავებ, არც არაფერს ელოდები.

– რა ფორმით აღიარეთ დანაშაული?

– რომ თითქოს იმ ქალს ვუთხარი, მომიტანე ფული და მერე სად წავიღებ მე მას, შენი საქმე არ არის, მთავარია, საქმე გაკეთდებამეთქი.

– აღმკვეთზე გირაო მოითხოვა პროკურატურამ?

– არა. პატიმრობა მოითხოვა. თუმცა პროკურორი, რომელიც სასამართლოზე გამოდიოდა, მეუბნებოდა, თაღლითობის მცდელობის კვალიფიკაციაა, არ ვართ შენ მიმართ ცუდად განწყობილი, ხომ იცი, რა სიტუაციაა, ხომ იცი, რა დროა, არაფერი თქვა სასამართლოზეო? ამ ყველაფერს იმიტომ მეუბნებოდა, რომ შემატყო, გაგიჟებული ვიყავი, პროკურატურამ რომ მომატყუა. ეს პროკურორი მეუბნებოდა, საპროცესოს გაგიკეთებთ და სანამ ძიება დამთავრდება, გამოგიშვებთო. ახლა რომ გაართულო, ხომ იცი, რომ 5 წელს ვერ ასცდებიო. მეც ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინე, მაგრამ აღმკვეთის დროსაც ხმა არ მომიღია. მერე უკვე საპროცესოს ინტერესიც აღარ მქონდა და გადავწყვიტე, აღარ გავჩუმებულიყავი.

ამისთვის გამიშვეს 5 წლით ციხეში.

ლელა აბაშმაძე პატრიარქის შუამდგომლობით 2012 წლის დეკემბერში პრეზიდენტმა შეიწყალა. რაკი ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნა იგვიანებს, ყოფილი ადვოკატი პროკურატურაში აპირებს განცხადების შეტანას, რომ ყოფილ პროკურორ ვახტანგ იაშვილის მიმართ დაიწყოს სისხლის სამართლის გამოძიება, მტკიცებულების გაყალბებაზე და დანაშაულის პროვოცირებაზე.

„ვახტანგ იაშვილმა მითხრა, – შენ არ გინდა სამშობლოს სამსახური გაუწიოო. იანვრიდან 3 აპრილამდე 86 ადვოკატი დავიჭირეო. მათგან 24-ზე აღიძრა საქმე, დანარჩენებზე მწვანეა ანთებული, ცხოვრობენ ბედნიერად და ფულსაც შოულობენო. გადაწყვიტე, საით გინდა – 25-ე დაკავებული იყო, თუ ბედნიერად იცხოვროო?“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლევან კორტავას

მარიამ ნადირაძე



ხათუნა კორტავა: „თუ დამკვეთებს არ დაიჭერენ, ამათ ვპირდები, რომ ფოთში მშვიდობიან არჩევნებს არ ჩავატარებინებ!“

ხათუნა კორტავა

ლევან კორტავას მკვლელობის საქმე გახსნილია! – ამის შესახებ აცნობა საზოგადოებას პროკურატურამ. ამდენი მარცხის შემდეგ სასამართლო რინგზე, ეს შეიძლებოდა ერთ საიმედო პლუსად ჩათვლოდა კბილაშვილის უწყებას, მაგრამ საქმის ასეთი სახით გახსნა, როგორც ეს საზოგადოებას წარმოუდგინეს, რამდენად უცნაურიც არ უნდა იყოს, უფრო მეტ კითხვას უჩენს გარდაცვლილის ოჯახს. მის მამიდას, ხათუნა კორტავას მიაჩნია, რომ პროკურატურამ მთავარ დამნაშავეებს დააფარა ხელი და ხალხისთვის თვალის ასახვევად მხოლოდ რიგითი თანამშრომლები გაწირა.

თუმცა, სანამ თემის ძირითად ნაწილზე გადავიდოდეთ, არაინფორმირებულ მკითხველს შევახსენებთ, რომ 12 მაისს გეგუთის კოლონიაში მომხდარი ინციდენტის დროს დაშავებული მსჯავრდადებული ლევან კორტავა, გაწეული სამედიცინო დახმარების მიუხედავად, 23 მაისს ცხაკაიას სახელობის ინტერვენციული მედიცინის დასავლეთ საქართველოს ეროვნულ ცენტრში გარდაიცვალა. გარდაცვალების წინასწარ დიაგნოზად ქალა-ტვინისა და ქალა-სახის დახურული ტრავმა, გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა დასახელდა. გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა – ეს იყო ყველაზე გავრცელებული დიაგნოზი, რითაც სააკაშვილის რეჟიმის დროს პატიმრები „იღუპებოდნენ“.

სანამ პროკურატურის მიერ გახსნილი საქმის დეტალებსა და დაზარალებული მხარის პოზიციებსაც გაგაცნობდეთ, „პრაიმტაიმი“ ერთი შუალედური ვერსიის შესახებაც მოგიყვებათ წინასწარ, იმისთვის, რომ მკითხველისთვის უფრო ადვილი გახდეს სიტუაციაში გარკვევა. ამ ვერსიის თანახმად, 12 მაისს გეგუთის ციხეში ეტაპირებულმა 24 წლის პატიმარმა, ლევან კორტავამ ამ დაწესებულებაში შესვლისთანავე მოითხოვა ფსიქოტროპული წამალი. მოგეხსენებათ, სააკაშვილის ციხეებში ეს დაშვებული თემა იყო. სწორედ ამის წყალობით ახერხებდა მაშინდელი ადმინისტრაცია პატიმრების დაოკებას. თუმცა ხელისუფლების ცვლის შემდეგ, როგორც კი სასჯელაღსრულების მართვას სხვა ძალა შეუდგა, იქ დიდი ალიაქოთი დაიწყო, რადგან პატიმრები ერთმანეთს დაერივნენ ძველი ცოდვების გახსენების მიზნით. ადმინისტრაცია იძულებული გახდა, სიტუაციების დალაგება ე.წ. მაყურებლებისთვის და ავტორიტეტებისთვის ეთხოვა. ამ კატეგორიის გადაწყვეტილებით, სიტუაციების დალაგებაში შედიოდა ისიც, რომ აიკრძალა პატიმრებს შორის თამაში, ჩხუბი და საძილე საშუალებების მიღება. ამ მცირე გადახვევის შემდეგ ისევ ლევან კორტავას ხსენებულ ვერსიას მივუბრუნდეთ: ახლად მოსულმა პატიმარმა ფსიქოტროპული საშუალებების მიღებაზე ადმინისტრაციისგან უარი მიიღო და რაკი ვერ დაარწმუნეს, ის მაყურებელს შეახვედრეს. ამ უკანასკნელთან დიალოგი კონფლიქტში გადაიზარდა. ლევან კორტავამ მაყურებელს ხელი დაარტყა, ეს კი „ციხის კანონებით“ სასტიკად ისჯება. სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ მაყურებლის ცემის გამო კორტავას დანარჩენმა პატიმრებმა „გადაუარეს“. თუმცა, **„პრაიმტაიმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში დაახლოებით 2 თვის წინ გარდაცვლილის მამიდა განსხვავებულ ვერსიას ავითარებდა. გთავაზობთ ნაწყვეტს ამ ინტერვიუდან:**

– ბავშვი რომ სადისტურად არის მოკლული, ეს ფაქტია. როგორც კი ის ეტაპის მანქანიდან გადმოვიდა და იზოლატორში ფეხი შედგა, ინციდენტი მაშინვე დაიწყო. ყველა პატიმარი გაჰყავთ კარანტინში. იმ 12 პატიმრიდან მარტო ლევანი იღუპება სადისტური ცემის შედეგად. შესვლიდან 2 საათში მიჰყავთ საავადმყოფოში. ფაქტობრივად, ის უკვე მკვდარი იყო. ტვინი იყო გაჩერებული. ერთადერთი გული მუშაობდა და შეაერთეს აპარატზე. ხერხემალი ორ ადგილას ჰქონდა გადატეხილი. დღე არ გავა, რომ პატიმრებმა არ დამირეკონ. სასჯელაღსრულების სისტემაში, გეგუთის ციხე იქნება თუ სხვა დაწესებულება, დღეს უკვე მოძლიერდა ქურდული მენტალიტეტი და არიან მაყურებლები. ამის თქმა ხმამაღლა შემიძლია... ლევანს მოვლილი ჰქონდა სასჯელაღსრულების დაწესებულებები. ის გეგუთში უკვე ნამყოფი იყო. ხონის დაწესებულებაშიც. როცა გეგუთში დაბრუნდა, იქ დახვდა ბადრაგი, რომლებიც ლევანს იცნობდნენ. მას თავიდანვე მიაყენეს შეურაცხყოფა. ამას ჩემი ბიჭი არ მოითმენდა. ეტაპში მისულ პატიმრებს ბადრაგები ისევ აყენებენ ძალიან დიდ შეურაცხყოფას. მაგრამ ამისთვის არც ახლა ისჯება ვინმე. რამდენჯერაც მოხსნეს კუჭავა (ციხის უფროსის მოადგილე. – მ.ნ.), მერე უფრო მაღალ თანამდებობაზე დაინიშნა. სხვებსაც თუ ხსნიდნენ, მერე აწინაურებდნენ. 150 კაცი გაექცათ ციხიდან და ყველა ბადრაგი დღეს უკეთეს თანამდებობაზეა... ამჯერად დროებით შეწყვეტილი აქვს უფლებამოსილება, არასწორი ინფორმაცია მოგვაწოდაო, – ასე განაცხადა ბატონმა სუბარმა... უფლებამოსილების შეწყვეტა ეყოფა მაგას? ლევანი კარანტინიდან ცოცხალი არ გაუყვანიათ. ამას მეუბნება ყველა პატიმარი. გეგუთში იმ დღეს სამინისტროს წარმომადგენელიც ყოფილა. გვარს არ ასახელებენ პატიმრები. როდესაც დაწესებულებაში ასეთი რამ ხდება, თან სამინისტროს წარმომადგენელიც იქ არის, ადმინისტრაცია რას უყურებს, სერიალს?.. სამკუთხედი თავი ჩავაყოლე მინაში ბიჭს. მარჯვენა მხარეს თავის ქალა არ უჩანდა, ფქვილივით იყო. ხერხემლის ფუძეც ფქვილივით იყო. სხეულის ნაწილი არ აქვს დარჩენილი, რომ დაზიანება არ ჰქონდეს. ეს პატიმრების გაკეთებული არ არის.

„ბოლოს და ბოლოს, უნდა დამთავრდეს ის დრო, როცა მაღალჩინოსნებისთვის ხელის დასაფარებლად ჯოხი რიგით თანამშრომლებზე ტყდება“

ამ ინტერვიუდან 2 თვის შემდეგ პროკურატურა მომხდარი ინციდენტის შესახებ საზოგადოებას ასეთ სურათს სთავაზობს:

„...2013 წლის 12 მაისს ლევან კორტავა სად-ის რუსთავის #6 დაწესებულებიდან გადაიყვანეს გეგუთის #14 დაწესებულებაში. დაახლოებით 20:00 საათზე, დაწესებულების მეექვსე კორპუსში განთავსებისას, ლევან კორტავასა და უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორ ილია შანშაშვილს შორის, ფსიქოტროპული პრეპარატების გაცემასთან დაკავშირებით მოხდა შელაპარაკება. ილია შანშაშვილმა ლევან კორტავასთან კონფლიქტური სიტუაციის გარკვევა დაავალა მსჯავრდადებულ შოთა სინაურიძეს, მეტსახელად „ბულდოგას“. ლევან კორტავასა და შოთა სინაურიძეს შორის დაწყებული საუბარი გადაიზარდა კონფლიქტსა და ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში, რომლის მიმდინარეობისას ლევან კორტავამ ძალადობის საპასუხოდ, ხელი დაარტყა შოთა სინაურიძეს. მომხდარის თაობაზე ცნობილი გახდა უსაფრთხოების ინსპექტორ ილია შანშაშვილისთვის, რომელმაც უგულებელყო მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობა – უზრუნველეყო მსჯავრდადებულთა უსაფრთხოება, გამოევლინა და აღეკვეთა დანაშაული.

ილია შანშაშვილის ამგვარი დამოკიდებულებით წახალისებულმა შოთა სინაურიძემ და ამავე დანესებულებაში მცხოვრებმა, ასევე, მსჯავრდადებულმა გიორგი შემაზაშვილმა (მეტსახელად „გორსკი“) ლევან კორტავა ძალის გამოყენებით წაიყვანეს მეექვსე კორპუსის მესამე სართულზე მდებარე #338 საკანში, სადაც სხვა მსჯავრდადებულებთან – სოლომონ დაშნიანთან, გელა უშხვანთან (მეტსახელად „გალსკი“) და თეიმურაზ გურეშიძესთან (მეტსახელად „რუბენჩი“) ერთად მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. მსჯავრდადებულთა მიერ ფიზიკური ანგარიშსწორების მიზნით, ლევან კორტავას საკანში შეყვანის შესახებ იმთავითვე იყო ცნობილი ილია შანშაშვილისთვის, რომელსაც სამსახურებრივად ევალებოდა მსჯავრდადებულის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დანაშაულის აღკვეთა და მზადების სტადიაში მისი აცილება, თუმცა ამის მიუხედავად, არაფერი იღონა კონფლიქტის აღსაკვეთად და თავისი უმოქმედობით მოძალადე პირებს საშუალება მისცა, ლევან კორტავას გასწორებოდნენ. #338 საკანში ძალადობის შედეგად ლევან კორტავას ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა. ცემის დასრულების შემდეგ კი მას მიეცა საკნის დატოვების საშუალება.

რამდენიმე წუთში ნაცემ ლევან კორტავასთან, რომელიც, სხვა პატიმრებთან ერთად, მეექვსე კორპუსის მეოთხე სართულზე იმყოფებოდა, მივიდნენ ზემოხსენებული დაწესებულების პატიმრები – ლაშა კვანტალიანი, შოთა სინაურიძე, გიორგი შემაზაშვილი, სოლომონ დაშნიანი, გელა უშხვანი, თეიმურაზ გურეშიძე და ნუგზარ ბუჩუაძე (მეტსახელად „რიჟა“), რომლებმაც სასაუბროდ გაიხმეს ლევან კორტავა #336 საკანში, სადაც იგივე მიზეზით – მსჯავრდადებულ შოთა სინაურიძის ფიზიკური შეურაცხყოფის გამო, ხელებითა და ფეხებით, ასევე ელექტროჩაიდნისა და ვენტილატორის მყარი დეტალის გამოყენებით, დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში, ჯგუფურად, გონების დაკარგვამდე, განსაკუთრებული სისასტიკით სცემეს უმწეო მდგომარეობაში მყოფი ლევან კორტავა. ამასთანავე, ამ უკანასკნელის ცემა არ შეუწყვეტიათ გონების დაკარგვის შემდეგაც რამდენიმე წუთის მანძილზე...

...ზემოაღნიშნული დანაშაულის შემდეგ, სად-ის #14 დაწესებულების მეექვსე კორპუსში ლევან კორტავას სხეულის დაზიანების ფაქტზე დაწყებული გამოძიების მცდარ კვალზე დაყენებისა და ამგვარად, როგორც თავისთვის, ასევე დანაშაულის ჩამდენ პირთათვის მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, ილია შანშაშვილმა დაწესებულების რამდენიმე თანამშრომელთან შეთანხმებით ჩაიდინა მტკიცებულების ფალსიფიკაცია. კერძოდ, 2013 წლის 13 მაისს, დაახლოებით 01:30 საათისთვის, მსჯავრდადებულის დაშავების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, შემთხვევის ადგილის დათვალიერების მიზნით მისულ გამომძიებელს განზრახ არასწორად მიუთითა ლევან კორტავას სხეულის დაზიანების ადგილი და განუცხადა, რომ ლევან კორტავამ დაზიანებები მიიღო მეორე სართულის კიბიდან დაგორების შედეგად, რაც რეალობას არ შეესაბამებოდა...“

ამ საქმეზე პროკურატურამ დააკავა #14 დანესებულების უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორი ილია შანშაშვილი, უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორი გიგა კოხოძე და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ინსპექტორი (კონტროლიორი) ალექსანდრე ბაბუნაშვილი, უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორი თენგიზ ნასარეია.

„მოძალადე პატიმრებიდან“ დააკავეს ადრე განზრახი დანაშაულისთვის ნასამართლევი გიორგი შემაზაშვილი, რომელიც ზემოაღწერილი დანაშაულის ჩადენის შემდეგ, 2013 წლის 7 ივნისს სასჯელის მოხდის გამო განთავისუფლდა საპატიმრო დაწესებულებიდან. სასიკვდილო შედეგით დასრულებული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი, განსაკუთრებული სისასტიკით, ჯგუფურად, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მუხლით (ეს მუხლი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ათიდან ცამეტ წლამდე. – მ.ნ.) ბრალდება წარედგინათ პატიმრებს: ლაშა კვანტალიანს, შოთა სინაურიძეს, სოლომონ დაშნიანს, გელა უშხვანს, თეიმურაზ გურეშიძესა და ნუგზარ ბუჩუაძეს“.

ახლა კი მოდით, ვნახოთ, რამდენად კეთილგანწყობით შეხვდა ამას დაზარალებულის მხარე.

ლედი ტუკვაძე, კორტავას ოჯახის ადვოკატი:

– დაკავებულები არიან რიგითები, უსაფრთხოების ინსპექტორები და არა მაღალჩინოსნები. საუბარი მაქვს ციხის უფროსსა და მის მოადგილეზე. ჯოხი გადატყდა ისევ რიგით თანამშრომლებზე. კორტავას მამიდამ რამდენიმე დღის წინ გააკეთა განცხადება, რომ, თუ ეს საქმე დროულად არ გაიხსნებოდა, ის პროტესტის უკიდურეს ზომას მიმართავდა. მას ჰქონდა ინფორმაცია, რომ ციხის უფროსი მალხაზ სინაურიძე და მისი მოადგილე, თემურ კუჭავა პასუხისმგებლობისგან უკვე იყვნენ

„პროკურატურამ ეს საქმეც იმიტომ გახსნა, რომ მის მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდა, თორემ მაქვს ინფორმაცია, რომ გარდაცვლილია სხვა პატიმარი კორტავაც და მისი საქმე გაუხმაურებელი დარჩა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საქმე გახსნილია!

...და ციხის უფროსებს ანინაურებენ?!

ვის აფარებს ხელს გამოძიება?

ლევან კორტავა

ლედი ტუკვაძე

განთავისუფლებულნი და ინიშნებოდნენ მაღალ თანამდებობაზე.

– თქვენგან დასახელებული ჩინოსნების ბრალეულობა რაში იკვეთება?

– გამორიცხულია, რომ მათი ნებართვის გარეშე ეს ყველაფერი მომხდარიყო. თავიდანვე, როცა სუბარმა გააკეთა განცხადება, რომ პატიმარი კიბეზე დაგორდა, ეს ინფორმაცია მან სწორედ ამ ადამიანებისგან შეიტყო. როცა ამ საქმემ საზოგადოების მაღალი ინტერესი გამოიწვია და პროკურატურა ჩაერია, გაჩნდა მეორე ვერსია, რომ თითქოს კორტავა პატიმარმა ცხადაძემ დააზიანა. გამორიცხულია, რომ ამ ყველაფრის უკან ეს ადამიანები არ მდგარიყვნენ. განსაკუთრებით მოადგილე, რომელიც ძალიან გავლენიანი ადამიანია, მას რუხი კარდინალის იმიჯი აქვს და არ არსებობს საქმე, სადაც მას აქტიური პოზიციები არ ექნება. შემდეგ პროკურატურამ ძალიან სერიოზულად იმუშავა და დაიდო ეს საბოლოო სურათი. მიმაჩნია, რომ, ბოლოს და ბოლოს, უნდა დამთავრდეს ის დრო, როცა მაღალჩინოსნებისთვის ხელის დასაფარებლად ჯოხი რიგით თანამშრომლებზე ტყდება. სად იყო ციხის უფროსი და მისი მოადგილე, როცა მტკიცებულება ყალბდებოდა? ნუთუ, მათ გარეშე ხდებოდა ეს ყველაფერი? კარგით, ხალხო, სირცხვილია, რა... პროკურატურამ ეს საქმეც იმიტომ გახსნა, რომ მის მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდა, თორემ მაქვს ინფორმაცია, რომ გარდაცვლილია სხვა პატიმარი კორტავაც და მისი საქმე გაუხმაურებელი დარჩა.

– რა პირობებში გარდაიცვალა?

– ეს დეტალები ზუსტად არ ვიცი, მაგრამ მაქვს ინფორმაცია, რომ იქაც ანალოგიური სიტუაციაა. ეს პატიმარი უკვე მალე უნდა გათავისუფლებულიყო.

ხათუნა კორტავა, ლევან კორტავას მამიდა:

– დაბალი რანგის ინსპექტორებს შეახოცეს ხელი. მეტი არაფერი მომხდარა. როცა ბავშვი შევიდა ციხეში, 12 ეტაპირებული პატიმრიდან მაინცდამაინც ლევანი რატომ გამოარჩიეს? შესვლიდან 2 საათში ის უკვე მკვდარი იყო. სად იყო ციხის უფროსი? როცა ეტაპი შედის, ხომ ყველა ადგილზეა? სინაურიძეს მთავრობაში ჰყავს გავლენიანი მფარველი, რომელიც მას კბილებით იცავს. ამის შესახებ განცხადება ცოტა ხნის წინ გავაკეთე. რეალურად ასეც მოხდა.

– ვინ არის მისი მფარველი?

– არ ვიცი, მისი ნათელ-მირონი ყოფილა მთავრობაში. ვერ გავიგე, ორი მთავრობა ჰყავს ამ ქვეყანას – სააკაშვილისა და ივანიშვილს. ახლანდელ მთავრობაში ყოფილა ვიღაც, თუმცა ამის გაგებაც არ არის ძნელი. ფაქტია, რომ სინაურიძის ბრალეულობა არსად გამოჩნდა. არსად ჩანს მისი მოადგილე, ოპერი, რეჟიმის უფროსი, უსაფრთხოების უფროსი. უსაფრთხოების უფროსი კი არ დააპატიმრეს, დააპატიმრეს უსაფრთხოების რიგითი ინსპექტორი. სხვები სად იყვნენ, როცა ეს ყველაფერი ხდებოდა?

– თქვენი ინფორმაციით, სად იყვნენ?

– იქ იყვნენ და უყურებდნენ. ეს იყო დაკვეთით მკვლელობა. დამკვეთები იყვნენ ადმინისტრაციის მაღალჩინოსნები. პროკურატურამ მხოლოდ ამ დაკვეთის შემსრულებლები გამოაცხადა.

– ამბობენ, რომ კონფლიქტი ფსიქოტროპული წამლის მიღების გამო მოხდა...

– 2012 წლის აპრილში მისი ნივთები რომ გამომიგზავნეს, იმ დროიდან ლევანი არავითარ წამალს აღარ იღებდა. რომ ამბობენ ამას, ეს ხომ აბსურდია. ვის მოსთხოვა წამალი – უსაფრთხოების ინსპექტორს?

– თუმცა თქვენი ვერსია „მაყურებელთან“ კონფლიქტის შესახებ პრაქტიკულად დაადასტურა პროკურატურამ...

– იმ ციხეს „კორპუსების მაყურებლების“ გარდა, ჰყავს კიდევ მთავარი „მაყურებელი“, ზვიად ყევლიშვილი. ის არსად არ ჩანს. ბოლო ამოსუნთქვამდე ვიბრძოლებ სიმართლის დასადგენად. ჩავრევ ყველას, ელჩებიდან დაწყებული, საერთაშორისო ორგანიზაციებს, არასამთავრობოებს. ისიც კარგად გაითვალისწინონ, რომ არჩევნების წინა პერიოდია. თუ დამკვეთებს არ დაიჭერენ, ამათ ვპირდები, რომ ფოთში მშვიდობიან არჩევნებს არ ჩავატარებინებ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

Airzena

35 წუთი და თქვენ უკვე ბათუმში ხართ!



სიახლე ავიაკომპანია
აირზენასგან!

1 აგვისტოდან

ყოველდღიური ფრენები ბათუმში!

დაგვიკავშირდით **2 505 005**
ან ეწვიეთ საიტს www.airzena.com

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ირაკლი ბათიაშვილი: „რა თქმა უნდა, ჩვენ არ გამოვრიცხავთ ხელისუფლების მხრიდან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას, ასევე, არ გამოვრიცხავთ გაყალბებას ერთობლივად“

„ქართულ ოცნებაში“ სერიოზული შეშფოთებაა ნინო ბურჯანაძის რეიტინგის ზრდასთან დაკავშირებით“

EXCLUSIVE

„აჯანყების წინააღმდეგი ჩვენ ჯერ კიდევ სააკაშვილის დროს ვიყავით და სწორედ ამას გვაბრალებდნენ“

ხათუნა მგალობლიშვილი

პირადად ნინო ბურჯანაძის წინააღმდეგ დაგეგმილ „სპეცოპერაციად“ შეფასდა კობა დავითაშვილის გადაწყვეტილება უმრავლესობის დატოვების შესახებ. ირაკლი ბათიაშვილი მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილმა დავითაშვილს თავად დაუწერა სამოქმედო გეგმა და სწორედ ამ გეგმის მიხედვით საპრეზიდენტო კანდიდატების სიას დავითაშვილის სახელი და გვარიც დაემატა. ახალი ხელისუფლების შეუსრულებელი დაპირებები, დაუსაქმებელი ამომრჩევლები და თავად პრემიერის განცხადება პოლიტიკიდან წასვლის შესახებ ქაოსისა და პოლიტიკური საფრთხის წინაშე აყენებს ქვეყანას. ასე თვლიან „დემოკრატიულ მოძრაობაში“. შესაბამისად, პარტიის წევრების აზრით, არასტაბილური, უნიათო და უპერსპექტივო მომავლის თავიდან ასაცილებლად ერთადერთი გამოსავალი, არც მეტი, არც ნაკლები, ნინო ბურჯანაძეა...

ირაკლი ბათიაშვილი, „სახალხო კრების“ წარმომადგენელი:

– მე ილუზიაში ნამდვილად არ ვარ, ვცდილობ, ყოველთვის ყველაფერს კრიტიკულად შევხედო. თავად მე ვარ ბურჯანაძის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი და რეალურად ვაფასებ სიტუაციას. ტენდენცია, რომ „ქართული ოცნების“ ამომრჩევლები ნინო ბურჯანაძის მხარეს გადმოდიან, აშკარად შესამჩნევია. დღეს ამას უამრავი ადამიანი ამბობს. მეტიც, ამას ამბობენ ის ადამიანები, რომლებიც თავის დროზე სიმპათიასაც კი არ გამოხატავდნენ ბურჯანაძის მიმართ. ბევრისგან მესმის, რომ ხმის მიცემას აპირებენ სწორედ ბურჯანაძისთვის და ასეთი ადამიანების მთავარი არგუმენტი არის ის, რომ ასეთ არეულ, ქაოსურ, არაკომპეტენტურ სიტუაციაში, რომელსაც ხელისუფლება ავლენს, პრეზიდენტად საჭიროა სერიოზული გამოცდილების მქონე, კვალიფიციური პოლიტიკოსი. ასეთად საზოგადოება სწორედ ნინო ბურჯანაძეს მიიჩნევს. ეს ნათელი სურათია. ამას ემატება ის სერიოზული და სწორი აქტივობა, რომელსაც ქალბატონი ნინო ავლენს.

– არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც სათავეში ირაკლი კაკაბაძე, გია კორკოტაშვილი უდგებიან, აცხადებს, რომ შემოდგომაზე სახალხო აჯანყებას მოაწყობს. რამდენად შესაძლებელია, ამ პროცესს ნინო ბურჯანაძეც შეუერთდეს?

– გამორიცხულია. აჯანყების წინააღმდეგი ჩვენ ჯერ კიდევ სააკაშვილის დროს ვიყავით და სწორედ ამას გვაბრალებდნენ. 26 მაისის პერიოდში ცნობილია, რასაც გვაბრალებდნენ. ამბობდნენ, რომ მოლოტოვის კოქტეილები გვქონდა, თუმცა ფაქტია, რომ ერთი ვიტრინაც კი არ ჩამტვრეულა. ახლა მით უმეტეს, ამ ხელისუფლების მიმართ კეთილგანწყობილები ვართ, მსგავს პროცესში მონაწილეობას არ მივიღებთ. ჩვენ დარწმუნებული ვართ ჩვენი კანდიდატის რეიტინგის კიდევ უფრო ზრდაში. ის აუცილებლად გაიზრდება სამი თვის განმავლობაში. ეს ფაქტია და ასე იქნება. საბოლოო ჯამში, დარწმუნებულები ვართ გამარჯვებაში. რა თქმა უნდა, ჩვენ არ გამოვრიცხავთ ხელისუფლების მხრიდან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას, ასევე, არ გამოვრიცხავთ გაყალბებას ერთობლივად. ამიტომ ჩვენ ამაზე უნდა ვიმუშაოთ.

– ყველა აღიარებს, რომ ბაჩო ახალაიასა და ვანო მერაბიშვილის განთავისუფლების შემთხვევაში მარგველაშვილის გამარჯვების შანსი ძალიან მცირდება, ასევე, ამბობენ, რომ მისი ამომრჩევლების ნაწილი სწორედ ბურჯანაძის მხარეს გადავა. ფიქრობთ, რომ ივანიშვილი ამ გადაწყვეტილებით ბურჯანაძის მიმართ საკუთარ დამოკიდებულებას აფიქსირებს?

– ამით ყოველდღიურად დაკარგავს „ოცნება“ მხარდამჭერებს. შეგნებულად არ ვფიქრობ, რომ ეს მოხდება. თუმც ფაქტია, რომ ისინი ვერ აკონტროლებენ სიტუაციას. ეს პროცესი შეიძლება კიდევ უფრო და უფრო გამოვიდეს კონტროლიდან. მათ ამ პერიოდის განმავლობაში უნდა მოეხერხებინათ სასამართლო რეფორმის გატარება. სასამართლო უნდა გამხდარიყო დამოუკიდებელი. ივანიშვილზე დამოკიდებული კი არა, დამოუკიდებელი, მაგრამ სასამართლო ვერ განთავისუფლდა სააკაშვილისგან და კუბლაშვილისგან.

– ამაზე პასუხისმგებლობა მთლიანად წულუკიანს ეკისრება?

– მარტო წულუკიანისა და კბილაშვილის ბრალი არ არის, მაგრამ ამ კონკრეტულ მომენტში მეტი პასუხისმგებლობა სწორედ მათზეა, რა თქმა უნდა. მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის მინისტრი ძალიან ნიჭიერი და მონდომებული ადამიანი ჩანს, ფაქტია, მან ვერ მოახერხა სასამართლოს სისტემაში გარკვეული რეფორმის დაწყება. ეს უნიათობის გამოვლინებაა. ასევე, ვერ მოახერხა პროკურატურამ საჭირო მტკიცებულებების ფორმულირება, ბრალდების მხარე სათანადოდ მომზადებული არ აღმოჩნდა. ისინი მტკიცებულებებით სათანადოდ უნდა მომზადებულიყვნენ, რომ სასამართლო უძლური ყოფილიყო მათი ფაქტების წინაშე.

– თქვენც ფიქრობთ, რომ წულუკიანი და კბილაშვილი უნდა გადადგნენ?

– ამაზე ჯერ ვერ გიპასუხებთ.

– თვლით თუ არა, რომ საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის დებატები უნდა შედგეს და ვისთან ერთად დაჯდომას დასთანხმდება ბურჯანაძე?

– ქალბატონი ნინო მზად არის დებატებისთვის ყველა სერიოზულ კანდიდატთან. მას ამის პრობლემა არ აქვს, ეს სხვებზეა დამოკიდებული. რამდენად დასთანხმდება გიორგი მარგველაშვილი, დაჯდეს ბურჯანაძესთან ერთად დებატებში და ისაუბროს ყველა იმ პრობლემაზე, რომელიც ჩვენს მოსახლეობას აწუხებს – ეკონომიკური, სოციალური, საგარეო პოლიტიკური.

– სერიოზულ კანდიდატებში მხოლოდ გიორგი მარგველაშვილს გულისხმობთ? დავით ბაქრაძესთან დებატებზე უარს იტყვის?

– ეს მას უნდა ჰკითხოთ.

– მიგაჩნიათ, რომ ბურჯანაძეს გამარჯვების დიდი შანსები აქვს?

– ფაქტია, რომ დავით ბაქრაძეს საერთოდ არ აქვს გამარჯვების შანსი. მთელ საქართველოში „ნაცმოძრაობის“ მიმართ ძალიან დიდი აგრესია და გაღიზიანებაა. ჩემი აზრით, დღეს გიორგი მარგველაშვილის რეალური ალტერნატივა არის ნინო ბურჯანაძე. გიორგი მარგველაშვილი ვერასდროს იქნებოდა ბურჯანაძის კონკურენტი, რომ არ ყოფილიყო ივანიშვილის კანდიდატი. სწორედ მის გამო არის მარგველაშვილი ამხელა ძალის მფლობელი. მით უფრო, რომ დღევანდელ ხელისუფლებაში სახეზეა უნიათობა, არაკომპეტენტურობა, უმოქმედობა. ახალაიას საკითხმა კიდევ ერთხელ გვაჩვენა, რომ ჩვენი ხელისუფლება გადამწყვეტ მომენტში ავლენს უხერხემლობას. აქედან გამომდინარე ჩემთვის აბსოლუტურად გასაგებია კობა დავითაშვილის გადაწყვეტილება. თუმცა როდესაც ის გამოხატავს თავის პროტესტსა და აღშფოთებას, ვფიქრობ, სჯობდა, ეს რეაქცია ცოტა ადრე გამოეხატა იგივე კოჰაბიტაციასთან დაკავშირებით და იმ გაურკვეველი კურსის მიმართ. ასეთ შემთხვევაში უფრო ვირწმუნებდი მის გულწრფელობას. ახლა მრჩება შთაბეჭდილება, რომ მას ამ ნაბიჯის გადადგმა წინასაარჩევნოდ ქულების დასაწერად დასჭირდა. ჩვენ ვიცით, რომ კობა დავითაშვილი პოლიტიკურადაც, ფინანსურადაც და მორალურადაც თავიდან ბოლომდე დავალებულია ბიძინა ივანიშვილისგან. ამიტომ ძალიან მეეჭვება, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა არ არის მისი დამოუკიდებელი გადაწყვეტილება. ეს არის კარგად მოფიქრებული, წინასწარ დაგეგმილი ნაბიჯი, ეგრეთწოდებული სპეცოპერაცია.

– ვის წინააღმდეგ?

– „ქართულ ოცნებაში“ სერიოზული შეშფოთებაა ნინო ბურჯანაძის რეიტინგის ზრდასთან დაკავშირებით. თანაც იმ ფონზე, რაც დღეს ხდება ხელისუფლებაში. ისინი შიშით უყურებენ ბურჯანაძის მზარდ რეიტინგს. სწორედ აქედან გამომდინარე, კობა დავითაშვილის ასეთი განაცხადი, სავარაუდოდ, მიმართულია იქითკენ, რომ ხმების სერიოზული რაოდენობა წაართვან ნინო ბურჯანაძეს.

– თქვენ ამბობთ, რომ ივანიშვილმა ბურჯანაძეს კობა დავითაშვილი დაუპირისპირა?

– ვფიქრობ, ეს არის დაგეგმილი ოპერაცია, წინასწარ მოფიქრებული ნაბიჯი არა პირადად კობა დავითაშვილის მხრიდან, არამედ მთლიანად „ქართული ოცნების“ მხრიდან. მიზანი არის ის, რომ, რაც შეიძლება მეტად დაჩეხონ ხმები და წაართვან ამომრჩევლები გიორგი მარგველაშვილის მთავარ კონკურენტს.

– თქვენი აზრით, დავითაშვილის მსგავსად, სხვა წევრებიც დატოვებენ უმრავლესობას?

– რამდენად წავლენ უმრავლესობიდან სხვა წევრები, ვერ ვიტყვი, თუმცა ფაქტია, რომ მე, პირადად, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს გუნდი ძალიან არაკოორდინირებულია. მეტიც, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ბევრი მათგანი ერთმანეთს საერთოდ ვერ იტანს. ეს კოალიცია არ არის ერთიანი გუნდი, ერთიანი სულისკვეთებით შეკავშირებული. ფაქტია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არის ერთიანი, მათ ბევრი გამოწვევისა და ბევრი პრობლემის მიუხედავად, შეძლეს და შეინარჩუნეს ერთიანობა.

> „ტენდენცია, რომ „ქართული ოცნების“ ამომრჩევლები ნინო ბურჯანაძის მხარეს გადმოდიან, აშკარად შესამჩნევია. დღეს ამას უამრავი ადამიანი ამბობს. მეტიც, ამას ამბობენ ის ადამიანები, რომლებიც თავის დროზე სიმპათიასაც კი არ გამოხატავდნენ ბურჯანაძის მიმართ“

> „მე, პირადად, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს გუნდი ძალიან არაკოორდინირებულია. მეტიც, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ბევრი მათგანი ერთმანეთს საერთოდ ვერ იტანს“

> „ჩვენ დარწმუნებული ვართ ჩვენი კანდიდატის რეიტინგის კიდევ უფრო ზრდაში. ის აუცილებლად გაიზრდება სამი თვის განმავლობაში. ეს ფაქტია და ასე იქნება. საბოლოო ჯამში, დარწმუნებულები ვართ გამარჯვებაში“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვადამდელი არჩევნები – არასაპარლ

ნინო დათაშვილი

ჯონდი ბაღათურია

კახა კუკავა

ჯონდი ბაღათურია:
„პრემიერ-მინისტრის მიმართაც იზრდება უკმაყოფილება“

არასაპარლამენტო პარტიისთვის, როგორც ჩანს, მთავარია რაიმე იდეის გაჟღერება, თანაც რაც შეიძლება უფრო აგრესიულისა და რადიკალურის. ეტყობა, ყურადღებას სხვანაირად ვერ მიიქცევენ.

ჰოდა, იდეაც გამოცხვა – ვადამდელი არჩევნები. თუმცა, იდეის იქით ავტორები ვეღარ მიდიან. მექანიზმი არ არსებობს. ეს ზოგიერთებმა იციან, ზოგიერთებს კი გულუბრყვილოდ სწამთ, რომ პარლამენტი საკუთარ თავს თვითონვე დაშლის და ვადამდელ არჩევნებს დანიშნავს ნინო ბურჯანაძისთვის ან ჯონდი ბაღათურიასთვის. თუმცა, მათ ოპტიმიზმი, ტრადიციულად, არ ტოვებთ:

ჯონდი ბაღათურია, „ქართული დასი“:

– მოსალოდნელია, რომ შემოდგომაზე რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნა უფრო აქტუალური გახდეს. მე პირადად ეს მოთხოვნა ჯერ არ დამიყენებია. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ამ მოთხოვნის ავტორი ვიყო. ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა აუცილებლად გამოიწვევს შემოდგომაზე რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარების თემის გამწვავებას. ამას ექნება უკვე მორალური, პოლიტიკური და სამართლებრივი საფუძველი, რადგან ხალხმა ხმა მისცა ივანიშვილს და არა უსუფაშვილის პარლამენტის თავმჯდომარეობას და არა ჩიორასა და ნუგზარ წიკლაურის პარლამენტში სეირნობას. პარლამენტი მარიონეტულია, ის არის „კუკლა“. ის ყალბი პროდუქტი აღმოჩნდა. ხალხს ასეთი შემადგენლობის პარლამენტი შეაპარეს. ამიტომ პარლამენტის მიმართ უკმაყოფილებაა.

– ანუ გარკვეულწილად პრემიერის ამ გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული, დადგება თუ არა დღის წესრიგში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები?

– ბევრ რამეზეა დამოკიდებული, მაგრამ პრემიერის წასვლა აუცილებლად განაპირობებს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების საკითხის გამწვავებას. თუმცა პრემიერ-მინისტრის მიმართაც იზრდება უკმაყოფილებები, ამას განაპირობებს „ქართული ოცნების“ უსამართლო მოქმედება და „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ზურგსუკან გარიგება. ახალაიასა და გუნავას სამასხარაო ბრალი წაუყენა პროკურატურამ.

– იმ შემთხვევაში, თუ პრემიერი წავიდა, ვის მიმართავთ რიგგარეშე არჩევნების ჩატარების მოთხოვნით? ვინ დაითხოვს პარლამენტს?

– თუ ეს საკითხი აქტუალური გახდა, ამაზე უნდა შეთანხმდეს პოლიტიკური სპექტრი. თუ შეთანხმება მოხერხდა, რომ ჩატარდეს რიგგარეშე არჩევნები, შემდეგ, სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით, ამას გადავწყვეტთ. თუ ვერ შეთანხმდა პოლიტიკური სპექტრი, მაშინ შესაძლოა, პოლიტიკური სპექტრის იმ ნაწილმა, რომელიც მხარს უჭერს ხალხის მოთხოვნას, რომ ჩატარდეს რიგგარეშე არჩევნები, მიმართოს ისევ ხალხს. ამ შემთხვევაში ხალხმა უნდა გადაწყვიტოს სახელმწიფოს ბედი და ის, თუ ვინ იქნება მისი ხელისუფალი. ხალხს გამოსვლისა და პროტესტის უფლება აქვს.

კახა კუკავა, „თავისუფალი საქართველო“:

– რიგგარეშე არჩევნები ქვეყნისთვის საჭიროა. ეს მოხდება პროტესტის თუ დიალოგის გზით, მომავლის საკითხია. ასეთი საკითხები აქტუალური, ალბათ, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გახდება. თან გვეცოდინება პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილების შესახებაც, რჩება თუ არა ის პოლიტიკაში. თუ პრემიერი გადადგება, ვფიქრობ, ვადამდელი არჩევნები სასიცოცხლოდ აუცილებელი გახდება. თუ პრემიერი არ გადადგება, მაშინ შეიძლება ვადამდელი არჩევნები წლის დასაწყისშიც ჩატარდეს და წლის ბოლოსაც, ეს არ არის გადაუდებელი აუცილებლობა.

– ვის უნდა მიმართოთ ვადამდელი არჩევნების ჩატარების მოთხოვნით, ვინ დაითხოვს პარლამენტს?

– უფრო დეტალებზე ბატონ ჯონდის დაუკავშირდით. საერთოდ, ევროპაში მსგავსი საკითხები პრემიერ-მინისტრის პოლიტიკურ პარტიებთან კონსულტაციის შედეგად წყდება. კარგი იქნება, თუ ჩვენთანაც ასე იქნება. ეს არის თემა, რომელიც პრემიერის გადაწყვეტილებას უკავშირდება, პოლიტიკიდან მისი წასვლის შესახებ.

– თუ პრემიერი არ წავიდა პოლიტიკიდან?

– მაშინ ეს საკითხი აქტუალურობას ნაწილობრივ კარგავს.

ექსპერტი ლევან ალაფიშვილი მიიჩნევს, რომ პარლამენტსგარეთ დარჩენილი ოპოზიციის ნაწილი ამ საკითხის წინ წამოწევით ცდილობს, პოლიტიკური ქულები დაიწეროს. ალაფიშვილის თქმით, ახალი პრეზიდენტის მიერ, რომელიც, სავარაუდოდ, მმართველი გუნდის კანდიდატი იქნება, ნაკლებად მოსალოდნელია პარლამენტის დათხოვნა. ხოლო პარლამენტს თვითდათხოვნის მექანიზმი არ გააჩნია.

ლევან ალაფიშვილი, ექსპერტი:

– რეალურად ვერც აქციებით და ვერც ინიცირებული რეფერენდუმით რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები ვერ დაინიშნება. აქ ძალიან მარტივი რამდენიმე რამ უნდა გავითვალისწინოთ კონსტიტუციიდან. პირველი, არჩევნებს, მათ შორის რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს, ჩვენი კანონმდებლობით, ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. პრეზიდენტმა რომ დანიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, პარლამენტს ან ვადა უნდა ჰქონდეს გასული, ან დათხოვნილი უნდა იყოს. 2014 წელს ვადა ვერ ექნება გასული. რჩება ერთი გამოსავალი, რომ ეს პარლამენტი აღარ იყოს. ხომ არ დავხოცავთ მათ, ღმერთმა დაგვიფაროს. რაღაც სხვა გზა უნდა ვეძებოთ. ისევ კანონის ფარგლებში უნდა დავრჩეთ, რადგან დემოკრატიული სახელმწიფო ვართ. არა მგონია, არასაპარლამენტო ოპოზიცია დემოკრატიულობის წინააღმდეგი იყოს. ესე იგი, რა ხდება? საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მთავრობა იხსნის უფლებამოსილებას ახლად არჩეული პრეზიდენტის წინაშე. ამ შემთხვევაში ახალარჩეული პრეზიდენტი წარადგენს პრემიერის კანდიდატურას პარლამენტში და იწყება მთავრობის დამტკიცების პროცედურები. რაც ნიშნავს, რომ პარლამენტს შეუძლია არ დაეთანხმოს პრეზიდენტს და არ დაუმტკიცოს სამთავრობო გუნდი. საბოლოო ჯამში, შედეგი შეიძლება იყოს რა? თუ პარლამენტი არ დაუმტკიცებს პრეზიდენტს სამთავრობო გუნდს, პრეზიდენტს შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი. ძალიან უნდა დავძაბოთ გონება, რომ ეს დავუშვათ და ვიფიქროთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მსგავსი რამ მოხდება. მეორეა ბიუჯეტის დაუმტკიცებლობა. ეს საპრეზიდენტო არჩევნებამდეც კი შეიძლება მოხდეს, რადგან საბიუჯეტო პროცესი სექტემბრის ბოლოს იწყება. ანუ დღევანდელმა მთავრობამ და პრემიერმა პარლამენტს წარუდგინოს ბიუჯეტის პროექტი და პარლამენტმა თავისავე პრემიერს არ დაუმტკიცოს ბიუჯეტი. ამ შემთხვევაში მიხეილ სააკაშვილმა უნდა დაითხოვოს პარლამენტი. ეს არის თეორიული შანსები, რისი განვითარების ალბათობა ნაკლებად სავარაუდოა. აქციებითა თუ ინიცირებული რეფერენდუმებით ძნელად მისაღწევია ეს შედეგები, რადგან მმართველი გუნდიდანაც არაერთხელ გამოთქმულა ეს წუხილი, რომ იქნებ გვეფიქრა ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებზე. თუმცა კონსტიტუცია და კანონი ხომ უნდა იძლეოდეს ამის შესაძლებლობას? პარლამენტის თვითდათხოვნის მექანიზმი არ არსებობს. ასე რომ, პოლიტიკურად და სამართლებრივად ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ნაკლებად რეალურია.

– ანუ ვის უნდა მიმართოს ამ შემთხვევაში ოპოზიციამ? ადრესატი ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების მოთხოვნისა ვინ უნდა იყოს?

– ამ მიმართვას ადრესატი არ ჰყავს. კიდევ ვიმეორებ, თუ პარლამენტი არსებობს, მაშინ ვერავინ ვერ დანიშნავს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს. პარლამენტის დათხოვნის უფლება აქვს პრეზიდენტს, მაგრამ არა უპირობოდ, არამედ საფუძვლიანად. პირობითად რომ ავიღოთ, კუკავამ, თარგამაძემ და ბურჯანაძემ რა უნდა მოსთხოვონ პრეზიდენტს, უპირობოდ დაითხოვე პარლამენტიო? ასეთი რამ არ არსებობს, ამას მიხეილ სააკაშვილიც კი ვერ გააკეთებს, რადგან კონსტიტუცია არ აძლევს ამის საშუალებას. ანუ პოლიტიკური რიტორიკით ეს თემა არის, მაგრამ შედეგის თვალსაზრისით არაპერსპექტიულია. თუკი პოლიტიკურად არ შეიქმნა სიტუაცია, როდესაც სამთავრობო კრიზისია და ამ კრიზისს გადაჰყვება როგორც პარლამენტი, ისე მთავრობა, ამ მოთხოვნის სამართლებრივი გაგრძელება არაპერსპექტიულია. თუკი არჩევნების დანიშვნაზე პრეზიდენტი უფლებამოსილია, დათხოვნაზე უპირობოდ უფლებამოსილი არ არის. ეს არის რეალობა, რაც ყველამ უნდა გაითვალისწინონ, ვინც ამ საკითხით პოლიტიკურ ქულებს იწერს.

– ვის შეიძლება აწყობდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები?

„ახალაიასა და გუნავას სამასხარაო ბრალი წაუყენა პროკურატურამ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ᲙᲐᲮᲐ ᲙᲣᲙᲐᲕᲐ: „ᲗᲣ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲔᲑᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘᲪ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡᲐᲪ“

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲐᲚᲐᲤᲘᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘᲐ“

ᲡᲝᲡᲝ ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲗᲕᲘᲗᲓᲐᲨᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲡ...“

მხოლოდ არასაპარლამენტო ოპოზიციას?

– ჩემი პირადი მოსაზრებაა, რომ ეს, პირველ რიგში, აწყობს ბიძინა ივანიშვილის გუნდს. ეს აწყობს ბიძინა ივანიშვილს, იმ „გუნდისგან“, რომელიც წარმოდგენილია პარლამენტში და რომლის მიმართაც არაერთგვაროვანი დამოკიდებულება უკვე საჯაროდ გამოთქვეს როგორც ბიძინა ივანიშვილმა, ისე სხვებმა, საბოლოოდ გასათავისუფლებლად და პარლამენტში თავისი პოზიციების კიდევ უფრო გასამყარებლად. ყველაზე მეტად მათ შეიძლება აწყობდეთ ეს. თუკი დღეს პოლიტიკური პროცესი განვითარდა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნის გზით, ბიძინა ივანიშვილი აუცილებლად ეცდება არა კოალიციის, არამედ საკუთარი გუნდის წარმატების მოპოვებას პარლამენტში. ეს კი ნიშნავს, რომ ის იმ დოზით და ისე აღარ დაეხმარება პოლიტიკურ კონკურენტებს. ამის გათვალისწინებით, როდესაც მთავრობა არის ბიძინა ივანიშვილის, როდესაც აქვს ამ მასშტაბის რესურსი, ძნელად სავარაუდოა, რომ კოალიციაში წარმოდგენილი პარტიებიც, რომლებიც ასევე უმცირესობაში აღმოჩნდებიან, წარმატებული იქნებიან და მოიპოვებენ მანდატს.

– ანუ გამოდის, რომ რიგგარეშე არჩევნების ჩატარება არარეალურია და ამ საკითხით არასაპარლამენტო ოპოზიცია ქულებს იწერს?

– ამ საკითხით ქულებს იწერს ყველა, ვინც რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებზე საუბრობს. ამ საკითხზე ახალი წლის შემდეგ მსჯელობდნენ ვიცე-სპიკერი, სხვადასხვა დეპუტატები, მთავრობის წევრები და პრემიერმაც კი გამოთქვა მოსაზრება, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებზე ხომ არ გვეფიქრაო. თუმცა შემდეგ პრემიერმა თვითონ დასვა საკითხი, რომ უახლოეს პერიოდში რიგგარეშე არჩევნებზე საუბარი არ იქნებოდა. ანუ მან თვითონ დაუსვა წერტილი ამ რიტორიკას. რეალურად მთავრობის მხრიდან ნებისმიერი ოპონირების შემთხვევაში, ეს ადამიანი, იქნება ეს არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი თუ სხვა, ეტყვის მათ, კი მაგრამ, თქვენ არ ამბობდით გუშინ ამას? დღეს რა შეიცვალა? ეს რიტორიკა, ბუნებრივია, სწორი იქნება, რადგან ეს მართლაც თქვეს. თუმცა იქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ამ რიტორიკას ისევ მმართველი გუნდის ლიდერმა დაუსვა წერტილი. ეს არის სწორად გათვლილი პოლიტიკური თამაში ქულების დაგროვებაზე.

ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი მიიჩნევს, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები აუცილებელია იმისთვის, რომ პარლამენტი ქართული პოლიტიკის რეალურ სურათს ასახავდეს. ცისკარიშვილის განმარტებით, ახალი კონსტიტუციით რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა შეუძლია უმრავლესობასაც, თუ ისინი ახლად არჩეულ პრეზიდენტს პარლამენტიდან გასვლის მოთხოვნით მიმართავენ.

სოსო ცისკარიშვილი, ექსპერტი:

– მოთხოვნას კაცი არ მოუკლავს. ამიტომ ლეგიტიმურობა შეიძლება არ განიხილებოდეს როგორც მკაცრი იურიდიული ნორმა. რაც შეეხება თავად საკითხის დაყენებას, ის აქტუალურია. გამომდინარე იქიდან, რომ პარლამენტში გვყავს ორი სახელისუფლებო პოლიტიკური ძალა და არც ერთი ოპოზიციონერი. პოლიტიკური ძალა, რომელიც საკუთარ თავს ოპოზიციას უწოდებს, დისკრედიტაციას აკეთებს ამ ტერმინის. როგორც ხედავთ, სასამართლოს განაჩენიც ვერ ძლებს ერთ თვეზე მეტს და პარტიის ლიდერი, რომელიც ამავდროულად პრეზიდენტია, აკონტროლებს არა მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებებს, არამედ გუბერნატორებს. ამიტომ დროა, რომ პარლამენტის შემადგენლობა ასახავდეს რეალურ ვითარებას ქართულ პოლიტიკაში. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ყველაზე უკეთესი დრო რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩასატარებლად იქნება 2014 წლის მაისი, როდესაც უნდა ჩატარდეს ადგილობრივი არჩევნები. ერთდროულად ორი არჩევნების ჩატარება სიტუაციას განმუხტავს და არჩევნების დღეს არ მოგვინევს თითოეულ რაიონში შიდა ომების გადატანა. მიუხედავად იმისა, რომ პრემიერი ასე არ ფიქრობს და არ თვლის აუცილებლად ვადამდელი არჩევნების ჩატარებას, დაველოდოთ რამდენიმე თვე, რა მოხდება ჩვენს ქვეყანაში და მივხვდებით, ვინ იქნება გადაწყვეტილების მიმღები ამ საკითხზე... მე უფრო არგუმენტირებულად მიმაჩნია არასაპარლამენტო ოპოზიციის სურვილი, რომ ასეთი არჩევნები შედგეს.

– ვინ უნდა დაშალოს პარლამენტი ამ შემთხვევაში?

– ბევრი საშუალებაა ამისთვის. საპარლამენტო უმრავლესობას აქვს შესაძლებლობა, თვითდაშლის გადაწყვეტილების მიღებით, შეძლოს, კონსტიტუციური ნორმის მიხედვით დანიშნოს არჩევნები უკვე ახალარჩეულმა პრეზიდენტმა.

– ანუ უმრავლესობა თავის თავს დაშლის? რომელ კონსტიტუციურ ნორმაზე საუბრობთ?

– ახალი კონსტიტუცია რომ შემოვა. თუ დღევანდელი საპარლამენტო უმრავლესობა შეელევა საკუთარ სავარძლებს, მაშინ დიდი ალბათობით გადაწყვეტილების მიღება მოხდება გარედან ზეწოლის ვითარებაში. ხოლო თუ თავადაც გააცნობიერეს რეალობა და არ გაამჟღავნეს საკუთარი სურვილი, რომ მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“ იყოს ქვეყანაში ოპოზიცია, მაშინ პარლამენტის დაშლა სირთულეს არ წარმოადგენს. სხვა შემთხვევაში საზოგადოების გადასაწყვეტი იქნება, რა მეთოდებით მოახდინონ ზეწოლა საკუთარ არჩეულ პარლამენტზე.

– რა არგუმენტაციით შეეძლება პარლამენტს დაშლა?

– ამას უნდა არგუმენტაცია და შესაბამისი დადგენილების მიღება, რომ გადიან პარლამენტის შემადგენლობიდან. შევლენ ასეთი თხოვნით პრეზიდენტთან, რომ დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები კონსტიტუციით გათვალისწინებულ ვადებში.

სოსო ცისკარიშვილი

ლევან ალაფიშვილი

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

შემოდგომაზე სახალ

ხათუნა მგალობლიშვილი

საზოგადოების ნაწილი, ეგრეთწოდებული ძველი თბილისელები შემოდგომაზე სახალხო აჯანყების მოწყობის პირობას დებენ. პროცესი უკვე დაძრულია, ერთობა ნელ-ნელა იკრიბება და როგორც მთავარი ორგანიზატორები ამბობენ, თვის ბოლოს კონკრეტული გეგმაც დაიდება. რაც მთავარია, ძველი დაპირებებისგან განსხვავებით, ამჯერად წინასწარვე ამბობენ, რომ აჯანყება აუცილებლად მოხდება.

ირაკლი კაკაბაძე და გია კორკოტაშვილი ამ პროცესში ერთად იქნებიან. მათთვის მთავარი ბიძგი ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესი აღმოჩნდა. მათი შეფასებით, „კაცისმჭამელ“ და „სისხლისმღვრელ“ ნაციონალს სულ მალე გაათავისუფლებენ. ვის როგორი რეაქცია ექნება და ვის სასარგებლოდ ითამაშებს ყოფილი მინისტრის განთავისუფლება, ეს ცალკე თემაა, თუმცა ფაქტია, რომ აჯანყების იდეა სწორედ უსამართლობის გამო იწყებს ფორმირებას.

კაკაბაძე და კორკოტაშვილი კონკრეტულ დეტალებს მალე გაივლიან. რა ტიპის და როგორი აქციები ჩატარდება შემოდგომაზე, ჯერჯერობით მხოლოდ მონახაზია გაკეთებული. ორგანიზატორები ამბობენ, რომ გამორიცხული არაფერია. შესაბამისად, არც საკნების დანახვა და არც ლოზუნგი „მთავრობა გადადგეს“, არ უნდა გაგვიკვირდეს.

გია კორკოტაშვილი:

– უყურადღებოდ დარჩენილი ხალხი, რომელსაც არც სამსახური აქვს, არც სოციალური კეთილდღეობა და საერთოდ, დღევანდელი ხელისუფლებისგან იგნორირებულია, გავერთიანდებით.

– თბილისი იქნება პრიორიტეტიო და სხვაგან ეს პრობლემები არ არის?

– თბილისი იმიტომ რომ აქ დავიბადე, აქ გავიზარდე, თბილისს ყველაზე კარგად ვიცნობ. ვიცი, როგორ სუნთქავს თითოეული ადამიანი, რა უჭირთ, რა ულხინთ. ეს გუნდი, რომელსაც ჩვენ შევქმნით, მოემსახურება ერთადერთ რამეს – თუ ჩვენ ვაკრიტიკებდით ნაციონალებს, ეს იმიტომ რომ ისინი არ მოგვწონდნენ და გვინდოდა, უკეთესი მდგომარეობა ყოფილიყო ქვეყანაში. თუ ჩვენ დღევანდელ ხელისუფლებას გავაკრიტიკებთ, ესეც იმიტომ, რომ გვინდა, უკეთესი ქვეყანა ავაშენოთ. ახალი ხელისუფლებაც თუ იგივე გზას დაადგება, რომელზეც წინა ხელისუფლება იდგა და ყურები ბამბებით გამოიტენეს და ყველაფერზე თვალები დახუჭეს, არაფერი გამოვა. ხელისუფლებამ კოჰაბიტაცია უნდა დაამყაროს ხალხთან და არა ნაციონალებთან. ეს სიტყვა უკვე იმდენად გამაღიზიანებელია... რა კავშირი უნდა დაამყარო ადამიანებთან, რომლებიც ადამიანებს ცოცხებს ტენიდნენ, პირში აფურთხებდა, ცოლ-შვილს უბახებდნენ? საკუთრების უფლებებს ართმევდნენ...

– თუმცა ეს ბრალდებები, რაც ჩამოთვალეთ, აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ცილისწამება ყოფილა. ბაჩო ახალაიას ბრალდებები მოეხსნა...

– აქ ორი მომენტია. პირველი ის, რომ სასამართლო რაღაცით ვალდებულია ძველ ხელისუფლებასთან...

– თავად უმრავლესობის წევრები, იგივე რესპუბლიკელები, აღიარებენ, რომ დღევანდელი სასამართლო თავისუფალია.

– ისინი, ვინც ამას ამბობენ, გეტყვით, რომ არ არიან მართალი ადამიანები. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ ამბობს ამას, რა იერარქიის ადამიანი. დღეს რომ სასამართლო არ არის თავისუფალი, თავადაც კარგად იციან, ყოველ შემთხვევაში თბილისში. დედაქალაქის სასამართლოს აკონტროლებს კუბლაშვილი და ეს ძალიან კარგად იცის ყველამ.

– როგორ ფიქრობთ, შეცდომა იყო, როცა თავის დროზე კუბლაშვილი და ივანიშვილი ერთმანეთს შეხვდნენ?

– იუსტიციის ახალი საბჭო რომ შეიქმნა, იგივე ადამიანებით დაკომპლექტდა. მე წაკითხული მაქვს ყველა ადამიანის ვინაობა, ვიცნობ მათ მიერ გაკეთებულ საქმეებს, ვიცი, რა პროცესებშიც აქვთ მონაწილეობა მიღებული და მინდა გითხრათ, ისინი არ არიან მართალი ხალხი. გინდა, ბიძინა ივანიშვილი შეხვდეს და გინდა კიდევ სხვა, ადამიანი განისაზღვრება თავისი ცხოვრებით.

– თქვენ დამოუკიდებლად იმოქმედებთ თუ სხვა არასამთავრობოებთან ერთად?

– ყოველ შემთხვევაში მე და ირაკლი კაკაბაძე ერთად ვიქნებით და ჩვენ გარდა, ის ადამიანები, რომლებიც თბილისელებისთვის საყვარელი და ვაჟკაცი ხალხია, ვინც ღირსების გამო ბევრ საქმეს გააკეთებს. ულირსები აღარ გვჭირდებიან, ჩვენ მარტო პოპულარულ სახეებს არ მოვიყვანთ გუნდში. არ არის აუცილებელი, ყოფილი პოლიტიკოსებით გადავავსოთ ერთობა. ამოვიდა ყელში ამათი კამათის მოსმენა ტელევიზიებით, დავა, გინება და ამასობაში გადის ცხოვრება. არავის არ

„მოითმინეთო, გვეუბნებიან და მაშინ დაგვაცადოს „თელასმა“, დაგვაცადოს გაზის გადასახადის ამკრეფმაც, ისე, ნისიად გვასვან და გვაჭამონ და ჩვენც დავაცდით“

გია კორკოტაშვილი:
„ამოვიდა ყელში ამათი კამათის მოსმენა ტელევიზიებით, დავა, გინება და ამასობაში გადის ცხოვრება“

EXCLUSIVE

„ხელისუფლებამ კოჰაბიტაცია უნდა დაამყაროს ხალხთან და არა ნაციონალებთან“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„დღევანდელი ხელისუფლება არის სააკაშვილის ხელისუფლების პათოლოგიური გაგრძელება“

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ:
„ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲒᲔᲒᲛᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲐ“

„საია“-სთან გათანაბრებული ერთობა არც პოლიტიკოსებთან კავშირს უარყოფს. ამბობენ, რომ ჯერ თავად ჩამოყალიბდებიან და თუ ამის შემდეგ რომელიმე დამარცხებული საპრეზიდენტო კანდიდატი შეუერთდებათ, ეს მხოლოდ გაახარებთ.

ირაკლი კაკაბაძე ჯერ ვერ აკონკრეტებს, ვისთან ითანამშრომლებს ერთობა, თუმცა წინასწარვე აცხადებს, რომ ახალაიას გამართლება დღევანდელ ხელისუფლებას ძვირად დაუჯდება. იმდენად ძვირად, რომ შესაძლოა, ბურჯანაძის კანდიდატურა ბევრი „მეოცნებისთვისაც“ კი ნომერ პირველი აღმოჩნდეს.

ირაკლი კაკაბაძე:

– ყველაფერი დასაგეგმია, შეიკრიბება დაუმორჩილებლობის კომიტეტი, ის შედგება საზოგადოებისთვის ცნობილი სახეებისგან და აუცილებლად იქნება უსამართლობაზე რეაქცია. ხალხი თავად აიღებს პასუხისმგებლობას, ეს ყველაფერი დაიგეგმება მეთოდურად. ის სახალხო აჯანყება, რომელიც დაიგეგმება, აუცილებლად მოხდება, „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის წინააღმდეგ.

– ნაციონალები აღარ არიან ხელისუფლებაში, ახალი მთავრობაა უკვე, ბატონო ირაკლი.

– ჩვენ ასე არ ვთვლით, მიხეილ სააკაშვილი არის პრეზიდენტი, არც ბაჩო ახალაიას და არც არავის არ სთხოვენ პასუხს, რაც მთავარია, ის სახელმწიფო, რომელიც ადამიანებს აწამებს, უსმენს, საკუთრებას ართმევს, უნდა გასამართლდეს. მიმაჩნია, რომ ნაციონალების რეჟიმის სახე მთლიანად შენარჩუნებულია, უბრალოდ, ადამიანები არიან სხვები. სისხლისმსმელი რეჟიმი, რომელიც ადამიანებს აუპატიურებს, აწამებს და სცემს, მნიშვნელობა აღარ აქვს, ვინ იქნება და რა ერქმევა, თავისთავად პრინციპია მიუღებელი.

– თუმცა დადასტურდა, რომ არ იყო წამება, ეს დასკვნა დღევანდელმა სასამართლომ გამოიტანა. სასამართლო კი უმრავლესობამ დამოუკიდებლად აღიარა.

– რესპუბლიკელებს შეუძლიათ, გააკეთონ ნებისმიერი სახის განცხადება. მე ვთვლი, რომ დღევანდელი ხელისუფლება არის სააკაშვილის ხელისუფლების პათოლოგიური გაგრძელება. ასე ძალიან ბევრი ადამიანი ფიქრობს.

– შეიძლება მთავრობის გადადგომა გახდეს თქვენი მთავარი მოთხოვნა?

– ასე კონკრეტულად ჩამოყალიბებული არ ვართ ჯერჯერობით. არაფერი არ არის გამორიცხული. ქვეყანაში არის ძალიან დიდი უსამართლობა. არის სახელმწიფო, რომელიც მოსახლეობის 99%-ს საშინელ დღეში აყენებს. ხალხი, რომელიც უსამართლოდ იყო დაჭერილი და გაუპატიურებული, სამართალს ვერ პოულობს. სექტემბრიდან ადამიანები თავად დაიცავენ საკუთარ უფლებებს.

– ფიქრობთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ოპოზიციის ნაწილი თქვენ შემოგიერთდებათ?

– არ ვიცი, ამას, პრინციპში, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. პრინციპში, ბაჩო ახალაიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება ძალიან ბევრს პირდაპირ უბიძგებს ნინო ბურჯანაძის ბანაკში გადანაცვლებისკენ. ბურჯანაძე დღეს ის იშვიათი პოლიტიკოსია, რომელიც ამ საკითხზე მეტ-ნაკლებად გამოხატავდა თავის პოზიციას.

„ᲮᲐᲚᲮᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲓ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲭᲔᲠᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲣ�პᲐᲢᲘᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲡ ᲕᲔᲠ �პᲝᲣᲚᲝᲑᲡ“

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

წიგნი „გმირი“ - ავღანეთში დაღუპული ქართველების უკვდავსაყოფად!

თამარ გორთამაშვილი

„პრაიმტაიმმა“, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდ „ოქროს ფრთასთან“ ერთად, პროექტ „გმირის“ ფარგლებში ახალი წიგნი გამოსცა. წიგნი „გმირი“ ამჯერად ავღანეთში დაღუპული ქართველი მეომრების ცხოვრებისეულ ისტორიებს აერთიანებს, მათი დაბადებიდან, გმირულ აღსასრულამდე.

29 ქართველი ჯარისკაცის ისტორია წიგნში მათ პირად ფოტოალბომებთან ერთად არის დაბეჭდილი. წელს, პირველად, პროექტში „გმირი“ სხვადასხვა მედიასაშუალებების ცნობილი სახეები ჩაერთვნენ და საკუთარი დამოკიდებულება, ავღანეთში დაღუპული ქართველების გმირობასთან დაკავშირებით, წიგნში წერილების სახით ქვეყნდება. პროექტ „გმირის“ იდეური მხარდამჭერები ჟურნალისტების და ექსპერტების გარდა, წელს, ნატოს საინფორმაციო ცენტრი, ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოებიც გახდნენ.

წიგნი „გმირი“ ისევე, როგორც წინა წლებში, წელსაც იბეჭდება უსინათლოებისთვის. ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი წიგნი უსინათლოთა საზოგადოებას საჩუქრად გადაეცემა.

წიგნის პრეზენტაცია დღეს, „ქორთიარდ მარიოტში“ შედგება, რომელსაც შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მეთაურობა, და ის სამხედროები დაესწრებიან, რომლებიც ავღანეთის მისიაში მონაწილეობდნენ. პრეზენტაციას ავღანეთში დაღუპული გმირების ოჯახის წევრების გარდა, ის ჯარისკაცებიც დაესწრებიან, რომლებმაც ამ მისიის დროს სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღეს და დღეს რეაბილიტაციის კურსს გადიან.

წელსაც, ისევე, როგორც გასულ წლებში, ხსოვნის კვირეულის სიმბოლო წითელი ყაყაჩოა, რომელიც კვლავაც ქველმოქმედების მიზნით იყიდება და ფონდში შემოსული თანხით, გმირის შვილების სწავლა ფინანსდება.

წიგნი „გმირი“ დღეიდან უკვე გაყიდვაშია, თუმცა მანამდე გვინდა ჟურნალისტების მიერ დაწერილი რამდენიმე წერილი გაგაცნოთ.

„გმირის“ წარდგენას კი ერთი ქართველი გმირის, მუხრან შუკვანის პირად დღიურში გაკეთებული ჩანაწერიდან დავიწყებთ, რომელიც მისმა ოჯახმა, მუხრანის გარდაცვალების შემდეგ აღმოაჩინა.

მინდა უკვდავი ვიყო!

„ოდესმე თუ გვიფიქრია, რა არის სიცოცხლე, რატომ მოვევლინეთ ამ ქვეყანას და როდის გარდავიცვლებით... საოცარია, დავდივართ ამ ცოდვილ მიწაზე გაჭიმულები, ისე, თითქოს ყველაფერი ჩვენი იყოს. უფალმა მოგვცა უფლება გვეცხოვრა, შეგვეგრძნო რა არის ადამიანი, რა არის სიყვარული, მზით გათბობა, გაზაფხულის სურნელი, გამოგვეცადა ის გრძნობები, რაც ადამიანურია და მერე...

ღმერთო, რა ძნელია სიკვდილი, იგი ყველაფერს წაგვართმევს და თავის შავ სამოსელში გაგვხვევს, ნუთუ იმისთვის ვიბადებით, რომ მერე დავიხოცოთ. მიკვირს, როგორ ახერხებს ადამიანი ამ აზრით ცხოვრებას.

მინდა უკვდავი ვიყო!!! ვიცხოვრო მაშინაც კი, როცა დედამიწაზე გარდავიცვლები, მინდა ისე გავვლო წუთისოფელი, რომ სიკვდილიც საამო იყოს და მაღალმა უფალმა მიიღოს ჩემი ცოდვილი სული“...

ლეიტენანტი მუხრან შუკვანი

„გმირზე“ გაზეთ „პრაიმტაიმის“ რედაქციის სრულმა შემადგენლობამ ორი თვის განმავლობაში იმუშავა და ავღანეთში დაღუპული ყველა გმირის ისტორია, მათი ოჯახის წევრების მონათხრობით შეკრა.

თამარ ფხაკაძე (პროექტ „გმირის“ ავტორი, გაზეთ „პრაიმტაიმის“ დამფუძნებელი და „ოქროს ფრთის“ პრეზიდენტი): „უკვე მესამე წელია, რაც „პრაიმტაიმი“ ხსოვნის კვირეულს აღნიშნავს, ეს არის წითელი ყაყაჩოების აქცია. ამ კვირეულის ფარგლებში ჩვენ უკვე გამოვუშვით წიგნის „გმირი“ ორი ნაწილი. ეს არის ქართული და ინგლისური ვერსია. ქართველი გმირების ხსოვნის უკვდავსაყოფად ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდმა „ოქროს ფრთამ“ და ფონდმა „წითელმა ყაყაჩომ“ გამოსცა წიგნის „გმირი“ მესამე ნაწილი, რომელიც ავღანეთში დაღუპულ ქართველ გმირებს ეძღვნება. ამ წიგნში აღწერილია 29 გმირის ისტორია, ბიოგრაფია, ახლობლების მოგონებები და ვფიქრობ, რომ ეს წიგნიც, იმ წიგნებთან ერთად, რომლებიც ჩვენ უკვე გამოვეცით, იქნება ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ისტორია შემოინახავს ამ ადამიანების სახელებსა და გვარებს“.



ნუგზარ რუხაძე: „მინდა მადლობა ვუთხრა ამ წიგნის გამომცემლებს, „პრაიმტაიმსა“ და ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდ „ოქროს ფრთას“ ამ წიგნის გამოცემისთვის. რადგან ცხოვრებაში არის მომენტები, რომელთა დავიწყებაც შეცდომა იქნება. იმ მოვლენების დავიწყება, რაც მოთხრობილია ამ წიგნში, არ შეიძლება. ეს წიგნი ამაღლებული სიკეთეა და ის უნდა იდოს ყველა ქართველის ოჯახში. აქ საუბარია ყველაფერზე, თუ რაოდენ დიდი დანაკლისი განვიცადეთ“.

თეონა დოლენჯაშვილი, მწერალი: „ძალიან სიმბოლურია ჩემთვის ეს ყველაფერი. მე ვფიქრობ, რომ ჟურნალისტები არიან ის გმირები, რომლებიც, რიგითი ჯარისკაცების მსგავსად, ცხელ წერილებში მიდიან. პირადად ჩემი დამოკიდებულება უკვე გამოვხატე, თვითონ წიგნი ახლოს გვაცნობს ამ გმირებს, გვიყვება ადამიანურ ისტორიებს მათი სიხარულის თუ ტკივილის შესახებ, გვიყვება იმ რეალურ ისტორიებს, რაც ამ ადამიანებს გადახდათ თავს. ეს უკვე აღარ არის ის მშრალი სტატისტიკა, რომელიც ჩვენ გვესმის საინფორმაციოებიდან. ამიტომაც დიდი და მნიშვნელოვანი წიგნია და ამიტომაც, რაც მეტი ასეთი წიგნი დაიწერება ამ გმირებზე, მით უფრო მნიშვნელოვანი იქნება“.

არჩილ გამზარდია: „მიუხედავად იმისა, ვინ რა ინტერესით წავიდა ამ ომში, ეს ადამიანები არიან გმირები. ამ ადამიანების გმირობამ საქართველოს ავტორიტეტი მთელი მსოფლიოს წინაშე აწია. ამიტომაც ამ ადამიანების მიღწევები არ უნდა დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ და ამან უნდა მისცეს თაობებს დადებით ბიძგი, რომ ჩვენმა თაობამ გააუმჯობესოს ამ ადამიანების მდგომარეობა“.

მარიკა დარჩია: „მე მიმაჩნია, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი წიგნია, რადგანაც ამ ადამიანების გმირობა სულ უნდა გავიხსენოთ. მე მიხარია, რომ ჩემი პატარა ჩანაწერიც მოხვდა ამ წიგნში, რომელსაც ჰქვია - „ეს ცეცხლი სულ უნდა ენთოს“. ეს არის ჩემი პირადი დამოკიდებულება და ვფიქრობ, რომ ეს გმირობა არასდროს არ უნდა დაიკარგოს“.

გოგა აფციაური: „ეს ბიჭები სხვის ომში არ იბრძვიან, ვიცი, რომ ეს არის თავგანწირვა და ანგარება ამ საქმეს არ ახლავს. ვიცი, რომ მსოფლიო უსაფრთხოებაში ჩვენი წვლილი უნდა შევიტანოთ, იმისთვის, რომ ქვეყანა გვქონდეს უსაფრთხო და დაცული, ვიცი, რომ ეს არის ერთადერთი გზა ევროპული სტრუქტურებისკენ და შესაბამისად, ჩვენი განვითარებისკენ და თუ ამ ყველაფრის მისაღწევად თავს სწირავ, ეს სამშობლოსთვის თავგანწირვა და გმირობაა“.

სოფო მოსიძე: „ვფიქრობ, როგორ უნდა გაამართლო მათი სიკვდილი? ღირს თუ არა „სხვის ომში“ ბრძოლა? რა სჯობს - იყო გარდაცვლილი გმირი თუ ცოცხალი ად-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ამიანი? ვუყურებ კადრებს, მათ ფოტოებს და უბრალოდ, ყოველგვარი ახსნის გარეშე, პატივს ვცემ მათ არჩევანს, უშიშრობას, ვაჟკაცობას, მათ სურვილს, ოცნებას, მიზანს, იმედს - რამაც ისინი ომში წაიყვანა და მადლობას ვუხდი ჩვენი მომავლისათვის“!

ზაალ უდუმაშვილი: „ყველა, ვინც ამ მისიაში მონაწილეობს, უკვე გმირია, მიუხედავად იმისა, მიიღო თუ არა თითოეულმა მათგანმა სახელმწიფოსგან ეს ჯილდო. ქართველები ძირითადად ჩვენი ისტორიით ვამაყობთ. აწმყოთი ნაკლებად. თუმცა, როდესაც იცი, რომ 1 500 ახალგაზრდა სამშობლოს დასაცავად უცხო ქვეყანაში ურთულეს მისიას ასრულებს, უკვე ამაყი ხარ. ამაყი ხარ, რომ ამდენი გმირი გყავს“.

ნინო ქაჯაია: „ამ ბიჭებმა სიცოცხლე გაწირეს, როგორც ჯარისკაცებმა, გაწირეს ღირსეულად, გაწირეს ქართული დროშით სამკლაურზე, თითოეულ მათგანს ჰქონდა იდეა და რწმენა, საკუთარი ქვეყნის სამსახურისა, მათმა მშობლებმა კი ომში გაუშვეს და დაკარგეს ყველაზე ძვირფასი, რაც გააჩნდათ.

ამიტომ, განსხვავებული აზრის მიუხედავად, ვფიქრობ, ყველამ ქედი უნდა მოვიხაროთ თითოეული ამ ჯარისკაცის წინაშე და მადლობა ვუთხრათ მათ მშობლებს, ასეთი შვილების გაზრდისთვის და წიგნში, რომელიც ახლა მუხლებზე უდევთ, მხოლოდ მათი ოჯ-



ახების ტრაგედიასა, თუ ღირსებაზე როდი წერია, ეს თითოეული ჩვენგანის ტრაგედია და ღირსებაა. სწორედ იმ ბიჭივით უნდა გვქონდეს ჩვენც ხელი თითოეულ ფურცელზე და გვახსოვდეს, რომ ისინი ჩვენც დავკარგეთ და ისინი ჩვენი გმირებიც არიან“.

თენგო გოგოტიშვილი: „ნებისმიერ მთავრობას, რომელიც ავღანეთში ჯარებს გზავნის ან ინარჩუნებს, სათქმელი მხოლოდ ერთი აქვს – საქართველოს ბრძოლის ხაზი დღეს იქ გადის. ნებისმიერ პოლიტიკოსსა და მეთაურს, რომელიც პატივს მიაგებს იქ დაღუპული ქართველი მებრძოლის ღვაწლს, სათქმელი მხოლოდ ერთი აქვს – ავღანეთში ის საქართველოს ემსახურებოდა. რიგითი ავღანელის კეთილდღეობასა და რიგითი ქართველის კეთილდღეობას შორის კავშირი შეიძლება იოლად დასანახი არ არის, მაგრამ ეს კავშირი არსებობს და ფაქტებისა და შედეგების პირდაპირ ჯაჭვს შეადგენს. რაც უფრო მყარი იქნება მშვიდობა ჯალალაბადში, ყანდაარსა თუ მაზარიშარიფში, მით უფრო სწრაფად გამოთავისუფლდება დასავლეთის პოლიტიკური და ფინანსური რესურსები და ყურადღება სხვა გლობალური პრობლემების მოსაგვარებლად. ჩვენ კი ამას ძალიან, ძალიან დიდი ხანია, ველით“.

ეს არის მხოლოდ ნაწილი ამონარიდები ჟურნალისტების იმ წერილებიდან, რომელიც წიგნში „გმირი“ ქვეყნდება.

თამარ გორთამაშვილი („გმირის“ ავტორი და რედაქტორი): „გმირის“ მესამე ნაწილზე, სადაც ავღანეთში დაღუპული ქართველი გმირების ისტორიები შევკრიბეთ, „პრაიმტიამის“ რედაქციის სრულმა შემადგენლობამ იმუშავა. იქიდან გამომდინარე, რომ 29 გმირი საქართველოს სხვადასხვა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნინო ბურჯანაძე
ყველაზე ამბიციური და რადიკალური ფიგურა

ქეთი ხატიაშვილი

შეიძლება ითქვას, ქალ პოლიტიკოსებში არ გაგვიმართლა. სულ თითზე ჩამოსათვლელ ქალბატონებს ჰქონდათ შანსი, თუმცა სერიოზულ და გავლენიან ფიგურად ვერც ერთი ვერ შედგა.

პირველად შანსი ირინა სარიშვილს ჰქონდა, თუმცა, მოგვიანებით, უკვე მაშინ, როცა ის პოლიტიკურმა პროცესებმა თამაშგარე მდგომარეობაში დატოვა, სიმართლე თქვა გადაცემა „სიმართლის დროში“. მან აღიარა, რომ „კაგებესთანაც“ თანამშრომლობდა და საქართველოს საზიანო გადაწყვეტილებებისთვისაც დაუჭერია მხარი.

მეორე ასეთი ფიგურა, ვისაც შეეძლო წარმატებული კარიერა გაეკეთებინა, ნინო ბურჯანაძე იყო. მეორე იყო სარიშვილის შემდეგ, თუმცა, პირველი – ვინც თავისი მკაცრი და კლასიკური ჩაცმულობით ძალიან ჰგავდა დასავლელ ქალ პოლიტიკოსებს.

დასავლეთმა, ნინო ბურჯანაძის სახით, პირველად იხილა კლასიკურ სტილში გადაწყვეტილი ქართველი ქალი პოლიტიკოსი – კლასიკური ჩაცმულობით, მანერებით, თავშეკავებული ღიმილით... ის მარგარეტ ტეტჩერზე იყო „აწყობილი“.

და როცა და სანამ ამ კლასიკურ სტილს პოლიტიკური მესიჯებით ჟვანია და სააკაშვილი ამარაგებდნენ, ნინო ბურჯანაძე დასავლურ ასპარეზზე ბრწყინავდა. დასავლეთზე ის შთაბეჭდილებას ახდენდა. თუმცა, ნინოს ყოველთვის დაბალი რეიტინგი და გავლენები ჰქონდა საქართველოში. ხალხს ის არც უყვარდა და არც მოსწონდა. ამიტომაც დიპლომატები, მაგალითად, ჩვენ, ჟურნალისტებს, ხშირად გვეკითხებოდნენ, რატომ არ იყო ბურჯანაძე ხალხში პოპულარული, რატომ ვერ ხედავდა ელექტორატი მასში პოლიტიკოსს, რა აკლდა მას?.. მას კი აკლდა ის, რაც პოლიტიკაში მთავარია – ღირებულებები და ხალხისადმი დადებითი განწყობა მაინც...

პირველიდან დავიწყოთ. ნინოსთვის ღირებულებები არასოდეს იყო მთავარი. მისი მოძრაობის ტრაექტორია პოლიტიკაში ყოველთვის ოჯახზე გადიოდა. მისთვის ოჯახის ინტერესები უფრო მაღლა იდგა, ვიდრე სხვა დანარჩენი და ქვეყანაც მათ შორის; მისთვის საკუთარი ქმრის განწყობები უფრო მეტი იყო, ვიდრე პოლიტიკაში გუნდური თამაში. ახლა რაც შეეხება ხალხის მიმართ განწყობებს. ყოველთვის ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ნინო ბურჯანაძეს ეშინოდა ხალხის – ეშინოდა, რომ მათგან წამოსული მტვერი და ჭუჭყი მის „დოლჩე-გაბანას“ ან „გუჩის“ სამოსს არ შეხებოდა.

არამხოლოდ სამოსს, პირად საუბრებში ნინო ბურჯანაძე ამბობდა, რომ მას არ უყვარს, როცა შეხვედრისას ჰკოცნიან. ეს აღიზიანებს, რადგანაც სახის კანი უჭუჭყიანდება.

ის მდიდარ ოჯახში გაიზარდა, დედისერთაა და შესაძლოა, კაპრიზული ხასიათიც ამიტომ დაჰყვა, თუმცა პოლიტიკა სხვა კრიტერიუმებს ცნობს. როცა ხალხის სიყვარულსა და აღიარებას ეძებ, მაშინ უბრალო ადამიანისგან არ უნდა განსხვავდებოდე, ჩაცმულობით მაინც.

მოკლედ რომ ვთქვათ, პოლიტიკაში ის უფრო ქალი იყო თავისი ჭირვეულობებით, კაპრიზებითა და მუდმივი პრეტენზიებით, ვიდრე პოლიტიკოსი, ვინც მზად იყო კომპრომისებისთვის, პირადი ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებისთვის...

ეს ხასიათი მან თითქმის პოლიტიკურად მისთვის მნიშვნელოვან ყველა მომენტში გამოავლინა. „ვარდების რევოლუციის“ წინ ის წინააღმდეგი იყო, სააკაშვილისთვის პრეზიდენტობა დაეთმო. თუმცა, უკვე „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, როცა სააკაშვილი უკვე პრეზიდენტი გახდა, ჟვანია – პრემიერი, თავად კი – პარლამენტის თავმჯდომარე, მან სააკაშვილს ჟვანიას წინააღმდეგ მოკავშირეობა შესთავაზა. შესაძლოა, სააკაშვილსა და ჟვანიას შორის მართლაც იყო დაძაბული ურთიერთობა, შეიძლება იყო მომენტი, როცა ორივეს უჭირდა ერთმანეთის ატანა, მაგრამ მათ ესმოდათ, რომ პოლიტიკა საკუთარ თავში ასეთი ტვირთის ტარებასაც გულისხმობს. ამიტომაც სააკაშვილმა ამ გარიგებაზე უარი თქვა.

ნინო პოლიტიკაში დიდი, თუმცა წარუმატებელი ისტორიაა. დიდი იმიტომ, რომ ის დიდ პოლიტიკაში იყო და მისი პარტნიორები სააკაშვილი და ჟვანია იყვნენ; წარუმატებელი იმიტომ, რომ ის ვერ მიხვდა საკუთარ უპირატესობას და როლს პოლიტიკაში; შესაძლოა იმიტომაც, რომ ძალიან სწრაფად მოვიდა მასთან წარმატება, სწრაფად და იოლად. და მან ირწმუნა, რომ მისი წარმატება გარემოებებმა კი არა, მისმა საკუთარმა შესაძლებლობებმა შექმნა.

კურთხევა

დიდ პოლიტიკაში ის ზურაბ ჟვანიამ შემოიყვანა, ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს. ის პარლამენტის თავმჯდომარე სწორედ მისი წყალობით გახდა და არჩევნები ვაჟა ლორთქიფანიძეს მოუგო, რომელიც, როგორც კანდიდატი, საკმაოდ სუსტი იყო, თუმცა ლორთქიფანიძეს მხარს ბერეზოვსკი უჭერდა თავისი ფინანსებით.

როგორც ჩანს, მას შემდეგ გაუჩნდა ნინოს ილუზიები საკუთარ შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ამიტომაც „ვარდების რევოლუციის“ წინ სააკაშვილს ლიდერის პოზიციები არ დაუთმო, პრეზიდენტობის ამბიციაზე სააკაშვილის სასარგებლოდ უარი ვერ თქვა.

შეიძლება ითქვას, რომ ჟვანიასთან ერთად პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნებში გამარჯვება ბურჯანაძის „Звёздный час“-ი იყო. მას შემდეგ მისი ნელი, მაგრამ სტაბილური სვლა დაიწყო ქვევით. ქვევით სვლის ოდისეა კი ბურჯანაძემ რუსთაველზე გაშლილ კარვებში დაასრულა.

ქართველი პოლიტიკოსი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე 2001 წლის ნოემბრიდან 2008 წლის ივნისამდე, საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობისშემსრულებელი: 2003 წლის ნოემბრიდან 2004 წლის იანვრამდე და 2007 წლის ნოემბრიდან 2008 წლის იანვრამდე

პოლიტიკური ხაფანგი

შესაძლოა, ნინო ახლა ძალიან ნანობს, რომ 7 ნოემბრის აქციების დროს თანამდებობიდან არ გადადგა და აქციებს სათავეში არ ჩაუდგა. მაშინ მას არა მხოლოდ ქუჩაში მდგარი ოპოზიცია ურჩევდა ოპოზიციაში გადასვლას, არამედ სოციოლოგი ზურაბ ბიგვავაც.

პარლამენტის თავმჯდომარის ფანჯრები მომიტინგეებს გადაჰყურებდა. ნინო ბურჯანაძეს ზურაბ ბიგვავა კაბინეტში ეჯდა, ისინი სწორედ ამ საკითხს განიხილავდნენ. ზურამ ნინო ფანჯარაში გაახედა და უთხრა: ხედავ, რამდენი ხალხია? თუ გადადგები, მათი ლიდერი გახდები და ეს შანსია შენთვისო.

პარლამენტის თავმჯდომარე ვერ დაიყოლიეს. მიტინგის დარბევის შემდეგ ნინო ბურჯანაძე იტყვის, რომ პროცესები რუსეთიდან იმართებოდა:

– მათი ნაწილი, ნებსით თუ უნებლიეთ, ნამდვილად იმართებოდა რუსეთიდან. პოლიტიკური ძალების ნაწილი პირდაპირ იღებს დაფინანსებას რუსეთისგან და ამის დამადასტურებელი მასალა გამჟღავნდება.

პარლამენტში გამოსვლისას რომანოვის ისტორიაც გაიხსენა. რუსეთის რევოლუციის დროს რომანოვს რომ გაესროლა, საბჭოთა მმართველობას გადავრჩებოდითო. ეს სიტყვები შესაძლოა, მკაცრად ჟღერს, მაგრამ ამაში, რა თქმა უნდა, არის ლოგიკა. რუსი ისტორიკოსებიც მიიჩნევენ, რომ რომანოვი უფრო ადამიანი იყო, ვიდრე მეფე, ანუ მასში დიდი იყო შემწყნარებლობის დოზა. მან ვერ ესროლა ხალხს, სამაგიეროდ კი ბოლშევიკებმა მთელი მისი ოჯახი გაანადგურეს. ნინო ბურჯანაძის მაშინდელი მესიჯი ასეთი გახლდათ: სახელმწიფო იძულებული იყო, რადიკალური ზომებისთვის მიემართა, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე. მაშინ ნინო დარწმუნებული იყო, რომ ქუჩის ოპოზიცია რუსეთიდან იმართებოდა.

ბევრი, ვისაც ნინო იცნობდა, გაკვირვებული დარჩა მისი პოზიციით. მან პოზიცია საკმაოდ მკაცრად და მკვეთრად დააფიქსირა. გასაგებად გაემიჯნა ქუჩის მოვლენებს – „გრეჩიხას“, პატარკაციშვილს, რუსულ ფულს...

და მხოლოდ მოგვიანებით, რამდენიმე თვეში, ცნობილი გახდა, რომ ბურჯანაძემ საკუთარი პოზიცია „გაყიდა“, თანაც ერთ ლარად. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტის თავმჯდომარეს, ანუ ბურჯანაძეს, ერთ ლარად წყნეთის მოზრდილი მიწა (31.696 კვადრატული მეტრი) უსახსოვრა. დროში ეს ძვირადღირებული საჩუქარი სწორედ ნოემბრის მოვლენებს დაემთხვა. იმდენად, რომ ადვილი მისახვედრი არ არის, რატომ დაიცვა ნინო ბურჯანაძემ სააკაშვილი, ძალოვნები და გამოვიდა რუსული ინტერესებისა და ფინანსების წინააღმდეგ. გავა სულ ორიოდე წელი და უკვე ქუჩაში გასულ ნინო ბურჯანაძეს ნოემბრის აქციებსა და რომანოვის მაგალითს ცუდად შეახსენებენ. ხალხი მას მიტინგზე სტვენით შეხვდება...

მანამდე კი ნინო ბურჯანაძე არა მხოლოდ მიწის ნაკვეთს იჩუქებს, საკუთარი ქმრისთვის ხელშეუხებლობას მოითხოვს – მაშინ ის საზღვრის დაცვის დეპარტამენტს თავმჯდომარეობდა. ამის გარდა, შეადგენს სიას, სადაც მოხვდებიან გიგა ბოკერია, ნინო კალანდაძე და კიდევ რამდენიმე ადამიანი, რომელთა პარლამენტიდან გაყვანასაც მოითხოვს.

ეს კრიზისული ვითარება იყო და სააკაშვილი მის ყველა მოთხოვნას დასთანხმდა. ნინო ბურჯანაძე ცდილობდა, თავად ეკონტროლებინა პარლამენტი. მას ეგონა, რომ, თუ გიგა ბოკერია საკანონმდებლო ორგანოს დატოვებდა, მისი გავლენები გაფართოვდებოდა და ხელს ვერავინ შეუშლიდა. მას პარლამენტში ისე უნდოდა თავი ეგრძნო, როგორც სახლში.

და როგორც კი თავი დიდი სასახლის ჭკვიან დიასახლისად დაიგულა, მაშინვე პოლიტიკოსების ხაფანგში გაება, თანაც ისე, რომ თავად ამის შესახებ ყველაზე გვიან გაიგო:

პარლამენტის არჩევნების მიწურულს შალვა ნათელაშვილი მოულოდნელი ინიციატივით გამოვიდა. კონსულტაციების დროს მოითხოვა, საარჩევნო სიებზე ხელმომწერი მხოლოდ ერთი პირი ნუ იქნება, პარტიაში მეორე პირსაც უნდა ჰქონდეს ამის უფლებაო. ნინო ბურჯანაძე ამ დათმობაზე დიდსულ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნინო ბურჯანაძე - პარტია დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს თავმჯდომარე

ოვნად დასთანხმდა... მან თქვა, რომ ის ისეთი პარლამენტის თავმჯდომარეა, რომელიც უსმენს ოპოზიციას და მათ შენიშვნებსაც ითვალისწინებს. მაშინ ნინო ვერ მიხვდა, რომ ამ გადაწყვეტილებით შალვამ კი არ მოიგო (მას არაფერში სჭირდებოდა პარტიაში კიდევ ერთი, ასეთივე სერიოზული უფლებებით აღჭურვილი პირი), არამედ წააგო ნინომ.

სინამდვილეში ნინოს თამაშის შესახებ ნაციონალებმა ყველაფერი დეტალურად იცოდნენ, ამიტომაც შალვას ინიციატივას თავადაც საეჭვო გულმოდგინებით დასთანხმდნენ. მოკლედ, როცა ნინო ბურჯანაძემ ნაციონალების სიაში საკუთარი ქმრისა და შვილის ძმაკაცების ჩასმა მოინდომა და უარი მიიღო ცესკოში საარჩევნო სიების ჩაბარებამდე რამდენიმე საათით ადრე, გამოვიდა და თქვა: „ნაციონალურ მოძრაობას“ ვტოვებო.

მას, ვინც ახლა ხშირად გვახსენებს ხოლმე რომ იურისტია, არც ახსოვდა, რა დაუთმო შალვა ნათელაშვილს. ასე რომ, ნაციონალში სხვას უკვე ჰქონდა სიაზე ხელმოწერის უფლება.

ნინო ბურჯანაძე იტყვის, რომ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ შეუთავსებლობა ჰქონდა. გიგა ბოკერიას განმარტებით, მათ ვერ აუხსნეს ბურჯანაძეს, რა კრიტერიუმით უნდა დაეყენებინათ წინ ბადრი ბიწაძის პირადი მეგობრები და

უარი ეთქვათ აქტიური მხარდამჭერებისთვის.

რეალურად, ნინო ბურჯანაძემ საკუთარი პოლიტიკური კარიერა საკუთარ ოჯახს გადააყოლა და ეს ამის კლასიკური მაგალითია.

ერთხელ თავადაც აღიარა რომ კონფლიქტი სიების გამო მოხდა: „სერიოზული, ხანგრძლივი და არა მარტივი კონსულტაციების მიუხედავად, ჩემდა სამწუხაროდ, ვერ იქნა მიღწეული კონსენსუსი ნაციონალური მოძრაობის საპარლამენტო სიის ფორმირების პროცესში. მე ვცდილობდი, საპარლამენტო სიაში მოხვედრილიყვნენ ახალი ადამიანები, ახალი სახეები, რომლებიც, ჩემი აზრით, ნამდვილად გამოადგებოდნენ ქვეყანას“.

ადრე ზურაბ ჟვანიაც ხშირად ამბობდა პირად საუბრებში და ახლა არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებიც ადასტურებენ, რომ ნინო ბურჯანაძესთან მოლაპარაკებებს ბადრი ბიწაძის მეშვეობით აწარმოებდნენ. იმიტომ, რომ ყველაფერი მაინც ისე იქნებოდა, როგორც ბადრი იტყოდა.

ნინო ბურჯანაძე, როგორც ჩანს, საკუთარ შეცდომებს ვერ პატიობს სხვებს, პოლიტიკაში – ნაციონალებს.

ირაკლი და დათო

პირად საუბრებში ნინო ბურჯანაძე ხშირად სინანულით მიანიშნებს ირაკლი ალასანიასა და დავით ბაქრაძეზე. ის თავად მიიჩნევს, რომ ორივე მათგანს თავად გაუხსნა პოლიტიკის დიდი კარი და რომ ორივე მათგანი მისი გადარჩენილია. ირაკლი ალასანია, პირველ რიგში, იმიტომ რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ უმუშევარი რჩებოდა და სწორედ მან გადაარჩინა უმუშევრობას; დავით ბაქრაძეც პერსონალურად დაალობირა მან თავის დროზე „ვარდების რევოლუციის“ დროს და ასე აღმოჩნდა ის პარლამენტში. მერე? რით უპასუხა ან ერთმა ან მეორემ? როცა მან ნაციონალები დატოვა, დავით ბაქრაძემ სოლიდარობა კი არ გამოიჩინა, არამედ ნაციონალების საარჩევნო სიას ჩაუდგა სათავეში. პრეზიდენტობისთვის რომ იბრძოდა, ირაკლი ალასანიამ უარი უთხრა და ცალკე ალიანსი შექმნა, ახლებთან და რესპუბლიკელებთან ერთად. ბურჯანაძე საკუთარ თავს არ ადანაშაულებს, პოლიტიკოსების ასეთ გადაწყვეტილებას ქართველი მამაკაცისთვის დამახასიათებელი მენტალიტეტით ხსნის, – ისინი ხომ ქალებს არ აღიარებენო.

სინამდვილეში კი, როგორც ზევით ვნახეთ, ქალი აქ არაფერ შუაშია – ყველა მოლაპარაკება და კონსულტაცია უშუალოდ ბადრი ბიწაძესთან ერთად ან პირადად მასთან მიმდინარეობს.

მეორეც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დავით ბაქრაძემ მაშინ მარტივი გადაწყვეტილება მიიღო – ის პოლიტიკურ პროცესში დარჩა. ასეთივე იქნებოდა ირაკლი ალასანიას მოტივაციაც, თუმცა ირაკლიმ და ნინომ ერთმანეთში ლიდერობაზეც ვერ მოილაპარაკეს – ნინომ პრეზიდენტობა ადრე მიშას არ დაუთმო და შემდეგ არც ირაკლი აღიარა.

და არის კიდევ ერთი მთავარი რამ, რაც უკვე ნინოს ხასიათშია. მან არ იცის გუნდური თამაში, ის პრეტენზიულია და სურს, ყველამ მის წარმატებაზე იმუშაოს, თანაც ისე, რომ ყველაფერი სხვებმა გააკეთონ, სცენაზე კი უკვე ნინო დადგეს და გაღიმებულმა მიიღოს აპლოდისმენტები. პარლამენტის თავმჯდომარის როლიც მას ასე ესმოდა. ამიტომაც ხშირად ამბობდა: მოილაპარაკეთ, შეთანხმდით, ჩამოყალიბდით, კონკრეტულად როგორ შეიძლება საკითხის გადაწყვეტა და მე დავთანხმდებიო. ანუ მას არ ჰქონდა ან ნერვები,

ან სურვილი, მოლაპარაკებების მძიმე პროცესში ჩართულიყო, თავად მიეღო გადაწყვეტილება...

მეორეც, არც დავით ბაქრაძე და არც ირაკლი ალასანია ნინო ბურჯანაძის წინაშე თავს დავალებულად არ გრძნობენ. და ესეც ლოგიკურია. ნინოს უყვარს ბუზისგან სპილოს შექმნა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე მის „დამსახურებებს“ ეხება.

ოპოზიციაში

თავიდან ნინო ბურჯანაძე რუსეთთან თავის კავშირებს მალავდა. მაგრამ მოგვიანებით ზურაბ ნოღაიდელი კრემლში მივიდა და პუტინს ხელი ჩამოართვა. თეთრი მანდილიც ბურჯანაძემ მაშინ მოიხსნა და პუტინს უკვე თავადაც ღიად შეხვდა. ამის შემდეგ იწყება მის პოლიტიკურ ცხოვრებაში შესაძლოა ახალი არა, მაგრამ ოფიციალურად პრორუსული მიმართულება. სკანდალურად გაიჟღერა მისმა ფრაზამ 2008 წლის ომზე. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე გამოვიდა და თქვა: არ მესმის, რატომ უნდა ვიყო პუტინზე გაბრაზებულიო. ეს კითხვაც იყო და პასუხიც.

ნინო ბურჯანაძე პირველი იყო და ერთადერთად დარჩა, ვინც ამბობს, რომ ომი 2008 წელს საქართველომ დაიწყო. ჯერ მედვედევმა და მოგვიანებით პუტინმაც აღიარეს, რომ ისინი ამ ომისთვის ემზადებოდნენ და ის იმისთვის წამოიწყეს, რომ რუსეთის საზღვრებთან ნატოს გაფართოება შეეჩერებინათ. მაგრამ ნინოს მაინც კრემლისა და პუტინის უფრო სწამს...

ასეთია ნინო ბურჯანაძე. მან მთლიანად პრორუსულ ორბიტაზე გადაინაცვლა. ამიტომაც, როგორც რუსულ პოლიტიკას სჩვევია, მან პოლიტიკური პროცესებიდან რადიკალიზმისკენ გადაინაცვლა.

პარლამენტის თავმჯდომარის რანგში, როცა მისი კაბინეტის ფანჯრები ქუჩას გადაჰყურებდა, მისთვის ქუჩის აქციები მიუღებელი იყო, მაგრამ ოპოზიციაში გადასვლისთანავე სწორედ ქუჩაში დაიკავა ადგილი ასეთივე რადიკალური მოთხოვნებით – გადადგეს სააკაშვილი, დაინიშნოს ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები.

აპრილის აქციები სწორედ მისი მომზადებულია. 8 აპრილს ამბობდა: ხვალ სააკაშვილის რეჟიმი დასრულდებაო. ამ ფრაზის გამო რესპუბლიკელებმა მაშინ ნინო ბურჯანაძის აქციას მხარი არ დაუჭირეს. დავით უსუფაშვილი ღიად ითხოვდა ნინო ბურჯანაძისგან პოლიტიკური პარტნიორებისთვის იმ პოლიტიკური გეგმის გაცნობას, რის შემდეგაც სააკაშვილი გადადგებოდა და ქვეყანაში ვადამდელი არჩევნები ჩატარდებოდა. ნინო ბურჯანაძემ მაშინ თქვა: ვერაფერს გეტყვით, ერთი სიტყვაც რომ გაიგოს ვანო მერაბიშვილმა, მთელ გეგმებს ჩამიშლისო. ასე დაიწყო 9 აპრილის აქციები. თუმცა, ვერც ერთ დღეში და ვერც ერთ თვეში ნინო ბურჯანაძემ საკუთარი ოცნებისკენ წინ ვერ წაინია. კარვების ქალაქი და ეგრეთწოდებული სირცხვილის კორიდორებიც სწორედ მასთან ასოცირდება. რკინის გალიებით გადაკეტილი რუსთაველი და „თავისუფლების მოედანი“ უკვე თავად ნინო ბურჯანაძის წინააღმდეგ მუშაობდა. საბოლოოდ, ქუჩის პროცესი ჩიხში შევიდა და ჭუჭყიანი და დაფლეთილი კარავი (სწორედ ასე ეძახდნენ რკინის კონსტრუქციებს) ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური კარიერის დასასრულადაც კი შეიძლება ჩაითვალოს.

ამიტომაც 26 მაისის პროვოკაცია მხოლოდ მას სჭირდებოდა. ნინო ბურჯანაძემ ძალიან კარგად იცოდა, რომ ეს დიდი პროვოკაცია იყო და ამ ბრძოლაში ის მართალი არ იყო. მას მხარი არც დასავლეთში დაუჭირეს და არც აქ... შემთხვევითი არ არის, რომ იმ ღამეს ბურჯანაძე იქ მარტო იდგა, მას სხვა არც ერთი პოლიტიკური პარტია არ შეერთებია. ვგულისხმობ პარტიას და არა ერთი კაცის პარტიებს, ასეთებიც არიან საქართველოში.

26 მაისი იყო შეგნებული პროვოკაცია ნინო ბურჯანაძის მხრიდან, ეს იყო ხელისუფლების, თუ გნებავთ, უტიფარი გამოწვევა. დარბევას მსხვერპლიც მოჰყვა და სისხლიც. სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილმა „პრაიმტაიმთან“ საუბარში არ გამორიცხა, რომ 26 მაისის ტრაგედიის გამო ნინოს პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს. საქმეს პროკურატურა ჯერ კიდევ იძიებს.

ამ ტრაგედიაზე კი ნინო ბურჯანაძე საკუთარი პოლიტიკური კარიერის აწყობას ისევ აპირებს...

ნინო ბურჯანაძე პრეზიდენტობის კანდიდატია...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

უსახსროდ დარჩენილ სამშვილდაღუპულ დ

ნანა შონია

მთაწმინდის რაიონში, ორთაჭალის 23 ნომერში უმძიმეს პირობებში მცხოვრები ნინა გოდაბრელიძე სახელმწიფოს მხრიდან დახმარებას ითხოვს. ოჯახს ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური სამსახურის წარმომადგენლებმა, სოციალური დახმარება მხოლოდ იმის გამო მოუხსნეს, რომ გოდაბრელიძეებმა მათი ნათესავისგან საჩუქრად მოძველებული ტელევიზორი და კომპიუტერი მიიღეს... რვა თვის მანძილზე ნინა გოდაბრელიძე დახმარების მოლოდინში სოციალურ სამსახურს განცხადებით ყოველდღიურად მიმართავს, თუმცა უშედეგოდ. აგენტები მათთან ოჯახში ყოველთვიურად დადიან, ერთთვიანი თანხის დანიშვნის მოლოდინი კი(მაღალი ქულებით) უშედეგოდ მთავრდება.

ნინა გოდაბრელიძეს ოთხი შვილიდან სამი ბიჭი გარდაცვლილი ჰყავს, ერთადერთ ქალიშვილს კი მეუღლე რამდენიმე წლის წინ ავტოკატასტროფაში დაეღუპა და დაქვრივდა. ოჯახი, დღეს სარდაფში, უმძიმეს ვითარებაში ცხოვრობს. არაერთი თხოვნის მიუხედავად გოდაბრელიძის დახმარება ვერც ერთმა სახელმწიფო უწყებამ ვერ შეძლო. კრწანისის გამგეობის მხრიდან გამოჩენილი მაქსიმალური ყურადღების მიუხედავად მისი პრობლემების მოგვარება ვერ ხერხდება. რა ხდება სინამდვილეში და რა პრინციპებით სარგებლობენ სოციალური სამსახურის აგენტები მოქალაქეების ქონებრივი მდგომარეობის შეფასებისას, ამაზე „პრაიმტაიმი“ ნინა გოდაბრელიძეს ესაუბრა.

დედა, რომელსაც სამი ვაჟი დაეღუპა, ქალიშვილი კი დაუქვრივდა, შველას ითხოვს

„თქვენ თვითონ დაათვალიერთ, ნახეთ, ამ პირობებში შესაძლებელია ადამიანი ცხოვროდეს და მას სახელმწიფო სოციალური დახმარების მიღებაზე უარს ეუბნებოდეს?“

ნინა გოდოლაძე: - ჩემს ოჯახზე დამტყდარი უბედურების შემდეგ უმძიმეს პირობებში მიწევს ცხოვრება. სამი ბიჭი რვა წლის წინ დამეღუპა, ორი მათგანი ავარიაში მოყვა, ერთი კი ინსულტით დავკარგე... მათი გარდაცვალების შემდეგ დაიწყო ჩვენი უბედური ოჯახის ისტორია. ვერასდროს წარმოვიდგენდი ასეთ ვითარებაში თუ მომიწევდა ცხოვრება. დღეს, მე და ჩემი ერთადერთი ქალიშვილი, ორი შვილიშვილის ამარა, პრაქტიკულად ქუჩაში ვართ დარჩენილი. ამდენი უბედურების გადამტანი ოჯახი ვართ და წლების მანძილზე, შვილებისა და მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ვალები დაგვიგროვდა. რას წარმოვიდგენდი სახლის გაყიდვა თუ მომიწევდა და იმ სარდაფში გავაგრძელებდი ცხოვრებას, რომელიც წლების წინ ვიყიდე. უამრავი ვალები დაგვიგროვდა და დღეს წარმოუდგენელ პირობებში ვცხოვრობთ მე და ჩემი ერთადერთი ქალიშვილი. ის უმუშევარია, ჩვენი ოჯახის და ბავშვების ერთადერთ რეალურ შემოსავალს, პენსიასთან ერთად, ის სოციალური დახმარება წარმოადგენდა, რომელსაც წინა ხელისუფლების პირობებში ვიღებდი. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ამ დახმარებაზე უარი გვითხრეს. ყოველთვიურად მივმართავ ჯანდაცვის სამინისტროს სოციალურ სამსახურს თხოვნით, რათა მოვიდნენ, ჩაატარონ აღწერა, ნახონ ჩვენი მდგომარეობა, შეაფასონ, შესაძლებელია თუ არა რეალურად ამ გარემოში მცხოვრები ადამიანებისთვის ერთადერთ შემოსავლაზე უარის თქმა. ისინიც ყოველთვიურად მოდიან, აღწერას ატარებენ და ყოველთვიურად ერთი და იგივე პასუხს გვეუბნებიან. უკაცრავად, მაგრამ თქვენ დახმარებას ვერ მიიღებთ, რადგან საკმაოდ მაღალი ქულა დაიმსახურეთო... ძალიან მაინტერესებს რას ნახულობენ ამ სარდაფში, ამ გაუსაძლის პირობებში ისეთს, რომლითაც მაღალ ქულებს ვიმსახურებთ. თქვენ თვითონ დაათვალიერთ, ნახეთ, ამ პირობებში შესაძლებელია ადამიანი ცხოვროდეს და მას სახელმწიფო სოციალური დახმარების მიღებაზე უარს ეუბნებოდეს?

ყველაფერი კი იმიტომ, რომ ჩემს შვილიშვილებს ტელევიზორი და ერთი კომპიუტერი აჩუქა ჩემმა დისშვილმა, რომელიც ყოველთვის გვეხმარებოდა და გვერდში გვედგა. ამას ხომ არ დავმალავ, აქ რომ შემოხვალთ თავადაც მიხვდებით, რომ ეს ჩემი ფინანსებით ვერ იქნება ნაყიდი, ისევ ვითარებაში ვართ...

- საჩივრის წერილით თუ მიმართეთ ჯანდაცვის სამინისტროს, რომ არაადეკვატურად ხდებოდა თქვენი სოციალური მდგომარეობის შეფასება?

- კი, რამდენიც გინდათ, წერილების მეტს რას ვწერ შვილო, ამ წერილების შედეგია ის, რომ მოდიან და ადგილზე ეცნობიან სიტუაციას. ახლიდან აწარმოებენ ვითომ აღწერას და ყველა ჯერზე ერთი და იგივე მეორდება. ერთ-ერთი ბოლო ასეთი შემოწმების შედეგად 58390 ქულა მოგვანიჭეს, ეს მაღალი მაჩვენებელია და დაფინანსებას არ ითვალისწინებს. როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ეს ყველაფერი?.. ახლა მე და თქვენ რომ ვსაუბრობთ, თუ დამიჯერებთ, ჩემი შვილიშვილები მშივრები არიან, მე ხომ დაუყოვნებლივ მჭიდება დახმარება, მარჩენალის გარეშე ვარ დარჩენილი და ეს არის ჩემი უბედურების მიზეზი. ჩემთვის ამ სოციალურ დახმარებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. პრემიერის ადმინისტრაციას მივმართე წერილით, ავუხსენი ჩემი მდგომარეობა, მაგრამ იმათგან მივიღე პასუხი, ვერ დაგეხმარებითო... ბიძინა რომ მაგას იტყვის, ვერ დაგეხმარებითო, რაღა უნდა თქვა ამის მერე და ვის უნდა მიმართო? 102 ლარს ვიღებდი სოციალურ დახმარებას და დღეს ამის მთხოვნელი გამხადა ჩემმა სახელმწიფომ...

დღემდე ვერ ვიგებ რა ხდება ჩვენს ირგვლივ, ეტყობა, ნაცნობები უნდა გყავდეს სოციალურ სამსახურში, რომ დახმარება აღმოგიჩინონ. აბა, რაღა უნდა ვიფიქრო, ჩემისთანა მდგომარეობა თბილისში სამ ადამიანს არ ექნება.

- თქვენ ამბობთ, რომ სოციალური აგენტები ნაცნობობით აკეთებენ ამ ყველაფერს?

- ალბათ, აბა, რა ვიფიქრო?.. მოვიდნენ, ხელი მომაწერინეს, მერე გვითხრეს, არა ფულადი დახმარება არ გეკუთვნით, ვერ მიიღებთო. რა ნახეს შვილო, ძალინ მაინტერესებს და ამაზე გაჩუმებას არ ვაპირებ. უმძიმეს პირობებში ვცხოვრობ, ეს ავადმყოფი ქალი და ყოველთვიურად 600 ლარის მედიკამენტებს ვსაჭიროებ. ამის შესაძენი არავითარი საშუალება არა მაქვს. ცოტა ხნის წინ ყველა ამ უბედურებას თან ფეხის მოტეხილობაც დაერთო. რომ არა კრწანისის გამგებელი, ხათუნა ბერძენიშვილი, ჩემი მშველელი არავინ იქნებოდა. ეს ქალბატონი მაქსიმალურად დამიდგა გვერდში და შეუძლებელი შეძლო, თავისი მანქანით წამიყვანა საავადმყოფოში და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ სათანადო დახმარება აღმოეჩინათ. მარტო რომ ვყოფილიყავი სამედიცინო დახმარების გაწევაზეც უარს მეუბნებოდნენ. თქვენ წარმოგიდგენიათ რა ვითარებაში გვიწევს მე და ჩემს ოჯახს ცხოვრება? უამრავი პრობლემის წინაშე დგას ჩემი ოჯახი. ვალები გვაქვს ძალიან ბევრი და ფინანსურ დახმარებასაც ვითხოვდით. ყველა უწყებას მივმართე განცხადებით, ამ ვალებს გადახდა უნდა, მშიერ-მწყურვალს მევალეები ყოველდღიურად გვაკითხავენ. ჩემმა მეუღლემ სოფელში სახლის ასაშენებლად გარკვეული თანხები ისესხა, მაშინ ნორმალურად ვცხოვრობდით და რას წამოვიდგენდით თუ ასეთი უბედურებები დაგვატყდებოდა თავს. სოფელში სახლი ავაშენთ, მხოლოდ კარკასი, გალესვაც ვერ მოვასწარით... ჩემი შვილები დაიღუპნენ... ცოტა ხანში კი მათ ჩემი მეუღლეც მიყვა... ამდენი ვალების ამარა დარჩენილს

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ᲜᲘᲜᲐ ᲒᲝᲓᲐᲑᲠᲔᲚᲘᲫᲔ: „ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲠᲝᲛ ᲛᲐᲒᲐᲡ ᲘᲢᲧᲕᲘᲡ, ᲕᲔᲠ ᲓᲐᲒᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗᲝ, ᲠᲐᲓᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲐ, ᲕᲘᲡᲓᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲝ?“

EXCLUSIVE

მხოლოდ ჩემი ერთადერთი დისშვილი მემხარებოდა... 15 ათასიდან მან 8 ათასამდე თანხის გადახდა შეძლო, მაგრამ... ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა... ახლა საერთოდ უპატრობოდ, უიმედოდ ვარ დარჩენილი. ახალ ხელისუფლებასთან ვერაფერს რომ ვერ გავხდი, პრეზიდენტის ადმინისტრაციას ვთხოვე დახმარება, მაგრამ იქიდანაც უარი მივიღე. არავის არ აინტერესებს ჩვენი მდგომარეობა, ბედის ანაბარა ვართ დარჩენილი მე და ჩემი ოჯახი და ამ დრომდე უშედეგოდ ვითხოვთ დახმარებას. ერთჯერადი ფინანსური დახმარება რამდენჯერმე გვაქვს აღებული, მაგრამ ეს იმდენად მწირია ჩვენი უბედურების პირობებში, რომ ასეთ ვითარებაში ცხოვრება წარმოუდგენელია.

„ისინიც ყოველთვიურად მოდიან, აღწერას ატარებენ და ყოველთვიურად ერთი და იგივე პასუხს გვეუბნებიან. უკაცრავად, მაგრამ თქვენ დახმარებას ვერ მიიღებთ, რადგან საკმაოდ მაღალი ქულა დაიმსახურეთო... ძალიან მაინტერესებს რას ნახულობენ ამ სარდაფში, ამ გაუსაძლის პირობებში ისეთს, რომლითაც მაღალ ქულებს ვიმსახურებთ“

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

დეა თავზერიძე

ნინო ყამბეგაშვილი ამჯერად დევნილ ბავშვებს ეხმარება

გერმანიაში მოღვაწე ქართველი პიანისტი და ქველმოქმედი ნინო ყამბეგაშვილი საქართველოს ახალი საქველმოქმედო საქმეებით უბრუნდება. ამჯერად ის დევნილ ბავშვებზე ზრუნავს. სწორედ მისი დამსახურებით, უახლოეს ხანში მუსიკალური ინსტრუმენტებით დატვირთული კონტეინერი თბილისში არსებულ იმ მუსიკალურ სკოლებს ჩამოუვათ, რომელშიც დევნილი ბავშვები სწავლობენ. ამის შემდეგ მუსიკოსს დევნილი ბავშვების გერმანიაში წაყვანა აქვს ჩაფიქრებული... ნინო ყამბეგაშვილი უკვე წლებია, რაც ქართულ-გერმანული ასოციაციის პრეზიდენტიც გახლავთ. მას დღემდე ძალიან ბევრი საინტერესო და ჩვენი ქვეყნისთვის სასიკეთო პროექტი აქვს განხორციელებული, მათ შორის ახალგაზრდა პატიმრებთან მუსიკალური ინსტრუმენტების შეტანა და მათთვის მუსიკალური სკოლის დაარსებაა. ამ ქველმოქმედის დამსახურებით მუსიკალური ინსტრუმენტები და ნოტები მუსიკალურ სკოლებს საქართველოს რვა რეგიონში დაურიგდათ. ჩაატარა ვორქშოპები, და გერმანიაში წასაყვანად შეირჩა ბავშვები. აქცია კვლავაც გრძელდება.

ნინო ყამბეგაშვილი: „შემთხვევით შევიტყვე იმის შესახებ, რომ საქართველოში არსებობს 13 სკოლა, რომელშიც აფხაზეთიდან დევნილი ბავშვები სწავლობენ. მათ გერმანიიდან სხვადასხვა სახის ინსტრუმენტები სექტემბრის ბოლოს ჩამოუვათ. ჩვენ მოვინახულებთ ყველა სკოლას, შევარჩევთ ბავშვებს და მათ გერმანიაში წავიყვანთ. მინდა ფრანქფურტში ისინი გერმანელ ბავშვებს შევახვედრო, რომ ერთობლივი კონცერტი გამართონ. ეს არ იქნება გერმანიაში ერთჯერადი ვიზიტი, მათ მიეცემათ იმის საშუალება, რომ მიიღონ სტიპენდიები და იქ სწავლა გააგრძელონ, და არა მარტო მუსიკალური მიმართულებით. ყველას, ვისაც ხელოვნება აინტერესებს, მიეცემა შანსი, რომ საკუთარი შესაძლებლობები განავითაროს. ხოლო ნოემბერში საერთაშორისო კონკურსზე, რომელსაც ყოველწლიურად ვატარებ და რომელშიც ყოველწლიურად იღებენ ქართველი ბავშვები მონაწილეობას, მინდა წელს აფხაზი ბავშვებიც ჩავრთო გალის რაიონიდან. იმედი მაქვს, რომ ეს ჩემი სურვილი განხორციელდება. სწორედ ამ მისიით ვიყავი ჩასული ავღანეთშიც. ავღანელი ბავშვები ფრანქფურტში ჩავიყვანე. მათ, ალბათ, არასდროს დაავიწყდებათ კონცერტის დღე, რადგან წარმატებით დაუკრეს. გასულ თვეს კი ჟენევის ევროპის პარლამენტში ავღანეთის თემასთან დაკავშირებით მშვიდობის დესპანის რანგში მიმიწვიეს“.

ქართულ-გერმანული ასოციაცია, რომელიც ეკონომიკისა და კულტურის დარგებს კურირებს ქალაქ ფრანქფურტში, 2008 წელს დაარსდა. თავიდან მხოლოდ მუსიკალური ასოციაცია იყო, რამდენიმე თვეა, რაც ეკონომიკაში გადაინაცვლა. ამჯერად ღონისძიებები და პროექტები არამხოლოდ ხელოვნებაში, ეკონომიკაშიც იგეგმება. 31 იანვარს ქართულ-გერმანული ასოციაცია დიასპორის სამინისტროსთან ერთად ფრანქფურტში, ქართველ ინვესტორებს შორის ქართული გლობალური ფორუმის მოწყობას გეგმავს.

ნინო ყამბეგაშვილი: „ჩვენი დიდი სურვილია გერმანიასა და საქართველოში მცხოვრები ქართველი ინვესტორები შევახვედროთ ერთმანეთს, ისინი ერთმანეთს იდეებს გაუცვლიან და უკეთ გაერკვევიან თუ როგორ ფუნქციონირებს გერმანიასა და საქართველოში ბაზარი, ამჯერად ორგანიზების პროცესში ვართ. ვფიქრობ, ამ ფორუმის შემდეგ გერმანიაში მცხოვრებ ქართველ მეწარმეებს საშუალება მიეცემათ საქართველოში განავითარონ თავიანთი ბიზნესი, შექმნან ბევრი სამუშაო ადგილი და დაეხმარონ ქართულ ეკონომიკას“.

მარიკო ებრალიძე დაფინანსებას ითხოვს

მარიკო ებრალიძე ჯგუფ „TSU ART“-თან ერთად მალე ეგვიპტეში გაემგზავრება. მანამდე კი მომღერალი ერთ-ერთ ივენთზე მქუხარე აპლოდისმენტებსა და ბრავოს შეძახილებს უხვად იღებს. მისი ენერგიული მუხტი შეკრებილ სტუმრებსაც გადაეცემა და საღამოს ბევრად ხალისიანი ელფერი ეძლევა. მარიკომ სიმღერაში ირგვლივმყოფებიც აიყოლია და საღამოზე შეკრებილებს ცნობილი ქავერები ამღერა. არანაკლები შთაბეჭდილება მოახდინეს მარიკოს ჯგუფის - „Fingers“-ის წევრებმა. ალბომი მზად აქვთ, დისკის გამოცემამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია... იშვიათი ჟღერადობის მუსიკა, რომელიც ეთნო ელემენტებზეა აგებული და ქართულ რიტმსა და მელოდიას ეყრდნობა, ფინანსებს ელის, რომ მსმენელამდე მივიდეს.

მარიკო ებრალიძე: „ეგვიპტეში ჩემი და „TSU ART“-ის კონცერტი რამდენიმე კლუბშია დაგეგმილი. 7 აგვისტოს მივემგზავრებით. დაახლოებით საათ-ნახევრიანი პროგრამით მივდივართ. ალბათ, რამდენიმე კვირით დავრჩებით. 5 კონცერტს გავმართავთ. რეპერტუარში ძირითადად ქავერები გვაქვს. ასევე ის კომპოზიციები, რომელიც ჯგუფის წევრებს ეკუთვნით. რაც შეეხება ჩემ ჯგუფ „Fingers“ და ალბომს დაახლოებით ორ წელზე მეტია ერთად ვართ, ძალიან ნიჭიერი და ენერგიული ბიჭები არიან. ალბომს, რომლის გამოცემასაც ვაპირებთ, Your Fingers დავარქვით. ამ ალბომიდან სიმღერები წინა წელს Black Sea Jazz Festival-ზე შევასრულეთ და დიდი მოწონებაც დავიმსახურეთ. ალბომში სულ 7 კომპოზიციაა. რამდენიმეს ტექსტი ჩემია, მუსიკა კი ამ ჯგუფის დამაარსებლის - დავით ჯღარკავასი. ალბომის ჩასაწერად სპონსორი გვჭირდება. იმედი მაქვს, რომ გამოჩნდება ვინმე და ჩვენი მუსიკა მსმენელამდე დისკის სახით მივა“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნანკა კალატოზიშვილი „ცეკვავენ ვარსკვლავებს“ წაიყვანს

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მესამე სეზონის წამყვანი ნანკა კალატოზიშვილი იქნება. ამის შესახებ საზოგადოებას სოციალური ქსელის მეშვეობით ამცნო შოუს პროდიუსერმა ნოე სულაბერიძემ. მის თანაწამყვანს ჯერ ნოე არ ასახელებს. თუმცა ამბობს, რომ მეორეც შესაძლოა, მსახიობი იყოს. ნანკა ფორმაშია და შოუსთვის ემზადება.

„ნანკა ჩემი ოჯახის წევრია და რა დიდი მოლაპარაკება უნდა მეწარმოებინა მასთან. ადვილად დამთანხმდა. როგორი იქნება? ყველაზე კარგი იქნება ნანკას მიერ წაყვანილი შოუ. მას მოცეკვავედაც განვიხილავ და რომელიმე სეზონში იცეკვებს კიდეც. ვნახე მისი პატარა დანიელი. ორივეს ჰგავს. ნანკა ამბობს, კედოს ჰგავსო, მაგრამ რომ შევხედე, ნანკას ჰგავს ნაკვთებით“, - ამბობს ნოე.

- გოგოლა კალანდაძეს ძალიან უნდოდა ამ შოუში მონაწილეობა და ხომ არ ვიხილავთ?

- არ ვიცი...

სხვათა შორის, „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მონაწილეობაზე ნინი ქარსელაძეც დაფიქრდა. „ფეისბუქზე“ აზრიც იკითხა, რას ფიქრობთ, შოუ „ცეკვავენ ვარსკვლავებზეო“. მოუწონეს იდეა. პირველი თქვენ გეტყვით, როცა გადაწყდებაო, გვითხრა ნინიმ.

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ ქორეოგრაფებმა ჯვარი ყაზბეგში დაინერეს

ერთი კვირის წინ გერგეტის სამებაში, ყაზბეგში ჯვარი უკრაინელმა წყვილმა დაიწერა. დიმა დიკუსარი და ალიონა შეპტენკო პროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავების“ დამდგმელი ქორეოგრაფები არიან. მათ მესამე სეზონშიც უფორმებენ კონტრაქტს. ისინი საქართველოს უკვე ორი წელია იცნობენ. თუმცა პროექტის ფარგლებში ქვეყნის დათვალიერების შესაძლებლობა დიდად არ აქვთ ხოლმე. მათი ქართველი მეგობრებიდან არავინ იცის, თუ რატომ ამოარჩია წყვილმა ერთ-ერთი ულამაზესი ადგილი ჯვრის დასაწერად, თუმცა ცხადზე უცხადესია, რომ არაჩვეულებრივი არჩევანი გააკეთეს. გერგეტის სამებაზე პატრიარქს ასეთი სიტყვები აქვს ნათქვამი - „არსად ისე ახლოს არ მიგრძნია თავი უფალთან, როგორც გერგეტის სამებაში“. ქართველი სტუმრებიდან ცერემონიალს ესწრებოდნენ - ოთარ ტატიშვილი მეუღლესთან ერთად, ნოე სულაბერიძე მეუღლესთან ერთად, ვანო ჭელიძე, მზია ორველაშვილი, ტატიშვილის მეწყვილე... წყვილმა ეს ლამაზი დღე 20-25 სტუმართან ერთად „რუმს ჰოტელ ყაზბეგში“ სუფრით აღნიშნა. დიმას და ალიონას ძალიან უყვართ ქართული კერძები, განსაკუთრებით კი მაწონი დაასახელეს. „აქ როცა ვართ, მაწონს თითქმის ყოველდღე ვჭამთ და მერე ისე ვეჩვევით, რომ კიევში ძალიან გვიჭირს უმაწვნობა“, - გვითხრა ადრე ინტერვიუში დიმამ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ასმათ ტყაბლაძე ექსკლუზ

„შვილის თემა ხელშეუხებელია, მის მამაზე არ ვსაუბრობ. ეს მხოლოდ ჩემი და ჩემი შვილის თემაა. საქვეყნოდ სალაპარაკო არ არის. მერე რა, რომ პოპულარული ვარ. ყველაფერი კი არ უნდა თქვას ადამიანმა. არის რაღაცები, რისი გახსენებაც არ გინდა“

მსახიობმა გია დანელიას სიყვარულზე უარი უთხრა

my View
თამარ გონგაძე

ასმათ ტყაბლაძეს საჯაროდ არაერთხელ მოუყოლია თავის პირად ცხოვრებაზე, თუმცა ადამიანს ყოველთვის აქვს ისეთი ცხოვრებისეული ფრაგმენტი, რასაც თავისთვის ინახავს. მსახიობმა პირველად და ექსკლუზიურად ეს საინტერესო ფრაგმენტები ჩვენ მოგვიყვა. თურმე, დიდი ხნის წინ, ასმათ ტყაბლაძეს გია დანელია ეტრფოდა... ცნობილი რეჟისორის მცდელობა, ქერა და მწვანეთვალება დამწყებ მსახიობთან რომანი გაება, უშედეგოდ დასრულდა. მართალია, დღეს ღიმილით ამბობს, მსახიობმა გია დანელიას უარი არ უნდა უთხრაო, მაგრამ თავისი მაშინდელი გადაწყვეტილებით კმაყოფილია - ასეთ პიროვნებას რომ უარით გაისტუმრებ, უფრო მაგარიაო... სამჯერ მიყვარდაო, გვიმხელს. მათ შორის იყო დაოჯახებული მამაკაციც. ამაყობს, რომ მისი მიზეზით ოჯახი არავის დანგრევია, მიუხედავად იმისა, რომ გარშემო სულ ცოლიანი მამაკაცები დასტრიალებდნენ. ძლიერი ქალია, შვილი მარტომ გაზარდა, ირგვლივ ახლობლებს ეხმარება, ორი კაფე აქვს; გამოწვევებს ამაყად ხვდება, დარტყმებს მედგრად იტანს. 30 -წლიანი მოღვაწეობის შემდეგ მარჯანიშვილის თეატრიდან გამოუშვეს, თითქმის უმიზეზოდ. ეს დღემდე სტკივა, სიზმრები არ ასვენებს - საყვარელი თეატრის კარებს ურაზავენ და პრემიერის სათამაშოდ ვერ შედის... ბოლო დროს ქართველი დედამთილის სახე შექმნა. „ჩემი ცოლის დაქალებში“ დიტოს დედის, ლეილას როლი მშვენივრად მოირგო, მოსწონს კიდეც. ახლა მოწყენილია, სერიალი შემოდგომამდე დაგვემშვიდობა.

„ერეკლეს ქამარზე რომ წავიკითხე, ბევრი ვიცინე“

ასმათ ტყაბლაძე: -გადაღებები რომ არ მაქვს, ცოტა ნაწყენი ვარ. ისე შევეჩვიე სერიალის გადაღებებს და ისეთი სიხარულია ჩემთვის იმ კოლექტივში მისვლა, რომ მიჭირს ეს შესვენება. წინა ორშაბათს „ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი“ რომ გაუშვეს, ვისიამოვნე. მაპის სცენაა არაჩვეულებრივი, არავინ რომ არ იცის, რას ნიშნავს მაპი, რა სიკეთე მოაქვს, მაგრამ მაინც რომ უხარიათ.

ლეილას როლით გამოვიდა, რომ ქართველი დედამთილი ასეთია. მაგრამ, მე მგონი ცუდი არ არის. რძალი როგორია? მიბედავს რაღაცებს, სულ ჩასაცმელზე ფიქრობს და ასეთ რძალს მაგრად უნდა დახვედრა. ისე უნდა, რომ შვილიშვილი გაუჩნდეს, ფინალისკენ ჩემმა გმირმა კატოს მისამართით სიტბოც გამოიჩინა. მომწონს, რომ კატო დედამთილის მხარესაა, როცა მკურნალობაზე და მკითხავებში სიარულზე მიდგა საქმე. სცენარში ერეკლეს ქამარზე რომ წავიკითხე ბევრი ვიცინე. ქალს უკრავენ წელს, როცა სუსტი აქვს და კაცი რომ არის უშვილო და ქამარი რომ უნდა გაეკეთებინა, რა დამემართა იცით? მოიტანეს რამდენიმე ქამარი და მე ავარჩიე. დიდი და მძიმე რომ ყოფილიყო მივაბი რაღაცები. ექიმებისგან ვიცი, დღეს, უმეტესად კაცის ბრალია უშვილობა. ლეილა საინტერესო პერსონაჟია, ამრავალფეროვნებს სცენარს. სეზონი ისე დასრულდა. კატო და დიტო დაშორდნენ, მაგრამ ვფიქრობ, ლეილა ჩაერევა მათ საქმეში. მნიშვნელოვანი სცენა ექნება. ქეთი დევდარიანს თავისი სცენარით მრავალფეროვნება აქვს.

დიტო ცუდი პიროვნება არ არის, განებივრებული და დროს აყოლილია. ჩემს შვილს რომ „პლანი“ მოეწია, დიდი რეაქცია მექნებოდა. მიუღებელია ჩემთვის. მეც ერთადერთი შვილი მყავს და როცა რაღაც არ მომეწონება, ყველაზე დიდ შენიშვნას მას ვეუბნები, თან მძაფრად. არ ვარ დამთმობი. ჩემსას მეტს ვთხოვ. სიძესაც სხვათა შორის. ძალიან მეგობრული სიდედრი ვარ. როცა კინკლაობენ, სიძის მხარეს ვიჭერ. ობიექტური უნდა იყო. არაჩვეულებრივი დედამთილი იყო სესილია თაყაიშვილი, მისი მაგალითი მაქვს ხოლმე. მან დაარეგულირა შვილის და რძლის ურთიერთობა. რძალია თუ სიძე ღიზიანდებიან, როცა შვილის მხარეს იჭერ. ან უნდა გაჩუმდე ან შვილის პოზიცია არ უნდა დაიჭირო.

- განათხოვარი რძალი არ უნოდა ლეილას, თქვენ ნაცოლები სიძის წინააღმდეგი იქნებოდით?

- დასაწყისში ჩემს შვილსაც „არას“ ვეტყოდი, მაგრამ მერე, როცა შევხედავდი, რომ სიყვარულია, გავჩერდებოდი. სიყვარულში ჩარევა ცოტა რთულია. ლეილაც ასე მოიქცა.

კარგი მძღოლი

- სულ აღნიშნავთ, კაცის ტვინით ვმოქმედებო. ასე უფრო ადვილია ცხოვრება?

- სხარტი აზროვნება აქვს კაცს. მათემატიკაში ძლიერები არიან. მათემატიკის ოლიმპიადაზე, ბიჭებში, სკოლაში პირველი ადგილი ავიღე. ბავშვობიდან მოყოლებული კაცის ტვინი მაქვს. ყველაფერი ქალის მაქვს, გარდა ტვინისა. რომ გითხრათ, ეს კარგად გამოვიყენე ცხოვრებაში-მეთქი, ვერ გეტყვით. მაგრამ მანქანა რომ გაფუჭდება, უცებ ვხვდები, რა სჭირს. ქობულეთიდან ჩამოვიყვანე კოტე მახარაძე, რომელიც შესანიშნავ მძღოლად ითვლებოდა და მითხრა - ათიანს პლუსით გიწერო. სესილია თაყაიშვილი არ მიჯდებოდა. მაშინ „ჟიგული 011“ მყავდა. პირველად შვილიშვილი მანდო. ვუთხარი, უკვე კარგად ვატარებ, ქალბატონო სესილია, თქვენი შვილიშვილიც უვნებლად წავიყვანე და მოვიყვანე-მეთქი. მერე ჩამიჯდა, დაძაბული იჯდა და სახლს რომ მივუახლოვდით, აბა, როგორ მოგენონათ-მეთქი? ჯერ ჩამოვიდე და მერე გეტყვი, როგორ მომენონაო. მყავდა 08-ც, ახალი გამოსული. ხშირად ქრებოდა. ხელოსანმა მასწავლა, ელექტრო „ჟიკლიორში“ ჭუჭყი იჭედება და ნემსის წვერით შეიძლება გამოღებაო. ერთხელაც, ტრასაზე მივდივარ... გაჩერდა მანქანა, ამოვიღე ეს „ჟიკლიორი“, ნემსით გავწმინდე, დავქოქე და წავედი. ბორჯომში ზუსტად ეგეთი მანქანა ვნახე გაჩერებული, 15 კაცი ეხვია. რა ხდება-მეთქი, რომ ვიკითხე, გაფუჭებულიაო, ისეთი სახით მითხრეს, შენ რას გვიშველიო... ერთი წუთით მაჩვენეთ-მეთქი. გავწმინდე, აბა, დაქოქეთ-მეთქი. თხუთმეტივემ ტაში დამიკრა და ბევრი იცინა. მარინა ჯანაშიასაც ეგეთივე მანქანა ჰყავდა. ახალი დაწყებული ჰქონდა ტარება. გასასწორებლად აეროპორტისკენ გავყევი. საჭესთან მე დამსვა. დიდ საცობში აღმოვჩნდით. ორივეს სპექტაკლი გვაქვს საღამოს. შევძვერი ტროტუარზე, სკვერში გავძვერი. ახალგაზრდა, გამხდარი, ქერა თმით ვიყავი... მიყურებენ მძღოლები. საცობს თავში მოვექეცი და წავედი. ტაში დამიკრეს. მერე მარინას შვილი საჭმელს რომ არ ჭამდა, ჩემზე უყვებოდა. ისიც სთხოვდა, „დედა, მომიყევი, როგორ დაუკრეს ასმათს ტაში მანქანებიდანო“. ასე რომ, აპლოდისმენტი ქუჩაშიც მიმიღია, სცენაზეც...

მამაკაცთან ურთიერთობისას ქალური, სუსტი და დამთმობი ვარ ხოლმე. ეს გულიდან მოდის და არა ტვინიდან... სადაც ტვინის ჩართვა ხდება საჭირო, იქ კაცურად ვაზროვნებ.

პირველი ტრაგიკული სიყვარული

„პირველი სიყვარული გვიან, 21 წლის ასაკში მოვიდა, თუმცა ტრაგიკულად დასრულდა. ორი წელი გვიყვარდა ერთმანეთი...

„ხომ მჭონდა ლამაზი ურთიერთობები, ხომ მიყვარდა, ხომ ვუყვარდი და რა აუცილებელი იყო მადონას თუ იზაბელას ხელის მოწერით დასრულებულიყო ეს ურთიერთობები? შვილი მინდოდა და მყავს“

შვილთან და შვილიშვილთან ერთად

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ურად პირად ცხოვრებაზე

„ძალიან მიმზიდველი ვიყავი, შეიძლება სექსუალურ ქალადაც ვითვლებოდი, მაგრამ მამაკაცებთან ურთიერთობაში კედელი მქონდა აღმართული“

„აი, ხომ ხედავ, როგორი რეჟისორი ვარ - გია დანელია ვარ! შენ კიდევ მსახიობი ხარ და უარს მეუბნები ურთიერთობაზე...“ გია დანელიას უარი არ უნდა უთხრა, ამას ახლა მივხვდი... მაგრამ ასეთ ადამიანს რომ უარს ეტყვი, უფრო საინტერესო არ არის, ვიდრე ყველგან დახურდავება?“

ის ავარიაში დაიღუპა. თავიდან არ უნდოდა, რომ მე სამსახიობოზე მესწავლა, სულ მეხვეწებოდა, თეატრმცოდნეობაზე გადადიო. მერე ჩემი მეგობრები გაიცნო და აღარაფერს ამბობდა. კარგი გარეგნობის ბიჭი იყო და ერთმანეთს ვუხდებოდით. კარგი ადამიანი იყო და მისი გარდაცვალება ძალიან განვიცადე. 21 წლამდე არავინ არ დამლუპვია და ეს ჩემთვის ტრაგედია იყო. მის მეგობრებთან ერთად მის საფლავზე ავსულვარ. კარგა ხანი, ოთხი წელი დამჭირდა, რომ ისევ სიყვარულზე მეფიქრა. მანამდე სურვილი არ მქონია. ალბათ, გასაძლიერებლად გვეწვევა ასეთი ტკივილები... მე ჩემ ტკივილს არავის ვახვევ. თბილისში ბინა არ მქონდა. ხან ერთ დეიდასთან ვცხოვრობდი, ხან მეორესთან. ზოგჯერ მთელი დღე მშიერი ვყოფილვარ, მაგრამ არავისთან დამიწუწუნია. ნათესავთან საჭმელად მისვლა მომრიდებია და დუშეთში ავტობუსით დაბრუნებამდე არაფერი მიჭამია. არ მიყვარს ადამიანები ბევრს რომ წუწუნებენ. შენ თავს თვითონ უნდა მიხედო. ძალიან მიყვარდა კარგად ჩაცმა. ღამეებს ვათენებდი, ვკერავდი, ვქსოვდი, რომ მეორე დღეს ახალი ტანსაცმელი მცმოდა. ასმათივით ჩაცმა რომ მქონდესო, უთქვამთ თეატრში. რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში კოტე მახარაძესთან ერთად საღამო უნდა წამეყვანა, ჩვენი ინსტიტუტის საღამო იყო. მთელი ერთი კვირის მანძილზე თან ტექსტს ვსწავლობდი, თან კაბას ვიკერავდი. ინსტიტუტში მკერავ ქალს ვაჩვენე და გაგიჟდა, მე კერვაში პროფესორს მეძახიან და შენ აკადემიკოსი ხარო“.

„ქალმა თუ მოინდოდა, ათჯერ შეუძლია გათხოვდეს“

„მერე უკვე თავისთავად სხვა სიყვარული მოვიდა... სულ? სამჯერ მიყვარდა. ცოლიანი მამაკაცები ხშირად მეტრფოდნენ. თეატრში რომ მივედი, ყველამ სათითაოდ რაღაც მოსინჯა. მერე ისინი ცოლებს დაშორდნენ და სხვები შეირთეს ცოლად. ეტყობა, თავიანთ ცოლებთან უკმაყოფილება ჰქონდათ. ოჯახის დანგრევის მიზეზი არ მინდოდა ვყოფილიყავი. ამიტომ მათ არ ვყვებოდი, მორევში არ ვეშვებოდი. და რომც ჩავრეულიყავი, არც ოჯახს დავანგრევინებდი და ვერც მისი ცოლი შეიტყობდა რამეს. სხვა მორალის ქალი ვარ. ჩემ კოლეგებს ბევრს ისეთს აქვს ოჯახი კაცისთვის დანგრეული, ვერც წარმოიდგენთ, რომ შეიძლებოდა მას გაეკეთებინა ეს. ადვილად გამომდიოდა მამაკაცების დამძაკაცება. ჩემზე უფროსებსაც და უმცროსებსაც ვემეგობრებოდი. რა თქმა უნდა, ვიპრანჭებოდი, მაგრამ ახლოს არ ვიკარებდი. ძალიან მიმზიდველი ვიყავი, შეიძლება სექსუალურ ქალადაც ვითვლებოდი, მაგრამ მამაკაცებთან ურთიერთობაში კედელი მქონდა აღმართული. ყველასთვის რომ გამეღიმა, მეგონა მსუბუქი ყოფაქცევის ქალის იარლიყს მომაკრავდნენ. ეტყობა, ძმაკაცურ ურთიერთობასაც თავდაცვის მიზნით ვირჩევდი.

- „ჩამოსულის“ კომპლექსს ხომ არ ნიღბავდით?

- ეს შეგრძნება არ მქონია. ბავშვობა ქიაჩელის პირველ ნომერში, დეიდასთან მაქვს გატარებული. ჩემი და აქ რუსულ სკოლაში სწავლობდა. ნუნუ დუღაშვილი ჩემი დეიდაშვილის უახლოესი მეგობარი იყო და ამბობდა, ველოდებოდით როდის ჩამოიყვანდნენ ასმათს, რომ მოვფერებოდითო. კარგი გარეგნობის გამო შიშის გრძნობა და დისტანცია მქონდა.

- რატომ არ გათხოვდით?

- ასე მოხდა. არ ვთვლი, რომ გათხოვება ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია ქალისთვის. ხომ მქონდა ლამაზი ურთიერთობები, ხომ მიყვარდა, ხომ ვუყვარდი და რა აუცილებელი იყო მადონას თუ იზაბელას ხელის მოწერით დასრულებულიყო ეს ურთიერთობები? ქალმა თუ მოინდოდა, ათჯერ შეუძლია გათხოვდეს. იმის სიგიჟე არ მქონია, გინდა თუ არა ხელჩაკიდებული მევლო ქმართან ერთად. შვილი მინდოდა და მყავს. მისი სიყვარული ყველა სიყვარულზე ძვირფასია ამქვეყნად. ის სიყვარულები აღარც მახსოვს. კარგი ქალისთვის შვილი მაინც ყველაზე ძვირფასია. შვილის თემა ხელშეუხებელია, მის მამაზე არ ვსაუბრობ. ეს მხოლოდ ჩემი და ჩემი შვილის თემაა. საქვეყნოდ სალაპარაკო არ არის. მერე რა, რომ პოპულარული ვარ. ყველაფერი კი არ უნდა თქვას ადამიანმა. არის რაღაცები, რისი გახსენებაც არ გინდა. ჩემთვის მთავარია, ჩემი შვილი, მისი მომავალი და სამშობლოს კეთილდღეობა. ეს არის მთავარი და არა ისეთი ქალების ცხოვრება, ოჯახები რომ დაუნგრიეს კაცებს, შვილებს მამა წაართვეს და ახლა ხელმოწერილი და პატიოსანი ქალი ჰქვიათ. ეს არ არის პლუსი. პლუსია ერთმანეთი რომ გვიყვარდა და მე ოჯახი არ დავანგრევინე. დრო რომ გადის, ის სიყვარულიც მიდის.

- რა არის სიყვარული?

- გატაცებაა, რომელიც მერე ქრება. თუ კარგი ურთიერთობა გქონდა, მერე ლამაზ მოგონებად გრჩება. თუ არადა, მიდის, ქრება... ჩემ შემთხვევაში იყო და მორჩა.

- გული გწყდებათ?

- აბსოლუტურად არაფერზე, რაც მინდოდა მქონდა.

გია დანელია

„გია დანელია სოფიკო ჭიაურელის დეიდაშვილია. სოფიკოსთან ვმეგობრობდი და გიაც მოსკოვში გამაცნო. აქაც იყო ჩამოსული. ხშირად შევხვედრილვართ. მაშინ 30 წლის ვიქნებოდი. ერთხელაც, გია გამომიტყდა, მომწონხარ და შევხვდეთო. ორჯერ-სამჯერ გამიმეორა. მორიგი ვიზიტით მასთან სახლში სტუმრად ჩავედით მე და სოფიკო, მიყურა და მითხრა - „ტი დურა!“ რატომ-მეთქი? აი, ხომ ხედავ როგორი რეჟისორი ვარ - გია დანელია! შენ კიდევ მსახიობი ხარ და უარს მეუბნები ურთიერთობაზე. ამით ხომ კარიერაზე ამბობ უარს. ცოლი გყავს-მეთქი და „ცოლი რა შუაშია? ცოლი სიყვარულში ცალკე თემააო“. ეს ყველაფერი სოფიკოს დავუმალე, არ მომიყოლია. გია დანელიას უარი არ უნდა უთხრა, ამას ახლა მივხვდი... არ მინანია, მომწონს ჩემი ცხოვრება, ლამაზი ბიოგრაფია მაქვს. ის უფრო ლამაზი არ არის - იყო სიმპათია და უარი ვუთხარი? ასეთ ადამიანს რომ უარს ეტყვი, უფრო საინტერესოა არ არის, ვიდრე ყველგან დახურდავება? ბევრმა მსახიობმა ამ ინტერესის გამო რეჟისორებს ოჯახები დაუნგრია და სახლში დაუსხდნენ, რომ მერე კარიერა ჰქონოდათ. კარიერა სასიყვარულო ურთიერთობებით რატომ უნდა ამეწყო. ამაყიც ვიყავი და მჯეროდა, რომ ჩემით ავიწყობდი კარიერას...“

„მივედი სასაფლაოზე და ოთარ, ღმერთმა გაპატიოს-მეთქი, ვუთხარი“

მარჯანიშვილის თეატრიდან მაშინდელმა სამხატვრო ხელმძღვანელმა ოთარ მეღვინეთუხუცესმა ასმათ ტყაბლაძე 35 ადამიანთან ერთად გამოუშვა. ეს ხმაურიანი თეატრალური სკანდალი მაშინ ძალიან რეზონანსული თემა იყო. საქმეში მაშინდელი პრეზიდენტი - ედუარდ შევარდნაძეც კი ჩაერია...

„ოთარი დიდი მსახიობი იყო, მაგრამ თავს ვერ აჯობა ეთქვა, რომ სწორად არ მოიქცა. თავისი კოლეგებისთვის ასე არ უნდა გაეკეთებინა. ჩვენ მეგობრები არ ვიყავით, თუმცა არც ცუდი ურთიერთობა გვქონდა. მაშინ რომ დაღუპულიყო, დიდი განცდა მექნებოდა მის გარდაცვალებაზე. ჩემთან განსაკუთრებულად ცუდად მოიქცა. სასამართლოებში დადიოდა... აღარ მინდა ამაზე ლაპარაკი, ცოცხალი აღარ არის... დაკრძალვიდან მესამე დღეს მივედი სასაფლაოზე და ოთარ, ღმერთმა გაპატიოს-მეთქი, ვუთხარი. დაკრძალვაზე არ მივედი, არ მინდოდა, რომ ჩემთვის ეყურებინათ. გურანდა გაბუნია სადღაც ვნახე და ისეთი სახით მიყურებდა, თითქოს ოთარი მე მოვკალი. აჰა, ხომ მოკვდაო...

- გურანდას თეატრში დედოფლობა უნდოდაო, სადღაც თქვით...

- არც ერთი ქალი არ უნდოდა გვერდით. მედიკო ბიბილეიშვილი ნაკლები მსახიობი იყო? გურანდაზე უკეთესი იყო, მაგრამ გაუშვეს. ტვინი არ ეყოთ. ოთარს არ უნდა გაეკეთებიან ეს. თემურ ჩხეიძემ მიბრძანაო, ოთარმა თვითონ მითხრა. თემური არც ამბობს და არც არასდროს იტყვის, მე დავუტოვე გასაშვები მსახიობების სიაო. ოთარს არ უნდა გაევლო სხვის ჭკუაზე. არაფერში არ სჭირდებოდა, არაფერი არ მოუტანია მისთვის 35 მსახიობის გაშვებას. ჩვენი იქ არსებობით გურანდას დედოფლობისთვის ხელი არ შეგვშლია. მოგვიანებით, 14 მსახიობი უკან დაბრუნდა, შევარდნაძის ჩარევით, დოდო ჭიჭინაძე, თენგიზ არჩვაძე... რატომ დააბრუნე, ჩემზე ნიჭიერად მიგაჩნია-მეთქი, ოთარს ზოგიერთზე ვკითხე. არა, შენ ბევრი ლაპარაკი იცი, ამიტომ არ დაგაბრუნეთო. პირდაპირ მითხრა, ურჩი ხარ, ენა არ გააჩერე და ამიტომ გაგიშვიო.

ეს თემა ძალიან მტკივნეულია ჩემთვის. დღემდე ვამბობ, ჩვენთან თეატრში-მეთქი. 30 წელს რომ გაატარებ ერთ თეატრში, მისი ნაწილი ხარ და სხვა თეატრზე მორგება ძნელია“.

„რად გინდა შვილო შენ ეს ასმათი, დაუთმე პაპასო“

„ხეები ზეზეულად კვდებიან“ - ეს სპექტაკლი დუშეთში ვნახე. მანამდე სულ ვერიკო ანჯაფარიძის სახელი მესმოდა. და მეც ვნახე სცენაზე. ედიშერ მაღალაშვილთან ერთად იცეკვა და მივხვდი, რომ ის მართლა დიდი იყო. მინდა მსახიობობა და ვერიკოსნაირი გავხდე-მეთქი, ვამბობდი. ვერიკოსნაირი ვერავინ გახდა. ძალიან ვუყვარდი. „ურიელ აკოსტა“ რომ აღადგინა, ამიყვანა მოცეკვავეებში. მაშინ დავმეგობრდით მე და სოფიკო. სტუმრად რომ მივიდოდი სახლში და სოფიკო სახლში არ იყო, ვერიკო მაშინვე იწყებდა გამასპინძლებას. მე მერიდებოდა ვერიკო ანჯაფარიძე რომ სუფრას მიშლიდა. გახსოვდეს, ვინ გემსახურებაო, დააყოლებდა. სოფიკოს შვილმა, სანდრომ ამოჩემება იცოდა, შეუყვარდებოდა ვინმე და სულ მასთან უნდოდა. ასე ამომიჩემა მეც. მიხეილ ჭიაურელს უთქვამს, მომიყვანეთ ეს ასმათი, მაჩვენეთ, 24 საათი სულ მაგის სახელი რომ მესმისო. მორიდებით მივედი ჭიაურელებთან სტუმრად. მიშა შვიდი წლის სანდროს ეუბნება, რად გინდა შვილო შენ ეს ასმათი, დაუთმე პაპასო :)

ჩემი კურსელი იყო გია ფერაძე, იუმორთან ერთად ზღვა ფანტაზია ჰქონდა. შვილი, გიორგი, საოცრად ჰგავს. მისნაირი საქციელი აქვს, ამ დროს ერთად არასდროს უცხოვრიათ. თბილისში ჩამოსული რომ იყო, ჩემთან კაფეში მოვინვიე. კისერში რომ ვაკოცე, გიას სუნი ჰქონდა... გია, წკრიალა ბუნებით, სუფთა ბიჭი იყო, გაკრიალებული, გიორგის მისი კისერი აქვს და მამამისის სუნი ვიგრძენი. გიას არყოფნა გულდასაწყვეტია, დიდი ტრაგედიაა. ჩემ კაფეში გავაკეთე გიას 65 წლის იუბილე, მარშან. ასევე მქონდა სოფიკოს და კოტეს საღამოები“.

„ბელ ვილი“

ფრანგული კაფე „ბელ ვილი“ 5 წელია აქვს. „ამ სახელწოდების ქალაქი, უბანი და რესტორანია პარიზში. ერთხელაც მომინდა ლამაზი, მყუდრო, ევროპული ადგილი ყოფილიყო თბილისში. ჯაზმენი უკრავს, ქართული საღამოებიც არის, სიმპათიური სიტუაციებია. სულ ვაკონტროლებ აქაურობას. წესრიგი უნდა იყოს.

- ჭორები გავრცელდა, თავის კაფეში ოთახი აქვს მსუბუქი ყოფაქცევის ქალბატონებისთვისო...

- ამას ვერავინ იტყვის ჩემს კაფეზე. ამას ის ამბობს, ვისაც სახელის შელახვა უნდა. მეორე კაფე მაქვს პეროვსკაიაზე („ჩობას ბარი“, 15 წელია), სადაც ახლობელმა თავისი ნათესავები მოიყვანა, ჭუჭყიანები იყვნენ, თანაც დაპატრონება უნდოდათ და გავაგდე. შეიძლება ისინი მივრცელებენ ამ ხმებს. აქ წყვილი კოცნაობას რომ იწყებს, იმათ ვაგდებ კაფედან. პარიზში არ ყოფილხართო? ვყოფილვარ, მაგრამ სამაგისოდ სპეციალური ადგილებია გამოყოფილი-მეთქი.

„მინდა ძალაუფლება მქონდეს“

„ყოველთვის მინდოდა და დღესაც მინდა ძალაუფლება მქონდეს. მინდა წესრიგი დავამყარო მშენებლობაში, ინფრასტრუქტურაში. მინდა დიდი ჯარიმა დავაკისრო ტყის გაჩანაგებისთვის და ქუჩაში ძაღლის ფეკალიების დატოვებისთვის. თბილისის ქუჩები და პარკები ძაღლის ფეკალიებით მოფენილია. ძალიან უყვართ ცხოველები ლონდონში, მაგრამ აბა, გაბედოს ვინმემ და დატოვოს ქუჩაში ძაღლის ფეკალია. იცით, რამხელა ჯარიმაა?! ამიტომ არის ქალაქი სუფთა“.

ბედნიერი

- რა არის ბედნიერება?

- როცა არ ხარ უბედური, ბედნიერი ხარ! მე, ამ წუთას, ბედნიერი ვარ. ასი წლის დედა რომ გეყოლება სახლში, ბედნიერი იქნები, აბა, არ იქნები? მყავს არაჩვეულებრივი შვილი, სიძე, შვილიშვილი... სიცოცხლე მინდა, მაგრამ არა ვინმეს მოსავლელად. მე სულ ვიღაცას ვპატრონობ და ვუვლი. ამიტომ არ მინდა სხვისი საპატრონო გავხდე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ფესტივალმა „პოემუსმა“ სტარტი სიღნაღიდან აიღო

my View
თამარ გონგაძე

30 ივლისს ფესტივალმა „პოემუსმა“ სტარტი სიღნაღიდან აიღო. ფესტივალის პირველი ღონისძიება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციას მიეძღვნა. ფესტივალი საქველმოქმედო ხასიათის მატარებელია და ის პროექტ „პოემუსის“ (პოეზიისა და მუსიკის სინთეზური ღონისძიებები) ფარგლებში ტარდება. მის უკან ჟურნალისტი და მსახიობი ბექა ელბაქიძე დგას თავისი ჯგუფით. ფესტივალს კი 80-მდე ხელოვანი უერთდება. ფესტივალი შვიდ ქალაქს მოიცავს და სხვადასხვა საქველმოქმედო საქმის კეთებას გეგმავს. 8 აგვისტოს გორის ცენტრში ომში დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნასა და დაზარალებულ ოჯახებს ფესტივალი თავის მხარდაჭერას უცხადებს. 16 აგვისტოს, ზუგდიდში, ხოლო 18 აგვისტოს ბათუმში ფესტივალი „პოემუსი“ დიტო ცინცაძის საქველმოქმედო ფონდთან ერთად ორი ღონისძიებით მიეძღვნება ლეიკემიასთან ბრძოლას. 20-21 აგვისტოს ფესტივალი გადაინაცვლებს ქუთაისში, სადაც „კათარზისის“ შემდეგ მეორე დიდი თავშესაფარია ხანდაზმულთათვის. ფესტივალი შეგროვილ თანხას ამ თავშესაფარს და უპატრონო ბავშვთა სახლებს გადასცემს. 25-26 აგვისტოს ბორჯომში გაიმართება აქცია - თეატრალური პერფორმანსი ძალადობის წინააღმდეგ. 13 სექტემბერს თბილისში ჯანსუღ კახიძის სახელობის ბაღში ჩატარდება შემაჯამებელი ღონისძიება.



ბექა ელბაქიძე: „ცოტა რთულია გაიგო, სად გადის ზღვარი შეზღუდულ შესაძლებლობების მქონე ადამიანებსა და არა შეზღუდული შესაძლებლობების მქონეებს შორის. ჩვენ გვგონია, რომ სოციალურად აქტიურები ვართ, ამ დროს ისინი ისეთ თემებზე საუბრობენ, ისე იციან ლექსები და სიმღერები, განსხვავება ვერ ვიპოვეთ“

„ამ ადამიანებს თანაგრძნობა არ სჭირდებათ. მათ თანადგომა სჭირდებათ. ეს ხშირად გვერევა, არადა, საფრთხილო თემაა“

მაკა შალიკაშვილი: „შვიდ ქალაქში კიდევ ბევრჯერ დავიმუხტები ასეთი ადამიანებისგან მიღებული დადებითი ემოციებით“

EXCLUSIVE



ბიჭი ივანიშვილი: „ამ ურთიერთობისთვის, მე პირადად, ყველაფერს გავაკეთებ“

სიღნაღში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან შესახვედრად საინტერესოდ დადგმული საღამოთი ჩავიდნენ: ბექა ელბაქიძე, ნატო სულხანიშვილი, ია სუხიტაშვილი, მაკა შალიკაშვილი, აჩიკო ნიჟარაძე, ნუცა ქირრია, ბენდი „ქამელეონი“, გიგი ვანდერი, პოეტები - რეზი ქინქლაძე, გიორგი რუხაძე, ბიჭი ივანიშვილი, პაატა ჩოხელი და გიორგი ძამუკაშვილი. ფესტივალის მონაწილეებმა დღის პირველი ნახევარი არტკაფე „ქედელში“ გაატარეს. ეს ამ ბავშვების კაფეა, თვითონ, თავისი ხელით აკეთებენ ყველაფერს - დეკორატიულ ნივთებს, ქსოვენ, კერავენ, მუშაობენ თექაზე.

ბექა ელბაქიძე: - ამ კაფე „ქედელში“, ქართველებისგან განსხვავებით, მოხალისეებად მუშაობენ გერმანელები. ამ დროს კაფე ქართველებისგან გარიყულია. არ შედიან. მინდა საზოგადოების წევრებს ვთხოვო, როცა სიღნაღში მოხვდებიან, შეიარონ „ქედელში“. ეს მნიშვნელოვანია მათთვის. აქვთ უგემრიელესი მენიუ. მათთან გერმანელი მზარეული გოგონა მუშაობს.

საღამოს სიღნაღის თეატრში „პოემუსმა“ საღამო გამართა. სტუმრებმა ბავშვებს ლექსები წაუკითხეს და დიდი სითბო გაუგზავნეს. საპასუხოდ იმღერეს და ლექსები წაიკითხეს ბავშვებმაც. ემოციური საღამო გამოვიდა.

ბექა ელბაქიძე: - მგრძნობიარე პუბლიკა და კარგი აუდიტორია იყო. დარბაზიდან დიდი ემოცია მოდიოდა. ამ ბავშვებისთვის ეს იქნება დაუვიწყარი დღე. უნდა გენახათ როგორ გვისმენდნენ. ბევრი ლექსი იციან, ფანტასტიკურად მღერიან. ინტელექტუალური ადამიანები არიან. მონაწილეები ვსაუბრობდით - ცოტა რთულია გაიგო, სად გადის ზღვარი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებსა და არა შეზღუდული შესაძლებლობების მქონეებს შორის. ჩვენ გვგონია, რომ სოციალურად აქტიურები ვართ, ამ დროს ისინი ისეთ თემებზე საუბრობენ, ისე იციან ლექსები და სიმღერები, განსხვავება ვერ ვიპოვეთ.

ემოციები იყო როგორც დადებითი ასევე დამთრგუნველი. ამ ადამიანებს თანაგრძნობა არ სჭირდებათ. მათ თანადგომა სჭირდებათ. ეს ხშირად გვერევა, არადა, საფრთხილო თემაა.

მაკა შალიკაშვილი: - ძალიან კარგი წამოწყებაა, მე ბედნიერი ვარ, რომ ამ ფესტივალში ვმონაწილეობ. სიღნაღში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები დაგვხვდნენ და გაგვიმასპინძლდნენ, ლექსები გვითხრეს. მე წავუკითხე ნიკო გომელაურის ლექსები. იქ ძალიან უყვართ ნიკო. და ასევე წავიკითხე გალაკტიონის ლექსები. სულ ექვსი-შვიდი ლექსი. მათთან შეხვედრა ამაღელვებელი იყო და დადებითი ემოციებით დატვირთული წამოვედით სიღნაღიდან. ღრმა ადამიანები არიან, ისე ხატავენ, ხმებში მღერიან... გავოცდი. მე ვერც ვხატავ, ვერ ვმღერი და მათ კი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები ჰქვიათ. ჩვენ შორის განსხვავება არ არის. შვიდ ქალაქში კიდევ ბევრჯერ დავიმუხტები ასეთი ადამიანებისგან მიღებული დადებითი ემოციებით. ყველა ქალაქში წავალ და მივიღებ მონაწილეობას. დიდი მადლობა ჩემ უსაყვარლეს ადამიანს, ჩემს მეგობარ ბექა ელბაქიძეს, რომელმაც ასეთი ფესტივალი წამოიწყო.

ბავშვებს ფესტივალის ორგანიზატორებმა ბაბილინა - ნატო სულხანიშვილი მიუყვანეს.

ნატო სულხანიშვილი: - მუსიკისა და ლექსის შერწყმა ძალიან სასიამოვნოა. ადამიანები ამ დროს დიდ სიამოვნებას იღებენ. ამ ბავშვებთან შეხვედრაც არაჩვეულებრივი იყო. მათ ადამიანებთან ურთიერთობა ძალიან სჭირდებათ, ისევე, როგორც ჩვენც გვჭირდება ამ ადამიანებთან ურთიერთობა. იმ წუთებით ორივე მხარემ ვისიამოვნეთ. ქალბატონი ლალი, ვინც 13 წლის წინ გახსნა ორი სახლი ამ ბავშვებისთვის, არაჩვეულებრივი ქალბატონია. ის 26 მოზარდს უვლის. მათზე მშობლებმა უარი თქვეს. ლალი კი მათ პატრონობს, ფაქტობრივად მათი დედაა. ეს ქალი ჩემთვის სამაგალითო და გმირი ქალია. კეთილშობილურ საქმეს აკეთებს. მათ თავიანთი კაფე აქვთ და ამით საზოგადოებასთან კონტაქტი აქვთ. მე მათ წავუკითხე ნოდარ დუმბაძის, ოთარ ჭილაძის ლექსები და გაბრიელ გარსია მარკესის „ბოლო სიტყვა“.

ათამდე საკუთარი ლექსი წაიკითხა პოეტმა ბიჭი ივანიშვილმა.

ბიჭი ივანიშვილი: - ჩვენ „პოემუსის“ წევრები, სიღნაღში ჩავედით, რათა უნარშეზღუდულ ბავშვებს დავხმარებოდით. მე მგონი, საღამომ გაამართლა და ბავშვები ბედნიერები იყვნენ. ასეთი საღამოები აუცილებლად ხშირად უნდა ჩატარდეს, რადგან მათ იგრძნონ და იცოდნენ, რომ ისინი საზოგადოების ისეთივე ნაწილი არიან, როგორც ჩვენ! ამ ურთიერთობისთვის, მე პირადად, ყველაფერს გავაკეთებ.

ბექა ელბაქიძე: - დიდი მადლობა კომპანიებს, რომლებიც როგორც შეეძლოთ ისე დაგვიდგნენ გვერდში. მადლობა „მიფასის“, რომელიც მუსიკალური ინსტრუმენტით დაგვეხმარა, „სოკარ ჯორჯიას“ - საწვავით უზრუნველყოფისთვის, „ვითიჯორჯიას“, რომელმაც სპრინტერებით ტრანსპორტირება უზრუნველყო. მადლობა „პიარრუმსს“, პოლიგრაფიულად ბეჭდვაში დაგვეხმარა და კომპანია „ჯეოსელს“, პირადად თაკო როდონაიას, რომელმაც სიმბოლური საჩუქრები ჩამოუტანა ბავშვებს - ინტერნეტის მოდემები, გასაფერადებლები, ბლოკნოტები...

ტექნიკისკომპანიებმა „ვესტელმა“ და „ელიტელექტრონიქსმა“ მაცივრის საჩუქრად გაგზავნაზე უარი თქვეს. 150 ლიტრი საწვავის გამოყოფაზე უარი მივიღეთ „გალფისგანაც“. კომპანია „ჯეოსელმა“ გადაწყვიტა თვითონ შეიძინოს ამ ბავშვებისთვის მაცივარი და გაუგზავნოს.

შემდეგი ღონისძიება 8 აგვისტოს იმართება. თეატრალური პერფორმანსი ეძღვნება აგვისტოს ომში დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნას და დაზარალებულ ოჯახებს. „პერფორმანსისთვის თავდაცვის სამინისტრო ჯარს გამოყოფს. გვჭირდება ფინანსური მხარდაჭერა ტექნიკური უზრუნველყოფისთვის - გახმოვანებისთვის, განათებისთვის, სცენისთვის. 30 ივლისის საღამომ გვაჩვენა, რომ შეიძლება მშიერიც იყო, არაფერი აიღო, მაგრამ ამ ადამიანების ემოციები ნამდვილად ღირს მათთან მიხვიდე და გადადო ეს ყველაფერი“,- აცხადებს ბექა ელბაქიძე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ებრაელობა საქართველოში“ - ფილმი ქართველ ებრაელებზე

my View

თამარ გონგაძე

ქართველი ებრაელი დავით ბოთერაშვილი საქართველოში ფილმს იღებს. სცენარიც მასვე ეკუთვნის. მრავალსაუკუნოვანი ქართულ-ებრაული ისტორიის ფრაგმენტებად გაცოცხლება ხელოვანმა ორ სერიაში სცადა. ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ბოთერაშვილი ამჟამად მეორე სერიას იღებს. ამ მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის სახელწოდებაა „ებრაელობა საქართველოში“. პირველი ნაწილი ორი წლის წინ გადაიღო და მაყურებელმა ისრაელის ტელევიზიით შარშან იხილა. მაშინ ფილმის ნაწილი საქართველოში (ებრაელთა სალოცავში, მცხეთაში, გორში, ქარელში) გადაიღეს, მეორე ნაწილი აშდოდში. ფილმში თამაშობდნენ - გურამ საღარაძე, ჯემალ ღაღანიძე, გია ჯაფარიძე. მეორე სერიაში კი მხოლოდ ორი ქართველი მსახიობია დაკავებული - ნუგზარ შარია და ზურაბ ცინცქილაძე. ფილმის დიდი ნაწილი კი დოკუმენტურია.

დავით ბოთერაშვილი რეჟისორი არ არის, თავს მოყვარულად თვლის. თუმცა ისტორიულ ნარკვევებს ხშირად წერდა. ქართველი ებრაელების ისტორიაზე სამი წიგნი გამოსცა. მისი ხელმძღვანელობით იბეჭდებოდა ქართული გაზეთები. ახლა 70 წლისაა, იყო სახელმწიფო მუშაკი, კულტურის სახლის დირექტორი. „ქართულ ებრაულ ისტორიაში კარგად ვარ ჩახედული. კარგად ვიცი ბიბლია, ახალი და ძველი აღთქმა. 10-15 წლის წინ დავწერე სტატია „ებრაელი საქართველოში“. მომიწონეს და მას შემდეგ სისხლში გამიჯდა ეს თემა. 70 წლის ვარ და ფილმის გადაღებაზე უკეთესი რა უნდა გავაკეთო ჩემი სამშობლოსთვის, ისრაელისთვის, საქართველოსთვის, ჩემი კულაშისთვის, ჩემი მიქელაძეებისთვის... მე ჩემი ვალი მოვიხადე. რადგან ფილმის პირველმა ნაწილმა გაამართლა, ვიფიქრე, მეორე ნაწილსაც გადავიღებ-მეთქი. ალბათ, უფალმა გამაკეთებინა ეს ყველაფერი. ფილმი თავისი ფორმით მართალი რომ გამოსულიყო, ტყე-ღრეები მოვიარე. კარგად მიდიხარო, უფალი მანიშნებს...“

ძველი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნეში ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის დარბევის შედეგად მთელ მსოფლიოში დაფანტული ებრაელები საქართველოშიც აღმოჩნდნენ. ისტორიული ფაქტების ფონზე ბოთერაშვილს ფილმში მოცემული აქვს ერთი ოჯახის ისტორია. ელიეზერი, აოხრებული იერუსალიმიდან გამოქცეული ებრაელი ჩამოდის მცხეთაში. მას მცხეთელი მამასახლისი დაასახლებს. ის ფეხს იკიდებს საქართველოში და აქ ცხოვრებას განაგრძობს. მას ეძებს თავისი შვილი იოჰანანი. 40-წლიანი ძებნის შემდეგ მხცოვან მამას საქართველოში პოულობს. მამის როლში ნუგზარ შარიაა, შვილის როლში კი ზურაბ ცინცქილაძე.

დავით ბოთერაშვილი: „ნუგზარ შარია იყო პირველი ქართველი, რომელიც ისრაელში ჩამოვიდა 1976 წელს და ქართველი ებრაელები მოგვინახულა. განცვიფრებული ვიყავით. მაყურებელმა თბილად მიიღო. ჩვენ მისი რეპერტუარი ზეპირად ვიცით. აქედან წასულმა ქართველმა ებრაელებმა ვიცით, ვინ არის ნუგზარ შარია. ის საქართველოსთვის ავტორიტეტული პიროვნებაა და ამიტომ მინდოდა, რომ ამ ფილმში ეთამაშა. სხვათა შორის, ებრაელი ელიეზერის როლს პირველ ნაწილში თამაშობდა გია ჯაფარიძე. მეორეში ვერ მოვახერხე მისი გადაღება და შევცვალეთ მსახიობი“.

ზურაბ ცინცქილაძე: „მამისა და შვილის ძებნა, გადაადგილებები, ლტოლვილობა... ზოგადსაკაცობრიო თემაა. 2 600 წლის წინ მიმოფანტული ებრაელი ერის შვილია ელიეზერიც, რომელსაც შვილი ეძებს. ეს შვილი მე ვარ. მამას აქვს ასეთი ტექსტი - ვისაც თავისუფლება გიყვართ, მე მომყევით, მე ვიცი ადგილი, სადაც ისე იქნებით, როგორც სამშობლოშიო. ელიეზერი საქართველოს გულისხმობს. ეს სიტყვები შვილს, ანუ ჩემ გმირს დამახსოვრებული აქვს. ცალთვალა რაინდს ვასახიერებ. მამა ნივთებით ახსენდება - სალამურით. მამა მცხეთაში კარგად ცხოვრობს. წარმატებული პიროვნებაა. მცხეთაში მამა-შვილის შეხვედრაც სიმბოლურია. სხვათა შორის, რეჟისორმა ჩემ შესახებ ჩემი მეგობრისგან, მწერალ ნოდარ კობერიძისგან შეიტყო. დავითი წუხს, ამდენი ხანი რატომ არ გიცნობდიო“.

ზურაბ ცინცქილაძე: - ებრაელებს სამშობლოს ფატალური სიყვარული აქვთ, ორი სამშობლოს სიყვარული. ეს სიყვარული ერთმანეთის გატანასა და ღმერთის სიყვარულს ებმის. ამ ფილმში არის ასეთი ფრაზა - „თუ მშობლები გიყვარს და მათ პატივს სცემ, ღმერთი ყველგან გაგამარჯვებინებს“. მათ ამ სიყვარულში უნდა მივბაძოთ. ჩვენ, ქართველებმა, ფარისევლური სიყვარული ვიცით. ჩემი აზრით, ვაჟი აღარ არის გულწრფელი გოგოსთან. თუ ამაღლებული სიტყვა უთხრა ქალმა, რას არტისტობო, ის პასუხობს. არც სამშობლოს მიმართ არ მინდა ფარისევლური სიყვარული გვქონდეს. ერთმანეთის გატანა უნდა ვისწავლოთ. ჩვენ ერთმანეთის ჩაძირვა ვიცით. ამით ვხარობთ. ებრაელები კი ერთმანეთის წამოწევით და წარმატებით ხარობენ.

დავით ბოთერაშვილმა გადაწყვიტა, რომ ებრაულ მოტივებზე შექმნილი სიმღერა ამ ფილმისთვის თემურ წიკლაურს შეესრულებინა. რეჟისორი აღფრთოვანებულია ამ კომპოზიციით და იმედოვნებს, რომ ის ფილმს ძალიან მოუხდება.

ფილმი სამ თვეში მზად იქნება. რეჟისორს სურს, რომ პირველად აქ მოეწყოს ჩვენება და მერე ისრაელში.


ნუგზარ შარია და ზურაბ ცინცქილაძე რეჟისორთან დავით ბოთერაშვილთან ერთად

ისინი ჩვენზე მეტი ქართველები არიან, ჩვენი ქვეყანა უყვართ და ჩვენგან განსხვავებით თავის სამშობლოდ მიაჩნიათ. ყველგან ქართულად ლაპარაკობენ - ქუჩაში არიან, თეატრში, ბაზარში და სახლში. მათ რომ უსმენ, თურმე, სხვა ქვეყანაში თუ ხარ ვერ მიხვდები. ქმარი ცოლს ეჩხუბებოდა - „არ გინდოდა წყალტუბო და ბორჯომი? იყავი ახლა ამ ხრიოკშიო“:)

- როგორი იყო თქვენთვის ნუგზარ შარიას პარტნიორობა?

- ერთ ისტორიას გავიხსენებ. სტუდენტი გახლდით. თეატრალური ინსტიტუტის გვერდით იყო რესტორანი „თბილისი“, სადაც სტუდენტსაც კი შეეძლო შესვლა და თავისი სტიპენდიით სადილობა, ერთი ჭიქა ღვინოს დალევა. ერთხელაც შესულები ვართ და ვსადილობთ, „ბივსტროგანოვს“ გეახლებით. ყავა არ იყო მაშინ პოპულარული. ვსვამდით „ბორჯომს“, რომელიც 5 კაპიკი ღირდა.



შემოვიდა ნუგზარ შარია, უკვე დიდი ვარსკვლავი იყო, ნათამაშევი ჰქონდა „ენგურის ნაპირებზე“, „ხევის ბერი გოჩა“, „გლახის ნაამბობი“... ყველას კუმირი იყო, ნუგზარ შარიას გამო ჩავაბარე თეატრალურ ინსტიტუტში. შემოვიდა მაღალი, ხელი გაშალა და ყველას მიესალმა, ქალაქი შემოიტანა. მეგობრებთან ერთად იყო. რამდენიმე დღე გავიდა და გავიგეთ - ეს სამშობლოს მოღალატეო, დასახვრეტთა სიაში შეიყვანეს... ეს ამბავი ახლა, ფილმის გადასაღებ მოედანზე მოვიგონეთ. რესტორან „თბილისში“ ქეიფის მეორე დღესვე წასულა საქართველოდან. ასე შემახვედრეს ნუგზარს ებრაელებმა. „მამა“ მაპოვნინეს...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ახალგაზრდა ფი

my View
დეა თავგერიძე

ეს ახალგაზრდა გოგონა იმ საინვესტიციო ფონდის ფინანსური დირექტორი გახლავთ, რომელშიც 6 მლრდ დოლარი იქნება აკუმულირებული. ფონდს დიდი გეგმები აქვს, ამ გეგმებში მთავარი ადგილი საქართველოს აღორძინებას ეთმობა. ის კი, იქნება ერთ-ერთი მთავარი ფიგურა, რომელიც საქართველოს მომავალს წაეშველება განვითარებაში...

საინვესტიციო ფონდში კაპიტალს როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ბიზნესმენები დააბანდებენ. მათ შორის ბიძინა ივანიშვილი, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი, თურქული, ყაზახური და ჩინური კერძო კომპანიები. ასევე ფონდები არაბეთის ემირატებიდან, აზერბაიჯანიდან და ყაზახეთიდან... პრემიერ-მინისტრი ფონდში 1 მილიარდ დოლარამდე თანხას ჩადებს. ქართველი და უცხოელი ინვესტორების კერძო კაპიტალით შექმნილი საინვესტიციო ფონდი ყველა იმ ბიზნესმენს დაეხმარება, ვისაც საინტერესო და მოგებაზე გათვლილი პროექტები ექნება...

ალბათ, ყველა დამეთანხმება, რომ კერძო კაპიტალის ფონდში წარმატებას პროფესიონალიზმი განსაზღვრავს. სავალდებულოა, იყო კვალიფიციური ფინანსისტი... შესაბამისად, რისკიც სხვა ინსტრუმენტებთან შედარებით მაღალია... ამ ახალგაზრდა ფინანსისტისთვის გონივრული რისკი თამაშის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. რისკავს, რომ უკეთ ითამაშოს და ახალ სიმაღლეებს მიაღწიოს. იცის, რომ რისკს მოგებაც და პასუხისმგებლობაც მაღალი მოჰყვება...

თეა ჯოხაძე: „ენერგიული და პოზიტიური განწყობა მაქვს. ძალიან საინტერესოა ჩემთვის ამ ფონდის საქმიანობა და დიდ იმედებს ვამყარებ მის წარმატებაზე. ამ ფონდის წარმატება იქნება მთავარი ჩემი წარმატებისთვის და არა მარტო ჩემი, ქვეყნის წარმატებისთვისაც. რა თქმა უნდა, როდესაც შენს ქვეყანაში ხარ, როდესაც გვერდით შენი ახლობლები გყავს, შენს ენაზე ლაპარაკობ, შეგიძლია გაცილებით მეტი შეძლო და გაცილებით მეტი გავლენა გქონდეს მოვლენებზე. გრძნობ იმის შედეგებს, რასაც აკეთებ და უფრო კმაყოფილიც ხარ, იმიტომ რომ შენი ქვეყნისთვის აკეთებ ამას“.

თეა ჯოხაძემ საინვესტიციო ფონდამდე ძალიან ბევრი საფეხური გაიარა: იტალია, დანია, შვედეთი, ამერიკის შეერთებული შტატები. სწორედ მისი პროფესიონალიზმის დამსახურებაა საქართველოს ბანკის განვითარება და წინსვლა. თავად კი ამბობს, მე ამაში მოკრძალებული წვლილი მიმიძღვისო, თუმცა ამ მოვლენების უშუალო მონაწილე და ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი იყო, ფინანსისტი, რომელმაც „საქართველოს ბანკში“ მუშაობის 8 წლის მანძილზე ბევრი საინტერესო და მომგებიანი პროექტი განახორციელა... მანამდე კი იყო უცხოეთი და ქვეყნები, სადაც ქართველი გოგონა საკუთარი ცოდნის გასაღრმავებლად იბრძოდა... პირველად ამერიკაში 15 წლის ასაკში მოხვდა.

„ჩემთვის ეს არ იყო კულტურული გაცვლა, ჩემთვის ეს იყო შანსი ცხოვრებაში, ამიტომაც ყველანაირად ვცდილობდი, რომ ეს შანსი გამომეყენებინა“

EXCLUSIVE

„გამარჯვებულებს შორის მეც მოვხვდი“

„სკოლაში მოვიდა ინფორმაცია, კონკურსის მეშვეობით მოსწავლეებს არჩევდნენ, ამერიკაში სასწავლებლად უნდა გაეგზავნათ. ხუთი უნდა შეერჩიათ, მაგრამ იყო ასეთი მოთხოვნა, ბილეთი მშობლებს უნდა აეღოთ, ასევე, შვილი 1000 დოლარით უნდა დაეფინანსებინათ. 1992 წელი იყო და ეს მოთხოვნა ჩვენთვის სირთულეს წარმოადგენდა. კოლოსალური თანხა იყო, ამიტომ ამ კონკურსზე საბუთები ვერ შევიტანე. მაგრამ მთელი გულით მინდოდა და ძალიან განვიცდიდი. ალბათ, ამიტომაც მოხდა შემთხვევით საოცარი რამ. შემთხვევით განათლების სამინისტროში მოვხვდი, იქ კი, ჩემს თანაკლასელებს მოვკარი თვალი, კონკურსზე მისულიყვნენ. ლამის ცუდად გავხდი ისე მომინდა მეც მონაწილეობა და დედას ვთხოვე, იქნებ კონკურსზე მეც გავიდე -მეთქი. მიუხედავად იმისა, რომ საბუთები წინასწარ არ გვქონდა გადაგზავნილი, ნება დამრთეს. საბოლოოდ კი გამარჯვებულებს შორის მეც მოვხვდი. ჩემი ოჯახი ფაქტის წინაშე დადგა, არაადამიანური ძალისხმევა დასჭირდათ, რომ ჩემთვის როგორღაც ბილეთი აეღოთ, 1000 დოლარის მოცემა ვერ მოახერხეს, 400 $ მომცეს. ამ თანხიდან 300 დოლარი ანგარიშზე უნდა ყოფილიყო გაყინული, საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ 100 დოლარით წავედი... ასე შემთხვევითობის წყალობით მოვხვდი ამერიკაში... 15 წლის ვიყავი, 16-ის ვხდებოდი... ეს იყო ჩემთვის პირველი, რამაც კარი გამიხსნა ცხოვრებაში“.

„განსაზღვრული წესებით ვცხოვრობდი და საკმაოდ გამიჭირდა“

„ამერიკაში ერთი წელი დავყავი, იქ სკოლა დავამთავრე. წარმოიდგინეთ როგორი ძალისხმევა დასჭირდა ჩემს ოჯახს, რომ გავეშვი, ამიტომ მოლოდინი იყო ძალიან მაღალი. როტარის კლუბის სპონსორობით წავედი და ამ კლუბის წევრთა ოჯახებში ვიცხოვრე. მადლობელი ვარ იმ ხალხის, ბევრი რამ გამიკეთეს. პროგრამის მიხედვით ყოველ კვირას მივყავდით სხვადასხვა ქალაქში, რომ საქართველოს შესახებ პრეზენტაცია გამეკეთებინა. მაშინ საქართველოს ცნობადობა ძალიან დაბალი იყო ამერიკაში. ჩემი მიზანი იყო რაღაცნაირად უმაღლესი განათლება მიმეღო და ყველანაირად ვცდილობდი ამის გაკეთებას. ჩემთვის ეს არ იყო მხოლოდ კულტურული გაცვლა, ჩემთვის ეს იყო შანსი ცხოვრებაში, ამიტომ ყველანაირად ვცდილობდი, რომ ეს გამომეყენებინა, მაგრამ მაშინ კოლეჯის სრული დაფინანსების მოპოვება ვერ მოვახერხე და საქართველოში დავბრუნდი“.

საქართველოში

„არასამთავრობო ორგანიზაციაში, ჰელსინკის სამოქალაქო ასამბლეაში დავიწყე მუშაობა. პარალელურად საერთაშორისო ეკონომიკის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. ძალიან საინტერესო საქმიანობაში ვიყავი ჩართული. ხშირად მიწევდა უცხოეთში კონფერენციებზე მონაწილეობა. ბევრი საინტერესო ადამიანი გავიცანი და გამოცდილებაც საკმაო მივიღე, შემდეგ კი ამ გამოცდილების წყალობით გაეროში დავიწყე მუშაობა, 1995 წელი იყო და იმდროისათვის გაერო ერთ-ერთი ყველაზე სასურველი დამსაქმებელი გახლდათ. პარალელურად, უნივერსიტეტში ხშირად მთხოვდნენ უცხოელების ლექციების თარგმნას. ერთ-ერთი ლექცია ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენელმა ჩაატარა. ლექციის შემდეგ გავისაუბრეთ, მითხრა, შენნაირ კანდიდატებს ვეძებ, მინდა ჩვენთან იმუშაოო“.

საბუთების გაგზავნიდან ძალიან მალე კოპენჰაგენში მიიწვიეს. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაში უმცროსი მკვლევარის თანამდებობაზე უნდა ემუშავა. ეუთოს ქვეყნების წამყვან პარლამენტარებთან უხდებოდა ურთიერთობა. 1996 წელს რუსეთის საპარლამენტო არჩევნების დამკვირვებელი იყო და შეხვდა ყველა საპრეზიდენტო კანდიდატს, მათ შორის გორბაჩოვს, ჟირინოვსკის, ზიუგანოვს და ელცინის კამპანიის ხელმძღვანელებს ჩერნომირდინსა და სოსკოვეცს. „ოქტომბრის არჩევნების წინ სამშობიაროდან ვეკონტაქტებოდი ჩემს ყოფილ კოლეგებს საპარლამენტო ასამბლეიდან რობერტო მონტელასა და სპენსერ ოლივერს, რომლებიც მაშინდელ ოპოზიციის ლიდერებს და დღევანდე უმაღლეს სამთავრობო პირებს ხვდებოდნენ. ზუსტად არჩევნების წინ შემეძინა შვილი და მათაც არ დააყოვნეს მოლოცვა.“ ამის შემდეგ ისევ გაეროში იმუშავა, შემდეგ შვედეთში, დანიაში სამაგისტრო პროგრამაც გაირა. შემდგომ ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობისა და საერთაშორისო ეკონომიკის მაგისტრატურის წამყვან პროგრამაზე ჩააბარა სრული დაფინანსებით.

თეა ჯოხაძე: „ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის უმაღლესი საერთაშორისო დისციპლინათა სკოლა ათეული წლების მანძილზე პირველ ადგილზე იყო და ძალიან მინდოდა ამ პროგრამაში მოვხვედრილიყავი. ამ პროგრამით შესაძლებელია ერთი წელი იტალიაში გაატარო, ერთი წელი ვაშინგტონში. როცა ეს უნივერსიტეტი დავამთავრე, ჰიუსტონში გავემგზავრე და ერთ-ერთ წამყვან ენერგეტიკულ კომპანიაში CMS Energy ფინანსური სტრუქტურების ანალიტიკოსად ვიმუშავე. ამის შემდეგ შემომთავაზეს პოზიცია საკონსულტაციო ფირმაში Pace Global Energy Resources ვაშინგტონში. ენერგეტიკის სფეროში ფინანსურ კონს-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



„გრძნობ, იმის შედეგებს, რასაც აკეთებ და უფრო კმაყოფილიც ხარ, იმიტომ რომ შენი ქვეყნისთვის აკეთებ ამას“

„ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და ვფიქრობ, რომ მოვლენები, რაც საქართველოში ვითარდება, ძალიან ჯანსაღია. ვხედავ სურვილს და განწყობას, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით დალაგდეს და განვითარდეს“

ულტაციებს ვუწევდი კლიენტებს. ჩემი კლიენტები იყვნენ დიდი რუსული კომპანიები, მათ შორის „გაზპრომი“, „გაზექსპორტი“, „სიბური“ და „გაზპრომბანკი“, ასევე ამერიკული ბანკები, რომლებიც ენერგეტიკულ პროექტებში ახორციელებდნენ ინვესტიციებს.

Wall Street Journal-ში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, პირველი ქართველი ვარ ვინც მიიღო CFA-ს ხარისხი-საპატიო წოდება ფინანსურ სფეროში. “

იტალია

„ღმერთს მადლობას ვუხდიდი, რომ მომეცა შანსი ამ ქვეყანაში მეცხოვრა. მამაჩემი 74-75 წლებში იტალიაში ცხოვრობდა, Ferrari-ს ქარხანაში მიწვევით მუშაობდა, ამიტომ ბავშვობიდან მესმოდა ისტორიები და ამბები იტალიაზე. ულამაზესი ქვეყანაა და უმშვენიერესი ცხოვრების ხარისხის მხრივაც. მაგრამ იტალიაში სამსახურის პოვნა და დაფუძნება უცხოელისთვის არ არის მარტივი, მაშინ როცა ვაშინგტონში საერთოდ არ გრძნობ თავს უცხოელად. გეუფლება გრძნობა რომ იქ შენ თავისუფლად შეგიძლია დაფუძნდე, იმუშაო და გქონდეს ოჯახი. ძალიან კომფორტული ქვეყანაა, უაღრესად მისადაგებულია ადამიანის საჭიროებებს. შესაძლებლობების განხორციელების მეტი შანსია“...

სკანდინავია

„ჯერ დანიაში ვიცხოვრე, მერე შვედეთში. დანიაში დანიურიც ვისწავლე. ეს 15 წლის წინ იყო. თავისუფლად ვფლობ ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებს. სხვადასხვა დონეზე ვფლობ გერმანულს, დანიურს, ფრანგულს, იტალიურს და სპარსულს.

დანია პატარა ქვეყანაა, დაახლოებით საქართველოს ზომის, მაგრამ ძალიან განვითარებული. დანიამ სოციალური სოლიდარობა მასწავლა. მოქალაქეებს ერთმანეთის დიდი პატივისცემა აქვთ. უპრეტენზიო და თავმდაბალი ხალხია. დანიაში შეიძლება ნახოთ, როგორ მიდის ველოსიპედით მინისტრი სამსახურში. ყოველგვარი დაცვის გარეშე, გზადაგზა ჩერდება და ხალხს ესაუბრება. იქ ეს არ არის ხელოვნური ურთიერთობა. დანიაში ჩემი საყვარელი ადგილებია კრონბორგის ე.წ. ჰამლეტის სასახლე, ლუიზიანას თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი და ფიუნის კუნძული, სადაც ჰანს ქრისტიან ანდერსენი დაიბადა. ისეთი გარემოა, მართლა ანდერსენის ზღაპრებში გეგონება თავი. შვედეთში სტოკჰოლმში ვცხოვრობდი, ულამაზეს ადგილას ვმუშაობდი. ყველაზე პატარა კუნძულზე, ერთ პატარა სასახლეში. ამ სასახლიდან მოჩანდა, ერთი მხრივ, მეფის სასახლე, მეორე მხრივ, ძველი ქალაქი, რატუშა, ულამაზესი და საინტერესო ხედებით. ულამაზესი ქალაქია, თუმცა უფრო პირქუში ბუნებით. ეს ხალხზეც აისახება“.

„ყველა ქვეყანას თავისი ხიბლი ჰქონდა, მაგრამ მე ყველაზე მეტად საქართველოში ცხოვრება მომწონს. ჩვენ საუკეთესო კლიმატი გვაქვს. შაბათ-კვირას შეგიძლია წახვიდე მთაში, თხილამურებზე ისრიალო, მერე ზღვაზე, ან ხევსურეთში და მოხვდე 500 წლის წინანდელ კულტურაში. მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში შეგიძლია ყოველ 100 კმ-ში, კულტურითა და ბუნებით განსხვავებული ადგილი ნახო. ემოციურად გაცილებით უფრო ვკმაყოფილდები, როცა საქართველოში ვარ, სხვადასხვა კუთხეს ვნახულობ, ან ბუნებაში გავდივარ. ალბათ, ჩემი რომ არის, ამიტომაც უფრო მსიამოვნებს“.

რისკი და გამართლება

„ეს უკვე ის პერიოდი იყო, როცა საქართველოში დიდი ცვლილებები ხდებოდა, მე კი ყოველთვის სურვილი მქონდა დავბრუნებულიყავი. ამ დროს საქართველოს ბანკი დამიკავშირდა და შემომთავაზა პოზიცია, - ფინანსური სახსრების მოზიდვა. ისეთი გეგმები ჰქონდათ, რაც მაშინ შეიძლებოდა სამეცნიერო ფანტასტიკის სფეროდ ჩაგეთვალათ. ბანკი იმ პერიოდში ძალიან მცირე ზომის იყო, არ იყო მომგებიანი, თუმცა სურვილი გამოთქვეს ჰქონოდათ საკრედიტო რეიტინგები, ევრო ობლიგაციებისა და აქციების პირველადი განთავსება. ახლა ეს ყველაფერი წარსულში დარჩა, მაგრამ მაშინ ეს საკმაოდ მიუწვდომელი იყო. ჩემთვის კი საქართველოში დაბრუნება და ამ საქმიანობაში ჩართვა რისკი. მეგობრები მეუბნებოდნენ თუ ამ ბანკმა არ გაამართლა, შენი კარიერა ძალიან უკან დაიხევსო. საქართველოდან უკან დაბრუნება ნამდვილად არ იქნებოდა ადვილი. რადგან უცხოეთში ყოფნის დროს არასოდეს მიზრუნია იქ დარჩენაზე, არ მქონია ამგვარი გათვლა. საბოლოოდ მაინც გავრისკე, დავბრუნდი და ისე მოხდა, რომ ეს ყველაფერი განხორციელდა. 2 მლრდ დოლარზე მეტი მოვიზიდე „საქართველოს ბანკში“. სასესხო გარიგებები უშუალოდ ჩემი ხელმძღვანელობით იდებოდა, რაც შეეხება სააქციო განთავსებებს, ამაშიც საკმაო წვლილი მიმიძღვის. ბევრი საინტერესო პროექტი განვახორციელე, მათ შორის დაფინანსების სტრუქტურების მრავალფეროვნება... თითოეული პირველი იყო საქართველოში, იყო ინოვაციური და მაგალითი სხვა ბანკებისთვის ან სხვა კორპორაციებისთვის. ძალიან მადლიერი ვარ ამ წლების და „საქართველოს ბანკთან“ თანამშრომლობის. მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი რესურსი და უკვე შემდეგი ნაბიჯის გადადგმა გინდა. ახალი სირთულეები გჭირდება კარიერაში და გინდა, რომ სხვა მიმართულებითაც განვითარდე, ამიტომ ამ ფონდში მუშაობის შესაძლებლობა ჩემთვის ძალიან საინტერესო და საპატიოა“.

საინვესტიციო ფონდი

„კერძო კაპიტალის ფონდი, - ეს ფინანსური ინსტრუმენტების ერთ-ერთი ყველაზე უფრო რთული სახეა. აქ წარმატებულობა ძალიან რთულია. საერთოდ, ყოველთვის საინტერესოა, როცა დასაწყისიდან ხარ რაღაცის ნაწილი, შენს ხელში იქმნება და რაღაცნაირად შენია ის, რაც მოხდება. პასუხისმგებლობა დიდია და გაქვს განცდა, რომ ამ გუნდის წარმატება შენი წარმატებაც არის. ამიტომ დიდი იმედები მაქვს და სურვილი, რომ წარმატებული ვიყო ამ ფონდში.

ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და ვფიქრობ, რომ მოვლენები, რაც საქართველოში ვითარდება, ძალიან ჯანსაღია. მე არ მინდა პოლიტიკური კომენტარი გავაკეთო, მაგრამ ვხედავ იმ სურვილს და განწყობას, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით დალაგდეს და განვითარდეს. ბიზნესისთვის მთავარია იყოს სურვილი, სტაბილურობა, გათვლადობა, წესრიგი და კანონიერება. ყველაფერი მიღწევადია... ვფიქრობ, ზუსტად ამ მიმართულებით მიდის ჩვენი ქვეყანა, რაც ინცვესტორებისთვის და ნებისმიერი ბიზნესის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია“.

„ენერგიული და პოზიტიური განწყობა მაქვს. ძალიან საინტერესოა ჩემთვის ამ ფონდის საქმიანობა და დიდ იმედებს ვამყარებ მის წარმატებაზე. ამ ფონდის წარმატება განსაზღვრავს ჩემს პირად წარმატებას და უმნიშვნელოვანესია ქვეყნის წარმატებისთვისაც“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ესტონეთში ქართული ოპერის დ

my View
დეა თავგერიძე

exclusive

„თბილისს უმშვენიერესი, ტრადიციული, დიდებული განახლებული ოპერის თეატრი ექნება, სადაც საინტერესო სპექტაკლები და ფესტივალები გაიმართება. აი, ამ განწყობით ვარ ამჟამად“...

„მოტივირებულები ვართ თავდაუზოგავად ვიმუშაოთ და ღირსეულად წარვსდგეთ საკმაოდ კრიტიკული და გემოვნებიანი პუბლიკის წინაშე, რადგან თუ დაგვიწუნეს, რეაბილიტაცია ძალიან ძნელია“

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა სეზონი ესტონეთში, ქალაქ საარემას საერთაშორისო საოპერო ფესტივალში მონაწილეობით დახურა. თბილისის ოპერის თეატრის დასთან ერთად, ბალტიისპირულ ტურნეში წარმოდგენილი იყო ქუთაისისა და ბათუმის მუსიკალური დასებიც. საქართველოდან ჩასულ მუსიკოს-შემსრულებლებს, ირინე რატიანს, თეა დემურიშვილს, მარიკა მაჩიტიძეს, თეონა დვალს, გია ონიანს, სულხან გველესიანს, ნიკა ლაგვილავას, გოჩა დათუსანს, ირინა თაბორიძეს, არმაზ დარაშვილს, კახაბერ თეთვაძეს და სხვებს, სპექტაკლებში მონაწილეობის მიზნით ტალინში შეუერთდნენ მსოფლიო ბანი პაატა ბურჭულაძე და ახალგაზრდა, მაგრამ პერსპექტიული და ძალიან ნიჭიერი ტენორი ირაკლი კახიძე, რომელმაც საფრანგეთში, ქალაქ ნიცაში ახლახან იმღერა ფრანგულ პრემიერებში, დონიცეტის „სიყვარულის ნექტარში“. ესტონეთში ჩვენი საოპერო დასების სპექტაკლები სრული ანშლაგით მიმდინარეობდა, წარმოდგენილ სპექტაკლებში („რიგოლეტო“, „ლუჩია დი ლამერმური“, „ატილა“, „მადამ ბატერფლაი“), მონაწილე სოლისტი-მომღერლები, გუნდი და ორკესტრი ღირსეულად წარსდგა ევროპელების წინაშე და შთამბეჭდავი მეტოქეობაც გაუწიეს ადგილობრივ კოლეგებს ფესტივალის ბოლოს გამართულ გალა-კონცერტზე. ამ საგასტროლო ტურნეში თბილისის ოპერის ერთ-ერთი გამორჩეული მომღერალი, ბრწყინვალე მეცო-სოპრანო ირინა ალექსიძეც მონაწილეობდა, რომელმაც პუჩინის „ჩიო-ჩიო სანში“ სუზუკის რთული პარტია იმღერა.

თაყვანისმცემელთა სიმრავლით ირინა ალექსიძე თბილისშიც და ევროპაშიც განებივრებულია. ის უკვე მე-3 წელია ხშირად მოგზაურობს საქართველოდან და მშობლიურ თეატრში დაგროვილ გამოცდილებით, ქართული ვოკალური სკოლის მნიშვნელობით, ფრანგ თუ იტალიელ მსმენელს აკვირვებს.

ბიზეს, ვერდის, მასკანის, სენსანსის, გმირების ჩინებული შემსრულებელი, მარსელში ერთ-ერთ კონცერტში სიმღერის დროს ფრანგულმა პრესამ გამოჩენილ საოპერო პრიმადონა მარია კალასს შეადარა. ირინა ალექსიძე ეროვნული მუსიკის პოპულარიზაციის მიზნით, მსოფლიოს პოპულარულ სცენებზე ხშირად მღერის ფალიაშვილის, ლაღიძის, ბალანჩივაძის, მაჭავარიანის ნაწარმოებებს...

წლების წინ კი მან დებიუტშივე ისახელა თავი, როგორც ულამაზესი, ძლიერი, იშვიათი ხმის მეცო-სოპრანომ. მსოფლიოს საოპერო სცენების ისეთი მეტრები, როგორებიც არიან ცისანა ტატიშვილი, მედეა ამირანაშვილი, თენგიზ მუშკუდიანი, მას ახასიათებენ, როგორც ფენომენალური ხმის, სინთეზური მუსიკალურ-არტისტული მონაცემების, გემოვნებიან და ბრწყინვალე ვოკალისტს. ირინა ალექსიძემ მცირე დროში შეძლო ემღერა ეროვნულ თუ ევროპულ რეპერტუარში ყველა მნიშვნელოვანი პარტია. შესაშური შემოქმედებითი ენერგიით, სცენიური მომხიბვლელობით, გამბედაობითა და იმპროვიზაციის საოცარი უნარით, მოახერხა მოეპოვებინა ქართველი მსმენელის კეთილგანწყობა და სიყვარული.

2009 წლის ბოლოს ირინა ალექსიძე სასწავლებლად იტალიაში გაემგზავრა, ოზიმოს აკადემიაში პროფესორ სერჯიო სეგალინისთან. პარალელურად ის ვოკალის გაკვეთილებს იღებდა მაესტრო მარიო მელანისთან პეზაროს საოპერო აკადემიაში.

სწორედ პეზაროში, 2010 წელს, ირინა ალექსიძემ მონაწილეობა მიიღო პეზაროს მე-7 საერთაშორისო კონკურსში და პირველი პრემიის მფლობელი გახდა, რის შემდეგაც 2011 წელს, იგი მიიწვიეს ქ. ფაენცას საოპერო თეატრში აზუჩენას როლზე (ვერდის „ტრუბადურებში“). „ტრუბადურებში“ წარმატებული დებიუტის შემდეგ, ირინა ალექსიძე, იმავე წელს სასწავლებლად გაემგზავრა საფრანგეთში. ქ. მარსელში (კნიპალის აკადემია), მალევე, ქ. ბეზიეში ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსზე პირველი პრემია მოიპოვა.

ირინა ალექსიძე წარმატებით გამოდის საკონცერტო ესტრადაზე საქართველოში, საფრანგეთში, იტალიასა და გერმანიაში. 2011 წელს მონაწილეობა მიიღო ფესტივალში „რადიო საფრანგეთი“, (მარსელში) სადაც იმღერა, როგორც ქართული, ისე ევროპული რეპერტუარი. შესრულებული ქართული ნაწარმოების გამო, ჟიურიმ ის პრიზით დააჯილდოვა...

ირინა ალექსიძე: - სიამაყით და დიდი სიამოვნებით ვმღერი ქართული კლასიკური მუსიკის თვალსაჩინო ნიმუშებს. უბედნიერესი ადამიანი ვარ, რომ საშუალება მომეცა, წელს ჩემს გამოჩენილ კოლეგებთან, საერთაშორისოდ აღიარებულ ლადო ათანელთან და ბადრი მაისურაძესთან, ასევე, მარიამ როინიშვილთან ერთად პირველად მემღერა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ნაწარმოებები ფესტივალში „აღდგომიდან ამაღლებამდე“, რაც მუდამ მსმენელის აღფრთოვანებას იწვევს. თუ საშუალება მომეცემა, საქართველოს ფარგლებს გარეთაც დიდი სიამოვნებით ვიმღერებ ჩვენი პატრიარქის ნაწარმოებებს, ევროპელებს სიახლე ძალზე ახარებთ, განსაკუთრებული პატივისცემით გვექცევიან ქართველ შემსრულებლებს და როცა ხედავენ, რომ ჩვენც ვცდილობთ გემოვნებიანი ქართული მუსიკა შევთავაზოთ, გვიმახსოვრებენ და შრომას გვიფასებენ. ამიტომ მე და ჩემი მეგობრები კონცერტებში თავს ვალდებულად ვთვლით, იტალიურ თუ ფრანგულ რეპერტუართან ერთად, მსმენელი ფალიაშვილის, ლაღიძის, ბალანჩივაძის გენიალური მუსიკითაც ვასიამოვნოთ.

-„ჩიო-ჩიო სანის“ პრემიერები ესტონეთში გამგზავრებამდე თბილისში შედგა. დებიუტანტებმა შთამბეჭდავად იმღერეთ, რის შემდეგაც ახალგაზრდული შემადგენლობა უკვე ესტონეთში ჩახვედით ფესტივალზე. როგორ ასახელეთ თქვენი მშობლიური თეატრი?

- თბილისის ოპერის თეატრი შვილივით მიყვარს. სცენა, რომელზეც ათწლეულები მღეროდნენ მსოფლიო ოპერის ლეგენდარული ქართველი შემსრულებლები და თბილისში საგასტროლოდ ჩამოსული გენიალური მომღერლები, ჩემთვის ძალიან მშობლიურიცაა და ძვირფასიც. ძალიან ამაყი ვარ, როცა ვფიქრობ, როგორი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ღეები წარმატებით დასრულდა...

„განსაკუთრებული პატივისცემით გვექცევიან ქართველ შემსრულებლებს და როცა ხედავენ, რომ ჩვენც ვცდილობთ გემოვნებიანი ქართული მუსიკა შევთავაზოთ, გვიმახსოვრებენ და შრომას გვიფასებენ“



„რაც შეეხება საარემას ფესტივალში მონაწილეობას, მე არ მომერიდება ვთქვა, რომ ჩვენ საერთაშორისო მასშტაბები ვაჩვენეთ“

ბედნიერება მხვდა წილად - დებიუტი მქონოდა მსოფლიოს ერთ-ერთ თვალსაჩინო თეატრში -თბილისში. ჩემი თეატრი მრავლისმნახველია, თვალსაჩინო მემატიანეა კულტურული ცხოვრებისა, დღესასწაულებისა. ჩვენი მომღერლები წინა საუკუნეშიც აოცებდნენ მსოფლიოს და ახლაც განცვიფრებაში მოჰყავთ ევროპისა თუ ამერიკის საუკეთესო თეატრების მსმენელები. აგერ უკვე 161-ე სეზონია თეატრში მიდის თაობათა ღირსეული ცვლა, თეატრი ამაყად დგას, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, ერთი წუთით არ შეუწყვეტია ფუნქციონირება და საკონცერტო წარმოდგენებს მართავს რეგულარულად. მომავალ წელს კი თბილისს უმშვენიერესი, ტრადიციული, დიდებული განახლებული ოპერის თეატრი ექნება, სადაც საინტერესო სპექტაკლები და ფესტივალები გაიმართება. აი, ამ განწყობით ვარ ამჟამად... რაც შეეხება საარემას ფესტივალში მონაწილეობას, მე არ მომერიდება ვთქვა, რომ ჩვენ საერთაშორისო მასშტაბები ვაჩვენეთ. საუკეთესო ქართველი მომღერლები იყვნენ დაკავებულნი სპექტაკლებში - ბატონი პაატა ბურჭულაძე, ჩემი ახალგაზრდა კოლეგები, გუნდი, ორკესტრი, ყველამ ჩინებული მუსიკალური დონე აჩვენა. მსმენელიც თბილად შეგვხვდა, აპლოდისმენტები და ოვაციები არ დაიშურეს, რამაც მეტი სტიმული და მოტივაცია მოგვცა !

- საფრანგეთშიც მღერით, რამდენად პრიორიტეტულია იქ კულტურა, როგორი ყურადღება ექცევა სახელმწიფოსგან ხელოვნების დარგებს?

- საფრანგეთი, ამ მხრივ, მსოფლიოში ერთ-ერთი მისაბაძი, ძალიან მოწესრიგებული ქვეყანაა. კულტურა მათთვის სავიზიტო ბარათია და ყველა სახელმწიფო რგოლისგან დიდი ხელშეწყობა აქვს. მუზეუმების, საკონცერტო თუ საგამოფენო დარბაზების, ოპერის თეატრებისთვის კოლოსალური თანხები იხარჯება იმისთვის, რომ მაქსიმალური კომფორტი შეუქმნან ხელოვანებს. ცხადია, სახელმწიფო მეცენატებსაც ავალდებულებს დახარჯონ ფული კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობისთვის და საერთაშორისოდ აღიარებული შემსრულებლების მოზიდვისთვის. კლასიკური მუსიკა, შოუბიზნესი, ფოლკლორი, მხატვრობა, მწერლობა, ერთნაირად დაფასებულია იქ, რაც მილიონობით ფრანგთან ერთად ათასობით ტურისტსაც იზიდავს, ამით კი საფრანგეთის სახელმწიფოს ბიუჯეტში დიდი თანხა გროვდება.

- პრესასა და ტელევიზიას რა როლი ეკისრება კულტურული ცხოვრების გაშუქებაში?

- რა თქმა უნდა, შემფასებელთა შორის, ღონისძიებებს ხელოვნებათმცოდნეები, მუსიკის კრიტიკოსებიც ესწრებიან და ფხიზელი თვალით აკვირდებიან კვირის ყველა აქტუალურ მოვლენას-პრემიერებს, პრეზენტაციებს. იწერება დადებითი და უარყოფითი რეცენზიებიც. ვის აქებენ, ვის იწუნებენ. ხშირად მასმედიას გამოაქვს განაჩენი ამა თუ იმ ხელოვანისთვის, მიიწვევენ თუ არა კვლავ საფრანგეთში, რადგან იქ საკმაოდ მნიშვნელოვან ჰონორარს უხდიან გასტროლიორს და თუ ვინმეს პრესა დაიწუნებს, მისი დაპატიჟებისგან მეორედ თეატრი თავს შეიკავებს, ამით, როგორც კრიტიკოსები, ისე ჟურნალისტები აიძულებენ მენეჯმენტს ფული ყაირათიანად დახარჯოს და მეორედ მხოლოდ ის დებიუტანტი მოიწვიოს, ვინც მათ ბიუჯეტს კი არ აზარალებს, არამედ ერთი ორად გაზრდის. ამის გამო, ჩვენც მოტივირებულები ვართ თავდაუზოგავად ვიმუშაოთ და ღირსეულად წარვსდგეთ საკმაოდ კრიტიკული და გემოვნებიანი პუბლიკის წინაშე, რადგან თუ დაგვიწუნეს, რეაბილიტაცია ძალიან ძნელია.

- რითი განსხვავდება ქართველი და ევროპელი მსმენელი?

- ყოველი მომდევნო გამოსვლის დროს მკაცრად მოითხოვენ ჩვენგან, რომ მაქსიმალურად ვასიამოვნოთ, ვაჩვენოთ ახალ-ახალი მიღწევები, რასაც რეპეტიციიდან სპექტაკლამდე მუშაობის პროცესში ვაღწევთ. სხვა შემთხვევაში, ისევე, როგორც ქართველები, ევროპელებიც გულგრილად გაგვისტუმრებენ სცენიდან.

ირინა ალექსიძემ 2000 წელს დაამთავრა ქ. გორის მუსიკალური სასწავლებელი და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში პროფესორ ნოდარ ანდღულაძის კლასში განაგრძო სწავლა. 2002-2003 წლებში ბათუმის კონსერვატორიასთან არსებულ საოპერო სტუდიაში მუშაობდა. 2005 წლიდან კი თბილისის ოპერის სოლისტია და დიდ მაესტროსთან თენგიზ მუშკუდიანთან მეცადინეობს.

თბილისის ოპერის თეატრში 2005 წელს შეასრულა ლოლას და ლუჩიას (მასკანის „სოფლის ღირსება“), ნათელას, ნანოს, (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“), მაროს პარტიები (ვ.დოლიძის „ქეთო და კოტე“). 2007 წელს, რეპერტუარის მიმდინარე სპექტაკლებთან ერთად იმღერა მადალენას პარტია ვერდის „რიგოლეტოს“ პრემიერაში, 2009 წელს კი წარსდგა ფენენას პარტიით „ნაბუქოს“ პრემიერაში. ამავე წელს მისი დებიუტი შედგა ვერდის „აიდაში“ ამნერისის ურთულესი საოპერო როლით და „ტრავიატაში“ ფლორას პარტიით (თბილისის ოპერის თეატრი), 2013 წელს კი პუჩინის „ჩიო-ჩიო სანში“ იმღერა სუზუკის პარტია. ამჟამად ბიზეს „კარმენზე“ მუშაობს და იმედი აქვს, რომ მალე ამ პარტიასაც წარმატებით შეასრულებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N31 (229), ორშაბათი 5 აგვისტო 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

ყველაზე სულელური სიკვდილი ვიცი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება